

ვ. მაყაშვილი  
ი. თყეშელაძე

კანონისმგებლობა  
მეურთაშობისათვის

საბჭოთა საქართველო  
1964

## რედაქტორისაზანი

მექრთამეობა, რომელიც შეუთავსებელია ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების ბუნებასთან, მძიმე ბოროტმოქმედებას წარმოადგენს და ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია განსაკუთრებით მოუთმენელი და დაუშვებელია იგი ახლა — კომუნისტური საზოგადოების გაშლადი მშენებლობის პერიოდში. პირი, რომელიც ასეთ დანაშაულს ჩადის, არა მარტო უხეშად არღვევს სისხლისსამართლებრივი ნორმის მოთხოვნას, არამედ ამასთან უგულვებლყოფს იმ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებიც კომუნისზმის მშენებლის მორალურ კოდექსშია ჩამოყალიბებული.

საბჭოთა საზოგადოებრიობას სამართლიანად აღელვებს მექრთამეობის ფაქტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა აღმოფხვრილი. ამით იყო შეპირობებული ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წ. 20 თებერვალს გამოსცა ბრძანებულება „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ვაძლიერების შესახებ“. ამ ბრძანებულებამ მკაცრი სასჯელები დააწესა ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

რასაკვირველია, სისხლისსამართლებრივი სასჯელი არ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას მექრთამეობასთან ბრძოლაში. ძირითადი და არსებითი მნიშვნელობა აქვს მექრთამეობის კონკრეტული მიზეზებისა და პირობების გულდასმით შესწავლას და მათ აღმოსაფხვრელად გონივრულად მოფიქრებული ღონისძიებების განხორციელებას. ამ მიმარ-

თულებით უაღრესად მნიშვნელოვანია პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების როლი, რომელთა საქმიანობა საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით მიმდინარეობს.

ჩვენს რესპუბლიკაში მექრთამეობის აღმოსაფხვრელად გარკვეული მუშაობაა გაწეული. მაგრამ ზოგიერთი საპროკურორო-საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკები საკმაოდ ვერ აფასებენ ამ დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას, შეცდომებს უშვებენ გამოძიების, კვალიფიკაციის, სასჯელის შეფარდების დროს და ა. შ. გარდა ამისა, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა საზოგადოებრიობის როლის გააქტიურებას მექრთამეთა გამოსაყვანიერად.

წინამდებარე ნაშრომში გარკვეულია მექრთამეობის იურიდიული ბუნება, მოცემულია ქრთამის აღების, ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის შედგენილობათა დაწვრილებითი ანალიზი, განხილულია სასჯელის შეფარდების პრინციპები, გარჩეულია ის დანაშაულობანი, რომლებიც ხშირად თან ახლავს მექრთამეობას და სხვ.

ვფიქრობთ, ნაშრომი გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენს საპროკურორო-საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკებს მექრთამეობასთან ბრძოლაში. იგი ინტერესს არ იქნება მოკლებული ფართო საზოგადოებისათვისაც.

საქართველოს სსრ პროკურორი  
იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო  
მრჩეველი ბ. ბერძენიშვილი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

საპასუხისმგებლო და უაღრესად სერიოზული ამოცანებია დასახული საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მუშაკების წინაშე. „სკკ — ნატკვამია ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში — დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებას, რომელზედაც ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მთელი რესურსების სწორად გამოყენება, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხების დროზე გადაჭრა. საბჭოთა აპარატი უნდა იყოს მარტივი, კვალიფიციური, იაფი და ოპერატიული და არ უნდა იჩენდეს არავითარ ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმსა და საქმის გაჭიანურებას“<sup>1</sup>.

საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აპარატი ღირსეულად ასრულებს მასზე დაკისრებულ მაღალ ამოცანებს. მის მუშაობას ახასიათებს სიმტკიცე, პრინციპულობა და მოქნილობა. საბჭოთა აპარატის მუშაკები აღჭურვილი არიან სათანადო ცოდნით, ორგანიზატორული უნარითა და მაღალი ზნეობრივი თვისებებით, ე. ი. ყოველივე იმით, რაც აუცილებელია საბჭოთა აპარატისათვის დაკისრებული საპასუხისმგებლო ამოცანების განსახორციელებლად.

მაგრამ უკლებლივ ყველა საბჭოთა მოსამსახურე როდესაც სათანადო სიმაღლეზე, ყველა პარტიონად და კანონის მოთხოვნის შესაბამისად როდესაც ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. წარსულის მძიმე მემკვიდრეობა, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის ნაშთები, რომელნიც ჯერ კიდევ

<sup>1</sup> „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“, 1961, გვ. 115 — 116.

არსებობენ, ზეგავლენას ახდენენ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ზოგიერთ ჩამორჩენილ წარმონაღ-  
გენელზე. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი პირები არღვე-  
ვენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას და ზოგჯერ თანამ-  
დებობრივ დანაშაულსაც კი ჩაღიან. ასეთ უღირს თანამდ-  
ბობის პირებს „ავიწყდებათ“, რომ „სოციალისტური სახელ-  
მწიფოს აპარატი ემსახურება ხალხს და ანგარიშვალდებულთა  
ხალხის წინაშე“<sup>1</sup>.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962  
წლის ნოემბრის პლენუმზე ამბობდა: „ყველა საბჭოთა ადა-  
მიანის გულიწყრომასა და აღშფოთებას იწვევს მექრთამეო-  
ბის — წარსულის ამ სამარცხვინო მემკვიდრეობის ფაქტები.  
ამ სენმა ზოგიერთ ცენტრალურ უწყებასა და დაწესებულე-  
ბაში შეაღწია და დააავადა ცალკეული ხელმძღვანელი მუშა-  
კები, რომელთაც პარტიული ბილეთი უდევთ ჯიბეში. მექრ-  
თამე ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცევს იმ დოვლათს, რომელ-  
საც ხალხის შრომა ქმნის. ქრთამებით ანიავებენ სახელმწიფო  
ფონდებს, უკანონოდ იძლევიან ბინის ორდერებს, გამოპყო-  
ფენ მიწის ნაკვეთებს, ნიშნავენ პენსიებს, აწარმოებენ უმაღ-  
ლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას და დიპლომებსაც კი იძლე-  
ვიან“<sup>2</sup>.

თანამდებობის პირი, რომელიც ვაჭრობს თავისი საქმიან-  
ობით, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, თავისი სინი-  
დისით, უხეშად არღვევს მოუსყიდველობისა და პატიოსნების  
ელემენტარულ მოთხოვნებს, ურომლისოდაც წარმოუდგენე-  
ლია საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის  
წესიერი, წუნდაუდებელი მუშაობა.

---

<sup>1</sup> „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“, 1961,  
გვ. 116.

<sup>2</sup> ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და  
სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა. მოხსენება სკკპ  
ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, 1962 წლის 19 ნოემბერი. საქარ-  
თველოს კვ. ც-ის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 140—141.

მექრთამეობის ფესვებს შორეულ წარსულში მივყავართ. როგორც კი საზოგადოება კლასებად დაიყო და შეიქმნა სახელმწიფოებრივი აპარატი — გაბატონებული კლასის ინტერესთა დაცვის ეს იარაღი — იმთავითვე გაჩნდნენ ამ აპარატის მომსახურე თანამდებობის პირნი და გაჩნდა მექრთამეობაც. თანამდებობის პირთა მექრთამეობა ყოველდღიური მოვლენაა ექსპლოატატორული საზოგადოების არსებობის მთელ მანძილზე. თანამდებობის პირთა მოსყიდვა ხდებოდა მონათმფლობელურ საზოგადოებაში, მას ფართოდ მიმართავდნენ ფეოდალიზმის დროსაც, მაგრამ ის განსაკუთრებით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გავრცელდა.

მექრთამეობა, რომელიც კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს, კანონზომიერადაა დაკავშირებული ამ ქვეყნების სოციალურ წყობასთან. იგი შეესაბამება იმ სოციალური ურთიერთობის ბუნებას, რომელიც გაბატონებულია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც შრომის ყველა ნაყოფი, ყოველი საქმიანობა, ყოველნაირი ღირსება და თვით გრძნობებიც კი საცვლელ ღირებულებად იქცევა. მარქსიზმის კლასიკოსთა სიტყვით, ბურჟუაზიამ „პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალ ნაბოძვარ და კეთალშენაძენ თავისუფლებათა ადგოლას დაამყარა ერთადერთი უსინდისო თავისუფლება ვაჭრობისა“<sup>1</sup>.

მექრთამეობის სული იჭრება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ აპარატში მისი განვითარების პირველ ნაბიჯებიდანვე. ამ აპარატის მთელი საქმიანობა, ყველაფერი, რაც კი მის გამგებლობაში და მის ხელთაა, ხდება ყიდვა-გაყიდვის სა-

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ჩრეული ნაწერები, თბილისი, 1950, ტ. 1, გვ. 14.

განი. სწორედ ამაზე მიუთითებდა კარლ მარქსი, როდესაც გამანადგურებელ დახასიათებას აძლევდა „მეორე იმპერიის“ დროინდელ საფრანგეთში გამეფებულ საყოველთაო მოსყიდვას. „...ყიდვა-გაყიდვის იარაღად ხდება ყველა სახელმწიფო დაწესებულება: სენატი, სახელმწიფო საბჭო, საკანონმდებლო ორგანო, საპატიო ლეგიონი, ჯარისკაცის მედალი, სამრეცხაო, სახელმწიფო მშენებლობა, რკინიგზები, ეროვნული გვარდიის გენერალური შტაბი უმცროსების გამოკლებით, ორლეანელთა დინასტიის კონფისკაციაქმნილი მამულები. მოსყიდვის საშუალებაა ყოველნაირი თანამდებობა არმიაში და მთავრობის აპარატში“<sup>1</sup>.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში თანამდებობის პირთა სამსახურებრივი საქმიანობა საქონლის ფორმას იღებს. ფული კაპიტალისტური საზოგადოების სათაყვანო კერპია, მისი უმაღლესი „მსაჯული“ და მბრძანებელია. ფულის წინაშე ბურჟუაზიული მოხელენი ყურმოქრილი ყმებივით ქედს იხრიან. სამსახურის გადაქცევა გამორჩენის წყაროდ, ყოველი გზით და რაც შეიძლება მეტი რაოდენობით პირადი სარგებლობის მიღება — აი ის „პრინციპი“, რომელსაც ბურჟუაზიული სახელმწიფოს თანამდებობის პირთა საქმიანობა ემყარება.

მემამულურ-კაპიტალისტური წესები ხელსაყრელი ნიადაგი იყო მექრთამეობის გასავრცელებლად მეფის რუსეთში. მექრთამეობა ისე გაუჯდა ძვალ-რბილში მეფის მოხელეობას, რომ თვითონ მასაც და მოსახლეობის უმეტეს ნაწილსაც იგი ჩვეულებრივ მოვლენად ეჩვენებოდა.

მარქსიზმის კლასიკოსებს არა ერთხელ აღუნიშნავთ მეფისდროინდელი რუსეთის მოხელეების უარყოფითი მხარეები და, კერძოდ, მექრთამეობა. ვ. ი. ლენინი ზიზლით ლაპარაკობდა „რუსეთის ყოვლისშემძლე, უპასუხისმგებლო, მექრთამე, ველური, უმეცარი და მუქთახორა მოხელეობის“<sup>2</sup> შესახებ.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, თბილისი, 1950, ტ. 1, გვ. 382.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 415.

ფ. ენგელსი მკაცრად ამხილებდა მეფის მოხელეების მექრთამეობას, მათ ეგოიზმსა და გამორჩენის აღმაშფოთებელ მადას: „...განდილებისა და გამორჩენის მოყვარულნი, სულთ ხორცამდე სახელმწიფოსაგან შესყიდულნი, იაინი ამავე დროს დღენიდაც და ყოველ ჟამს წვრილ-წვრილად ყიდიან მას, თუკი ეს მათთვის ჩამდენადვე მაინც ხელსაყრელი იქნება...“<sup>1</sup>.

მექრთამეობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო მეფის რუსეთის განაპირა ადგილებში, სადაც თვითმპყრობელობის წარმომადგენელთა თვითნებობას საზღვარი არ ედებოდა. აქ ქრთამს მოურიღებლად თხოულობდნენ და აშკარად იღებდნენ ყოველი მოქმედებისათვის, გინდ კანონიერი ყოფილიყო, გინდ უკანონო. გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ა. გერცენი გვიხატავს საყოველთაო მექრთამეობის სურათს ციმბირში. იგი სიძულვილით ამხელს მეფის მოხელეობას, რომელიც „სწოვს ხალხის სისხლს ათასობით ხარბი და ბინძური პირით“. ციმბირში დიდ გასაველში იყო ქრთამის გამოძალვა ჩამორჩენილ და მომეტებულად დაჩაგრულ ნაციონალურ უმცირესობათაგან — ვოტიაკებისა, მორდვებისა და ჩუვაშებისაგან. ჩამოყალიბდა მთელი სისტემა, რია მეოხებითაც მოსახლეობა კოლექტიურად ისყიდდა თავს მოჩმახული ბრალდებებისაგან, რომელთაც მათ თავს ახვევდნენ მეფის მოხელე „წესრიგის დამცველნი“. მაგალითად, ისპრავნიკი (სამაზრო პოლიციის უფროსი) და უბნის ბოქაული შოულობდნენ ვინმე გაყინულის ან სასმელსგადაყოლებული ლოთის გვამს და ატარებდნენ მას სოფელ-სოფელ, თანაც აცხადებდნენ, თუ სოფელი სასყიდელს არ გაიღებს, იგი „ჩადენილი მკვლელობისათვის“ სამართალსა და სასჯელს ვერ გადაურჩებაო.

რევოლუციამდე ს საქართველოში, რომელიც რუსეთის იმპერიის განაპირა მხარედ ითვლებოდა, მექრთამეობა ხშირად აშკარა, „დაკანონებულ“ ფორმას იღებდა. იმდროინდელი სინამდვილის ანარეკლია ხარიტონ ფილიპიჩის ტიპი გ. ერის-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. II, стр. 477.



თავის კომედიიდან „დავა“. ეს გაიძვერა და გაქნილო არამზადა იმდენს ყალთაბანდობს, რომ ორავე მოწინააღმდეგეს ბეგრავს. იგი ასერხება საქმეს ნებღისმიერი მიმართულება მისცეს: „აბრუნდი“, „გაბრუნდი“, „დაბრუნდი“ და „წაბრუნდი“. იგი „მორცხვი“ მექრთამეა და ცდალობს სიტყვით დაფაროს თავისი ხრიკები, არ თაქილობს თავი მოსულელს, მზადაა დაიფიცოს, რომ ქრთამი არ აუღია, რადგან ბეჭედი მას თითზე „თვითონ წამოაცვეს“, ფულიც ბალიშისქვეშ „თვითონ ამოუდვეს“. ხარიტონ ფილიპინს თავი მოაქვს მოკრძალებულ ადაშიანად, რომელიც დიღს არ ეპოტინება და ნიკირდს სჯერდება: «Дас, все отказываются здесь служить, а по мне кто умеет сделать абрунди, тому везде тепло... Главное не нужно многого. Я человек не прихотливый, я ничего не требую. Коль дадут сами за каждое дело по десяти червонцев, и довольно. У нас в суде дел гражданских 1.500, уголовных — 150, вот вам и капиталец, а другие наши братья кричат, — уезд неурожайный. Что же делать? Не везде Нуха, Карабах и Ганджа. Там, батюшка, Калифорния!».

მეფის რუსეთში მექრთამეობა არათუ მცირდებოდა, არამედ კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების კვალობაზე მას სულ უფრო მეტი გაქანება ეძლეოდა. მექრთამეობის ძველთაგანვე დამკვიდრებული ფორმების გვერდით გაჩნდა მისი ახალი ფორმებიც. ქრთამის მიმცემად გამოდიან კაპიტალისტები, რომლებიც წარჩინებული და გავლენიანი პირების მოსყიდვის მეოხებით ასერხებენ სხვადასხვა შეღავათი და პრივილეგია მიიღონ. „მფარველობისათვის გააამრჯელო“ მმართველი წრეებისა და კაპიტალისტური სამყაროს ურთიერთობების ერთ-ერთი ფორმა ხდება. ვ. ი. ლენინმა მოგვცა ამ ურთიერთობის ნათელი სურათი. „ყველამ იცის, — წერდა იგი, — რა ადვილად შედიან ჩვენი ბობოლა-კაპიტალისტები ბატონ მინისტრთა საღარბაზო ოთახებში ერთმანეთთან ტკბილად საუბრისათვის, რა მეგობრულად უმასპინძლებიან მათ

თავიანთ სადილებზე; რა თავაზიანად მიართმევენ ხოლმე საჩუქრად ათეულ და ასეულ ათასობით მანეთს იმპერატორის მთავრობის მექრთამე მოხელეებს...“<sup>1</sup>.

თანამდებობის პირთა და პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა მოსყიდვა სწორედ რომ არნახულ ზომამდეა მისული ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქრთამს იღებს ყველა, სულ დაბალი მოხელისა, სასამართლო ბოქაულისა და შერიფისაგან მოყოლებული ვიდრე კონგრესის წევრამდე, სენატორამდე, მინისტრამდე, ზოგჯერ თვით. პრეზიდენტც. ქრთამის მიზანი და ფორმა ათასნაირია. იგი სახელმწიფოს მართვის თავისებური საშუალებაა. კაპიტალის მაგნატები მოსყიდვის მეოხებით გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამ გზით ისინი ახორციელებენ თავიანთ ანტიხალხურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულა შშრომელთა ფართო მასების ინტერესების საზიანოდ. ქრთამი ხშირად უპლევველი იარაღია კაპიტალისტური მონოპოლიების ხელში, რომელნიც ურთიერთ მეტოქეობენ, რათა პოლიტიკური მანქანა ხელში ჩაიგდონ და იგი თავის ნება-სურვილს დაუმორჩილონ. იმარჯვებს ის, ვისაც მეტა მატერიალური შესაძლებლობა აქვს, უბრალოდ რომ ითქვას — ვინც მეტ სასყიდელს გაიღებს.

თანამდებობის პირთა, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეთა მოსყიდვა იმდენად ჩვეულებრივი და დამკვიდრებული მოვლენაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომ მას სამართლიანად თვლიან ცხოვრების „ამერიკული წესის“ განუყრელ ელემენტად. ასეთ დანაშაულთ ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართალი მეტად ლმობიერად ეპყრობა და მეტწილად დაუსჯელს ტოვებს მექრთამე თანამდებობის პირებს. აქ არ შეიძლება არ მოვიტანოთ მარქსის დებულება, რომელიც მან 100 წელზე მეტი ხნის წინათ ჩამოაყალიბა: „იერარქია სჯის ჩინოვნიკს იმდენად. რამდენადაც იგი სოიდავს იერარქიის წინააღმდეგ ანდა სჩადის ისეთ ცოდ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 352.

ვას, რომელიც იერარქიას არ სჭირდება, მაგრამ იერარქია მფარველობას უწევს ჩინოვნიკს, თუკი ამ უკანასკნელის ცოდვა მისი ცოდვაა“<sup>1</sup>.

ამერიკელი მწერალი ალბერტ კანი თავის წიგნში „სამშობლოს ლალატი“ გვიხატავს სახელმწიფოს მმართველი წრეების ზედაფენაში გამეფებულ მექრთამეობას.

1920 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად „არჩეულ“ იქნა ყოვლად უფერული პიროვნება — სენატორი ჰარდინგი. ფულის ძლიერებით შობილი პრეზიდენტის გარშემო უმაღლესი თავი მოიყარეს ადამიანებმა, რომლებმაც დიდი თანამდებობები დაიმკვიდრეს და მორწმუნეს თავიანთი მდგომარეობის მეოხებით გამორჩენა ენახათ, ამერიკელთა ენით რომ ვთქვათ, დააბირეს „ბიზნესი“ გაეკეთებინათ.

კანის მიერ აღწერილ არამზადათა წყებაში ერთ-ერთ თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ფოლი. მის ოპერაციებს ტიპოტ დოუმისა და ელკ ჰილის ნავთობის საბადოებთან დაკავშირებით ყოვლად უსიარცხვილო კორუპციის სახელი გაუფარდა. მაგრამ ჰარდინგის მთელი მომყიდველი გარემოცვიდან ყველას გადააქარბა ცნობილმა „ბოსმა“, ჰარდინგის გულთაღმა მეგობარმა დოგერტამ. დოგერტი არაფერს თავილობდა, ოღონდ კი ჰარდინგის პოლიტიკურ კარიერას წარმატება ჰქონოდა. ჰარდინგიც უმადური არ დაურჩა დოგერტის — მან იუსტიციის მინისტრად დანიშნა. რა ოინებს არ მიმართავდა დოგერტი, რომ თავისი მინისტრობისაგან რაც შეიძლება მეტი მატერიალური გამორჩენა ჰქონოდა. „საკადრისი გასამრჯელოს“ სანაცვლოდ იგი სპობდა მსხვილი კომპანიების წინააღმდეგ აღძრულ საქმეებს, ვაკრობდა პატიებითა და საპატიმროდან ვაღამდე განთავისუფლებით, ყიდდა მოსამართლსა და პროკურორის თანამდებობებს, იძლეოდა სხვადასხვა უკანონო საქმის ნებართვებს და სხვ. ერთი წლის მინისტრობის შემდეგ დოგერტი ამერიკელი „ბიზნესმენისათვის“ ჩვეული ცინიკურობით ამბობდა: „წინათ იუსტი-

<sup>1</sup> K. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, гл. 574.

ციის მინისტრის თანამდებობაში ოცდაათ ცენტს არ გავიმეტებდი, ახლა კი ამას მილიონ დოლარადაც არ დავთმობ“<sup>1</sup>.

თვით პრეზიდენტი ჰარდინგი სირცხვილს სიკვდილით გადაურჩა (1923 წ.), ხოლო მისი მინისტრები სულ უმნიშვნელოდ დაისაჯენ. 1921 წელს ჰარდინგის ბრძანებით ნავთობის ექსპლოატაციისათვის გამოყოფილი მიწები შინაგან საქმეთა მინისტრის ფოლის განკარგულებაში გადავიდა. სამხედრო საზღვაო ფლოტის ინტერესების საზიანოდ ფოლმა მიწის ორი ნაკვეთი მალულად მიყიდა ნავთობის მაგნატებს — სინკლერსა და დოგენს. როგორც გამოირკვა, ფოლმა ამისათვის სინკლერისაგან მიიღო 260 ათასი დოლარის სესხის ობლიგაციები, ხოლო დოგენისაგან 100 ათასი დოლარი.

შემდგომ წლებში კორუპცია თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა და იზრდებოდა. სენსაციურ მხილებებს არც ტრუმენის პრეზიდენტობა გადაურჩა. 1949 წელს ამერიკის პრესაში მოთავსდა ცნობები, რომლებიც პრეზიდენტის გარემოცვას სახელს უბღალავდა. სენატის საგამომძიებლო ქვეკომისიამ გამოარკვია, რომ მექრთამეობას თვითონ თეორ სახლშიაც მოუკალათებია. გამომჟღავნებულ მექრთამეობაში ერთერთი მთავარი როლი ვოგანს ეკუთვნოდა. ტრუმენის ძველი მეგობარი ვოგანი პრეზიდენტმა თავის სამხედრო აღიუტანტად განაწესა და მალე მას გენერალ-მაიორობა ებოძა. ვოგანი „მფარველობდა“ მრეწველებს, ხელს უწყობდა მათ მთავრობისათვის ხელსაყრელი დაკვეთების მიღებაში, არადანიშნულებისამებრ აძლევდა ნორმირებულ სამშენებლო მასალებს და სხვ.

როდესაც პრეზიდენტის აღიუტანტის ესოდენ შორს წასული „მოღვაწეობა“ გახმაურდა და ვოგანს „თავისი გავლენის ბოროტად გამოყენებას“ უსაყვედურებდნენ, მან თავხედურად განაცხადა: „ბევრს მიაჩნია, რომ მე არაეთიკურად ვიქცევი, მაგრამ მე ასეთნაირად დავრჩები. მე უნდა მოვწონდე მხოლოდ ორ ადამიანს — ბატონ ტრუმენს და ჩემს მეუღ-

<sup>1</sup> А. К а н, Измена родине, М., Изд-во И/Л, 1951, гл. 71.

ღეს. ვიდრე მათ მოვწონვარ, მე სრულიად კმაყოფილი ვარ ჩემი თავით" <sup>1</sup>.

თავისთავად ცხადია, რომ მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი არ შეიძლება არსებითად გადაწყვეტილი იქნეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც მექრთამეობას ასეთი გარდუვალი, მასობრივი და თითქმის აშკარა ხასიათი აქვს. ბურჟუაზიული კანონმდებლობა თუმცა ფორმალურად ითვალისწინებს მექრთამეობის დასჯადობას, მაგრამ ამავე დროს ცოცხებს იმდენ ხერხებს, რომ მექრთამეს თავი შეუძლია დაიძვინოს პასუხისმგებლობისაგან ან ზოგჯერ ისეთი სასჯელით გადარჩეს, რომელიც აშკარად მოწმობს მართლწესრიგის ღმობიერ დამოკიდებულებას ასეთ დამნაშავეთა მიმართ.

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ჩვეულებრივად ერთმანეთისაგან მიჯნავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ქრთამი მიცემულია: სამსახურებრივი მოვალეობის დამრღვევი მოქმედებისათვის, და ისეთებს, როდესაც ქრთამის ამღების მოქმედება კანონს არ ეწინააღმდეგება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მექრთამეობას პარამოწმენდილად „საჩუქრის მიღებას“ უწოდებენ. უკვე თვით ასეთი ტერმინის — „საჩუქრის მიღება“ — შემოტანა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ქმედობა საძრახისად და დასაგმობად არ ითვლება ბურჟუაზიის ეთიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამას ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ასეთი „საჩუქრის“ მიღებას შედეგად მოაღვეს ან უმნაშენლო სასჯელი ანდა იგი საერთოდ არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ანუ მაგალითად, შვეიცარიის 1937 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 316-ე მუხლი ისეთი „საჩუქრის“ მიღებისათვის, რომელიც არ უკავშირდება სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევას, ითვალისწინებს მაქსიმალურ სასჯელს — თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე. ასეთივე მოქმედებისათვის საბერძნეთის 1950 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 235-ე მუხლის თანახმად შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე ან ჯარიმა. სეფის

<sup>1</sup> А. К а в н. Измена родине, М., Изд-во И/Л, 1951, გვ. 71.

რუსეთის სასჯელთა დებულება (მუხ. 372) სრულიად ათავის-  
უფლებდა სისხლის სამართლის პაპუხისმგებლობისაგან ასე-  
თი „საჩუქრის“ მიმღებს, თუკი „დასაჩუქრებელი“ სამი დღის  
განმავლობაში ფეშქაშს უკანვე დააბრუნებდა. წინააღმდეგ  
შემთხვევაში მას წიესჯებოდა ფულადი ანაზღაურება არა  
უმეტეს საჩუქრის ორმაგი ღირებულებიანა. ასეთი თავისებუ-  
რი „სასჯელის“ დანიშნებით ინციდენტი ამოწურულად ითვლე-  
ბოდა. ჩინოვნიკს არც კი ათავისუფლებდნენ თანაზღებობიდან,  
უკეთუ „საჩუქარი“ მას აღებული ჰქონდა იმ სამსახურებრივი  
მოქმედების შესრულების შემდეგ, რომლითაც დაინტერესე-  
ბული იყო „დამსაჩუქრებელი“ (მუხ. 372, მეორე ნაწილი).

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობა აწვევ  
ლმობიერად ეკიდება „საჩუქრის“ მიმცემ პირსაც. ავსტრიის  
1852 წ. სისხლის სამართლის დებულებითა და დანიის 1930 წ.  
სისხლის სამართლის კოდექსით პირი, რომელიც „საჩუქარს“  
იძლევა მის ინტერესებთან დაკავშირებული სამსახურებრივი  
მოქმედებისათვის, საერთოდ არ აგებს პასუხს სისხლის სა-  
მართლის წესით, ხოლო საბერძნეთის 1950 წ. სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის მიხედვით ასეთი მოქმედება მხოლოდ ფუ-  
ლად ჯარიმას იწვევს.

ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობა ლი-  
ბერალურადაა განწყობილი ქრთამის აღების ისეთ მძიმე  
შემთხვევათა მიმართაც, როდესაც ქრთამი დაკავშირებულია  
უკანონო მოქმედების ჩადენასთან. მაგალითად, ავსტრიის  
1852 წ. სისხლის სამართლის დებულება არ ითვალისწინებს  
პასუხისმგებლობას მატერიალური ფასეულობის ან რაიმე  
სარგებლის მიღებისათვის, დამოუკიდებლად იმისა, კანონიერ  
თუ აკრძალულ სამსახურებრივ მოქმედებასთან არის იგი  
დაკავშირებული; თუკი „საჩუქრის“ მიღება წინასწარ არ იყო  
შეპირებული და ამასთან მისი გადაცემა აღნიშნული მოქმე-  
დების შესრულებას შემდეგ მოხდა. დანიის 1930 წ. სისხლის  
სამართლის კოდექსი უკანონო სამსახურებრივ მოქმედებას-  
თან დაკავშირებული ყოველგვარი ქრთამისათვის, თონიაც  
იგი აღებული იყოს აღნიშნული მოქმედების ჩადენამდე,

შემამსუბუქებელ გარემოებებში აწესებს მხოლოდ ჯარიმას (§ 144). ასეთ მძიმე შემთხვევებში ქრთამის ამღები მოხელის სისხლის სამართლის სასჯელისაგან განთავისუფლებისათვის რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ერთობ თავისებურ ხერხს მიმართავდა. მეფის რუსეთის სასჯელთა დებულების 375-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, უკეთუ უკანონო მოქმედებისათვის ქრთამის ამღები მოხელე თავის ცოდვას მოინახიებდა და ქრთამის შესახებ უფროსს განუცხადებდა, მაშინ სასამართლოს უფლება ჰქონდა მექრთამისათვის ისეთი ზომა დაენიშნა, რომელსაც, არსებითად, დისციპლინური გადასახდელის ხასიათი ჰქონდა (სამსახურიდან დათხოვნა, თანამდებობიდან გადაყენება ან კიდევ მარტო სასტიკი საყვედური ნამსახურობის ნუსხაში შეტანით თუ შეუტანლადაც). ასეთი დადგენილება ქმნიდა მექრთამეობის დაუსჯელობის გარანტიას. შეატყობდა თუ არა მოხელე, რომ მექრთამეობის ფაქტი გახმაურებულია და საქმეს შეიძლება ცუდი მსვლელობა მიეცეს, იგი „გულწრფელი სინანულით“ მიმართავდა თავის უფროსს და, ამგვარად, სისხლის სამართლის სასჯელს დაუძვრებოდა.

მაგრამ მარტო სისხლის სამართალი როდი ქმნის შედეგათებს მექრთამეებისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამავე მიზანს ემსახურებიან ბურჟუაზიული სამართლის სხვა დარგის ინსტიტუტებიც. მაგალითად, მეფის რუსეთში არსებობდა ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული გარანტიის“ ინსტიტუტი. მისი დანიშნულება იყო დაეფარა მოხელეობა პასუხისმგებლობისაგან თანამდებობრივი დანაშაულისათვის, კერძოდ, ქრთამის აღების შემთხვევაშიც. ამ ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დანაშაულის ჩამდენი მოხელის პასუხისმგებაში მიცემა-არმიცემის საკითხი უფროსებს უნდა გადაეწყვიტათ და საჩივარიც მათ უნდა წარდგენოდათ.

ვ. ი. ლენინმა სასტიკად დაგმო ადმინისტრაციული გარანტიის ინსტიტუტი, რომელიც მეფის მოხელეთა თვითნებობას აკანონებდა. 1895 წელს თავის ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება“ იგი

მოითხოვდა ადმინისტრაციული გარანტიის ინსტიტუტის გაუქმებას. ვ. ი. ლენინის აზრით, მოქალაქეს უნდა მინიჭებოდა უფლება საჩივარი აღედგა მოხელის წინააღმდეგ უშუალოდ სასამართლოს წესით, უფროსთა წინაშე უჩივლელად<sup>1</sup>.

დასასრულ, მექრთამეობის დაუსჯელობას კაპიტალისტურ ქვეყნებში უზრუნველყოფს ბურჟუაზიული სასამართლო, რომელიც სისხლის სამართლის კანონებს ტენდენციურსა და მიყვრძობებით შეითხზნის ახსნა-განმარტებას აძლევს ან სხვა ფავალთმაქცობას მიმართავს, ოღონდ კი სასურველ შედეგს მიადწიოს. ხშირად საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ თანამდებობის პირი მოსყიდულია, მაგრამ სასამართლო მაინც ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან გაქანებულ მექრთამეებს ან უსჯის მათ უმნიშვნელო სასჯელს.

მაგალითად, პრეზიდენტ პარდინგის თანამოღვაწე, იუსტიციის მინისტრი დოგერტი, რომელიც, როგორც აღნიშნული იყო, მექრთამეობისა და სხვა ბოროტმოქმედებათა მორევში ცურავდა, სამართალში მისცეს მხოლოდ ერთ-ერთი დანაშაულისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ნაფიცმა მსაჯულებმა იგი გაამართლეს. მისი „ხელობის“ მიმდევარი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ფოლი იოლი სასჯელით — ერთი წლის პატიმრობით და ჯარიმით გადაჩა. ქრთამის მიმცემი მილიონერი დოქენი კი, დადგენილი ფაქტის მიუხედავად, სულაც გაამართლეს. ამასთან დაკავშირებით სენატორმა ჯორჯ ნორისმა მოსწრებულად შენიშნა: „კარგს ვიზამდით გაგვეტარებინა კანონი, რომელიც აკრძალავდა იმ ბოროტმოქმედთა მიცემას სამართალში, ვისაც ჯიბეში 100 მილიონი დოლარი უჩხრიალებს“<sup>2</sup>. „ასეთი საკანონმდებლო ღონისძიება, — დაასკვნის ლანდბერგი. — მხოლოდ არსებული მდგომარეობის იურიდიული გაფორმება იქნებოდა და იმას მაინც გააკეთებდა, რომ თეორიას და პრაქტიკას ერთმანეთს შეუსაბამებდა“<sup>3</sup>.

1 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 104.

2 Ландберг, 60 семейств Америки, М., ИЛ, 1948, გვ. 231.

3 იქვე.



**ისტორია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებ-  
ლოვისა მიქრთამეოვის შესახებ**

1. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც გაანადგურა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილება, მასთან ერთად დაანგრია მის საშსახურში მყოფი ძველი, ბიუროკრატიული აპარატი.

ძველი სახელმწიფოებრივი აპარატის დანგრევისთანავე შეიქმნა და თანდათან განმტკიცდა ახალი, საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატი. ოქტომბრის რევოლუციით შობილი სახელმწიფოებრივი აპარატი სრულად ახალი პრინციპების საფუძველზე შენდებოდა. მასებთან მკიდრო კავშირი, მშრომელთა ინტერესებისათვის პატიოსანი და უანგარო სამსახური, საბჭოთა სახელმწიფოს მტრებთან შეუპოვარი ბრძოლა, სოციალისტური კანონიერებას მტკიცედ დაცვა და სხვა — აი, რა მოეთხოვებოდა სოციალისტური სახელმწიფოს თანამდებობის პირებს. იპინი, როგორც ახალი, მშრომელთა საზოგადოების აქტიური მშენებლები, არ შეიძლებოდა ჩაკეტილ იყვნენ ისეთ ადამიანთა განცალკევებულ კასტად, რომლებიც მოკლებული არიან მოქალაქეობრიობის გრძნობას და თავის საქმიანობას უყურებენ არა როგორც საზოგადოებრივ სამსახურს, არამედ როგორც გამდიდრების წყაროს.

საბჭოთა ხელისუფლების განვითარების პირველ წლებში ამ პრინციპების სწრაფსა და სრულ განხორციელებას აფერხებდა საბჭოთა კადრების — ახალი სახელმწიფოებრივი აპარატის მუშაკთა სიმცირე. ეს აიძულებდა საბჭოთა სახელმწიფოს სამუშაოდ გამოეყენებინა ძველი მოხელეები, რომელთა

მნიშვნელოვანი ნაწილი ადვილად დგებოდა მექრთამეობის, მოსყიდვისა და სხვა თანამდებობრივ ბოროტმოქმედებათა გზაზე. მათი გამხრწნელი სუნთქვა შხამავდა მშრომელთა წრიდან გამოსულ იმ მუშაკებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავსდებულნი იყვნენ კერძონებაკუთრული ფსიქოლოგიისაგან, მერყეობდნენ და უნარი არ შესწევდათ წინ აღდგომოდნენ „...სპექულაციის, ქრთამის, პირადი გამორჩენის „ცდუნებას“, რაც მთელი... აპარატის გაფუჭების ფასად ჯდება...“<sup>1</sup>.

დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წარმომადგენლები, რომლებმაც მარცხი განიცადეს აშკარა შეიარაღებულ ბრძოლაში, ყოველნაირად ცდილობდნენ გაეხრწნათ საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და ამ მიზნით სშირად მიმართავდნენ ქრთამს. ისინი ლაშობდნენ თანამდებობის პირთა მოსყიდვით დაემორჩილებინათ მათი საქმიანობა თავიანთი გავლენისათვის, გადაეცდინათ ისინი მშრომელი ხალხის ინტერესების სამსახურის გზიდან, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ იყოლიებდნენ მათ საბოტაჟსა და მავნებლობაზე. აპრიგად, ქრთამი ხდებოდა განწირული ექსპლოატატორული კლასების მხრივ სოციალისტური მშენებლობისათვის წინააღმდეგობის გაწევის ერთ-ერთი ფორმა.

საჭირო იყო დამაშინებელი ზეგავლენის მოხდენა მტრულ ელემენტებზე, იმ თანამდებობის პირებზე, რომელნიც ძველ მოხელეობას ეკუთვნოდნენ, აგრეთვე იმ თანამდებობის პირებზე, რომლებიც თუმცა მშრომელთა წრიდან იყვნენ გამოსული, მაგრამ მერყევე და უღისციპლინო ელემენტებს წარმოადგენდნენ. მრისხანე და ზარდაძეცემი იყო საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ფ. ძერჟინსკის სიტყვები: „სადაც უნდა იჯდეს არაწადა, კაბინეტში იქნება, მწვანე სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან. თუ სადარაჯო ჯიბურში, ჩვენ ამოვთიშავთ მას და წარვადგენთ რევოლუციური ტრიბუნალის წინაშე, რომლის დამსჯელი ურო ისეთი განანადგურებელი ძლიერებითა და მრისხანებით დაეშვება ძირს, როგორი უნარიც კი

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 316.

მას შესწევს, რადგან ჩვენი აღორძინების უღმრთეს მტერს დანდობა არ ექნება. როდესაც მექრთამეს განაჩენი უნდა გამოეტანოს, არავითარ გარემოებას ანგარიში არ გაეწევა. მას უსასტიკესი სასჯელი მოელის“<sup>1</sup>.

შექმნილი ვითარება აპირობებდა მექრთამეობისათვის მკაცრი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. ამ გარემოებას საგანგებოდ გაუსვა ხაზი ვ. ი. ლენინმა: 1918 წლის 2 მაისს იუსტიციის სახალხო კომისარ დ. კურსისადმი მიწერილ ბარათში. „საპიროა, — სწერდა ვ. ი. ლენინი, — ახლავე, დემონსტრაციული სისწრაფით, შეიტანოთ კანონპროექტი, რომ სასჯელი ქრთამისათვის (მექრთამეობა, მოსყიდვა, შუამავლობა ქრთამის აღებაში და სხვ. და ა. შ.).

უნდა იყოს

ს უ ლ მ ც ი რ ე

ათი წლის საპყრობილე და, გარდა ამისა, ათი წლის იძულებითი მუშაობა“<sup>2</sup>.

1918 წლის 8 მაისს ვ. ი. ლენინის ხელმოწერით გამოიცა რსფსრ სახკომსაბჭოს სპეციალური დეკრეტი „მექრთამეობის შესახებ“<sup>3</sup>. დეკრეტი ფართოდ განსაზღვრავდა იმ პირთა წრეს, რომელთაც შეიძლებოდა პასუხი ეგოთ ქრთამის აღებისათვის. ასეთებად ჩათვლილი იყო მთავრობის დაწესებულებათა თანამდებობის პირები, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის წევრები, კოოპერაციისა და პროფკავშირის გამგეობის წევრები და ა. შ.

მექრთამეობად ცნობილი იყო თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება არა მარტო ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მის სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენდა, არამედ აგრეთვე ხელის შეწყობაც ისეთ მოქმედებაში, რომელიც

<sup>1</sup> Ф. Э. Дзержинский, Избранные статьи и речи (1908—1926), М., 1947, გვ. 143.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 352.

<sup>3</sup> იხ. «Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР 1917—1952 гг.», М., Госюриздат, 1953, გვ. 25.

სხვა უწყების თანამდებობის პირის მოვალეობას შეადგენდა. გარდა ამისა, ქრთამის აღებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ როგორ სამსახურებრივ მოქმედებას შეასრულებდა თანამდებობის პირი: კანონიერს თუ უკანონოს. ზუსტი პირის მიერ ქრთამის აღებისათვის სასჯელად დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა და, გარდა ამისა, იძულებითი სამუშაოები იმავე ვადით. მეორე მუხლით ქრთამის მიმცემის, წამქეზებლის, დამამარისა და საერთოდ ქრთამის მიცემაში შეხებული პირის პასუხისმგებლობა გაუთანაბრდა ქრთამის ამღების პასუხისმგებლობას. მეოთხე მუხლი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებად თვლიდა: ა) მოსამახურის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, ბ) მოსამსახურის მიერ თავისი მოვალეობის დარღვევას და გ) ქრთამის გამოძალვას. მეხუთე მუხლის თანახმად იმ პირს, რომელიც შეძლებულთა კლასს ეკუთვნოდა და ქრთამს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული პრივილეგიების შენარჩუნების ან მოპოვებისათვის იყენებდა, გარდა ქრთამის აღებისათვის დანიშნული სასჯელისა, შეეფარდებოდა ქონების სრული კონფისკაცია<sup>1</sup>. მექრთამეობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით დეკრეტმა ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის მცდელობა დასჯადობის მხრივ დამთავრებულ დანაშაულის დასჯადობას გაუთანაბრა. დასასრულ, დეკრეტს უკუქცევითი ძალა ეძლეოდა. უკუქცევითი ძალა არ ვრცელდებოდა მხოლოდ იმ ქრთამის მიმცემზე, რომელიც დეკრეტის გამოცემის შემდეგ სამი თვის განმავლობაში განუცხადებდა სასამართლო ორგანოებს ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ✓

<sup>1</sup> თუმცა 1918 წ. 8 მაისის დეკრეტი მექრთამეობისათვის სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა, მაგრამ რსფსრ 1919 წ. სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისების გამოცემის შემდეგ (მათში სხვა სასჯელებთან ერთად, სიკვდილით დასჯაც იყო მოხსენიებული) რევოლუციური ტრიბუნალები განსაკუთრებით ბოროტ მექრთამეებს ზოგჯერ სასჯელის უმაღლეს ზომასაც უფარდებდნენ (იხ. Н. П. Кучерявый, Ответственность за взяточничество по советскому уголовному праву, М., Госюриздат, 1957, გვ. 13).

ამ დეკრეტმა განსაზღვრა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთელი შემდგომი განვითარება მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში.

✓ მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართული კანონმდებლობის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს რსფსრ სახკომსაბჭოს 1921 წ. 16 აგვისტოს დეკრეტი „მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“, ხელმოწერილი აგრეთვე ვ. ი. ლენინის მიერ<sup>1</sup>. ამ დეკრეტში მოცემულია მექრთამეობის ცნების შემდგომი დაზუსტება და განვითარება კერძოდ, დეკრეტის პირველ მუხლში ფართოდ არის მოხაზული ქრთამის საგანი. გარდა ამისა, მითითებულია თანამდებობის პირის მოქმედებით ქრთამის მიმცემის დაინტერესებულობაზე. დასასრულ, თანამდებობის პირის ცდა, მიიღოს ქრთამი, დამთავრებულ დანაშაულად ითვლებოდა. მესამე მუხლით დანაშაულად მიჩნეული იყო შუამავლობა ქრთამის აღებაში და აგრეთვე მექრთამეთა დაფარვა. მეოთხე პუნქტის შესაბამისად ქრთამის მიმცემს სასჯელი არ შეეფარდებოდა, უკეთუ იგი დროულად განაცხადებდა ქრთამის გამომძალველის შესახებ, ანდა ხელს შეუწყობდა მექრთამეობის გამოვლინებას. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ პირი დროულად არ განაცხადებდა ქრთამის გამომძალველზე, მაშინ იგი პასუხს აგებდა სისხლის-სამართლებრივი წესით.

2. რსფსრ 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლმა შეინარჩუნა მექრთამეობის შესახებ მანამდე გამოსული დეკრეტების პრინციპული საფუძველი. დეკრეტებთან შედარებით 114-ე მუხლში სიახლეს წარმოადგენდა ის, რომ: ა) თანამდებობის პირი ისჯებოდა მაშინაც, როდესაც იგი ქრთამისათვის სამსახურებრივ უმოქმედობას გამოიჩინდა, ბ) მითითება ქრთამის აღების ცდაზე ამოღებული იქნა, რადგან ეს უკანასკნელი კოდექსის ზოგად ნაწილში მცდელობის შესახებ გათვალისწინებული დადგენილების მიხედვით

---

<sup>1</sup> იხ. «Сборник по истории уголовного законодательства СССР и РСФСР, 1917—1952 гг.», М., Госюриздат, 1953, гл. 101.

ისჯებოდა, (მუხ. 13), გ) ქრთამის აღების დამამძიმებელ გარესობათა შორის გამოძალვასთან ერთად მოხსენებული იყო შანტაჟიც.

114-ე მუხლი ქრთამის აღებისათვის ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე და ამასთან ნებადართული იყო ქონების კონფისკაციის შეფარდება. დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღება იწვევდა სასტიკი იზოლაციით თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ სამი წლისა და ქონების კონფისკაციას. ასეთ შემთხვევებში სასამართლო უფლება ჰქონდა გამოეტანა სიკვდილით დასჯის განაჩენი ქონების კონფისკაციით. შუამავლობა ქრთამის აღებაში, აგრეთვე მექრთამეობის დაფარვა ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ხოლო ქრთამის ნიციება — თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე.

რსფსრ 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსმა პირველად გაითვალისწინა პასუხისმგებლობა ქრთამის პროვოკაციისათვის, რასაც მოყვებოდა თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლაციით არა ნაკლებ სამი წლისა ან სასჯელის უმაღლესი ღონისძიება.

1922 წლისათვის განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა მექრთამეობა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ნეპ-ის პერიოდში ბურჟუაზიული ელემენტები ცდილობდნენ შეეცვალათ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მიმართულება, თავიანთ მხარეზე გადმოებირებინათ თანამდებობის პირები, შეერყიათ მეურნეობის სოციალიზტური სისტემისათვის დამახასიათებელი გეგმური საწყისი<sup>1</sup>.

ამ გარემოებების გამო სრულიად რუსეთის ცაქისა და სახკომსაბჭოს 1922 წ. 9 ოქტომბრის დეკრეტით ცვლილებები იქნა შეტანილი რსფსრ 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლის როგორც დისპოზიციასა, ისე სანქციაში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. Н. П. Кучерявын. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 19.

<sup>2</sup> იხ. «Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР», გვ. 147—148.

ამ დეკრეტის საფუძველზე ცალკე მუხლში (114ა) გათვალისწინებული იყო პასუხისმგებლობა ქრთამის მიცემისა და შუამავლობისათვის. 114-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა ქრთამის აღების მარტივ სახეობას. ასეთი დანაშაულისათვის დაწესდა თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ერთი წლისა ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. 114-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი იყო ქრთამის აღების დამამძიმებელი გარემოებები. ასეთებად დეკრეტმა ჩათვალა: ა) ქრთამის აძლები თანამდებობის პირის საპასუხისმგებლო მდგომარეობა, ბ) ქრთამის შედეგად სახელმწიფოსათვის მატერიალური ზიანის მიყენება ან ასეთის მიყენების შესაძლებლობა, გ) ქრთამის აძლების წინანდელი ნასამართლობა ქრთამისათვის ან ქრთამის არა ერთხელ აღება და დ) ქრთამის გამომძლევა.

114ა მუხლი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემის, მექრთამეობაში შუამავლობისა და მექრთამეობაში ხელის შეწყობისათვის ან მის წინააღმდეგ ზომების მიუღებლობისათვის, ე. ი. მიმნებებლობისათვის. აქედან ნათელია, კანონმდებელმა მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა თითოეული მოქალაქის სამართლებრივ მოვალეობად ჩათვალა. ჩამოთვლილი ქმედებანი ისევე ისჯებოდა, როგორც ქრთამის აღება. ✓

ახალ კანონს რომ უფრო მკაცრი რეპრესიული ძალა ჰქონოდა, რსფსრ ცაკის 1922 წლის 19 ოქტომბრის დეკრეტით მას უკუქცევითი ძალა მიეცა<sup>1</sup>.

მექრთამეობასთან ბრძოლის ახალ ეტაპს წარმოადგენდა მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსების და კერძოდ/საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებანი მექრთამეობის შესახებ.

აღრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით საქარ-

---

<sup>1</sup> იხ. «Сборник документов по истории уголовного законодательства СССР и РСФСР», გვ. 147—148.

თველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ქრთამის აღების მარტავ სახეობას ითვალისწინებდა, აღარ შეიცავდა ქრთამის ამღები სუბიექტის დახასიათებას. იმის გამოსარკვევად, თუ ვინ ჩაითვლებოდა თანამღებობის პირად, სასამართლოებს უნდა ეხელმძღვანელათ თანამღებობის პირის ცნების იმ განსაზღვრებით, რომელიც აღნიშნული კოდექსის 114-ე მუხლის შენიშვნაში იყო ჩამოყალიბებული.

რსფსრ 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, თანამღებობის პირი პასუხს აგებდა არა მარტო მაშინ, როდესაც იგი ქრთამისათვის თავის სამსახურებრივ მოვალეობათა ფარგლებში მოქმედებდა ან უმოქმედობდა, არამედ მაშინაც, როდესაც საერთოდ თავის სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებდა.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები დამამძიმებელი გარემოების გარეშე ქრთამის აღებისათვის სხვადასხვა სასჯელებს ითვალისწინებდნენ. ასე მაგალითად, რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველ ნაწილში და უკრაინის სსრ 1927 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის პირველ ნაწილში ამ დანაშაულისათვის დადგენილი იყო თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე, ბელორუსიის სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის პირველ ნაწილში — თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ექვსი თვისა, ხოლო საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსში — თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე და ა. შ.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებად თვლიდნენ: ა) ქრთამის ამღები თანამღებობის პირის პასუხსაგებ მდგომარეობას; ბ) ქრთამისათვის ნასამართლობას ან ქრთამის არა ერთხელ აღებას და გ) ქრთამის გამოძალვას. გარდა ამისა, საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებად ცნობდა აგრეთვე თვალსაჩინო



ზიანს, რაც სახელმწიფოს მოუვიდა ან შეიძლებოდა მოსვლოდა ქრთამის აღებით.

დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისათვის სასჯელის მინიმალური ფარგალი სხვადასხვა იყო სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. მაგალითად, საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის მეორე ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ სამი წლისა, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეორე ნაწილში სასჯელად დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ორ წლისა, ხოლო ბელარუსიის სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე მუხლის მეორე ნაწილით — თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი კონფისკაციით ან უამისოდ.

ვინაიდან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადას წარმოადგენდა ათი წელი, ამიტომ კვალიფიციური ქრთამის აღებისათვის შეიძლებოდა დანიშნულიყო თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდე<sup>1</sup>.

საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის. აქაც მოკავშირე რესპუბლიკების

---

<sup>1</sup> რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისათვის ითვალისწინებდა სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას. ოქტომბრის რევოლუციის მეთუე წლისათვან დაკავშირებით ხსრ-უფშირის ცაკის 1927 წ. 15 ოქტომბრის მანიფესტის საფუძველზე რსფსრ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წ. 31 ოქტომბრის დადგენილებით სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა — ამ დანიშნულისათვის გაუქმდა (იხ. «Сборник по истории уголовного законодательства СССР и РСФСР», 1953, გვ. 298—299).

სისხლის სამართლის კოდექსები ერთნაირ სასჯელებს არ ითვალისწინებდნენ. თუ, მაგალითად, უკრაინის სსრ 1927 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლით ქრთამის მიცემისა და შუამავლობისათვის დადგენილი იყო თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე, საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლი და რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი ამ დანაშაულთათვის ითვალისწინებდნენ თავისუფლების აღკვეთას ხუთ წლამდე და ა. შ.

არ შეიძლებოდა მიზანშეწონილად ჩათვლილიყო ის გარემოება, რომ რსფსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსები ქრთამის მიცემისათვის უფრო მკაცრ სასჯელს აწესებდნენ, ვიდრე დამამძიმებელ გარემოებების გარეშე ქრთამის აღებინათვის.

საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის შენიშვნაში ჩამოთვლილი იყო გარემოებები, რომელთა არსებობაც აპირობებდა ქრთამის მიმცემისა და შუამავლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას. ქრთამის მიმცემი ან შუამავალი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებოდნენ მაშინ: ა) უკეთეს მისგან ქრთამი გამოძალული იყო, ან ბ) უკეთეს იგი თავისი ნებით და დროზე განცხადებით ხელს შეუწყობდა მექრთამეობის გამოაშკარავებას. ერთ-ერთი ამ გარემოების არსებობა უკვე საკმარისი იყო ქრთამის მიმცემის ან შუამავლის განთავისუფლებისათვის. ერთგვარად სხვა პოზიცია ეკავა აღნიშნულ საკითხში უკრაინის სსრ 1927 წ. სისხლის სამართლის კოდექსს. ამ კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით ანეთ პირობებში ქრთამის მიმცემი ან შუამავალი შეიძლება და განთავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან. მაშასადამე, უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსი ამ პირების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტას სასამართლოს უფლებად ცნობდა.

მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექ-

სები ითვალისწინებდნენ ქრთამის პროვოკაციას როგორც დამოუკიდებელ დანაშაულს. ასეთი დანაშაულისათვის საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის ძალით დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ერთი წლისა.

1959—1961 წლებში მიღებულმა მოკავშირე რესპუბლიკების ახალმა სისხლის სამართლის კოდექსებმა გარკვეულ ცვლილებები შეიტანეს მექრთამეობის როგორც საკანონმდებლო კონსტრუქციაში, ისე ამ დანაშაულისათვის დაწესებულ სასჯელებში.

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის ნიშნები ერთი და იმავე მუხლში იყო აღწერილი (მაგალითად, რაფსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 174-ე მუხლი, საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლი, ლატვიის სსრ 1961 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 165-ე მუხლი). სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში ეს ორი ქმედობა სხვადასხვა მუხლში იყო ასახული (მაგალითად, უკრაინის სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 169-ე მუხლი (შუამავლობა) და 170-ე მუხლი (ქრთამის მიცემა), უზბეკეთის სსრ 1959 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე (ქრთამის მიცემა) და 154-ე მუხლი (შუამავლობა). ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობდა არც ქრთამის მიცემისა და არც მექრთამეობაში შუამავლობის კვალიფიციურ სახეობებს (მაგალითად, უზბეკეთის სსრ, ესტონეთის სსრ და ლატვიის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები).

განსაზღვრული თავისებურებებით ხასიათდებოდა საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის დადგენილებები მექრთამეობის შესახებ. ამ კოდექსის 189-ე მუხლში ქრთამის აღების ნიშნების განსაზღვრისას მითითებული არ იყო, რომ თანამდებობის პირი ქრთამს იღებს პირადად ან შუამავლის საშუალებით. ასევე არ იყო აღნიშნული, რომ

ქრთამი დაკავშირებული უნდა იყოს ქრთამის მიმცემის ინტერესებთან. როგორც ჩანს, ამით კანონმდებელს სურდა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ მექრთამეობად ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ქრთამის გადაცემა ხდება არა უშუალოდ მისი მიმცემის, არამედ ზოგჯერ სრულიად გარეშე, მესამე პირის ან დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს ყალბად გაგებული ინტერესისათვის. იმავე 189-ე მუხლში კანონმდებელი შეეცადა უფრო დაეზუსტებინა ქრთამის საგანი.

3. ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ადამიანთა შეგნებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე.

კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში ერთ-ერთ ზნეობრივ პრინციპად ჩამოყალიბებულია: „შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიონობისადმი, კარიერიზმისადმი, მომხვეჭელობისადმი“. მექრთამე პირი, რომელიც არ ასრულებს ამ მოთხოვნას და პირიქით, ცდილობს ანგარებით გამოიყენოს სამსახურებრივი მდგომარეობა. აშკარად ღალატობს თავის სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოვალეობას. წარსულის ამ სამარცხეინო გადმონაშთისაგან განთავისუფლების რთულსა და ხანგრძლივ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სისხლისსამართლებრივი სასჯელები.

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მექრთამეობისათვის გათვალისწინებული სასჯელები სრულად ვერ ასახავდნენ ამ უღარესად მძიმე ბოროტმოქმედების დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, ვერ ახლენდნენ შესაფერის ზოგად გამაფრთხილებელ ზეგავლენას. სასჯელის მუქარა არ იყო იმდენად ეფექტური, რომ განხორციელებულიყო ზოგადი პრევენციის ამოცანა ზნეობრივად და სამართლებრივად განუვითარებელი ადამიანების მიმართ.

გარდა ამისა, ზოგან არასწორად გაიგეს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებისა და სისხლისსამართლებრივი სასჯელების თანაფარდობის საკითხი. ამან შეაპირობა ის,

რომ საშიშ დამნაშავეებს ხშირად ლმობიერ სასჯელებს უნიშნავდნენ. უფრო მეტიც, მათ მიმართ არცთუ ისე იშვიათად საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებების შეფარდებას სჯერდებოდნენ. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია საბჭოთა საზოგადოებრიობის კანონიერი აღშფოთება და გულისწყრომა. „ასეთი არანორმალურობის თავიდან ასაცილებლად მიღებულ იქნა კანონები განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომელთაც ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა გაითვალისწინეს, აგრეთვე კანონები პარაზიტულ ელემენტებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ“<sup>1</sup>.

სახელდობრ, ამ მოსაზრებათა გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წ. 20 თებერვალს გამოსცა ბრძანებულება „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ბრძანებულების გამოცემის მიზნები და მიზნები, მოკლედ, ნათლად და ამომწურავად არის განმარტებული მის პრეამბულაში: „მექრთამეობა წარსულის ერთ-ერთი სამარცხინო და საზიზლარი გადმონაშთია. რომელიც კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაუტოვა ჩვენს საზოგადოებას. ეს მახინჯი მოვლენა უცხოა და ყოვლად შეუწყნარებელია საბჭოთა სახელმწიფოსათვის, რომელიც კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შევიდა. ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პირობებში ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ სავსებით აღმოიფხვრას მექრთამეობის ყოველი ფორმა“.

როგორც უკვე აღინიშნა, მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები მექრთამეობის სხვადასხვა კონსტრუქციასა და, რაც მთავარია, სასჯელის სხვადასხვა ზომებს ითვალისწინებდნენ. ეს, ნათელია, ხელს ვერ შეუწყობდა ამ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ერთიანი სადამსჯელო პოლიტიკის გატა-

---

<sup>1</sup> Н. Р. М про н о в, Борьба с антиобщественными явлениями — важнейшая задача (XXII съезд КПСС и вопросы идеологической работы, М., Госполитиздат, 1962, гл. 29).

რებას. ამიტომ აღნიშნული ბრძანებულებით პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის უნიფიცირებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში. სახელდობრ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში სრულად და ზუსტად აისახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 20 თებერვლის ბრძანებულება. ამ ბრძანებულებათა საფუძველზე პასუხისმგებლობა ქრთამის აღების, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის შესაბამისად გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე, 189<sup>1</sup> და 190-ე მუხლებში.

მექრთამეობის თაობაზე ახალი კანონების ერთგვაროვანი შეფარდების უზრუნველყოფისა და ამ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წლის განმავლობაში უკვე ორჯერ მიიღო სახელმძღვანელო დადგენილება, რომელთა შესახებაც მითითებული იქნება წინამდებარე ნაშრომის შესაფერის თავებში.

---

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

### მექრთამეობის ცნება

§ 4. ქრთამის მიცემა-აღება როგორც მართიანი,  
ორმხრივი დანაშაული

1. მექრთამეობა, როგორც დანაშაულებრივი ქმედობა, განსაზღვრული თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურება უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატება, რომ იგი ყოველთვის ორი აქტისაგან შედგება — ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღებისაგან (ზოგიერთ შემთხვევაში ამ ორ აქტს შეიძლება თან ახლდეს მესამე აქტიც — მექრთამეობაში შუამავლობა). თითოეული ამ აქტის შემსრულებელი არ შეიძლება იმადროულად მეორე (ან მესამე) აქტის შემსრულებელი იყოს, ყოველი მათგანი ცალკე ქმედობით ხორციელდება. გარდა ამისა, ეს ქმედობები მოხსენებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლში და მათ ჩადენას უკავშირდება სასჯელის სხვადასხვა ზომა.

ის გარემოება, რომ აღნიშნული ქმედობები სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლშია გათვალისწინებული, როდი ნიშნავს იმას, რომ ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუამავლობა და ქრთამის აღება ერთმანეთისაგან სავსებით დამოუკიდებელი დანაშაულობანია<sup>1</sup>. მექრთამეობის სამთავე

---

<sup>1</sup> მექრთამეობის იურიდიული ბუნების შესახებ სხვადასხვა შეხედულება გამოთქმული.

კრიმინალისტთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება ერთმანეთსაგან დამოუკიდებელი დანაშაულობანია, რო-

აქტი განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, რადგან, ჯერ ერთი, ისინი მიმართულია ერთი და იმავე ობიექტის — სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ნორმალური საქმიანობის წინააღმდეგ; მეორე, როგორც ქრთამის

მელთაც საერთო ნიშნებთან ერთად ახასიათებთ ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნებით. კერძოდ, ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება სხვადასხვა ობიექტის წინააღმდეგაა მიმართული (იხ. М. Д. Шаргородский, Уголовный закон, М., Юриздат, 1948, стр. 79; М. Красильников, Советское уголовное право, Учебник для юридических школ, М., Юриздат, 1940, стр. 168; Б. В. Здравомыслов, Должностные преступления, Учебное пособие для студентов ВЮЗИ, М., 1956, стр. 76; А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, В. М. Чхиквадзе, Курс советского уголовного права. Особенная часть, т. 2, М., Госюриздат, 1959, стр. 133; В. Ф. Кириченко, Виды должностных преступлений по советскому уголовному праву, М., Изд.-во АН СССР, 1959, стр. 61). ამ შეხედულებიდან ლოგიკური თანმიმდევრობით გამომდინარეობს, რომ ქრთამის მიცემა და ქრთამის მიღება ერთმანეთისაგან უნდა გაითიშოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემის თვალსაზრისითაც. ქრთამის აღება, როგორც სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული დანაშაულს, უნდა დარჩეს თანამდებობრივ დანაშაულთა თავში, ხოლო ქრთამის მიცემა განხილული უნდა იქნას მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად (იხ. მ. შარგოროდსკი, ე. კირიჩენკო). მაგრამ ასეთი შეხედულება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ არ გაიზიარა.

პირიქით, სხვა აქტორები მხოლოდ ქრთამის აღებას ცნობენ დამოუკიდებელ დანაშაულად, ხოლო ქრთამის მიცემა მიიჩნიათ თანამონაწილეობად ქრთამის აღებაში (იხ. Уголовное право. Особенная часть, М., Юриздат, 1943, გვ. 290; А. А. Жижиленко, Должностные (служебные) преступления, М., 1927, გვ. 28). თუ პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისათვის დამატებითი, ნაწარმოები ხასიათი აქვს, მაშინ გაუგებარი ხდება რატომ არის დაწესებული პასუხისმგებლობა ქრთამის მიცემისათვის ქრთამის აღებისაგან დამოუკიდებელ მუხლში და რატომ არ კვალიფიცირდება ასეთი ქმედობა თანამონაწილეობის მუხლის მეშვეობით.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის დადგენილებებს უფრო მეტად შეესაბამება და თან თეორიულადაც დასაბუთებულია იმ კრიმინალისტების შეხედულება, რომლებიც ქრთამის მიცემა-აღებას ერთიან და ორმხრივ დანაშაულად განიხილავენ (იხ. Н. Д. Дурманов, Уголовная ответственность за взяточничество по действующему советскому законодательству, «Проблемы социалистического права», 1937, сб. II, гв. 23; Н. П. Кучерявыч, დასახ. ნაშრომი, გვ. 41—42).



მიცემა, ისე ქრთამის აღება საბოლოოდ ერთი და იმავე შედეგის მიღწევას ემსახურება: მატერიალური ფასეულობის გადასვლას ქრთამის მიმცემისაგან ქრთამის ამღებთან ან რაიმე ქონებრივი გამორჩენის მინიჭებას მისთვის, რასაც განაპირობებს ამა თუ იმ სამსახურებრივი მოქმედების შესრულება ან შეუსრულებლობა.

კავშირი ქრთამის მიცემასა და ქრთამის აღებას შორის იმდენად მჭიდროა, რომ ერთის მთლიანი განხორციელება მარტო იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მეორეც განხორციელდა, შეუძლებელია ქრთამის აღება, თუ იგი ვინმემ არ მისცა, შეუძლებელია ქრთამის მიცემა, თუ იგი ვინმემ არ აღწო. ქრთამის ამღები და ქრთამის მიმცემიც ერთი და იმავე დანაშაულის თანაამსრულებელია. არც ერთ მათგანს არ შეუძლია ბოლომდე განახორციელოს ამ დანაშაულის შემადგენლობა მეორის მონაწილეობის გარეშე.

ამ თავისებურებების წყალობით მექრთამეობა, მთლიანად აღებული, ქმნის ერთიან, რთულ, ორმხრივ დანაშაულს — ქრთამის მიცემა-აღებას.

ამ დანაშაულის ასეთი გაგება გამომდინარეობს მექრთამეობის თაობაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის დადგენილებებიდან.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მუხლები ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის შესახებ მოთავსებულია იმ მუხლის გვერდით, რომელიც ქრთამის აღებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ ქრთამის მიმცემა და მექრთამეობაში შუამავალი შეიძლება იყოს ყველა, 16 წლის ასაკს მიღწეული შერაცხადი, უმეტესწილად კერძო პირი, ეს ქმედობები მაინც შეტანილია თავში თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ. ასეთი გადახრა დანაშაულთა კლასიფიკაციისაგან სისხლის სამართლის კოდექსში შეპირობებულია იმით, რომ ქრთამის აღება, მექრთამეობაში შუამავლობა და ქრთამის მიცემა ერთმანეთისაგან განუყრელი ქმედობებია. ორგანული კავშირი სისხ-

ლის სამართლის კოდექსის 189-ე (ქრთამის აღება), 189<sup>1</sup> (მექრთამეობაში შუამავლობა) და 190-ე (ქრთამის მიცემა) მუხლებს შორის იმითაც დაატურდება, რომ მექრთამეობის ცნების დამახასიათებელი ნიშნები აღწერილია მხოლოდ 189-ე მუხლში. ეს ნიშნები თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვისაც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილში ქრთამის აღების ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად ჩათვლილია ქრთამის აღება იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელიც „აღრე ნამყოფია სამართალში მექრთამეობისათვის“. ამრიგად, აქ კანონმდებელი მიუთითებს მექრთამეობაზე, როგორც ერთიან დანაშაულზე, რომელიც მოიცავს ქრთამის მიცემას, მექრთამეობაში შუამავლობას და ქრთამის აღებას. ყურადსაღებია ისიც, რომ კანონმდებელი 189<sup>1</sup> მუხლში ლაპარაკობს მექრთამეობაში შუამავლობის შესახებ და არა შუამავლობაზე ქრთამის მიცემისას ან ქრთამის აღებისას.

ის გარემოება, რომ მექრთამეობაში შუამავლობა სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლშია გათვალისწინებული, როდი ცვლის მის იურიდიულ ბუნებას: იგი არსებითად გულისხმობს დახმარებას მექრთამეობაში, როგორც ერთიან დანაშაულში.

ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ მექრთამეობა ერთიანი და ამასთან ორმხრივი დანაშაულია.

მექრთამეობის ბუნების ასეთი გაგებიდან მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნები გამომდინარეობს.

პირველ ყოვლისა, უკეთუ იმის მოქმედება, ვინც თანამდებობის პირს გასამრჯელოს აძლევს, კანონში გათვალისწინებული ქრთამის მიცემის ნიშნებს არ შეიცავს, ეს თანამდებობის პირი, თუნდაც მას გასამრჯელო უკანონოდ მიეღოს, არ შეიძლება პასუხს აგებდეს ქრთამის აღებისათვის.

რადგან უმადლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც მან არ ცნო ქრთამის მიცე-

მის ნიშნები ზ-სა და კ-ს მოქმედებებში. ს. და კ. შეცდომაში შეიყვანა გ-მ, რომელმაც დაარწმუნა ისინი, რომ მას შესრულებული სამსახურებრივი მოქმედებისათვის გასამრჯელო ეკუთვნოდა. ამავე დროს, რაკი საქმეში ქრთამის მიმცემი არ იყო, სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიამ არასწორად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ის ნაწილი, რომლითაც გ-ს მოქმედება დაკვალიფიკირდა როგორც ქრთამის აღება. კოლეგიამ სრულიად მართებულად ჩათვალა გ-ს მოქმედება ხელისუფლების ბოროტად გამოყენებად<sup>1</sup>.

შემდეგ, თუკი დადგინდა, რომ თანამდებობის პირმა ქრთამი აიღო, აუცილებელია ერთდროულად პასუხისგებაში მიეცეს ქრთამის მიმცემიც. მაგრამ სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის როდი ასრულებს ამ მოთხოვნას. ხდება ხოლმე, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ მარტო ქრთამის ამღებსა და შუამავალს მექრთამეობაში, ხოლო ქრთამის მიმცემი სასამართლო პროცესში მოწმედ გამოდის.

ამ მხრივ ყურადსაღებია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1950 წლის 26 აპრილის განჩინება კ-ს და მ-ს საქმის გამო. „წინასწარი გამოძიების მასალებით, — ნათქვამია განჩინებაში, — და, უმთავრესად, მისი საკუთარი ჩვენებით ს. მხილებულია ქრთამის მიცემაში, ე. ი. დანაშაულის ჩადენაში, რომელსაც რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლი ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ს-ს ამის ბრალდება არ წაყენებია და იგი რატომღაც გამოძიებაში მხოლოდ მოწმედ იყო. მაგრამ სასამართლომ ამ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას გვერდი აუქცია.

ამრიგად, საქმეს თავიდანვე მცდარი პერსპექტივა მიეცა; ქრთამის ამღები და ქრთამის აღებაში შუამავალი მიცემული

---

<sup>1</sup> «Сборник определенных Уголовно-кассационной коллегии Верховного суда РСФСР за 1924 год», 1925, გვ. 55.

არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებაში, ქრთამის მიმცემი კი განთავისუფლებულია პასუხისმგებლობისაგან<sup>1</sup>.

ასეთი შეცდომები ზოგჯერ საქართველოს სსრ სასამართლოების პრაქტიკაშიც შეიმჩნევა.

ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წ. 17 მარტის განაჩენით გ. ცნობილი იქნა დამხმარედ საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით.

მილიციის უბნის რწმუნებულის მოვალეობის შესრულებისას გ-მ 1960 წ. 6 ნოემბერს გამოავლინა, რომ მოქალაქე მ. უნებართვოდ აშენებდა სახლს. გ-მ მას ჯერ დაუშალა მშენებლობა, ხოლო ქრთამის სახით 1000 მანეთის (ძველი ფულით) მიღების შემდეგ ნება დართო გაეგრძელებინა იგი. გ-მ ქრთამი აიღო აგრეთვე მოქ. ა-საგან, რომელმაც უკანონოდ ააშენა საკუქნაო. ასეთივე გასანერჯელო აიღო მან კ-საგან.

ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურატურამ პასუხისმგებაში მისცა მხოლოდ ქრთამის ამღები გ., რაც იმავე რაიონის სახალხო სასამართლომ სწორად ჩათვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1961 წ. 31 მარტის განჩინებით გ-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში. ამასთან კოლეგიამ კერძო დადგენილებით მართებულად დააყენა საკითხი ქრთამის მიმცემთა მ-ს, ა-სა და კ-ს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.

ასეთ ქრთამის მიმცემთა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის აუცილებლობის შესახებ მითითებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წ. 24 ივნისის დადგენილებაში. „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. „ზოგ შემთხვევაში, — ნათქვამი იყო იქ, — ქრთამის მიმცემს საერთოდ დაუსაბუთებლად ათავისუფლებენ პასუხისმგებლობისაგან იმ ნიშნების უქონ-

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 3, 33-18.

ლობისას, რაც მითითებულია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის შენიშვნაა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებში“<sup>1</sup>. ასეთსავე მითითებას შეიცავს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილება „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. აღნიშნულ დადგენილებაში დაგმობილია იმ სასამართლოების პრაქტიკა, რომლებიც გაუმართლებელ ღმობიერებას იჩენენ ქრთამის მიმცემთა მიმართ, რაც გამოიხატება მათ „კანონიერი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებაში ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ისინი ფულით ღამობდნენ მიელწიათ ქრთამის ამლებთაგან მათთვის ხელსაყრელი უკანონო გადაწყვეტილებისათვის“<sup>2</sup>. ასევე დაუშვებელია პასუხისგებაში მხოლოდ ქრთამის ამლები მივცეთ, ხოლო მექრთამეობაში შუამავალი დაუსჯელად დაგტოვოთ.

მეორე მხრივ, უკეთუ დადგენილია ქრთამის მიცემის ფაქტი, ამ ქმედობის ჩამდნთან ერთად, პასუხისგებაში უნდა მიეცეს ქრთამის ამლებიც. ასე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წყლის ტრანსპორტის კოლეგიამ 1949 წლის 26 მარტის განჩინებით ქრთამის მიცემის ნაშნები ცნო პ-ს მოქმედებაში, რომელმაც მისცა რკინიგზის მუშაკებს გასამრჯელო კარტოფილიანი ვაგონის სწრაფად გაგზავნისათვის. კოლეგიამ გადააგზავნა საქმე ხელახლა განხილვისათვის სასამართლოში და განსაზღვრა, რომ, თუ დადატურდებოდა პ-ის მიერ ქრთამის მიცემა, მასთან ერთად სისხლის სა-

---

<sup>1</sup> «Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР. 1924—1951 гг.» 1952, გვ. 97, (ეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებით ძალადაკარგულად არის ცნობილი).

<sup>2</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 7.

მართლის პასუხისგებაში უნდა მიეცათ ტრანსპორტის მუშა-  
კნიც, რომელთაც ქრთამი აიღეს<sup>1</sup>.

რამდენადაც მექრთამეობა ერთიანი, ორმხრივი დანაშაუ-  
ლია, საქმე ქრთამის აღებისა და მიცემის შესახებ (და აგრე-  
თვე მექრთამეობაში შუამავლობის შესახებ) უნდა იხილებო-  
დეს სასამართლოში ერთ პროცესად. ამ ქმედობათა განცალ-  
კეებით განხილვა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის არსებით დარღვევას  
წარმოადგენს. ეს დებულება საფუძვლად დაედო სსრ კავში-  
რის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიის 1949  
წლის 1 მარტის განჩინებას კ-ს საქმეზე.

კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ სადგურის უფ-  
როსად მყოფმა, უკანონოდ მიუჩინა მოქალაქე ხ-ს ვაგონი  
ფრინველ-წვრილფეხობის გადასაზიდად, რისთვისაც ქრთამად  
3000 მან. (ძველი ფულით) მიიღო. სასამართლოში საქმის  
განხილვისას ნ. გამოდიოდა როგორც მოწმე და არა როგორც  
ქრთამის მიცემაში ბრალდებული. გამოძიების ორგანოებმა  
საქმე ნ-ს შესახებ ცალკე წარმოებად გამოყვეს და ამას  
იმიტომ ასაბუთებდნენ, ვითომ იგი პასუხისგებაში რაღაც სხვა  
საქმის გამო იყო მიცემული.

სარკინიგზო კოლეგიამ საამისო მოსაზრებინი უსაფუძვ-  
ლოდ მიიჩნია და მიუთითა: „ნ-ს ბრალდება; რომ მან კ-ს  
ქრთამი მისცა, არ შეიძლება სხვა საქმეს ეხებოდეს და ამი-  
ტომ მისი ბრალდების საქმე ამ ნაწილში განხილულ უნდა  
იქნეს ქრთამის ამღების საქმესთან ერთად“<sup>2</sup>.

2. ქრთამის მიცემა-აღების დანაშაულის რთულ და ორ-  
მხრივი ხასიათი როდი უარყოფს სისხლის სამართლის კო-  
დექსში ქრთამის მიცემის, მექრთამეობაში შუამავლობისა და  
ქრთამის აღებისათვის მიძღვნილი სამი მუხლის აუცილებ-  
ლობას. მაშინ როდესაც ქრთამის აღება მხოლოდ თანამღებო-

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 6,  
გვ. 37.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 39.

ბის პირა შეუძლია, ქრთამის მიმცემად და შუამავლად მეტ-წილად არათანამდებობის პირი გამოღის. თითოეული ამ ქმედობისათვის მიძღვნილი ცალკე მუხლის არსებობა შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა სასჯელების დანიშვნისათვის. ამ ქმედობებს შორის ყველაზე დიდი საშიშროებთ ქრთამის აღება ხასიათდება. ეს გასაგებიცაა, რადგან იგი დაკავშირებულია სამახურებრივი მდგომარეობის გამოყენებასთან. ამის გამო ქრთამის მიცემასა და მექრთამეობაში შუამავლობასთან შედარებით ქრთამის აღებისათვის უფრო მკაცრი სასჯელებია დაწესებული. გარდა ამისა, ქრთამის ამღები და შუამავალი შეუძლებელია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაგან განთავისუფლდეს, ხოლო ქრთამის მიმცემი კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში პასუხს არ აგებს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლი).

ყოველივე ამის გამო სასამართლოს მოეთხოვება თვითეულ ცალკე შემთხვევაში ზედმაწიენით დაადგინოს მექრთამეობის მონაწილეთა როლი, მათი მოქმედების ხასიათი და ამის საფუძველზე სწორად გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერისი მუხლები. „სასამართლოები, — აღნიშნულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში, — მოვალენი არიან უზრუნველყონ მექრთამეობის შესახებ საქმეთა გულდასმით განხილვა, გამოავლინონ ამ დანაშაულში ბრალეული ყველა პირი, დაადგინონ თითოეული მსჯავრდებულის ნამდვილი როლი და ბრალის ხარისხი, კანონით გათვალისწინებული კვალიფიციური ნიშნები, აგრეთვე დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები ისე, რომ არც ერთი ქრთამის მიმცემი, შუამავალი და ქრთამის ამღები არ დაუძვრეს პასუხისმგებლობას და ამასთან არ იქნას დაშვებული უსაფუძვლო ან უსამართლო მსჯავრდება“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 9.

1. დანაშაული მუდამ „რამეზეა“ მიმართული. ის, რაზე-  
დაც მიმართულია დანაშაულებრივი მოქმედება, რასაც ემუქ-  
რება იგი ანდა ნამდვილ ზიანს აყენებს, დანაშაულის ობიექ-  
ტად იწოდება. საბჭოთა სახელმწიფოში ყოველი დანაშაული  
მიმართულია სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებ-  
ზე, რომლებსაც სისხლის სამართლის კანონი იცავს განსაზღვ-  
რული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დანაშაულად  
გამოცხადებისა და დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ სას-  
ჯელას დაწესების გზით.

მექრთამეობა თანამდებობრივი დანაშაულია. მექრთამეო-  
ბის, ისე როგორც ყველა თანამდებობრივი დანაშაულის საერ-  
თო ობიექტს წარმოადგენს საბჭოთა დაწესებულებების,  
საწარმოებისა და ორგანიზაციების ნორმალური მუშაობა,  
რომელიც შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში კომუნაზმის გაშლი-  
ლი მშენებლობის ინტერესებს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ნორმალური  
საქმიანობის აუცილებელ წინაპირობას თანამდებობის პირთა  
მოუსყიდველობა წარმოადგენს. თანამდებობის პირის ყოველ-  
გვარი ცდა, მიიღოს გასამრჯელო გარეშე, კერძო წყაროდან,  
აყენებს მას უკანონობისა და თვითნებობის გზაზე. რა სამ-  
სახურეპრივ მოქმედებასაც არ უნდა უკავშირდებოდეს გა-  
სამრჯელოს მიცემა კერძო წესით, რა ფორმითაც არ უნდა  
ეძლეოდეს მას, თანამდებობის პირი, რომელმაც ანეთი გა-  
სამრჯელო მიიღო, აღარა დგას სახელმწიფო და საზოგა-  
დოებრივი ინტერესების სადარაჯოზე. მისი ყურადღება და  
საქმიანობა მიმართულია საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭო-  
თა ხალხისათვის უცხო მიზნების განხორციელებისაკენ. იგი  
ანგარებით ნაკარნახევსა და სხვა პირად ინტერესებს ემსახუ-  
რება.

ქრთამის ამღები თანამდებობის პირი საფრთხეს უქმნის სა-  
ხელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტსა და  
პრესტიჟს, ძირს უთხრის მშრომელთა ნდობას მის მიმართ.



ასეთ შეფასებას იმსახურებს ამ დანაშაულის თითოეული შემთხვევა დამოუკიდებლად იჩინა, ქრთამი სამსახურებრივი მოქმედების ჩადენაზე იქნა მიცემული („ქრთამი-მოსყიდვა“), თუ მისი განხორციელების შემდეგ („ქრთამი-გასამრჯელო“), კანონიერი სამსახურებრივი მოქმედების შესრულებასთან იყო დაკავშირებული, თუ არაკანონიერ მოქმედებასთან.

აღნიშნულის გამო მექრთამეობის უშუალო ობიექტს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტი<sup>1</sup>.

საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ნორმალურ მუშაობას აფერხებს არა მარტო ქრთამის ამღები თანამდებობის პირი, არამედ ისიც, ვინც ქრთამს იძლევა ან მექრთამეობაში შუამავლობს. მათი მოქმედება ასევე ქმნის საშიშროებას საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტისათვის.

ქრთამის მიმცემი ამ დანაშაულის თანამსრულებელია. ამიტომ მისი მოქმედება ხელყოფს იმავე ობიექტს, რაზეც მიმართულია ქრთამის ამღების მოქმედება. ხელყოფის ობიექტის ასეთი ერთიანობა წარმოადგენს იმ ერთ-ერთ არსებით მომენტს, რომლის გამოც ქრთამის აღება, ქრთამის შეცემა და მექრთამეობაში შუამავლობა თანამდებობრივ დანაშაულთა ჯგუფს მიეკუთვნება და მექრთამეობის ერთი საერთო ცნებით არის მოცული.

2. მექრთამეობის ობიექტისაგან უნდა განვასხვაოთ ქრთამის საგანი. ქრთამის საგნად უნდა ჩაითვალოს ყველაფერი ის, რასაც თანამდებობის პირი ღებულობს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ რაიმე სამსახურებრივი მოქმედების შესრულებისა ან შეუსრულებლობისათვის.

ქრთამის საგნის შესახებ საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლში ნათქვამია: „თანამდებობის პირის მიერ... ქრთამის აღება, რა სახითაც უნდა

<sup>1</sup> იხ. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, В. М. Чхиквадзе, Курс советского уголовного права. Особенная часть, т. 2, М., Госюриздат, 1959, гл. 135.

იყოს...“ ამრიგად, კანონში უშუალოდ არ არის განმარტებული, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ქრთამის საგანს<sup>1</sup>. ამასთან დაკავშირებით თეორიული და უპირატესად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს გამოვარკვევით: მექრთამეობა აუცილებლად ფასეულობათა გადაცემას ან ქონებრივი სარგებლის მიღებას გულისხმობს, თუ ქრთამის საგანი შეიძლება არამატერიალური ხასიათის სამსახურის გაწვევაც იყოს? მაგალითად, ქრთამია თუ არა განსაზღვრულ სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით თანამდებობის პირისათვის ხელსაყრელი დასკვნისა თუ რეკომენდაციის მიცემა, მასთან სქესობრივი კავშირის დაქვერ და ა. შ.? ამ საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ერთხანს ზოგიერთი სასამართლო კანონის გამოთქმას „ქრთამის აღება, რა სახითაც უნდა იყოს“ მეტად ფართოდ განმარტავდა.

ასე იქცეოდა კერძოდ უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლო, რომელიც ქრთამად ცნობდა სქესობრივი კავშირის დაქვერასაც. სხვაგვარი პოზიცია ეკავათ რსფსრ სასამართლებს. ისინი ასეთ მოქმედებას განიხილავდნენ პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, რომელიც გამოიხატება ქალის იძულებაში, რომ მან სქესობრივი კავშირი დაიჭიროს ისეთ პირთან, ვიზედაც იგი დამოკიდებულია მატერიალურად ან სამსახურის გამო (რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი). ჯერ კიდევ 1924

---

<sup>1</sup> საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის (ძველი რედაქცია) მიხედვით ქრთამი შეიძლება გამოხატულიყო რაიმე სახით ქონების ან ქონებრივი სარგებლობის მიღებაში. ამრიგად, აღნიშნულ მუხლში ქრთამის საგანი ერთგვარად უფრო დაზუსტებული იყო მოტანილ ფორმულაში ასახული იყო როგორც ქრთამის მატერიალური ხასიათი, აგრეთვე ის მომენტი, რომ ქრთამის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს არა მხოლოდ ფული ან სხვა ფასეულობა. არამედ, ამასთან ერთად, ყოველგვარი ქონებრივი გამორჩენაც.

წელს რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ არ ცნო მექრთამეობის ნიშნები იმაში, რომ ქალი დანებდა თანამდებობის პირს იმ სამსახურებრივი მოქმედებისათვის, რომლითაც იგი დაინტერესებული იყო. ჩ-ს საქმე, რომელიც წარმოებაში იყო, ჯერ კიდევ არ განეხილა სასამართლოს. ეს საქმე რომ მის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო, ჩ. გაცნო სახალხო მოსამართლეს ი-ს და არაერთხელ იქონია მასთან სქესობრივი კავშირი. ენისეის საგუბერნიო სასამართლომ ჩ-ს ასეთი ქცევა ქრთამის მიცემად ჩათვალა და მას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიამ გააუქმა ხსენებული განაჩენი და განმარტა, რომ თუ ქალი საქმის მოგების მიზნით ნებდება თანამდებობის პირს, რომლის გამგებლობაშიც ეს საქმეა, მაშინ მის მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა<sup>1</sup>.

მართლაც, „ქრთამის აღება-მიცემისადმი სქესობრივი თანაცხოვრების ფაქტის მიკუთვნების შეუძლებლობა განსაკუთრებით ნათელი გახდება, თუ დავაყენებთ საკითხს ქალის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ; თუ ასეთ სქესობრივ კავშირს თანამდებობის პირს ქრთამის აღებად ჩაუთვლით, აუცილებლად იმ დასკვნამდე მივალთ. რომ პასუხისგებაში უნდა მიეცეს ის ქალი, რომელმაც სქესობრივი კავშირი დაიჭირა; ამ დებულების უაზრობა მტკიცებას არ საჭიროებს“<sup>2</sup>.

უკვე დიდი ხანია როგორც სისხლის სამართლის თეორიასა, ისე სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ქრთამის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონება ან ქონებრივი გამორჩენა. ასეთი შეხედულება უსათუოდ გამართლებულია.

მექრთამეობა ანგარებითი ხასიათის მოქმედებაა და, მაშასადამე, თანამდებობის პირის გამდიდრების მომენტი ამ დანაშაულის არსს წარმოადგენს. სახელმწიფო და საზოგადოებ-

<sup>1</sup> იხ. «Сборник определенных Уголовно-кассационной коллегии Верховного Суда РСФСР, 1924 г.», 1925, გვ. 55.

<sup>2</sup> Н. Д. Дурманов, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

რევი აპარატის ავტორიტეტს დიდ საშიშროებას უქადის თანამდებობის პირის მიერ კერძო პირთაგან რაიმე მატერიალური გამოჩენის მიღება. ქრთამის საგნად არამატერიალური მოსახსახურებობის ცნობა მიჩქმალავდა მექრთამეობის ისეთ სპეციფიკურ ნიშანს, როგორცაა მატერიალური გამოჩენის მიღება. უფრო მეტიც, გაქრებოდა მიჯნა მექრთამეობასა და მასთან შედარებით ნაკლებად საშიშ კმეღობებს შორის. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ქრთამის მიცემად უნდა გვეცნო ისეთი მოქმედება, რომელიც მოკლებული იქნებოდესაზოგადოებრივი საშიშროების გარკვეულ ხარისხს.

ამრიგად, ასეთ შემთხვევებში გამორიცხულია პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თანამდებობის პირი პასუხს არ აგებს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლის ძალით. მაგალითად, თანამდებობის პირი მოითხოვს სქესობრივი კავშირის დაჭერას, ხოლო თუ მისი სურვილი არ შესრულდება, მაშინ იმუქრება, რომ არ დააკმაყოფილებს ქალის კანონიერ მოთხოვნას, ანდა, პირიქით, განახორციელებს ისეთ სამსახურებრივ მოქმედებას. რომელიც შებღალავს ამ უკანასკნელის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს. ასეთმა თანამდებობის პირმა პასუხი უნდა აგოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ქალის იძულებას სქესობრივი კავშირის დასაჭერად იმ პირის მიერ, ვისზედაც ქალი მატერიალურად ან სამსახურით ან სხვაგვარად დამოკიდებულია. შეიძლება სხვა მაგალითიც მოვიტანოთ: მჯავრდებულის ან მის ახლობელთა მიერ გაწეული არამატერიალური ხასიათის სამსახურისათვის მოსამართლეს გამოაქვს უკანონო განაჩენი. ასეთ შემთხვევაში მოსამართლე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის მე-2 ნაწილით (წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის გამოტანა, თუ იგი ჩადენილია ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით).

ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო პიროვნების საშიშროებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალის-

წინების საფუძველზე მიზანშეუწონლად ჩათვლის სისხლის-სამართლებრივი სასჯელის შეფარდებას, მას შეუძლია გამოიყენოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემით) ან 53-ე მუხლი (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დამნაშავეის თავდებქვეშ გადაცემით), რომლებიც ითვალისწინებენ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს. გარდა ამისა, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „სასამართლოს უფლება აქვს კერძო განჩინებით ცალკეულ მოქალაქეთა ყურადღება მიაქციოს რათ არააწორ ქცევაზე წარმოებაში, ყოფაცხოვრებაში ან მათ მიერ საზოგადოებრივი მოვალეობის სხვა დარღვევაზე. საქრო შემთხვევაში კერძო განჩინების ასლი შეიძლება გაეგზავნოს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან ამხანაგურ სასამართლოს“.

აღნიშნულ შემთხვევებში შესაძლებელია დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებაც. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ გ-ს საქმე.

მილიციელმა გ-მ სათანადო ორგანოების ნებადაურთველად შეუმოწმა პასპორტი პროსტრეტუციაში ექვმიტანილ პირს მ-ს. გ-მ პასპორტის ჩამორთმევისა და მილიციის განყოფილებაში წაყვანის ნაცვლად ნებაყოფლობით დაიჭირა სქესობრივი კავშირი მ-სთან.

გ-ს მიმართ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული ღონისძიება. კერძოდ, იგი მილიციის სამმართველომ მოხსნა დაკავებული თანამდებობიდან. ამის გამო ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურატურას წინასწარი გამოძიების პროცესში არც დაუყენებია საკითხი მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში გ-ს მიცემის შესახებ.

ამრიგად, ქრთამის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფასეულობა ან რაიმე ქონებრივი გამორჩენა.

ქრთამის საგანს მომეტებულად ფულად იღებენ. მაგრამ

ქრთამის მიცემა სხვა მატერიალურ ფასეულობათა სახითაც ხდება.

სასამართლოს პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ქრთამის საგანი ძვირფასეულია. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 12 თებერვლის დადგენილებაში ლ-ს საქმეზე ქრთამის საგნად გულის ქინძისთავი — კამეა გვევლინება. იმავე დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქრთამი მიცემული იყო ძვირფასი საოჯახო ნივთების — ხალიჩისა და აბრეშუმის უზბეკური საბნის სახით<sup>1</sup>.

ზოგჯერ ქრთამად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს აძლევენ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისილის სამართლის საქმეთა სამოსამართლო კოლეგიის 1952 წლის 26 აპრილის განჩინებაში აღნიშნულია, რომ უფროაი საგადასახადო ინსპექტორი პ. გლეხებისაგან ქრთამად სურსათსანოვავეს იღებდა<sup>2</sup>. იმავე კოლეგიის სხვა განჩინებაში ნათქვამია, რომ თანამდებობის პირს ქრთამად ქილა თაფლი მიართვეს<sup>3</sup>.

ქრთამის საგნად შეიძლება იყოს არა მარტო მატერიალური ნივთი, არამედ აგრეთვე რაიმე მომსახურეობა და ქონებრივი ხასიათის გამორჩენა, მაგალითად: ბინის ან სატრანსპორტო საშუალებათა მიცემა-სარგებლობა, სამსახურში მოწყობა, სადგომის შეკეთება, პალტოსა თუ კოსტუმის შეკერვა, დასასვენებელი სახლისა თუ სანატორიუმის საგზურის გადაცემა, უარის თქმა სავალო ვალდებულებაზე თანამდებობის პირის სასარგებლოდ (მაგალითად, ვალის ხელწერილის მოსპობა).

ქრთამის საგნად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი სამსახურებრივი მოქმედებაც, რომელიც ქონებრივ გამორჩენას ანი-

---

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5, 33. 1—4.

<sup>2</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1952, № 7, 33. 9.

<sup>3</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1948, № 5, 33. 34.

ქებს ქრთამის მიმცემს. ტ-მ, რომელიც ქ. კალინინგრადის ლენინგრადის რაიადქსკომის კომუნალურ-საბინაო განყოფილების გამგედ მუშაობდა, ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა. კერძოდ, 1961 წლის იანვარში საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას ახალ საცხოვრებელ სახლში იმ პირთა სიაში, რომელთათვისაც ორდერი უნდა მიეცათ, შეიტანა კალინინგრადის პედინსტიტუტის მდივანი ზ. ამის გამო ზ-მ მიიღო ახალი ბინა, თუმცა მას ამის უფლება არ ჰქონდა. ამ ქრთამიანათვის თავის მხრივ ზ-მ მისცა ტ-ს ჩათვლის წიგნაკი, რომელშიც გაფორმებული იყო ამ უკანასკნელის მიერ ინსტიტუტის პირველი კურსის საგნებში გამოცდების ჩაბარება და ჩათვლები. სინამდვილეში ტ-ს ეს საგნები არ ჩაუბარებია. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1962 წ. 15 მარტის განჩინებით სწორად ჩათვალა კვალიფიკაცია ტ-ს მოქმედებისა როგორც ქრთამის მიცემა, ხოლო ზ-ს მოქმედება, როგორც ქრთამის აღება და აგრეთვე ერთობლიობით სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება<sup>1</sup>.

განსაკუთრებით საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც ქრთამი გამოიხატება თანამდებობის პირის „გამასპინძლებით“, რათა მას შეექმნეს გუნება შეასრულოს მოქმედება. რომლითაც დაინტერესებულია „გულუხვი მასპინძელი“. უმაღლესი სასამართლო ორგანოების საზედამხედველო პრაქტიკამ უკვე დიდი ხანია გაამახვილა ყურადღება იმაზე, თუ რაოდენ აუცილებელია ბრძოლა მექრთამეობის ამ, პირველი შეხედვით, თითქოსდა „უწყინარ“ ფორმასთან. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ჯერ კიდევ 1929 წელს მიუთითა, რომ „თანამდებობის პირის მიერ მალარიჩის, ე. ი. ყოველგვარი სახის გამასპინძლების მიღების“ ყველა შემთხვევა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც ქრთამის აღება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1962, № 7, გვ. 7—8.

<sup>2</sup> იხ. «Сборник разъяснений Верховного Суда РСФСР 1929 г.», 1931, გვ. 430.

ზშირად ფულად მიცემულ ქრთამს თან სდევს „პურ-მარილი“. კარელია-ფინეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენში აღნიშნულია, რომ „კ-მ, რომელიც კარელია-ფინეთის სსრ სუოიარიის რაიონის ერთ-ერთი თანამდებობის პირი იყო, მ-ს შუამავლობით აღუთქვა ს-ს, რომ ხელს შეუწყობდა მისი უკანონო ზრახვების განხორციელებას, რისთვისაც მიიღო უკანასკნელისაგან ქრთამად 700 მანეთი და პურმარილი“<sup>1</sup>. ამგვარივე შემთხვევა აღწერილია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1950 წლის 17 ივნისის განჩინებაში რ-ს საქმის გამო<sup>2</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც „გამასპინძლება“ დამოუკიდებლადაც ასრულებს ქრთამის დანიშნულებას. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიის 1949 წლის 19 მარტის განჩინებაში ნათქვამია, რომ ავტობაზის ავტოკოლონის უფროსის ლ-ს ჩვენებით 3000 მანეთი (ძველი ფულით), რომელიც მას აკლდა, დაეხარჯა ერთ-ერთი სამმართველოს მუშაკთა ა-სა და ბ-ს მასპინძლობაში, რადგან უამისოდ ვერ მიიღო მათგან ავტობაზისათვის სათადარიგო ნაწილები. კოლეგიის აზრით, თუ დაშტკიცდა ამ სახით ქრთამის მიცემა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემა უველა დამნაშავე, ქრთამის მიმცემიცა და ამლებიც<sup>3</sup>. ასეთივე ხასიათის ქრთამზეა ლაპარაკი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიის 1949 წლის 28 მარტის განჩინებაში ა-ს საქმის გამო; განჩინებაში აღნიშნულია, რომ დამნაშავემ ვაგონის მისამართის შეცვლაში მიიღო გამასპინძლება რაიმერეწვკომბინატის წარმომადგენელ მ-სგან<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 8, გვ. 17.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>3</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 6, გვ. 36.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 36.



— ამრიგად, ქრთამის ფორმას, ქრთამის საგნის ღირებულებას მექრთამეობის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. პასუხისმგებლობას მექრთამეობისათვის განსაზღვრავს ქრთამის მიცემა-მიღება და არა მატერიალური გამორჩენის მოცულობა და ქრთამის საგნის ღირებულება. ქრთამის ოდენობას სასამართლო ნებდეველობაში მიიღებს სწაველის კონკრეტული ზომის განსაზღვრისას<sup>1</sup> ზოგიერთ გამონაკლისს შემთხვევაში შეიძლება დადგეს საკითხი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შეფარდების შესახებ. 4

სისხლის სამართლის თეორიაში სადავოდ არის გამხდარი საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ქრთამის საგანს წარმოადგენდეს მატერიალური ნივთი, რომელსაც გარკვეული ფასი მხოლოდ ქრთამის ამღებისათვის აქვს. პროფ. ნ. დურმანოვი თვლის, რომ ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყდეს. მისი შეხედულებით „საგნის მატერიალური ფასეულობის ცნება განვრცობითად უნდა განვმარტოთ. სავალდებულო არაა ნივთს ჰქონდეს რაიმე ისეთი ფასი, რათა მან რეალაზაციის დროს ფულადი გამოხატულება მიიღოს. საკმარისია იგი წარმოადგენდეს ფასეულობას ქრთამის ამღები პირისათვის. ასე მაგალითად, ზოგიერთი საკოლექციო ნივთი. რომელსაც არა აქვს ჩვეულებრივი ფასი, შეიძლება ძვირფასი იყოს მოცემული პირისათვის“<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულება მეტად აფართოებს ქრთამის საგნის ცნებას. ესა თუ ის ნივთი რომ ქრთამის საგნად ჩავთვალოთ, საკმარისი არ არის მას მხოლოდ მატერიალური, ფიზიკური ხასიათი ჰქონდეს. მას უნდა ჰქონდეს გარკვეული საცვლელი ღირებულება. არსებითია, რათა ასეთი მატერიალური ნივთი გარკვეულ ქონებრივ გამორჩენას აძლევდეს მის ამღებს. სწორედ ამაშია მექრთამეობის ანგარებითი ბუნება.

თუ თანამდებობის პირისათვის გადაცემული ნივთი არავითარ ფულად ღირებულებას არ შეადგენს და თანაც მხო-

<sup>1</sup> Н. Д. Дурманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 25.

ლოდ მის პირად, არაქონებრივ ინტერესებს აკმაყოფილებს, მაშინ გამორიცხულია გამდიდრების მომენტი, ურომლისოდაც ქრთამი კარგავს თავის დამახაბათებელ ნიშანს. განაახილველ შემთხვევაში, რასაკვირველია, თუ თანამდებობის პირი ასეთი ნივთის მიღებასთან დაკავშირებით დანაშაულს ჩაიდენს, მაშინ იგი სისხლის სამართლის პაუხისგებაში მიეცემა ამ დანაშაულისათვის. სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის სხვა შემთხვევებში შეიძლება დადგეს საკითხი დისციპლინური პაუხისმგებლობის შესახებ.

### § 8. შიქრთამეობის ობიექტური მხარე

ქრთამის მიცემა და აღება, მექრთამეობის ეს ორი ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებული ქვედობა, რიგი საერთო ნიშნით ხასიათდება. მაგალითად, იმის დადგენით, თუ რა სახით და რა ფორმით შეიძლება ქრთამის მიცემა, ირკვევა ისიც, თუ რა სახითა და რა ფორმით შეიძლება მისი აღება. ასევე, საკითხს თანამდებობის პირის მოქმედებაზე, რომელსაც ქრთამი განაპირობებს, ერთნაირი მნიშვნელობა აქვს როგორც ქრთამის მიცემისათვის, ისე ქრთამის მიღებისათვის და ა. შ. ეს შეაძლებელს ხდის ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღების ობიექტური მხარე ერთდროულად განვიხილოთ.

მექრთამეობის, როგორც ქრთამის მიცემა-აღების ერთიანი, რთული დანაშაულის, ასეთი განხილვა შეესატყვისება კანონში ამ დანაშაულის ნიშნების ასახეის მეთოდსაც. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქრთამის მიცემისათვის, არ შეიცავს იმ ნიშნების ჩამოთვლას, რომლებიც ამ ქვედობას ახასიათებენ. ეს გასაგებიცაა. სხვაგვარად კანონმდებელს მოუხდებოდა 190-ე მუხლში ხელშეორიდ მიეთითებინა იმ ნიშნებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის (მუხ.

189). ამით დაირღვეოდა ის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის კანონი მოკლედ და გასაგებად უნდა იყოს გადმოცემული.

მექრთამეობის ობიექტურ მხარეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მიხედვით შემდეგი ძირითადი ნიშნები ახასიათებს: 1. თანამდებობის პირისათვის ქრთამის გადაცემა; 2. ამ გადაცემის აქტის კავშირი ისეთი მოქმედების შესრულებასა თუ შეუსრულებლობასთან, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და 3. ქრთამის მიმცემის დაინტერესებულობა თანამდებობის პირის ასეთი მოქმედებით (უმოქმედობით).

1. ქრთამის გადაცემა თანამდებობის პირისათვის სულ სხვადასხვა გზით შეიძლება მოხდეს. ყველაზე უფრო უბრალო ხერხია, როდესაც ქრთამის მიმცემი გადასცემს ქრთამს უშუალოდ ქრთამის ამღებ თანამდებობის პირს. მაგრამ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189 მუხლის მიხედვით ქრთამის აღება შეიძლება მოხდეს არამართო პირად, არამედ აგრეთვე შუამავლის მეშვეობითაც. თანაც ქრთამის მიცემა-აღებისათვის მეშუალე რგოლთა რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს.

კანონის სიტყვები „თანამდებობის პირის მიერ... ქრთამის აღება...“ ისე როდი უნდა გაეიგოთ, თითქოს ქრთამი ფიზიკურად სწორედ იმ თანამდებობის პირს უნდა ჩაბარდეს, რომლის სამსახურებრივი მოქმედებითაც დაინტერესებულია ქრთამის მიმცემი. იგი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, რომელიც ქრთამს თანამდებობის პირის დავალებით მიიღებს.

ზოგჯერ ამგვარი „რწმუნებული“ არათუ მხოლოდ იღებს ქრთამს, არამედ მიღებულით თვითონვე სარგებლობს. ასეა ხოლმე მაშინ, როცა მას მიცემული აქვს საამისოდ პირდაპირი განკარგულება თანამდებობის პირისაგან, რომლის სამსახურებრივი მოქმედებაც განპირობებულია ქრთამით, ანდა მაშინ, როდესაც იგი თანამდებობის პირთან ასეთ მჭიდრო კავშირშია, რომ გინდა ერთს ესარგებლოს ქრთამით და გინდა-

მეორეს. სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, რომ სასაიდლოს გამგე ფ-მ ქარხნის დირექტორის მეუღლეს უყიდა ქინძისთავი-კამეა, რათა ამით სამსახურებრივ ურთიერთობაში მისი ქმრის გული მოეგო<sup>1</sup>. ამგვარ შემთხვევებში თანამდებობის პირი, თუნდაც მას ქრთამის შესახებ მისი ჩაბარების შემდეგ შეეტყოს, მაინც პასუხისმგებელია, თუკი მაშინვე არ მიიღო ზომები ქრთამის დასაბრუნებლად.

ზოგჯერ ქრთამის გადაცემის ხერხი მისი საგნის თვისებებზეა დამოკიდებული. მაგალითად, თანამდებობის პირს შეიძლება ქონებრივი გამორჩენა მიეცეს იმით, რომ მას გაათავისუფლებენ ვალდებულებებისაგან: ვთქვათ, მოსპობენ მას მიერ აღრე გაცემულ სესხის ბარათს ან გაანაღდებენ მისი სესხის ვალდებულებას სხვა პირთა წინაშე.

ქრთამის მიცემა-აღების შესანიღბავად მას შეიძლება გარეგნულად კანონიერი ფორმა მიეცეს; თითქოს მატერიალური ფასეულობის გადასვლა ერთი პირისაგან მეორის ხელში, ან ერთის მიერ მეორისათვის ქონებრივი გამორჩენის მიცემა მართლზომიერი იყოს, ნამდვილად კი ამით თანამდებობის პირის მოსყიდვა იჩქმალება. ქრთამის მიცემა-აღების შენიღბული ფორმა განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს, რადგანაც საქმის ნამდვილი ვითარების გამორკვევა ზოგჯერ მეტად ძნელია. არის შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირი იაფად ყიდულობს ძვირფას ნივთს, ან პირიქით, მამასისხლად ყიდის თითქმის უფასურ რამეს, ანდა კიდევ იღებს ქრთამს „საკომისიო“ და „საორგანიზაციო“ სასყიდლის ან ვითომდა ექსპერტის გასამრჯელოს სახით, ბანკოში მოგების მომიზეზებით და ა. შ. შენიღბული მექრთამეობის მომეტებულად ხშირ ფორმას თანამდებობის პირისათვის ფულის „სესხება“ წარმოადგენს. ამასთან, თანამდებობის პირს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მას ფულს სესხად აძლევენ მის სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით, ხოლო „კრედიტორმა“ თავის მხრივ უნდა იცოდეს, რომ ამ

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5, 33-1-4.

ფორმით ანაზღაურებს თანამდებობის პირის ისეთ მოქმედებას, რომლითაც თვითონაა დაინტერესებული.

ქრთამის კიდევ უფრო „დაკანონებულსა“ და ამიტომ უფრო სახიფათო სახეს წარმოადგენს ყოველგვარი „პრემიალური“ თუ სხვა ამგვარი ჯილდო, აღებული ერთი დაწესებულების თანამდებობის პირის მიერ მეორე დაწესებულების საგან, რომელაც თავისი საქმიანობის ხასიათის მიხედვით პირველ დაწესებულებას ექვემდებარება, ან მისი მომსახურებით სარგებლობა. ანალოგიური ხასიათი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ამგვარსავე ვითარებაში პირველი დაწესებულების თანამდებობის პირი მუშაობს „შეთავსებით“ მეორე დაწესებულებაში და იღებს ამისათვის „ხელფასს“. სოციალისტური მართლწესრიგი, ცხადია, ვერ შეუძრივდება ასეთი სახით „გაფორმებულ“ ქრთამს, რომელაც ამასთანავე დაკავშირებულია სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სახარების დანაშაულებრივ გამოყენებასთან.

მექრთამეობის შენიღბული ფორმების წინააღმდეგ სპეციალურად მიმართულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 20 აპრილის დადგენილება<sup>1</sup>. ეს დადგენილება: ა) უკრძალავს საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებს მისცენ, ხოლო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს მიიღონ მათგან რა სახის პრემიაც არ უნდა იყოს; ბ) უკრძალავს რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებს იმუშაონ შეთავსებით საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში; გ) მოითხოვს, რომ ამგვარი პრემიები და შეთავსება იხილებოდეს როგორც მექრთამეობა.

სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის არ ხელმძღვანელობს ამ დადგენილების ზუსტია აზრით. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკები, რომლებიც იღებდნენ გასამრჯელოს სხვა საბჭოთა თუ სამეურნეო ორგანიზაციების სასარგებლოდ შესრულებული მუშაობისათვის, ზოგჯერ თავისუფლდებოდნენ პასუხისმგებლობისაგან იმ საბუთით, ვითომ მათ მოქმედებას შეთავსების ნიშნები არ ახასიათებდა, რადგან ისინი ხსენე-

<sup>1</sup> СЗ СССР, 1934, № 2, გვ. 172

ბული ორგანიზაციების შტატში არ იყვნენ და სამსახურს უწევდნენ მათ ხელშეკრულების საფუძველზე თავისი ძირითადი სამუშაოსაგან თავისუფალ დროს.

მაგალითად, ორჯონიკიძის რკინიგზის სახაზო სასამართლომ 1950 წლის 16 იანვრის განჩინით არ ცნო მექრთამეობის ნიშნები სადგურ სამიშკინსკაიას უფროსის ვ-ს მოქმედებაში, თუმცა მას ბრალად ედებოდა, რომ ნოვოსელსკის სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკავშირისაგან იღებდა გასამრჯელოს მარჩილას დაცვისათვია, რომელიც საწყობში ინახებოდა. სახაზო სასამართლო თავის განჩინება იმით ასაბუთებდა. რომ ვ-ს რაიკავშირთან დადებული ქონდა ტვირთის დაცვის შეთანხმება, როგორც კერძო პირს და იგი იცავდა მას მუშაობისაგან თავისუფალ დროს<sup>1</sup>.

სწორედ ასევე ლატვიის რკინიგზის სახაზო სასამართლომ მოსამზადებელი სხდომის 1951 წლის 2 ივნისის განჩინებით მოსპო საქმე, აღძრული ს-ს წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი ედებოდა რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. სადგურ დაუძვეის მორჩვე ს. ვიესიტის კარაქის ქარხნისაგან დადებული ხელშეკრულებით მუშაობდა ქარხნის მისამართით მოსული ვაგონების დატვირთვა-განტვირთვაზე და ამისათვის ქარხნისაგან გასამრჯელოს იღებდა. ამ სახაზო სასამართლომაც უარყო ს-ის მოქმედებაში შეთავსების ნიშნები იმ მოსაზრებით, რომ იგი ვიესიტის კარაქის ქარხნის შტატის მუშაეი არ იყო და მუშაობდა ქარხნისათვის თავისი ძირითადი მუშაობისაგან თავისუფალ დროს<sup>2</sup>.

ორთავე აღწერილ შემთხვევაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიამ იხელმძღვანელა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 20 აპრილის დადგენილებით და აღიარა ბრალდებულთა მოქმედებაში მექრთამეობის ნიშნები. ამასთანავე, ს-ს საქმის გამო კოლე-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 5. გვ. 16—17.

<sup>2</sup> იხ. «Социалистическая законность», 1952, № 4, გვ. 90.

ვიამ მოგვცა ზოგადი ხასიათის განმარტება: „ყოველგვარი მუშაობა სხვა დაწესებულებასა თუ საწარმოში, გარეშე თავისი ძირითადი სამუშაოსი, თუნდაც ასეთი მუშაობა არასამუშაო დროს წარმოებდეს, უნდა იხილებოდეს როგორც შეთავსება“<sup>1</sup>.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 20 აპრილის დადგენილების შესაბამისად მექრთამეობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე, თუ ტრანსპორტის მუშაკმა მიიღო კლიენტისაგან პრემიალური ჯილდო სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებისათვის.

ზ. მუშაობდა ვლადივოსტოკის სანავსადგურო ფლოტის საბუქსირო კატერის კაპიტნად. იმისათვის, რომ ზ-მ მშვიდობით მიიყვანა დანიშნულ ადგილს კომბინატის ვლადივოსტოკის კანტორის 6 კარკაპი, ამ კანტორამ, ფრახტის გარდა, რომელიც ბუქსირებისათვის სანავსადგურო ფლოტს ერგებოდა, ზ-ს „პრემიად“ მისცა 12000 მანეთი (ძველი ფულით). რათა „პრემიის“ გადახდა საბუთით გაფორმებულიყო, კომბინატსა და ზ-ს შორის კარკაპთა გასტუმრებამდე დაიდო შრომითი შეთანხმება. ჩსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1950 წლის 7 ივლისის დადგენილებით დააკვალიფიცირა ზ-ს უკანონო მოქმედება როგორც ქრთამის აღება<sup>2</sup>.

თუმცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 20 აპრილის დადგენილება ეხება უშუალოდ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა მიერ, მაგრამ მასში გამოთქმულია უფრო ზოგადი პრინციპი, რომელიც სისხლის სამართლის სასჯელის მუქარით უკრძალავს თანამდებობის პირებს მიიღონ უცხო წყაროდან რაიმე გასამრჯელო, რა „კანონიერი“ ფორმითაც არ უნდა იმოსებოდეს იგი.

<sup>1</sup> იხ. «Социалистическая законность», 1952, № 4, გვ. 90.

<sup>2</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 9, გვ. 11—12.

ამ პრინციპის შესაბამისად მექრთამეობად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე როდესაც ქარხანა-მიმწოდებლის მუშაკი არემიას იღებს ქარხანა-დამკვეთისაგან.

ასევე მექრთამეობად უნდა მივიჩნიოთ „წახალისების მეთოდი“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჯეროვანი ხარისხის საქონლისა თუ სხვა მისთანათა გაცემის ან მიღების დასაჩქარებლად ერთი ორგანიზაცია მიმართავს მეორე ორგანიზაციის თანამდებობის პირთა სხვადასხვაგვარ მატერიალურ წახალისებას.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანაა — უყურადღებოდ არ დატოვონ დასახელებული ფაქტები, ამხილონ შენიღბული მექრთამეობის ნაირსახოვანი ფორმები, განუჩიევლად მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში დამნაშავენი და სასტიკი სასჯელი მიუსაჯონ იმათ, ვინც ლამობს იპარგებლოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, რათა „კანონიერი ფორმით“ მატერიალური გამორჩენა მიიღოს.

ჯ როგორც უკვე ითქვა, მექრთამეობის არსი იმაშია, რომ თანამდებობის პირი იღებს მატერიალურ ფასეულობას ან რაიმე ქონებრივ გამორჩენას სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით, ან საერთოდ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. ქრთამს აძლევენ იმისათვის, რომ თანამდებობის პირს მომავალში რაიმე სამსახურებრივი მოქმედება შეასრულებინონ, ანდა იმიტომ, რომ მან უკვე შეასრულა რაიმე მოქმედება, რომლითაც დაინტერესებულია ქრთამის მიმცემი. ამგვარად, ეს კავშირი ორმაგი სახით ვლინდება: ქრთამი აპირობებს მოქმედებას ან თან მოყვება ამ მოქმედებას. სადაც ასეთი კავშირი დარღვეულია, იქ არც მექრთამეობა გვექნება. ქრთამად არ ჩაითვლება საჩუქარი, როდესაც თანამდებობის პირი ხსენებული მოსაზრებით კი არ დასაჩუქრდა, არამედ, ვთქვათ, მეგობრულად, მადლობის ნიშნად გაწეული სტუმართმოყვარეობისათვის, უწინ აღმოჩენილი მატერიალური შემწეობის საპასუხოდ და ა. შ. ქრთამად არ ჩაითვლება გასამრჯელო, მიცემული შესრულებული



დავალებისათვის, როცა ეს დავალება თანამდებობის პირის სამსახურებრივ საქმიანობასთან არ იყო დაკავშირებული.

ქრთამის აღებად არ ჩაითვლება აგრეთვე ისეთი შემთხვევაც, როდესაც „თანამდებობის პირი გასამრჯელოს იღებს ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც არავითარ კავშირში არ არის მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და რომლის შესრულება მას შეეძლო სხვა თანამდებობის პირის შემწეობით პირადი ნაცნობობის, ნათესაური დამოკიდებულებისა ან სხვა რაიმე კავშირის წყალობით“<sup>1</sup>.

მაგრამ, თუკი არსებობს კავშირი „საჩუქარსა“ და თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოქმედებას ან მის სამსახურებრივ მდგომარეობას შორის, აუცილებლად იჭრება მექრთამეობის საკითხი.

ქრთამი შეიძლება მიეცეს თანამდებობის პირს, რა სამსახურებრივ ფუნქციასაც არ უნდა ასრულებდეს იგი, რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს მისი საქმიანობა: ადმინისტრაციულს, სამეურნეოს, სასამართლოს, ფინანსურსა და ა. შ.

3. მექრთამეობის ობიექტურ მხარეს — ქრთამის მიცემა-აღებას — მართლსაწინააღმდეგო ხასიათი უნდა ჰქონდეს. სისხლის სამართლის კანონი მექრთამეობის ნიშნების განსაზღვრის დროს პირდაპირ არ მიუთითებს ამ მომენტზე. მაგრამ ეს თავისთავადაც იგულღისხმება. კერძოდ, თანამდებობის პირის მიერ ქონების ან ქონებრივი სარგებლობის მიღება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება მექრთამეობად, თუ იგი არამართლზომიერად (უკანონოდ) არის მიღებული. ამის გამო თანამდებობის პირს მიერ განსაზღვრული სამსახურებრივი მოქმედებისათვის კანონით დადგენილი ფულადი საზღაურის მიღება მექრთამეობას არ წარმოადგენს. იმის გამოსარკვევად, ნებადართულია თუ არა ასეთი საზღაურის მიღება, უნდა მიემართოს სამართლის სხვა დარგებში (სამოქალაქო, შრომის, ადმინისტრაციული და სხვ.) მოქმედ შესაფერის დადგენილებებს.

<sup>1</sup> Н. П. Кудрявцев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 96.

ზოგჯერ თანამდებობის პირი განსაზღვრული სამსახურებრივი მოქმედებისათვის მოქალაქეთაგან უშუალოდ ლებულობს კანონით დაწესებულ ანაზღაურებას. მაგალითად, რამე დოკუმენტის ასლის დამოწმებისათვის ნოტარიუსი მოქალაქისაგან ლებულობს კანონით განსაზღვრულ ფულად თანხას.

რასაკვირველია, კერძო მოქალაქისაგან ასეთი თანხის მიღება ქრთამის აღებად არ განიხილება. აღნიშნულ თანხა გადაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში.

4. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი ითვალისწინებს ქრთამის აღებას თანამდებობის პირის მიერ რაიმე „...ქმედობის შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის...“ მაშასადამე, ქრთამით განპარობებული საქციელი თანამდებობის პირისა შეიძლება გამოიხატოს არა მარტო აქტიური მოქმედებით, არამედ სამსახურებრივი უმოქმედობითაც. მაგალითად, მემანქანე თ-ს ბრალი ეღებოდა, რომ მან წინააღმდეგობა არ გაუწია რამდენიმე კაცის მგზავრობას ორთქლმავლის ტენდერით და ამისათვის ცეცხლფარეშ ტ-სგან მიიღო იმ ფულის ნაწილი, რაც მას მგზავრებმა მისცეს<sup>1</sup>.

კანონის სიტყვით ქრთამის აღება დაკავშირებული უნდა იყოს ამა თუ იმ მოქმედების შესრულებასა ან შეუსრულებლობასთან (სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამ გამოთქმის სიტყვასიტყვითმა გაგებამ შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ აღნიშნული დანაშაული გულისხმობს თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღებას ზედმიწევნით განსაზღვრული, კონკრეტული სამსახურებრივი მოქმედების შესრულებასა თუ შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ასეთი შეხედულებისაა ამ საკითხზე ზოგიერთი კრიმინალისტი.

---

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1947 г., вып. I, гл. 4—5. საკითხი მემანქანის თანამდებობის პირად ცნობისა და მისი ქრთამის აღებისათვის პასუხისმგებლობის შესაძლებლობის შესახებ ამჯერად ჩვენ არ გვაინტერესებს.

„ქრთამის მიცემისა და აღების საზოგადოებრივი საშიშროება, — აღნიშნავს პროფ. ვ. მენშაგინი, — იმაში მდგომარეობს, რომ თანამდებობის პირის მიერ განსაზღვრული სამსახურებრივი ქმედობის ჩადენას განაპირობებს მატერიალური სიკეთის მიღება. არ შეიძლება ქრთამის აღებად ჩავთვალოთ თანამდებობის პირის მიერ მატერიალური სიკეთის მიღება მხოლოდ ზოგადი, ქრთამის მიმცემისათვის მომავალში ხელსაყრელი საქციელისათვის“<sup>1</sup>. საბჭოთა კრიმინალისტიკის უმრავლესობის აზრით, კანონის ნამდვილი დედააზრი უფრო ფართოა. კერძოდ, მათი შეხედულებით, კანონი გულსხმობს აგრეთვე ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც (თანამდებობის პირისათვის მატერიალური სიკეთის გადაცემა უკავშირდება არა კონკრეტულად შემოხაზულ მოქმედებას, არამედ აგრეთვე შესაფერის მიმართულებას მის სამსახურებრივ საქმიანობაში).

ჩვენი ფიქრით, უპირატესობა უნდა მიეცეს ამ უკანასკნელ შეხედულებას. ზოგჯერ პირი სწორედ იმითაა დაინტერესებული, რომ უზრუნველყოს თანამდებობის პირის საქმიანობის განსაზღვრული მიმართულება. ნათელია, ამ მიზნით ქრთამის მიცემა გარკვეული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება. ჩვეულებრივად ქრთამი ასეთ ხასიათს მაშინ ღებულობს, როდესაც ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს ერთმანეთთან ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებთ და თანაც, ქრთამის მიმცემი ქრთამის ამღებზე დამოკიდებული პირია. ასეთია, მაგალითად, ძღვენი, რასაც ხელქვეითი მიაართმევს უფროსს იმ ვარაუდით, რომ მისკენ გადმოიბიროს იგი და თავი დაიცვას მოსალოდნელი სამსახურებრივი უსიამოვნებისაგან (არ გადაიყვანონ ცუდ სამუშაოზე, არ გაათავისუფლონ შტატების მოსალოდნელი შემცირების გამო და ა. შ.). ძღვენის მიმართმევი შეიძლება იმასაც ფიქრობდეს, რომ გაიუმჯობესოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, უზრუნ-

<sup>1</sup> А. А. Понятковский, В. Д. Меньшагин, В. М. Чхиквадзе, Курс советского уголовного права. Особенная часть, т. 2, М., Госюриздат, 1959, стр. 145—146.

ველკოს შემდგომი სამსახურებრივი კარიერა (დააწინაურონ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ან დანიშნონ მაღალხელფასიან თანამდებობაზე, დაუმსახურებლად მიიღოს ჯილდო, პრემია და ა. შ.). მაგრამ, მეორე მხრით, შეცდომა იქნებოდა ყველა შემთხვევაში ხელქვეითის მიერ თავისი უფროსისადმი მირთმეული საჩუქარი ქრთამად ჩაგვეთვალა. შეიძლება ასეთი საჩუქარი მეგობრული გრძნობების, განსაკუთრებული პატივისცემის გამოვლინებას წარმოადგენდეს ანდა მნიშვნელოვან მოვლენებთან იყოს დაკავშირებული (იუბილე, მთავრობის ჯილდოს მიღება და ა. შ.). მოკლედ რომ მოვქრათ, თუ საჩუქარი გამიზნული არ იყო სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისათვის, მაშინ არც მექრთამეობასთან გვექნება საქმე.

ამიტომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა ზედმიწევნით ზუსტად გაიჩვენეს ის მაზანი, რომელსაც საჩუქრის მიმცემი ისახავდა. ასეთი მიზნის საძრახისი და დასაგმობი ხასიათი განსაკუთრებით ნათელია მაშინ, როდესაც საჩუქრის მიცემა სისტემატურად ხდება. ასე მაგალითად, მოსკოვის საქალაქო სასამართლომ გამოარკვია, რომ ა., რომელიც მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთავარი სამმართველოს რესტორნების ტრესტის მმართველად მუშაობდა, 1955—1958 წლების განმავლობაში სისტემატურად ღებულობდა განსაზღვრულ ფულად თანხას სხვადასხვა რესტორნების დირექტორებისა და აგრეთვე თავის სხვა ხელქვეით პირებისაგან. ამასთან დადგინდა, რომ აღნიშნული პირები „თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით (ხაზი ჩვენია — ვ. შ., გ. ტ.) ქრთამის სახით ყოველთვიურად გადასცემდნენ ა-ს ფულის დიდ თანხას“<sup>1</sup>. ასეთ პირობებში ქრთამი წარმოადგენს არანაკლებ საზოგადოებრივად საშიშს, ვიდრე იმ შემთხვევაში. როდესაც იგი დაკავშირებულია კონკრეტულად მოხაზულ სამსახურებრივ მოქმედებასთან.

<sup>1</sup> «Советская юстиция», 1958, № 5, გვ. 90.

5. რა მიმართებაში უნდა იმყოფებოდეს ერთმანეთთან ქრთამის მიცემა-აღება და თანამდებობის პირის სამსახურებრივი კომპეტენცია? კანონს მხედველობაში აქვს, პირველად ყოვლისა, ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ქრთამის ამღები თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოვალეობად ითვლება. ქრთამი მომეტებულად თანამდებობის პირის სწორედ ასეთ ქმედობასთან არის დაკავშირებული. ქრთამის მიმცემი, ბუნებრივია, ცდილობს ასარგებლოს ის, ვინაზედაც დამოკიდებულია მისთვის საინტერესო საკითხის გადაჭრა; ჩვეულებრივ, იგი მოწადინებულია უზრუნველყოს ქრთამის შემწეობით მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელიც სწორედ ამ თანამდებობის პირის უშუალო კომპეტენციას წარმოადგენს.

მოსკოვის საოლქო სასამართლოს განაჩენით კ. ცნეს დამნაშავედ მასში, რომ ხიდების რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის დაბის კომენდანტად მუშაობისას მან ქარხნის საცხოვრებელ ფართობზე გაწერის გაფორმებისათვის 1960 წლის იანვარში ქრთამად აიღო 1200 მანეთი<sup>1</sup>. აღნიშნულ შემთხვევაში ქრთამი მიცემულ იქნა ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მოცემული თანამდებობის პირის ჩვეულებრივ სამსახურებრივ კომპეტენციას შეადგენდა.

მაგრამ უმართებულო იქნებოდა, თუ მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობას ასეთ ვიწრო ფარგლებში მოვაქცევდით. კერძოდ, არ შეიძლება დავეთანხმოთ შეხედულებას, თითქოს ქრთამით შეპირობებული მოქმედება ან უმოქმედობა ყოველთვის მოცემული თანამდებობის პირის ჩვეულებრივ სამსახურებრივ კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს<sup>2</sup>. ასეთი შეხედულება კანონის შესაბამისი იქნებოდა მაშინ, თუკი მუხლში მექრთამეობის შესახებ მითითებული იქნებოდა

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1962, № 6, გვ. 9.

<sup>2</sup> იხ. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, В. М. Чхиквадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—150; В. Ф. Кириченко, Виды должностных преступлений по советскому уголовному праву, М., Изд-во АН СССР, გვ. 66, 67—68.

თანამდებობის პირის მიერ ისეთი მოქმედების შესრულება, ან შეუსრულებლობა, რომელიც მის სამსახურებრივ მოვალეობად განიხილება. ასეთ ფორმულას მართლაც შეიცავდა რსფსრ 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლი, რომელიც აშკარად ასახავდა კანონმდებლის ნებას შეეზღუდა პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის. მომდევნო პერიოდის საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღარ შეიცავდა ასეთ ფორმულას. საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლში განსაზღვრულია, რომ ქრთამის აღება ხდება „ამა თუ იმ ქმედობის შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც თანამდებობის პირს უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (ხ ა ზ ი ჩ ე ე ნ ი ა — ვ. მ., გ. ტ.)“. კანონის ისტორიული ახსნა-განმარტებიდან უსათუოდ ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ აღნიშნულ საკითხში მოქმედ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობას სხვაგვარი პოზიცია უკავია, ე. ი. მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგენისას იგი არ იფარგლება იმ შემთხვევებით, რომლებზეც მითითებული იყო რსფსრ 1922 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლში.

მოქმედი კანონი საფუძველს გვაძლევს მექრთამეობად დავაკვალიფიციროთ ისეთი შემთხვევა, როდესაც „გასამრჯელოს“ მიღება დაკავშირებულია მოქმედებაათან, რომელიც უშუალოდ თანამდებობის პირის სამსახურებრივ კომპეტენციას არ წარმოადგენს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის ძალით ქრთამის აღება-სათვის საკმარისია, თუ თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გავლენას ახდენს საქმის მსვლელობაზე, ვთქვათ, მისი დაჩქარების მხარე, მასალების სათანადო შემზადებით და ა. შ., თუნდაც თვითონ საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული იყოს სხვა, უფრო პასუხისმგებელი თანამდებობის პირზე. მაშასადამე, ქრთამის ამღებს უნდა შეეძლოს გამოიყენოს თავისი სამსახურებრივი

მდგომარეობა ქრთამის მიმცემისათვის სასურველი მიმართულებით.

ქრთამის ამლებს შეიძლება უფრო შორეული დამოკიდებულებაჲ ჰქონდეს იმ მოქმედებასთან, რომელიც ქრთამის მიმცემს აინტერესებს. ასეთი მოქმედება შეიძლება ეკუთვნოდეს სხვა განყოფილების, სხვა დაწესებულებისა ან თუნდაც სხვა უწყების თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოვალეობათა წრეს, ისეთისაჲ კი, რომელიც სულაც არ შედის იმ სისტემაში, სადაც ქრთამის ამლები მუშაობს. ასეთი თანამდებობის პირი იღებს „ჯილდოს“ იმისათვის, რომ გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი თუ გავლენა და თხოვნით, დაჯერებით, რჩევითა და ა. შ. ჩაადენინოს მეორე თანამდებობის პირს ქრთამის მიმცემისათვის ხელსაყრელი მოქმედება. ასეთი რამ შესაძლებელია მაშინ, როდესაც ქრთამის ამლებს ან თვითონ უჭირავს პასუხსაგები თანამდებობა, ანდა იგი ისეთი დაწესებულების მუშაკია, რომელსაც თავისი ხასიათის მიხედვით ზედამხედველობისა თუ კონტროლის ფუნქციები ეკუთვნის; მაგალითად, ქრთამის ამლები მუშაობს პროკურატურის ორგანოებში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებში და ა. შ.

ამ საკითხზე პრინციპულ განმარტებას შეიცავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1944 წლის 29 აპრილის განჩინებად-ს საქმის გამო. „რსფსრ უმაღლესი სასამართლოს შეცდომა, — ნათქვამია ამ განჩინებაში, — იმაში მდგომარეობს, რომ მას მცდარი წარმოდგენა ჰქონია იმაზე, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს მოქმედებად, რომელიც თანამდებობის პირს შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით. შეცდომა იქნება ჩაითვალოს, ვითომ ასეთი მოქმედება მხოლოდ ის მოქმედებაა, რომელიც ამ თანამდებობის პირის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს, ე. ი. მის უფლება-მოვალეობათა წრეს ეკუთვნის.

ამგვარი მოქმედება შეიძლება იყოს აგრეთვე თანამდე-

ბობის პირის ფუნქციათა წრეს გაცილებული მოქმედება, თუკი მას, სწორედ ამ თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, შეიძლება მოჰყვეს ის შედეგი, რომლისათვისაც ქრთამის მიმცემი იღწვის. ასე ხდება მაშინ, როდესაც თანამდებობის პირი ხელს უწყობს დაინტერესებული პირისათვის სასურველი შედეგის მიღწევას იმით, რომ სარგებლობს თავისი ავტორიტეტით ან სხვა შესაძლებლობით, რათა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით მოახდინოს გავლენა სხვა თანამდებობის პირებზე, რომელთაგანაც ეს შედეგია დამოკიდებული“<sup>1</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ თუ პირმა აიღო ფული ან სხვა ფასეულობა იმისათვის, რათა თავისი სამსახურებრივი ავტორიტეტის წყალობით გავლენა იქონიოს სხვა ისეთ თანამდებობის პირზე, რომლის მოქმედებითაც ქრთამის მიმცემია დაინტერესებული, იგი პასუხს აგებს ქრთამის აღებისათვის. უკეთუ იგი მიღებულ „გასამრჯელოს“ იმ თანამდებობის პირს გადასცემს, რომლისგანაც დამოკიდებულია ქრთამის მიმცემის ინტერესის განხორციელება, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მექრთამეობაში შუამავლობისათვის (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი)<sup>2</sup>.

იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ქრთამის ამღების ზეგავლენით სამსახურებრივ მოქმედებას ასრულებს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ, დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე. თუ მან ქრთამის თაობაზე არაფერი იცოდა, იგი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისი მოქმედებით სამსახურებრივ მოვალეობას დანაშაულებრივად დაარღვევს. მაგრამ, უკეთუ ასეთ თანამდებობის პირს შეგნებული ჰქონდა,

<sup>1</sup> «Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1944 г.», 1948 г., гл. 99—100.

<sup>2</sup> უფრო დაწერილობით ეს საკითხი გაშუქდება წინამდებარე ნაშრომის შესაბამე თავში.



რომ მისი მოქმედებისათვის ქრთამია აღებული, მაშინ იგი პასუხისგებაში მიეცემა ქრთამის აღებაში თანამონაწილეობისათვის. დასასრულ, თუ იმ თანამდებობის პირმა, რომელმაც მასზე გავლენა მოახდინა, მას „ჯილღოს“ ნაწილი გადასცა, ეს უკანასკნელი დამნაშავედ ჩაითვლება ქრთამის აღებისათვის.

6<sup>რ</sup> ქრთამი დაკავშირებული უნდა იყოს ისეთი მოქმედების შესრულება-შეუსრულებლობასთან, რომელიც ქრთამის მიმცემს აინტერესებს. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თანამდებობის პირმა ეს მოქმედება ნამდვილად უნდა შეასრულოს ან არ შეასრულოს. მექრთამეობის დამთავრებული შემადგენლობა მაშინაც არსებობს, როდესაც ქრთამის აღებას შით შეპირობებული სამსახურებრივი მოქმედება ან უმოქმედობა არ მოპყვლია. უფრო მეტიც, თუ თანამდებობის პირი თავიდანვე სულაც არ აპირებდა იმ მოქმედების შესრულებას, რომლისთვისაც ქრთამი აიღო, ანდა გადაწყვეტილი ჰქონდა ემოქმედა კანონიერად, ისე, როგორც ამას სამსახურის ინტერესები უქარნახებდა, ქრთამის აღება მაინც დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. მთავარია ის, რომ თანამდებობის პირს შეგნებული ჰქონდეს კავშირი ქრთამსა და სამსახურებრივ ქმედობას შორის, თუნდაც იგი სინამდვილეში არც განხორციელებულიყო. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წ. 8 იანვრის განჩინებით ცნო ქრთამის აღების ნიშნები სახალხო სასამართლოს მდივნის ბ-ის მოქმედებაში, რომელიც ართმევდა მოქალაქეთ ფულს ვითომდა იმისათვის, რომ დაეხმარებოდა მათი ნათესავების პატიმრობიდან განთავისუფლებაში, თუმცა მას იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა არავითარი მოქმედება არ შეესრულებინა <sup>1)</sup>

7. რაკი პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის შეპირობებულია კავშირით „გასამრჯელოს“ მიღებასა და სამსახურ-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 3, გვ. 36.

რებრივ მოქმედებას შორის, იბადება საკითხი: როგორ დამოკიდებულებაში უნდა იმყოფებოდეს ერთმანეთთან ღროში შეთანხმება თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოქმედების შესახებ და ქრთამის გადაცემა? ქრთამის მიცემა ან მისი დაპირება უნდა უსწრებდეს წინ სამსახურებრივ მოქმედებას, თუ მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობა მაშინაც დადგება, როდესაც ქრთამი მიცემულია იმ სამსახურებრივი მოქმედების შესრულების შემდეგ, რომლითაც „ჯილდოს“ მიმცემი იყო დაინტერესებული?

რასაკვირველია, მექრთამეობის საზოგადოებრივი საშიშროება უფრო მევეთრად გამოსკვივის, როდესაც ქრთამის გადაცემა ან შეპირება წინ უსწრებს ქრთამის მიმცემისათვის სასურველ მოქმედებას თუ უმოქმედობას. ასეთ ვითარებაში ხდება თანამდებობის პირის მოსყიდვა; ქრთამის მიცემა ან მისი დაპირება ამა თუ იმ სამსახურებრივი მოქმედების გამომწვევი მიზეზი ხდება. „ქრთამ-მოსყიდვის“ შემთხვევაში თანამდებობის პირი გვევლინება სამსახურებრივი მოქმედების, ასე ვთქვათ, გამყიდველად, ხოლო ქრთამის მიმცემი — მყიდველად. ეს საფუძველს აძლევს ზოგიერთ ავტორს მიიჩნიოს, რომ შეთანხმება ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს შორის ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს თანამდებობის პირის იმ მოქმედებას ან უმოქმედობას, რომლითაც დაინტერესებულია ქრთამის მიმცემი, რამდენადაც მხოლოდ ასეთ გარემოებებშია შეპირობებული თანამდებობის პირის ქცევა ქრთამით. ამ შეხედულების მიხედვით წინასწარი შეთანხმების გარეშე აღებული გასამრჯელო არ უნდა ჩაითვალოს მექრთამეობად, რადგან ასეთ შემთხვევებში თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოქმედებას განსაზღვრავს არა „გასამრჯელო“ ან „გასამრჯელოს“ შეპირება, არამედ სხვა მოტივები<sup>1</sup>.

მაგრამ თუ „ქრთამი-ჯილდოს“ არსს დაუუკვირდებით, ე. ი. ისეთ შემთხვევას, როდესაც თანამდებობის პირი იღებს ჯილდოს „მადლობის“ ნიშნად სამსახურებრივი მოქმედები-

<sup>1</sup> იხ. А. А. Приотковский, В. Д. Меньшагин, В. М. Чхиквадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 142, 143—144.

სათვის, რომელიც მან ქრთამის გავლენის გარეშე უკვე შეასრულა; ნათელი გახდება, რომ ეს ქმედობაც საკმაოდ საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს ატარებს. თანამდებობის პირი, რომელიც თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის სხვა პირისაგან „გასამრჯელოს“ ლებულობს, სამსახურს გამორჩენის წყაროდ იხდის. ასეთი ანგარებით შეპყრობილი თანამდებობის პირი ყველას ხელში შესცქერის და, რა თქმა უნდა, სახელს უტეხს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტს, რომლის წარმომადგენელიც იგი არის. მოკლებული არ არის საბუთიანობას აგრეთვე ის მოსაზრება, რომ „ქრთამი-ჯილდო“ უკვე წარსული სამსახურებრივი მოქმედების მარტო უბრალო ანაზღაურება კი არ არის, არამედ ხშირად მომავლისთვისაცაა ნავარაუდევო.

ქრთამის მიმცემი, რომელიც თანამდებობის პირს „აჯილდოებს“, მოწადინებულია მისი გული მოიგოს, ამ გზით მოპოვებული მისი კეთილმოსურნეობა გამოიყენოს და მომავალშიც თავის სასარგებლოდ ამოქმედოს. გარდა ამისა, შეიძლება მოხდეს ისეთი შემთხვევაც, როდესაც თანამდებობის პირი ყოველგვარი შეთანხმების გარეშე საკუთარი ინიციატივით ასრულებს სხვა პირისათვის ხელსაყრელ სამსახურებრივ მოქმედებას იმ ვარაუდით, რომ იგი „მადლობის“ გარეშე არ დარჩება. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი ახორციელებს სამსახურებრივ მოქმედებას იმ იმედით, რომ მომავალში მიიღებს სათანადო „გასამრჯელოს“. დასასრულ, ზოგჯერ ძნელი გამოსაცნობია, „ქრთამ-მოსყიდვასთან“ გვაქვს საქმე, თუ „ქრთამ-ჯილდოსთან“. რადგან მექრთამეობის ამ ორი ფორმის მიჯნა მერყევი და ხშირად თვალშეუვლებია. იმის დადგენა, წინასწარ იყო ქრთამი შეპირებული თუ არა, უაღრესად ძნელია, რადგან ქრთამის ამღებისა და ქრთამის მიმცემის მოლაპარაკება სასყიდლის თაობაზე რაიმე ადვილად დასადგენ კვალს არ ტოვებს. ზოგჯერ, როცა ქრთამის მიმცემ-ამღებს ხანგრძლივი ურთიერთობა აკავშირებს, ქრთამი შეიძლება იღუმალადაც იგულისხმებოდეს.

ამიტომ სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებ-

ლობა არ განასხვავებს პრინციპულად „ქრთამ-მოსყიდვას“ „ქრთამ-ჯილდოსაგან“<sup>1</sup>

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 18 თებერვლის დადგენილებაში ლ-ის საქმის გამო იმ მოსაზრებებს შორის, რომელთა საფუძვლითაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება გაუქმდა, აღნიშნულია, რომ ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების გამგემ ლ-მ მიიღო ქარხნის განყოფილების გამგე ბ-საგან საჩუქრად ძვირფასი ხალიჩა, მას შემდეგ, რაც დაამტკიცა ბ-ს ანგარიში, რომელიც ტყუილ ცნობებს შეიცავდა და ყალბ საბუთებს ემყარებოდა<sup>1</sup>.

8. საბჭოთა სისხლის სამართალი არ ანსხვავებს აგრეთვე პრინციპულად ქრთამს უკანონო მოქმედებისათვის ქრთამისაგან კანონიერი მოქმედებისათვის, ე. ი. ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც ფორმალურად და არსებობდაც კანონის მოთხოვნას ან სამართლის სპეციალურ დადგენილებას შეესაბამება. საბჭოთა სამართალს სამსახურებრივი ვალის დარღვევად თვით ქრთამის აღების ფაქტი მიაჩნია, იმისდა დამოუკიდებლად, თუ თანამდებობის პირის როგორ მოქმედებასთანაა იგი დაკავშირებული. ეს გასაგებიცაა. სოციალისტური მართლწესრიგი არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდება იმას, რომ თანამდებობის პირი კერძო წესით გასამრჯელოს იღებდეს სამსახურებრივი საქმიანობისათვის, თუნდაც ეს საქმიანობა სრულიად მართლზომიერი იყოს. ამის დაშვება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის არსის დამახინჯება იქნებოდა. ამ აპარატის ავტორიტეტისათვის საშიშროება იქმნება არა მარტო მაშინ, როდესაც ქრთამი დაკავშირებულია უკანონო მოქმედებასთან, არამედ მაშინაც, როდესაც ქრთამს უკავშირდება კანონიერი მოქმედება. მაგალითად, როგორი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდეს მოსამართლე, რომელიც თუნდაც კანონიერი განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანისათვის ღებულობს ფასიან „საჩუქარს“?

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5, стр. 14.

იმ დებულებამ, რომ თანამდებობის პირი პასუხს აგებს „გასამრჯელოს“ აღებისათვის, რა სამსახურებრივ მოქმედებასთანაც არ უნდა იყოს ეს გასამრჯელო დაკავშირებული, გამოხატულება პოვა მექრთამეობის საკანონმდებლო განსაზღვრებაში. ამ განსაზღვრების შესაბამისად თანამდებობის პირი ლებულობს ქრთამს „ამა თუ იმ ქმედობის შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რომელიც... უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა...“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი). სიტყვები „უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა“ იმ აზრს გამოხატავს, რომ ქრთამი შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც კანონიერ, ისე უკანონო სამსახურებრივ მოქმედებასთან.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1947 წ. 29 ნოემბრის დადგენილებაში საგანგებოდ იყო მითითებული, რომ „თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება ისჯება, დამოუკიდებელივ იმისა, კანონიერია თუ უკანონო ის მოქმედება, რომელიც ქრთამის აღებამ შეაპირობა“<sup>1</sup>.

ჩვენი სასამართლოები ამ დებულებას ყოველთვის საკმაო ანგარიშს არ უწევენ.

ქმრის მკვლელობისათვის დ. მიეცა პასუხისგებაში რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლით. წინასწარი გამოძიების დროს მან მისცა გამომძიებელს ქრთამად 1000 მანეთი. სასამართლოში განხილვისას დ-ს ბრალდება 136-ე მუხლით არ დადასტურდა და ამ ნაწილში იგი გაამართლეს, ხოლო ქრთამის მიცემისათვის ვიკსუნის რაიონის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

როდესაც საქმე საკასაციო წესით იხილებოდა, გორკის საოლქო სასამართლომ, ეტყობა, ანგარიში გაუწია იმას, რომ ქრთამი მიცემული იყო საქმის ობიექტურად გამოძიების უზრუნველსაყოფად და, მაშასადამე, მიზნად არ ჰქონია

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1947, вып. 1, стр. 4.

თანამდებობის პირი უკანონო მოქმედების ჩასადენად წაექეზებინა. საოლქო სასამართლომ სახალხო სასამართლოს განაჩენი შეატყავედ მიიჩნია, გამოიყენა რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი და ღ-ს პირობითი მსჯავრი შეუფარდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა გორკის საოლქო სასამართლოს განჩინება, რადგან ვერ პოვა საფუძველი დ-სათვის რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის დასადებად და საქმე ხელახალი საკასაციო განხილვისათვის დააბრუნა.

კოლეგიამ თავისი განჩინებით კვლავ ხაზი გაუსვა იმას, რომ ქრთამი საზოგადოებრივად საშიშია მაშინაც, თუ თანამდებობის პირს მის მოვალეობათა მართლზომიერი შესრულებისათვის ეძლევა<sup>1</sup>.

მაგრამ, თუ მექრთამეობის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თანამდებობის პირმა ქრთამი უკანონო თუ კანონიერი სამსახურებრივი მოქმედებისათვის აიღო, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აღნიშნული მომენტი არ უნდა იქნას გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას. ქრთამი, რომელიც აპირობებს თანამდებობის პირის მიერ უკანონო მოქმედების შესრულებას, გაცილებით დიდი ზიანის მომტანია სოციალისტური მართლწესრიგისათვის და, მაშასადამე, თუ სხვა პირობები თანაბარია, მას უნდა მოჰყვეს დამნაშავეს უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა, ვიდრე ქრთამი, რომელიც თანამდებობის პირის მართლზომიერი მოქმედების მიზეზად იქცა.

9. ქრთამით განპირობებული სამსახურებრივი მოქმედება, კანონის თქმით, უნდა სრულდებოდეს „ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 189). უკეთუ „ჯილდო“ დაკავშირებული არაა დამჯილდოებლისათვის სასურველ ან ასე თუ ისე ხელსაყ-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5. გვ. 33—34.

რელ სამსახურებრივ მოქმედებასთან, არ არის შექრთამეობის შემადგენლობაც და შეიძლება წამოიკრას საკითხი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობაზე სისხლის სამართლის კოდექსის რომელიმე სხვა და არა 189-ე მუხლით.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიამ გააუქმა ვლადიმირის საგუბერნიო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც რ-ს მოქმედება კვალიფიკირებულ იქნა როგორც ქრთამის მიცემა, ხოლო მ-ის მოქმედება — როგორც ქრთამის აღება. საქმის მასალებით დადგენილ იქნა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანამშრომელმა მ-მ ერთ ბოთლ ლუდში, რომელიც მას ქ. ვლადიმირის სასტუმრო „ევროპის“ ლუდხანაში მიატოვეს, აღმოაჩინა ნალექი და აცნობა ეს ამბავი ტრიოხგორნის ლუდის ქარხნის საწყობის გამგეს რ-ს, რომელსაც შეშინებია, ვაითუ ამას რაიმე გაუგებრობა მოჰყვესო, და მოუხდენია განკარგულება, მიეცათ მის ხარჯზე მ-სათვის იმდენი ლუდი, რამდენსაც ის დალევდა.

ამ საქმეზე გამოტანილი განაჩენის გაუქმება რსფსრ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ იმით დაასაბუთა, რომ „ქრთამი — ეს არის თანამდებობის პირის მიერ ამა თუ იმ მატერიალური სიკეთის მიღება რაიმე სამსახურებრივი მოქმედების შესრულება-შეუსრულებლობისათვის ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ. ამ საქმეში კი სასამართლოს განაჩენიდან ჩანს, რომ მღერიე ლუდის აღმოჩენის ფაქტის შედეგად რ-ს არ მოელოდა მხილება რაიმე ისეთი დარღვევისა თუ უბრალო გადაცდომის ჩადენაში, რასაც შეიძლებოდა მისი პასუხისმგებლობა მოჰყოლოდა და, მაშასადამე, რ-ს არა ჰქონდა ინტერესი და საბაბი ცდილიყო, რომ მ-ს შეესრულებინა ან არ შეესრულებინა რაიმე სამსახურებრივი მოქმედება მის სასარგებლოდ...“<sup>1</sup>.

ნათელია, ქრთამის მიმცემი გულგრილად არ ეკიდება იმას, რის გამოც იგი „გასამრჯელოს“ იძლევა. ქრთამის მიმცემი

<sup>1</sup> «Сборник определений Уголовно-кассационной коллегии Верховного Суда РСФСР 1924 г.», 1925, გვ. 54.

შეიძლება მოქმედებდეს როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის, ვთქვათ, ნათესავის, მეგობრის, ნაცნობის და ა. შ. ინტერესისათვის.

აღნიშნულის გამო კანონის მითითება, რომ სამსახურებრივი მოქმედება, რომლისთვისაც ქრთამია მიცემული, „ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ“ უნდა სრულდებოდეს, ქრთამის მიმცემის ვიწრო პიროვნულ ინტერესებს არ გულისხმობს.

სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქრთამის მიმცემი სხვა პირის ინტერესისათვის მოქმედებდა. მაგალითად, კრასნოდარის მხარის ლაბინსკაიას რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლომ რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის ძალით ქრთამის მიცემისათვის გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა კ-ს. კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული მისი ქმრისათვის სასჯელის შემსუბუქების მიზნით მან ქრთამი შესთავაზა მოსამართლეს<sup>1</sup>. ანდა ასეთი მაგალითი: ლენინგრადის საოლქო სასამართლოს განაჩენით დადგინდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში თავიანთი შეილები მოსაწყობად ბ-მ, ფ-მ და სხვა პირებმა ლენინგრადის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის მიმღები საგამოცდო კომისიის წევრს შ-ს ქრთამის სახით დიდი თანხა გადასცეს<sup>2</sup>.

ქრთამის მიმცემი შეიძლება იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის ყალბად გაგებული ინტერესებით ხელმძღვანელობდეს, რომელშიც იგი მუშაობს. თუმცა ამ შემთხვევაში „დამჯილდოებელს“ თავისი ვიწრო, პირადი ინტერესი კი არ ამოქმედებს, არამედ „საქმის ინტერესი“, იგი მაინც პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით ქრთამის მიცემისათვის.

აღნიშნული დებულება, რომელიც ამჟამად აღიარებულია როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიასა, ისე სასა-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 8, გვ. 34.

<sup>2</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1961, № 2, გვ. 1.



მართლო პრაქტიკაში, ერთ დროს სადავო საკითხს წარმოადგენდა. სასამართლო პრაქტიკაში არ იყო შემუშავებული ერთიანი აზრი იმის თაობაზე, ჩაითვლება თუ არა ქრთამის მიმცემად თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებისათვის და მათივე სახსრებით ცდილობს სხვა თანამდებობის პირს შეასრულებინოს შესაფერისი სამსახურებრივი მოქმედება. ასეთი ქმედობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას შეიმჩნეოდა ტენდენცია დაეკვალიფიცირებინათ იგი როგორც მხოლოდ თანამდებობის ბოროტად გამოყენება, უფრო მეტიც, ზოგან მხოლოდ დისციპლინური სახდელით იფარგლებოდნენ. ასეთი შეხედულება განსაკუთრებით გავრცელებული იყო უკრაინის სსრ სასამართლოების პრაქტიკაში. აღნიშნულ ქმედობას არ თვლიდნენ ქრთამის მიცემად და ზოგჯერ მის ჩამდენ პირს საერთოდ ათავისუფლებდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მეორე მხრივ, უცილობლად იყო ცნობილი, რომ აღნიშნულ პირობებში „გასამარჯელოს“ ამდებ პირს ქრთამის აღებისათვის უნდა ეგო პასუხი. ამგვარად, ერთი პირის მოქმედება ითვლებოდა ქრთამის აღებად ისე, რომ ქრთამის მიცემისათვის სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი არავინ არ იყო. ეს კი ეწინააღმდეგებოდა ორი აქტის — ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღების ორგანულ კავშირს.

ამ ფორმალურ-იურიდიულ მოსაზრებებთან ერთად არსებითია ისიც, რომ ქრთამის მიცემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ყალბად ჯაგებული ინტერესისათვის დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება. ყოველ შემთხვევაში ასეთი ქმედობა არანაკლებ საშიშია, ვიდრე მექრთამეობის სხვა შემთხვევები.

აღნიშნული ქმედობა არღვევს გეგმურ საწყისს, რომელიც საფუძველია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობისათვის. გარდა ამისა, ასეთი ქმედობის ჩამდენი პირი უპირატესობას აძლევს ვიწრო უწყებრივ ინტე-

რესებს, შედარებით საერთო სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ ინტერესებთან. მართებულია ნ. კუჩერიაეის მოსაზრება, რომ „ქმედობის არსი არ იცვლება იმისდამხედვით, თუ ვისი ინტერესებისათვის იძლევიან ქრთამს. ამისგან დამოუკიდებლად იგი არღვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ნორმალურ მუშაობას, შეაქვს მასში დეზორგანიზაციისა და გახრწნის ელემენტები“<sup>1</sup>.

განსახილველ საკითხში სასამართლო პრაქტიკისათვის რომ სწორი მიმართულება მიეცა, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მიიღო სახელმძღვანელო დადგენილება.

რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის საფუძველზე კუიბიშევის სახელობის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალმა 1944 წლის 11 მაისის განაჩენით დამნაშავედ მიიჩნია ქ. კუიბიშევის ერთ-ერთი ქარხნის მუშათა მომარაგების განყოფილების აგენტი პ. პ-ს ბრალდებოდა, რომ მან ქრთამად მისცა ორი ლიტრი ზეთი სამანევრო დისპეტჩერს, რათა ამ უკანასკნელს მუშათა მომარაგების სახელზე მოსული ორი ცისტერნის დაცლა დაეჩქარებინა.

სსრ კავშირის პროკურორი წარდგა პროტესტით ამ საქმის გამო, რადგან თვლიდა, რომ პ-ს მოქმედება, რაკი იგი პირადი ინტერესით არ იყო გამოწვეული, არამედ მუშათა მომარაგების განყოფილების ინტერესებით, არ შეიძლებოდა დაკვალიფიცირებულიყო როგორც ქრთამის მიცემა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1944 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით უარყო სსრ კავშირის პროკურორის პროტესტი პ-ს საქმის გამო და მოგვცა შემდეგი ზოგადი ხასიათის განმარტება: „როდესაც კანონი ქრთამის აღების ერთ-ერთ ნიშნად ითვალისწინებს, რომ ეს დანაშაული შეპირობებული უნდა იყოს ქრთამის მიწოდების სასარგებლოდ ქრთამის ამღების მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება-შეუსრულებლობით, იგი არ მიუთითებს, რომ ამ

<sup>1</sup> იხ. Н. П. Кучерявым, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 78—79.

შემთხვევაში ნაგულისხმევია პირველის პირადი ინტერესები. პროკურორის განმარტება კანონში მიუთითებელი შეზღუდვის შემოტანით ავიწროებს კანონის შეფარდების ფარგლებს. რამდენადაც კანონი არ ლაპარაკობს ქრთამის მიმცემის ინტერესებზე, ამდენად უნდა ვცნოთ, რომ მექრთამეობას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც მოქმედება ან უმოქმედობა შესრულდა ან უნდა შესრულებულიყო როგორც ქრთამის მიმცემის ინტერესისათვის, ისე იმ პირისა თუ დაწესებულების ინტერესისათვის, რომელსაც იგი იცავდა. უკანასკნელ შემთხვევაში ამ ინტერესის დაცვის თვით ფაქტი და საშუალება გულისხმობს ქრთამის მიმცემის დაინტერესებას (თუმცა არა ანგარებითსა და არა ვიწრო პიროვნულ მოტივს) ქრთამით დაპირობებულ მოქმედებასა ან უმოქმედობაში. ამიტომ ქრთამი აქაც ჩათვლილი უნდა იქნას მიცემულად ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის<sup>1</sup>.

სასამართლოები ყოველთვის როდი იცავენ ამ განმარტებას.

პ-ის ბრალად ედებოდა, რომ მან, კოლმეურნეთაგან კარტოფილს შესასყიდალად ქ. ვინიცაში მივიღინებულმა, შეიძინა 30.648 კგ კარტოფილი, ბუხპალტერიაში ანგარიშის გასასწორებლად წარადგინა ფიქტიური, ფასგადიდებული ცნობები და ამ გზით 11.461 მანეთი მიითვისა.

აზოვ-დონის აუზის სახაზო სასამართლომ, რომელმაც ეს საქმე განიხილა, ცნო, რომ პ-ის ფულის მითვისებაში წარდგინილი ბრალდება დასაბუთებული არ იყო და გაამართლა იგი. თავის განაჩენს სასამართლო იმით ასაბუთებდა, რომ აღნიშნული თანხა პ-მ დახარჯა ავტოგადაბმის შეკეთებასა და უკანონო-გასამრჯელოში, რომელსაც აძლევდა რკინიგზის ზოგ აგენტს, რათა კარტოფილიანი ვაგონის მოძრაობა დაჩქარებულიყო.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წყლის ტრანსპორტის კოლეგიამ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართ-

<sup>1</sup> «Сборник постановлений Пленума и определенной коллегий Верховного Суда СССР 1944 г.», 1948, გვ. 20.

ლოს განაჩენი პ-ს საქმის გამო. კოლეგია არ დაეთანხმა სახაზო სასამართლოს, რომელმაც სარწმუნოდ მიიღო პ-ს ჩვენება სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაკთათვის ქრთამის მიცემის თაობაზე და ამავე დროს შეცდომით გამამართლებელ გარემოებად ჩათვალა ის, რომ ქრთამი მიცემული იყო პ-ს მარწმუნებელი ორგანიზაციის ინტერესებისათვის კარტოფილიანი ვაგონის მოძრაობის დასაჩქარებლად. ნამდვილად კი, კოლეგიის აზრით, სასამართლოს საქმე გამოსაძიებლად უნდა დაებრუნებინა, რათა გამოძიების ორგანოებს, თუკი პ-ს მიერ ქრთამის მიცემა დადასტურდებოდა, მიეცათ იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში ტრანსპორტის იმ მუშაკებთან ერთად, რომელთაც ქრთამი აიღეს<sup>1</sup>.

პრაქტიკის ასეთი შერყეობის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 24 ივნისის ამჟამად ძალადაკარგულ დადგენილებაში „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ საგანგებოდ იყო აღნიშნული: „სასამართლოები ზოგჯერ უმსუბუქებენ სასჯელს ქრთამის მიმცემ თანამდებობის პირებს, რომლებიც ყალბად ფიქრობდნენ, თითქოს ქრთამის მიცემა აუცილებელია სამსახურებრივი ინტერესებისათვის. ამასთანავე სასამართლოები ვერ აფასებენ ასეთი დანაშაულის მავნე და საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს“<sup>2</sup>.

აღნიშნულ გარემოებებში როგორც ქრთამის მიმცემი, ისე ქრთამის ამღები თანამდებობის პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ასეთი ადამიანები არა მარტო მექრთამეობას ჩადიან, არამედ სოციალისტურ ქონებასაც იტაცებენ. ამ საკითხს საგულდაგულოდ ეწევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილება „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 6, გვ. 37.

<sup>2</sup> «Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1957 гг.», 1958, гв. 23.

დადგენილებაში დაზუსტებულია საკითხი იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყალბად გაგებული ინტერესისათვის ლამობს სხვა თანამდებობის პირს შესაფერისი სამსახურებრივი მოქმედება ჩააღვინოს. სახელდობრ, საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელები, რომლებიც ავალებენ სხვა პირებს, მათ შორის თავიანთ ხელქვეითებს, ქრთამის მიცემით შეძლონ ხელსაყრელი სამსახურებრივი მოქმედების განხორციელება, პასუხს აგებენ როგორც ქრთამის მიცემის ორგანიზატორები. ის პირი, რომელიც მოხსენიებულ ხელმძღვანელთა დავალებით უთანხმდება თანამდებობის პირს ამ უკანასკნელის მიერ ამა თუ იმ მოქმედების შესრულების შესახებ და გადასცემს ქრთამს, ჩაითვლება ქრთამის მიმცემად. ამასთან დადგენილებაში მითითებულია, რომ თუ ასეთი პირის მოქმედება დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელების მითითებით მხოლოდ ქრთამის გადაცემით ამოიწურება, მაშინ იგი მექრთამეობაში შეუამავლად მიიჩნევა, ხოლო საწარმოს და დაწესებულების ხელმძღვანელის მოქმედებაში, რაც ქრთამის ამღებთან შეთანხმებაში გამოიხატა, ქრთამის მიცემის ნიშნები გვექნება<sup>1</sup>.

პლენუმის დადგენილებიდან ჩანს, რომ დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელები ქრთამის მიმცემად მაშინ ჩაითვლებიან, როდესაც ისინი თვითონვე აწარმოებენ წინასწარ მოლაპარაკებას ქრთამის ამღებთან, აზუსტებენ და ათანხმებენ ქრთამის რაოდენობას, ქრთამისათვის შესასრულებელი სამსახურებრივი მოქმედების ხასიათს და ა. შ. მექრთამეობის ორგანიზატორებად ისინი მაშინ გვევლინებიან, როდესაც მათი მოქმედება გამოიხატება სხვა პირისათვის სახსრე-

---

<sup>1</sup> იხ. «Биоллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 11. საკითხი მექრთამეობასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულის და, კერძოდ, სოციალისტური ქონების დატაცებისათვის მექრთამეობის ორგანიზატორის, ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების პასუხისმგებლობის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის მეხუთე თავის პირველ პარაგრაფში.

შის გამოყოფისა და შესაფერისი დავალების მიცემაში, რათა ამ უკანასკნელმა მიაღწიოს სასურველი მოქმედების შესრულებას.

#### § 4. შაქრთაფაქრიის სუბიექტები

ქრთამის მიცემა-აღების დანაშაული გულისხმობს სულ მცირე ორ პირს — ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს. თითოეული ეს სუბიექტი სხვადასხვა მოქმედებას ასრულებს. სწორედ ამაში გამოიხატება მექრთამეობის ერთ-ერთი თავისებურება. მისი სხვა თავისებურება ის არის, რომ თავიანთი იურიდიული თვისებებით ეს პირები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაშინ როდესაც ქრთამის მიმცემი შეიძლება იყოს ყოველი ადამიანი, რომელსაც უნარი აქვს პასუხი აგოს სისხლისსამართლებრივი წესით, ქრთამის ამღები შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი.

1. განსხვავება ქრთამის მიცემა-აღების დანაშაულის სუბიექტების თვისებებში თვით ამ დანაშაულის რთული ბუნებით არის შეპირობებული. მატერიალურ ღირებულებათა გადაცემა ან ქონებრივი გამორჩენით სარგებლობა, რაც მექრთამეობის არსს წარმოადგენს, დაკავშირებულია, სამსახურებრივ მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან. იმ ქმედობის განხორციელება, რომლისთვისაც ქრთამის მიმცემი იღწვის, მხოლოდ თანამდებობის პირს შეუძლია. ამიტომ გასაგებია, რომ ქრთამის აღების სუბიექტი მხოლოდ თანამდებობის პირია. სხვისი სამსახურებრივი ქმედობით დაინტერესება კი რაიმე განსაკუთრებულ თვისებებს არ მოითხოვს და ასეთი შეიძლება იყოს ყოველი პირი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლში ქრთამის აღების ნიშნების განსაზღვრისას პირდაპირ აღნიშნულია, რომ ამ ქმედობის სუბიექტი თანამდებობის პირია.

როგორც ცნობილია, ქრთამის აღების ნიშნები ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული

ნაწილის იმ თავში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვადასხვა თანამდებობრივი დანაშაულისათვის (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეტება, დაუდევრობა და ა. შ.). ამ დანაშაულთა ამსრულებელი სუბიექტი მხოლოდ თანამდებობის პირია.

იურიდიულ ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმის შესახებ, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს თანამდებობის პირად<sup>1</sup>. მაგრამ ამ საკითხში გარკვეულობა და სიცხადე შეაქვს თვითონ სისხლის სამართლის კანონში თანამდებობის პირის ცნების განსაზღვრებას. კერძოდ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია სპეციალური ნორმა (მუხ. 185), რომელიც ამ საკითხისადმი მიძღვნილი.

185-ე მუხლის შესაბამისად „თანამდებობის პირებად ითვლებიან ის პირები, რომლებიც მუდმივად ან დროებით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშვნით ან არჩევით და აგრეთვე ცალკეული დავალების ძალით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში ასრულებენ მოვალეობებს, დაკავშირებულს სახელმწიფო ხელისუფლების აქტების, ან განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციული ან სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებასთან“.

მოტანილი განსაზღვრებიდან ნათელია, რომ თანამდებო-

---

<sup>1</sup> იხ. ამ საკითხზე, А. А. Жижиленко, Должностные (служебные) преступления. Практический комментарий, изд. третье, М., 1927, гл. 6; А. Н. Трайнин, Должностные и хозяйственные преступления, М., 1938, гл. 11—12; Б. С. Утевский, Общее учение о должностных преступлениях, М., Юриздат, 1948, гл. 374, 384, 391 и т. д.; Т. Р. Смолицкий, Должностные преступления, М., Юриздат, 1947, гл. 5; В. Ф. Киряченко, Ответственность за должностные преступления по советскому уголовному праву, Изд-во АН СССР, М., 1956, гл. 32 და ა. შ.

ბის პირებად შეიძლება ჩაითვალოს როგორც სახელმწიფო; ისე საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა ან ორგანიზაციათა მოსამსახურენი. ეს ბუნებრივიცაა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოწოდებული არიან ემსახურონ ერთ საერთო მიზანს — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, საერთოსახელმწიფოებრივი ამოცანების შესრულებას. მაშასადამე, იმ ორგანიზაციების მოსამსახურენი, რომლებიც ასეთ მიზანს არ ისახავენ და ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენენ, არ შეიძლება თანამდებობის პირებად ჩაითვალოს. ასეთია, მაგალითად, ეკლესიის მსახურნი.

კანონის ძალით, თანამდებობის პირებად შეიძლება ვცნოთ ის პირები, რომლებიც სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მუდმივად ან დროებით მუშაობენ. თანამდებობის პირად დროებითი მუშაობა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ: ა) ესა თუ ის ორგანიზაცია შექმნილი იყო განსაზღვრული დროისათვის. ასეთი ორგანიზაცია თავის არსებობას შეწყვეტს მასზე დაკისრებული ამოცანის შესრულების შემდეგ. ასეთია, მაგალითად, ბავშვთა ზოგიერთი გამაჯანსაღებელი და აღმზრდელითი დაწესებულება (პიონერთა ბანაკი, სხვადასხვა ექსპედიცია და ა. შ.); ბ) ორგანიზაცია შეიძლება მუდმივად იყოს შექმნილი, მაგრამ მისი თანამშრომელი დროებით ასრულებდეს ამა თუ იმ თანამდებობის პირის ფუნქციებს. თანამდებობის პირად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც დროებით მოწვეულია მიმღები საგამოცდო კომისიის წევრად უმაღლეს სასწავლებელში. ასე მაგალითად, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ დაეთანხმა საკასაციო საჩივარს, რომელიც შეიცავს მტკიცებას, თითქოს ჩ. არ შეიძლება თანამდებობის პირად ჩაითვალოს და ამის გამო არც პასუხი უნდა აგოს ქრთამის აღებისათვის. კოლეგიის თვალსაზრისით, ის გარემოება, რომ ჩ. ჩარიცხული არ იყო ლენინგრადის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის შტატში და დროებით მუშაობდა მისაღებ საგამოცდო



კომისიაში, არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ჩ. არ ჩაითვალოს თანამდებობის პირად<sup>1</sup>.

სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპის შესაბამისად მრავალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო არჩევნების გზით ყალიბდება. ამ ორგანოების მუშაები საპასუხისმგებლო და მეტად მნიშვნელოვან ფუნქციებს ასრულებენ. ასეთი მუშაები, თავისთავად ცხადია, თანამდებობის პირებად ითვლებიან. ასევე მნიშვნელობა არა აქვს იმას, ესა თუ ის პირი დებულებას ხელფასს, თუ უსასყიდლოდ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას. მაგალითად, სახალხო მსაჯული თანამდებობის პირია, თუმცა იგი მართლმსაჯულების განხორციელებაში არჩევით, დროებით და უსასყიდლოდ მონაწილეობს.

185-ე მუხლის შესაბამისად თანამდებობის პირად შეიძლება ვცნოთ ის პირებიც, რომლებიც შესაფერიანი ორგანიზაციების მითითებით ცალკეულ დაეალებებს ასრულებენ. ასე მაგალითად, თანამდებობის პირად ჩაითვლება კოლმეურნე, რომელსაც კოლმეურნეობის გამგეობა ანდობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღებას სხვა ქალაქში.

მაგრამ ჩვენს მიერ მითითებული ნიშნები (მუდმივი ან დროებითი სამუშაო, ხელფასიანი ან უხელფასო, დანიშვნითი ან არჩევითი თანამდებობა) თავისთავად როდი წყვეტენ საკითხს თანამდებობის პირად ცნობის შესახებ.

აქ არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ფუნქციების ხასიათს, დანიშნულებას, რომელსაც ესა თუ ის მოსამსახურე ასრულებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლში უპირველეს ყოვლისა მითითებულია ისეთ სამსახურებრივ მოვალეობაზე, რომლის შესრულებაც დაკავშირებულია სახელმწიფო ხელისუფლების აქტების განხორციელებასთან. ასეთ მოვალეობას ახორციელებენ ის მუშაებიც, რომ-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1961, № 2, გვ. 11—

ლებიც ხელისუფლების წარმომადგენლებად ითვლებიან (წმრომელთა დეპუტატების საბჭოების წევრები და წევრები, მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები, სასამართლო აღმასრულებლები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ოპერატიულ-სამწყობრო შემადგენლობის, მილიციის, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, სანიტარული, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და სხვ. ინსპექციის მუშაკები და ა. შ.).

გარდა სახელმწიფო ხელისუფლების აქტების განხორციელებისა, კანონში მითითებულია განმკარგულებელ, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციულ ან სხვა ამგვარ ფუნქციებზე. მაშასადამე, თანამდებობის პირად ჩაითვლება ის, რომელიც ერთ-ერთ ამ ფუნქციას ასრულებს. ეს გასაგებიცაა. მხოლოდ ის, ვინც აღქურვილია განსაზღვრული უფლებამოსილებითა და მოვალეობებით, რომელთა განხორციელებაზეც დაპოკიდებულია მთლიანად სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ან მისი შემადგენელი ნაწილის გეგმაზომიერი, გამართული, ე. ი. ნორმალური მუშაობა, წარმოდგენს თანამდებობის პირს. სწორედ ასეთი პირი შეიძლება ვცნოთ თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტად. მხოლოდ ასეთ პირს ძალუძს თავისი უკანონო მოქმედებით ან უმოქმედობით საფრთხე შეუქმნას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტს, რომელიც, როგორც ითქვა, მექრთამეობის უშუალო ობიექტს წარმოდგენს. ამიტომ უმართებულო იქნებოდა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ყველა მოსამსახურე თანამდებობის პირად მიგვეჩნია.

აღნიშნულის გამო საჭიროა შემოვფარგლოთ იმ პირთა წრე, რომლებიც თუმცა დაწესებულებაში, საწარმოში ან ორგანიზაციაში მუშაობენ, მაგრამ რომელთა საქმიანობა მხოლოდ საწარმოო, მატერიალურ-ტექნიკურ პროფესიულ და ა. შ. ხასიათს ატარებს, ე. ი. მოკლებულია განმკარგულებელ,

ორგანიზატორულ-სამეურნეო, ადმინისტრაციულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვ. ელემენტებს. ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, თანამდებობის პირად არ უნდა ჩაითვალოს ის მოსამსახურე, რომელიც წარმოებაში უშუალოდ თავისი შრომით მონაწილეობს და რომლის საქმიანობაც არ ატარებს ოპერატიულ-განმკარგულებელი ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო ფუნქციების ხასიათს. კერძოდ, საწარმოს მუშა ან რიგითი კოლმეურნე თანამდებობის პირებად არ ითვლებიან. ამიტომ მათ სასამართლო პრაქტიკაში ქრთამის ამღებ სუბიექტებად არ ცნობენ. ასე მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1944 წლის 22 თებერვლის განჩინებაში ს-ს საქმეზე მიუთითა, რომ საქონლის მომვლელი არ ჩაითვლება თანამდებობის პირად და ამიტომ არ შეიძლება პასუხი აგოს თანამდებობრივი დანაშაულისათვის<sup>1</sup>. მაგრამ ის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს წარმოებას, მონაწილეობს მის ორგანიზაციაში, უქირავს, თუნდაც დროებით, ისეთი თანამდებობა, რომელთანაც დაკავშირებულია რაიმე განმკარგულებელი, ადმინისტრაციული ან სხვა მსგავსი ფუნქციების შესრულება, თანამდებობის პირად მიიჩნევა; ოსტატი სახელმწიფო საწარმოში ან კოლმეურნეობაში ბრიგადირი, რომლებიც მონაწილეობენ წარმოების ორგანიზაციაში, თანამდებობის პირები არიან.

თანამდებობის პირებად არ ითვლებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, საწარმოს ან ორგანიზაციის მოსამსახურენი, რომელთა საქმიანობაც მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა (მემანქანე, შიკრიკი, დამლაგებელი, მატარებლის გამცილებელი და ა. შ.)

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს სხვა შეხედულებაც, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაკები დაეყოთ უბრალო მუშაკებად და თანამდებობის პირებად და ამისდა მიხედვით დავა-

<sup>1</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда Союза ССР 1944 г.», М., Юриздат, 1948, გვ. 82—83.

წესით პასუხისმგებლობა სამსახურებრივი დარღვევებისათვის. ასეთი შეხედულებისაა კერძოდ პროფ. ბ. უტევსკი, რომელიც ფიქრობს, რომ შემანქანესაც, დამლაგებელსაც, შიკრიკსაც და ა. შ. შეუძლიათ ჩაიდინონ ისეთი საზოგადოებრივად საშიში მოქმედება, რომელიც თანამდებობრივ დანაშაულად დაკვალიფიცირდებოდა<sup>1</sup>. მაგრამ ამ შეხედულებას საბჭოთა კრიმინალისტების უმრავლესობა არ ეთანხმება. მათი ფიქრით, იმ პირთა წრის გაფართოების ცდა, რომლებმაც შეიძლება პასუხი აგონ თანამდებობრივი დანაშაულისათვის, ეწინააღმდეგება ამ დანაშაულის ბუნებას. ასეთ პირებს არ ეკისრებათ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აპარატის ფუნქციების შესრულება, ამიტომ მათ შეუძლებელია სისხლის სამართლის წესით პასუხი ვაგებინოთ იმის შეუსრულებლობისა ან ჯეროვანი შეუსრულებლობისათვის, რაც მათზე დამოკიდებული არ იყო.

თანამდებობის პირი არ არის და ამიტომ არც ქრთამის აძლებ სუბიექტად ჩაითვლება ის მუშაი, რომელიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას ეწევა ანდა წმინდა პროფესიულ ფუნქციებს ასრულებს (პარიკმახერი, ატელიეს მკერავი, რესტორნის ოფიციანტი და ა. შ.). ზოგჯერ იგი იღებს „გასამრჯელოს“ იმ მოქალაქეთაგან, ვისაც მომსახურება გაუწია, მაგრამ ეს „გასამრჯელო“ დაკავშირებულია ისეთ საქმიანობასთან, რომელიც არ შეიცავს არაერთარ განმკარგულებელ ან აღმინისტრაციულ ელემენტს. მას აძლევენ ფულს იმიტომ კი არა, რომ რაიმე სამსახურებრივი მოქმედება შეასრულებინონ, არამედ მადლობის ნიშნად გაწეული მომსახურებისათვის ანდა პროფესიული მოვალეობის შესრულებისათვის. რა თქმა უნდა, არც ამგვარი „ჯილდოს“ მიცემა-აღება ეგუება სოციალისტური თანაცხოვრების წესებს: მასში შეღავნდება ზნე-ჩვეულება, რომელიც დამახასიათებელია იმათთვის, ვისაც ჯერ კიდევ ვერ დაულწევია თავი კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისაგან. ამიტომ სავსებით გამართლებულია, რომ ასეთი პირების მიმართ გამოვი-

<sup>1</sup> იხ. Б. С. Утевский, Общее учение о должностных преступлениях, М., Юриздат, 1948, გვ. 384—385.

ყენოთ დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო მთელი რიგი პრინციპული ხასიათის დადგენილება და განჩინება, რომელშიც გარკვეულია, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს თანამდებობის პირად და, მაშასადამე, სათანადო შემთხვევებში ქრთამის ამლებ სუბიექტად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1944 წლის 22 ივნისის დადგენილებაში უარყო თანამდებობრივი დანაშაულის ნიშნები ა-ს მოქმედებაში იმ მოსაზრებით, რომ მუშა-ელექტრომონტიორი ა. არ შეიძლება განვიხილოთ როგორც თანამდებობის პირი, „რომელიც უნდა იყოს რაიმე ადმინისტრაციულ, სამეურნეო თუ ოპერატიულ-განმკარგულებელ ფუნქციათა შემსრულებელი“<sup>1</sup>.

პლენუმის ამ დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1944 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მოსპო საქმე, რომლითაც ბაზრების სამმართველოს მუშა-ყასბებს ბრალი ედებოდათ იმაში, რომ ბაზრად მოტანილი ხორცის დაქრაში გაწეული სამსახურისათვის კოლმეურნეთაგან ფული და ხორცი მიიღეს. „როგორც თვითონ განაჩენიდან ჩანს, — ნათქვამია განჩინებაში, — სასამართლოს უსაფუძვლოდ გამოუყენებია მსჯავრდებულთა მიმართ რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან ქრთამის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი, ხოლო მსჯავრდებული მუშა-ყასბები თანამდებობის პირები არ არიან“<sup>2</sup>.

სწორედ ასევე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო-სარკინიგზო კოლეგიამ არ მიიჩნია ქრთამის აღების ნიშნები ბ-ის მოქმედებაში, რომელიც სადგურ მიჩურანაკის მზიდავი იყო, ე. ი. თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით

<sup>1</sup> «Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1944 г.», 1948, гв. 16—17.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 99.

თანამდებობის პირს არ წარმოადგენდა. 1944 წლის 15 აპრილს ბ-მ შეუძინა მგზავრ პ-ს სადგურის სალაროში სამგზავრო ბილეთი, რისთვისაც მიიღო მისგან 100 მანეთი, 1944 წლის 8 ივნისს კი მგზავრ ა-ს გამოართვა 300 მანეთი მისი ბილეთის კომპოსტირებაში<sup>1</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში „მექრთავეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ ერთხელ კიდევ კატეგორიულად არის მითითებული, რომ „...კანონის თანახმად ქრთამის აღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ თანამდებობის პირს“<sup>2</sup>. ამასთან პლენუმის დადგენილებაში განმარტებულია, რომ ის მუშაკი, რომელიც თანამდებობის პირი არ არის და ეწევა მოქალაქეთაგან გასამრჯელოს აღებას იმ მომსახურებისათვის, რაც დაკავშირებულია მის საწარმოო საქმიანობასთან, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მხოლოდ მაშინ მიეცემა, უკეთუ მისი მოქმედება შეიცავს რაიმე არათანამდებობრივი დანაშაულის ნიშნებს. მაგალითის სახით პლენუმის დადგენილებაში დასახელებულია მატარებლის გამცილებელის მიერ უპილეთო მგზავრებისათვის ფულის გამორთმევა. პლენუმს მიაჩნია, რომ ასეთი შემთხვევები უნდა დაკვალიფიცირდეს იმ მუხლით, რომელიც ითვალისწინებს გატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღებას მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით (ამ დანაშაულს ითვალისწინებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლი)<sup>3</sup>.

2. საგანგებოდ უნდა შევეხოთ საკითხს: შეიძლება თუ არა თანამდებობის პირად ჩავთვალოთ სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი, აგრეთვე საავადმყოფოს.

---

<sup>1</sup> «Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда СССР 1944 г.», 1948, გვ. 99.

<sup>2</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 11.

<sup>3</sup> იქვე.

პოლიკლინიკის და ა. შ. ექიმი. თუ ისინი თანამდებობის პირებია, მაშინ მათ თავიანთ პედაგოგიურ ან საექიმო საქმიანობასთან დაკავშირებით უკანონო გასამრჯელოს მიღების შემთხვევაში პასუხი უნდა აგონ ქრთამის აღებისათვის. ეს საკითხი პრაქტიკაშიც ერთგვარ სიძნელეს წარმოშობს.

უპირველეს ყოვლისა, ექვს არ ბადებს, რომ სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე, უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის თანაშრომელი, ინსტიტუტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე და ა. შ., აგრეთვე საავადმყოფოსა და პოლიკლინიკის მთავარი ექიმი, ამბულატორიის გამგე თანამდებობის პირებია. ისინი პროფესიული ფუნქციების გარდა, ასრულებენ რიგ მნიშვნელოვან განმკარგულებელ, ორგანიზაციულ-სამეურნეო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს. მაგრამ სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის რიგითი მასწავლებელიც უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობას ახორციელებს. ამის გამო იგი კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში აღქურცილი არის რიგი უფლება-მოვალეობით და დისციპლინური ხელისუფლებითაც კი. ასევე, საავადმყოფოს, პოლიკლინიკის, ამბულატორიის მკურნალი ექიმი ჯანბრუნობის დარგში სოციალურ-კულტურული ხასიათის საქმიანობასთან დაკავშირებით სარგებლობს განსაზღვრული უფლებებით და ასრულებს განსაზღვრულ მოვალეობებს. მართალია, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლში, რომელიც თანამდებობის პირის ცნების განსაზღვრებას შეიცავს, მითითებული არაა არც კულტურულ-აღმზრდელობით, არც სოციალურ-კულტურულ ფუნქციებზე, რომლებსაც მასწავლებელი და ექიმი ასრულებს, მაგრამ ამ მუხლში ფუნქციები სანიმუშოდ და არა ამომწურავად არის ჩამოთვლილი. კერძოდ, გარდა ზუსტად მითითებული ფუნქციებისა, კანონში მოხსენიებულია „სხვა ამგვარი ფუნქციები“. სხვა ფუნქციებში სახელდობრ იგულისხმება კულტურულ-აღმზრდელობითი და სოციალურ-კულტურული ფუნქციებიც, რომლებიც თავიანთი სახელმწიფო და საზოგადოებ-

რივი მნიშვნელობით არაფრით ჩამოუვარდებიან კანონში პირდაპირ მითითებულ ფუნქციებს.

აღნიშნული ამოცანების განხორციელებისას სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი, იე როგორც ექიმი, ასრულებს მოქმედებათა კომპლექსს, რასაც სხვა პირებისათვის მოაქვს განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები. ეს კი ერთ-ერთი არსებითი ნიშანია, რომლითაც თანამდებობის პირი სხვა პირისაგან განსხვავდება. მასწავლებელი მონაწილეობს ატესტატის, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის გაცემაში, მოსწავლის ერთი კლასიდან მეორეში გადაყვანის საკითხის გადაწყვეტაში, მონაწილეობს უმაღლესი სასწავლებლის მისაღები გამოცდების კომისიაში, ისეთი ცნობის გაცემაში, რომელიც ათავისუფლებს მოსწავლეს ამათუ იმ მოვალეობის შესრულებისაგან ან ანიჭებს მას განსაზღვრულ უფლებას და ა. შ. თავის მხრივ ექიმში უფლებამოსილია გასცეს სულ სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტები (ბიულეტენი ავადმყოფობის შესახებ, რომლის საფუძველზეც პირს სოცდაზღვევის ხაზით ენიშნება დახმარება, ცნობა პენსიის დასანიშნავად, სამხედრო სამსახურის ან სხვაგვარი მოვალეობის შესრულებისათვის ვარგისიანობის შესახებ და ა. შ.).

თავისთავად ცხადია, რომ თუ აღნიშნულ მოქმედებებთან დაკავშირებით სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი, ან მკურნალი ექიმში ღებულობს უკანონო გასამრჯელოს, მაშინ მათ პასუხი უნდა აგონ ქრთამის აღებისათვის.

მაგალითად, ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ან მისი დამთავრების ან კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდების დროს უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი აშკარად უმატებს საგნის ჩამბარებელს ნიშანს, რისთვისაც იგი ღებულობს „გასამრჯელოს“. ეს, ცხადია, ქრთამად უნდა ჩაითვალოს. მასწავლებლის ასეთი მოქმედება გარკვეულ იურიდიულ შედეგებს წარმოშობს ჩამბარებლისათვის (ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში, დაენიშნება სტიპენდია, გადაიდება სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა, გადაყვანილი იქნება



კურსიდან კურსზე და ა. შ.). ასევე, ქრთამის მოთხოვნად უნდა ჩავთვალოთ იმ უსინდისო ქირურგის ქცევა, რომელიც უარზეა გააკეთოს ოპერაცია, თუკი მას სათანადო „გასამრჯელოს“ არ მისცემენ. სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით ასეთი ქირურგი ემუქრება ავადმყოფს ან მის ახლობლებს, რომ არ გამოიყენებს თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას. გარდა ამისა, ამით იგი ართმევს ავადმყოფს კონსტიტუციით გარანტირებულ უფასო მკურნალობის უფლებას. ქრთამის ამღებად ცნობილი უნდა იქნას ის ექიმიც, რომელიც უკანონო გასამრჯელოსათვის უფრო უკეთეს პირობებს უქმნის ავადმყოფს (გამოუყოფს მას ცალკე პალატას, დაუნიშნავს ისეთ კვებას, რომელიც აუცილებელი არაა ავადმყოფის ჯანმრთელობისათვის, იყენებს იშვიათ სამკურნალო პრეპარატებს და ა. შ.) მაგალითად, სასამართლომ მართებულად ცნო მექრთამეობის ნიშნები ჯანკოის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგის ლ-ს მოქმედებაში. რადგან მას ბევრჯერ მიუღია „საჩუქრად“ ავადმყოფებრს ნათესავებისაგან ფული და სურსათ-სანოვაჟე მათი ახლობლებისათვის მოვლა-პატრონობისა და მკურნალობის უკეთესი პირობების შექმნის გამო<sup>1</sup>.

შეიძლება მოვითანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, როდესაც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის სწორად დაკვალიფიცირდა მასწავლებლის მოქმედება. ასე მაგალითად, ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წ. 27 დეკემბრის განაჩენით ქრთამის აღებისათვის მსჯავრდადებული იქნა რუჟული საშუალო სკოლის დირექტორი დ., რომელმაც სათანადო „გასამრჯელოსათვის“ მე-8, მე-9 და მე-10 კლასებშიც კი მიიღო ისეთი პირები, რომელთაც არ ქონდათ შვიდი კლასის დამთავრების ატესტატი, აგრეთვე გასცა საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატები. გარდა ამისა პედაგოგ კ-ს ქმედობა. რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი „გასამრჯელოსათვის“ მონაწილეობდა ყალბი ატესტატების გაცემასა და მოსწავლეთა უკა-

<sup>1</sup> იხ. «Социалистическая законность», 1953, № 5, გვ. 90.

ნონო ჩარიცხვაში, დაკვალიფიცირდა როგორც მექრთამეობაში შუაშავლობა და საინსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, თუმცა მის მოქმედებაში იყო ქრთამის აღების ნიშნები. მაგრამ ეს ამჯერად ჩვენ არ გვინტერესებს. არსებითია ის, რომ კ-ს საინსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის მსჯავრდებით სასამართლომ იგი თანამდებობის პირად ცნო. იმავე სკოლის პედაგოგები თ. ა. და გ., რომლებიც გამოცდებზე გამოუცხადებელ პირებსაც კი მაღალ ნიშნებს უწერდნენ, აგრეთვე ცნობილი იქნენ თანამდებობის პირებად და მსჯავრი დაედოთ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის (მათ მიერ ქრთამის აღების ფაქტი დამტკიცებული არ იყო.)

სხვა საქმეა, როდესაც მასწავლებელს სკოლა დამთავრებული საჩუქარს აძლევს მისი აღმზრდელიობითი მუშაობისათვის და ა. შ. იგივე ითქმის ექიმზე, როდესაც მისთვის საჩუქრის სახით გადაცემული ძვირფასი ნივთი წარმოადგენს მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობების გამოვლინებას მკურნალობისა და წარმატებით დამთავრებული ოპერაციისათვის. ასეთ შემთხვევაში საჩუქარი დაკავშირებულია არა სამსახურებრივ მოქმედებასთან, რომელიც სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, არამედ წმინდა პროფესიულ საქმიანობასთან. ამის გამო ასეთი გასამრჯელო არ შეიძლება ქრთამად ჩავთვალოთ.

მაგრამ სასამართლოები ყოველთვის არ ითვალისწინებენ ამ გარემოებას და ზოგჯერ მექრთამეობისათვის სჯიან ისეთ პირსაც, რომელიც საჩუქარს ღებულობს არა თავის თანამდებობრივ მდგომარეობასა და სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით, არამედ პროფესიულ-საწარმოო საქმიანობის გამო.

ხაბაროვსკის სამხარეო სასამართლოს განაჩენით რ., რომელიც საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ მუშაობდა, დამნაშავედ ცნეს სამედიცინო დახმარებისათვის ავადმყოფისაგან ქრთამის აღებაში. ხაბაროვსკის სამხარეო სასამართლომ თავის განაჩენს საფუძვლად ის დაუდო, რომ 1961 წ. და 1962 წ. დასაწყისში საავადმყოფოდან გაწერის

შემდეგ ბევრმა ავადმყოფმა ქირურგ რ.-ს ძღვნად მისცა ტორტი, კომფეტი, ხილი, ღვინო, ხოლო ავადმყოფმა პ.-მ მას აჩუქა 41 მანეთად ღირებული აქლემის ბეწვის საბანი. მსჯავრდებულმა კ.-სგან მიიღო შალის სვიტრი, დ.-სგან — ტორტი და მამაკაცის პერანგი, ხოლო ორი სხვა ავადმყოფისაგან — სხვადასხვა საჩუქარი.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1962 წ. 10 აპრილის დადგენილებით დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო უსწოროდ მიიჩნია რ.-ს მსჯავრდება<sup>1</sup> ქრთამის აღებისათვის. რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმება იმით დაასაბუთა, რომ ავადმყოფები რ.-ს საჩუქარს ძღვევდნენ საკუთარი ინიციატივით როგორც ექიმს მის მიერ აღმოჩენილი სამედიცინო დახმარებისათვის. რ., ნათქვამია დადგენილებაში, ავადმყოფებისაგან საჩუქარს იღებდა არა თანამდებობის პირის მოვალეობათა ასრულებისათვის, არამედ მომსახურებისათვის, რომელიც პროფესიულ საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. ამის გამო მსჯავრდებულის მოქმედება არ შეიძლება მიჩთვებოდეს ჩაითვალოს. საჩუქრების მიღებისათვის რ.-სადმი შეიძლება გამოყენებულიყო დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება<sup>1</sup>.

რასაკვირველია, არც ასეთი ჯილდოები უნდა იქნას წახალისებული, რადგან ისინი ერთგვარ საშიშროებას უქმნიან საბჭოთა ექიმისა და მასწავლებლის ავტორიტეტს. ექიმი და მასწავლებელი მოწოდებულია ყოველგვარი მადლობის მოლოდინის გარეშე კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი და პროფესიული მოვალეობა. ამიტომ მათ მიერ ავადმყოფებისაგან, მოსწავლეებისაგან და ა. შ. საჩუქრის მიღება მორალური თვალსაზრისით არ შეიძლება კეთილსასურველ მოვლენად ჩაითვალოს. ასეთი საქციელი, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი სისტემატურ ხასიათს ღებულობს, უდავოდ დაგმობილი უნდა იქნას დისციპლინური და საზო-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1963, № 8, стр. 6—7.

გადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით. მაგრამ მან არ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

დასასრულ, შეიძლება თუ არა ქრთამის ამღებად ჩავთვალოთ მოწმე, რომელიც მოსყიდვის გამო არააწორ ჩვენებას იძლევა ან საერთოდ არ ცხადდება სასამართლოში; ადვოკატი, რომელიც მოპირდაპირე მხარემ ზოისყიდა იმ მიზნით, რომ თავისი მარწმუნებლისათვის შეასრულოს ზიანის მომტანი მოქმედება; აგრეთვე ექსპერტი, თანამოწმე, რომლებიც „გასამრჯელოსათვის“ არაკეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში იყო ცდა აღნიშნული საკითხი დადებითად გადაეწყვიტათ. კერძოდ, პროფ. ნ. ღურმანოვი შესაძლებლად თვლიდა, რომ ზემოაღნიშნული პირები ჩაგვეთვალა ქრთამის აღების სუბიექტებად<sup>1</sup>. მართალია, ნ. ღურმანოვმა ამ საკითხის გადაწყვეტისას მიმართა ანალოგიას, რომელსაც ახალი საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა უკვე აღარ ითვალისწინებს. მაგრამ წინათ მოქმედი კანონმდებლობითაც, რომელიც ანალოგიას უშვებდა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა დაუსაბუთებელი იყო. ანალოგიას არ შეიძლება მივმართოთ ისეთ შემთხვევებზე, რომელნიც განგებ გამორიცხულია მოცემული კანონის მოქმედების სფეროდან. კერძოდ, არ შეიძლება ის მუხლი, რომელიც დანაშაულის სპეციალურ სუბიექტს ითვალისწინებს, ანალოგიით მივუყენოთ ისეთ ქმედობას, რომელიც ჩადენილია კანონით გათვალისწინებული თვისების არმქონე სუბიექტის მიერ.

ნ. ღურმანოვის მიერ შემოთავაზებული ასეთი კვალიფიკაცია არსებითადაც მიუღებელია. რასაკვირველია, მოწმე, ექსპერტი, ადვოკატი და ა. შ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვალეობებს ასრულებენ, მაგრამ მათ არ უკავიათ არაერთარი თანამდებობები სახელმწიფო და საზოგადოებრივ აპარატში. მაშასადამე, მათ არც შეუძლიათ შეუქმნან საფრთხე მექრთამეობის უშუალო ობი-

<sup>1</sup> იხ. Н. Д. Дурманов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 24.

ექტს — სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტს.

ის გარემოება, რომ „გასამრჯელოს“ ალების ასეთ შემთხვევებში არა გვაქვს ქრთამის ალების შემადგენლობა, არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი პასუხს არ აგებენ სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით. მაგალითად, თუ მოსყიდვის წყალობით გამოძიების დროს ან სასამართლოში მოწმე ცრუ ჩვენებას იძლევა ან თუ ექსპერტი ყალბ დასკვნას ადგენს, ხოლო თარჯიმანი შეგნებულად არასწორ თარგმანს აკეთებს, მათი მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ეს მუხლი ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად თვლის ამ დანაშაულთა ჩადენას ანგარების მიზნით). რაც შეეხება იმ პირს, რომელიც მოწმეს, ექსპერტს ან თარჯიმანს მოისყიდის, მან პასუხი უნდა აგოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200 მუხლით, რომელიც სპეციალურად ითვალისწინებს მოწმის, ექსპერტის ან თარჯიმანის მოსყიდვას (არა ჩვენების ან ცრუ დასკვნის მიცემაზე ან არასწორ თარგმანზე ანდა სასამართლო თუ საგანმომძიებლო ორგანოებში გამოუცხადებლობაზე მათი დაყოლიების მიზნით).

ისეთ შემთხვევებში, რომლებიც არ შეიცავენ სისხლის-სამართლებრივი ქმედობის ნიშნებს, შეიძლება გამოყენებულ იქნას დისციპლინური სახდელები და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები. ასე მაგალითად, ადვოკატი, რომელიც მოსყიდვის შედეგად პროფესიულ ვალს რალატობს და თავისი კლიენტის მოწინააღმდეგის მხარეს იჭერს, გააპარტახია დამცველთა კოლეგიიდან. რადგან მან საბჭოთა ადვოკატის მაღალი ღირსება არ გაამართლა.

## § 5. შიქრთაშვილის სუბიექტური მხარე

სოციალისტური სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, პასუხისმგებლობისათვის საჭიროა ბრალეული დამოკიდებულება ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობი-

სადმი? საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა.

ქრთამის მიცემა-აღების ნიშნების აღწერისას კანონში არაფერია ნათქვამი ამ დანაშაულის სუბიექტური მხარის შექანება, მითითებული არაა ბრალის იმ ფორმაზე, რომლითაც უნდა ხაზი დაიდებოდეს თითოეული ეს ქმედობა. მაგრამ მექრთამეობის ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება გაუფრთხილებლობით შეუძლებელია. ეს მომენტი განსაკუთრებით ნათლად ჩანს „ქრთამ-მოსყიდვის“ დროს. მოსყიდვა ყოველთვის გულისხმობს, რომ მხარეები შეგნებულად მოქმედებენ და მათი ნება ერთობლივად მიმართულია განსაზღვრული შედეგის მიღწევისაკენ. ერთი პირი მეორეს პირდება, რომ კონკრეტულად განსაზღვრული ქონებისა ან რაიმე ქონებრივი გამორჩენისათვის შეასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას ან თავს შეიკავებს კანონით დაკისრებული მოქმედებისაგან. ამგვარადვე, „ქრთამ-გასამრჯელოს“, რომელიც დაკავშირებულია თანამდებობის პირის მიერ წარსულში მოქმედების ჩადენასთან, როგორც ლოგიკურად, ისე ფსიქოლოგიურად შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს, უკეთუ მის მიმცემს არა აქვს განზრახვა „დააჯილდოოს“ თანამდებობის პირი, ხოლო ამ უკანასკნელს — მიიღოს ასეთი „ჯილდო“. ამრიგად, აღნიშნული დანაშაულის არსიდან გამომდინარეობს, რომ მექრთამეობაში მონაწილე მხარეები მოქმედებენ მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

1. მექრთამეობა, როგორც აღინიშნა. აუცილებლად ორ სუბიექტს გულისხმობს: ქრთამის მიმცემსა და ქრთამის აღებულს. ქვემოთ დახაზიანებული იქნება თვითეული ამ სუბიექტის განზრახვის შინაარსი.

ქრთამის მიმცემი, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს, რომ, ჯერ ერთი, „გასამრჯელოს“ აძლევს სწორედ თანამდებობის პირს და, მეორე, ამას აკეთებს კანონის მოთხოვნის დარღვევით. ამიტომ უკეთეს პირი შეცდომით ფიქრობს, რომ გასამრჯელო გადასცა არა თანამდებობის პირს, ან თუშცა იცის, რომ გასამრჯელო მიიღო თანამდებობის პირმა, მაგრამ ფიქრობს, რომ წას ასეთის აღების უფლება აქვს, მაშინ პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის იხსნება. ასეთ შემთხვევებში არ არსებობს დანაშაულის ჩადენის განზრახვა. შემდეგ, ქრთამის მიმცემი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მის მიერ გადაცემული „გასამრჯელო“ დაკავშირებულია თანამდებობის პირის სამსახურებრივ ქცევასთან, რომლითაც იგია დაინტერესებული („ქრთამი-მოსყიდვის“ დროს ქრთამის მიმცემი ითვალისწინებს იმასაც, რომ ქრთამი განაპირობებს თანამდებობის პირის ასეთ ქცევას). ამიტომ ქრთამის მიცემის განზრახვა გამორიცხებულია მაშინ, როდესაც ფულად ან სხვა ფასეულობა თანამდებობის პირს გადაეცემა სხვა მიზნებისათვის, დამოუკიდებლად იმისა, კანონიერია, თუ უკანონო ესინი. მაგალითად, თანამდებობის პირს ასაჩუქრებენ ფასიანი ნივთით იმ მიზნით, რომ მან თავისი თანამოსამსახურის შესახებ გააერცელოს ცილისწამებლური ხმები. ასეთ შემთხვევაში საჩუქრის მიმცემი პასუხს არ აგებს ქრთამისათვის, მაგრამ, ცხადია, იგი დაისჯება როგორც ცილისწამების წამქეზებელი.

განზრახვი ბრალისათვის, გარდა ინტელექტუალური მომენტისა, აუცილებელია ნებელობითი მომენტის არსებობაც. ამიტომ ქრთამის მიმცემს სურვილი უნდა ჰქონდეს თანამდებობის პირს გადასცეს ქრთამი.

ქრთამს მეტწილად იმისათვის იძლევიან, რათა მომავალში ქრთამის მიმცემმა რაიმეს მიაღწიოს. ამის გამო ქრთამის მიმცემს არა მარტო შეგნებული უნდა ჰქონდეს, არამედ აგრეთვე უნდა სურდეს თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოქმედების შესრულება ან შეუსრულებლობა, რითაც იგი არის დაინტერესებული. მართალია, ამ ქმედობის

ქრთამის მიცემად კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირს სწორად აქვს თუ არა წარმოდგენილი იმ სამსახურებრივი მოქმედების თვისებები და მნიშვნელობა, რომელთან დაკავშირებითაც იგი ქრთამს იძლევა. მაგრამ ამ გარემოებებს ანგარიში უნდა გაეწიოს პასუხისმგებლობის მოცულობისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას. შეუძლებელია ერთნაირად დავსაჯოთ პირი, რომელიც ცდილობს ქრთამის მიცემით თანამდებობის პირს კანონიერი მოქმედება შეასრულებინოს და ის პირი, რომელიც ლამობს თანამდებობის პირს უკანონო, და მით უმეტეს, დანაშაულებრივი მოქმედება ჩაადენინოს.

სხვადასხვაა ამ პირთა ბრალის ხარისხი და, მაშასადამე, სხვადასხვა უნდა იყოს მათი პასუხისმგებლობის მოცულობაც. უკეთესი პირი ქრთამის მიცემით ცდილობს თანამდებობის პირს დანაშაულებრივი მოქმედება ჩაადენინოს, მაშინ მისი განზრახვა მიმართულია ამ დანაშაულის ჩადენისკენაც. მას სურს მოსყიდვის გზით დაიყოლიოს თანამდებობის პირი დანაშაულის ჩადენისათვის. ამიტომ ასეთმა პირმა პასუხი უნდა აგოს არა მარტო ქრთამის მიცემისათვის, არამედ თანამონაწილეობისათვის (წამქეზებლობისათვის) იმ დანაშაულში, რომელიც თანამდებობის პირმა ჩაიდინა.

კანონში მითითებული არ არის ქრთამის მიცემის მოტივებზე. ამიტომ ეს მოტივები ამ დანაშაულის შემადგენლობის გარეთაა და, მაშასადამე, მათ მნიშვნელობა არა აქვთ პასუხისმგებლობის არსებობის საკითხისათვის. მაგრამ სასამართლომ სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს ის მოტივი, რამაც უბიძგა პირს ქრთამი მიეცა, და ის საბოლოო მიზანი, რომლის განხორციელებასაც იგი ლამობდა.

2. ქრთამის მიმცემის მსგავსად, ქრთამის ამღებიც პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. ქრთამის ამღებიც უნდა ითვალისწინებდეს მოცემული ქმედობისათვის დამახასიათებელი ეტიკური ნიშნებს. მას შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ღებულობს ქონებას ან ქონებრივ სარგებელს წარსულში ან მომავლისათვის იმ სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავში-



რებით, რომლითაც ქრთამის მიმცემია დაინტერესებული. ამის გამო ქრთამის აღების განზრახვა არ იქნება, უკეთუ თანამდებობის პირს არა აქვს წარმოდგენილი ასეთი კავშირი, მაგალითად, მაშინ, როდესაც თანამდებობის პირი ფიქრობს, რომ მას საჩუქარი მისცა ახლო მეგობარმა, ნათესავმა, ანდა ფიქრობს, რომ მას სესხს უბრუნებენ და ა. შ. შეიძლება თანამდებობის პირს წარმოდგენილი ჰქონდეს, რომ მას გასამრჯელო ეძლევა მისი სამსახურებრივი მოქმედებისათვის, მაგრამ იგი შეცდომით თვლიდეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი გასამრჯელო კანონიერია. ასეთ პირობებშიც ქრთამის აღების განზრახვა არ არსებობს.

ქრთამის ამღებს შეიძლება სრულებით არ ჰქონდეს განზრახული შეასრულოს ის სამსახურებრივი მოქმედება, რომლისთვისაც ქრთამია აღებული. საკმარისია, მას შეგნებული ჰქონდეს, რომ ქრთამის აღება დაკავშირებულია მის სამსახურებრივ საქმიანობასთან. მაშასადამე, აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს ქრთამის ამღების ფსიქიკურ დამოკიდებულებას იმ სამსახურებრავ მოქმედებასთან, რომლისთვისაც ქრთამი იქნა მიცემული.

საერთო წესისამებრ, მოტივი, რომლითაც ქრთამის ამღები მოქმედებს, არის ანგარება, ხოლო მიზანი — ქონებრივი გაძლიერება. სხვა გარემოებებთან ერთად ქრთამის აღებისათვის სწორედ იმიტომაა დაწესებული მკაცრი სასჯელი, რომ იგი ყველაზე უფრო დასაგმობი ქვენა გრძნობით — ანგარებით არის შეპირობებული.

ქრთამის მიცემა-აღების სუბიექტური მხარის სრული ანალიზისათვის აუცილებელია შევჩერდეთ ერთ ფრიად მნიშვნელოვან მომენტზე. ქრთამის მიცემა-აღების თავისებური ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ ამ დანაშაულის სუბიექტების განზრახვას ერთგვარი ერთიანობა და საერთო მიმართულება უნდა ახასიათებდეს. კერძოდ, საჭიროა, რომ ქრთამის ამღებს შეცნობილი ჰქონდეს მეორე მხარის განზრახვა — მისცეს ქრთამი. ასევე, ქრთამის მიმცემს შეგნებული უნდა ჰქონდეს მეორე მხარის განზრახვა მიიღოს ქრთამი. თითო-

ჯულ მხარეს შეგნებული უნდა ჰქონდეს არა მარტო ის, თუ რა სურს მეორეს, არამედ ისიც, რომ ეს ცნობილია მეორე მხარისათვის. ასეთი დანაშაულებრივი ურთიერთგაგება გამოიხატება ქრთამის მიცემა-აღების შესახებ მხარეთა აშკარა ან მღუმარე შეთანხმებაში. ამ მომენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს. მხარეთა შორის ასეთი შეთანხმების გარეშე დამთავრებული მექრთამეობა არ არსებობს — ანდა შეიძლება განხორციელებული იყოს სხვა რომელიმე დანაშაულის შემადგენლობა.

ზოგჯერ სასამართლოები ჯეროვან ანგარიშს არ უწევენ მექრთამეობის განზრახვის ამ თავისებურებას. არის შემთხვევები, როდესაც მექრთამეობის კვალიფიკაცია ეძლევა ყოველგვარ უკანონო გადახდევინებას, როცა თანამდებობის პირი უქმნის მოქალაქეებს მცდარ წარმოდგენას, ვითომ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მისთვის მიცემული გასამრჯელო კანონიერი იყოს.

მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია მექრთამეობის ნიშნები სასამართლოს აღმასრულებლის გ-ს მოქმედებაში. გ-მ შეცდომაში შეიყვანა მოქალაქენი ს. და კ., ვითომ თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის 10%-იანი გასამრჯელო ერგებოდა, და მიიღო მათგან 20 ფუთი ხორბალი, იმაში, რომ აღასრულა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება 200 ფუთი ხორბლის გადახდევინების თაობაზე.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგია არ დაეთანხმა გ-ს ქმედობის ასეთ კვალიფიკაციას. რაკი საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ს-ს და კ-ს მიცემული გასამრჯელო კანონიერად ეგულებოდათ და გ-ს ეს ესმოდა, მის მოქმედებაში მექრთამეობის შემადგენლობის მიჩნევა არ შეიძლებოდა. აქ აკლია მექრთამეობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთაგანი — იმის შეგნება, რომ გასამრჯელოს მიცემა სავალდებულო არ არის. როგორც კოლეგიის განჩინებაშია აღნიშნული, საქმეში არ არიან ქრთამის მიმცემნი და არ მომხდარა შეთანხმება გასამრჯელოს მი-

ცემა-აღების თაობაზე, რაც მექრთამეობის დროს იგულისხმება<sup>1</sup>.

ამიტომ სასამართლოს აღმასრულებელი გ., რომელმაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა იმისათვის, რომ მოქალაქეებისაგან უკახონო ხარკი აეღო, პასუხისგებაში უნდა მიეცემულიყო არა მექრთამეობისათვის, არამედ რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (ხელისუფლების ბოროტად გამოყენება).

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო ვერ ერკვევა დამნაშავეის განზრახვის ნამდვილ ხასიათში და მექრთამეობად თვლის ისეთ ქმედებას, რომლის დროსაც სინამდვილეში ადგილი აქვს ქონებრივ დანაშაულს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საშუალებით.

ვაგონის გამყოლ გ-ს სასამართლომ ბრალი დაადო იმაში, რომ მან თავის ვაგონში მოათავსა 9 უბილეთო მგზავრი, რომელთაც გზაში მიჰყიდა ძველი, გამოყენებული ბილეთები და მიღებული ფული მიითვისა<sup>2</sup>.

ცენტრალური ოლქის რკინიგზის ტრანსპორტის სასამართლომ გ-ს მოქმედებას მისცა მექრთამეობის კვალიფიკაცია რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით. თავისი განჩინება მან ასე დაასაბუთა: გ-ს განზრახვა მგზავრებისაგან შეგროვებული ფულის მითვისებაზე კი არ იყო მიმართული, არამედ უბილეთო მგზავრებისაგან ჯილდოს, ე. ი. ქრთამის აღებაზეო. მგზავრებისათვის გამოყენებული სარკინიგზო ბილეთების დარიგება, საოლქო სასამართლოს აზრით, მისაჩნევია აღებული ქრთამის დაფარვის ხერხად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ-ს მოქმედება არ ჩათვალა მექრთამეობად. კოლეგიის აზრით, გ-ს განზრახვა არ იყო აელო ქრთამი, რადგან მას ესმოდა, რომ მოტყუებულ

<sup>1</sup> იხ. «Сборник определенных Уголовно-кассационной коллегия Верховного Суда РСФСР 1924 г.», 1925, გვ. 55.

<sup>2</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1952, № 8, გვ. 1.

მგზავრებს შეძენილი ბილეთები ნამდვილი ჰგონიათ და მათში გადახდილ ფულს ქრთამად კი არ თვლიან, არამედ სრულიად მართლზომიერ მოქმედებად<sup>1</sup>. ასეთ ვითარებაში გ-ს განზრახვა სულ სხვა იყო, ვიდრე მას საოლქო სარკინიგზო სასამართლომ მიაწერა. „...იგი (განზრახვა — ვ. შ., გ. ტ.) გამოიხატებოდა იმაში, — ნათქვამია კოლეგიის განჩინებაში, — რომ გამოყენებული, არსებითად ფიქტიური სარკინიგზო ბილეთებით მიეღო მგზავრებისაგან ფული და ამ ფულით თვითონ ესარგებლა, ე. ი. გ-ს გატაცების განზრახვა ჰქონდა. ამიტომ მის მოქმედებას კვალიფიკაცია უნდა მიეცეს არა მექრთამეობის მუხლით, არამედ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“<sup>2</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის განჩინებაში გ-ს საქმეზე სავსებით მართებულადაა მითითებული, რომ გ-ს მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს ქრთამის აღებად. მაგრამ ჩვენი ფიქტით, გ-ს მოქმედებაში არ შეიძლება ვცნოთ არც გატაცების ნიშნები. გატაცება გულისხმობს კანონში გათვალისწინებული ხერხებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაუფლებას ან აღნიშნული ქონების მითვისებას და გაფლანგვას. გ. მოტყუებით დაეუფლა მოქალაქეთა პირად ქონებას; მაგრამ მას ზარალი არ მიუყენებია ამ მოქალაქეთათვის. მოქალაქეებმა ნებაყოფლობით გადასცეს გ-ს ფული იმ რაოდენობით, რაც უდრიდა სამგზავრო ბილეთების საერთო ღირებულებას. თანაც, ამ უკანასკნელის მოქმედებას ისინი სავსებით მართლზომიერად თვლიდნენ. გ-მ თავისი მოქმედებით ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, რამდენადაც თაღლითური მაქინაციებით საშუალება წაართვა რკინიგზას მიეღო ფული მოქალაქეთაგან მგზავრობისათვის (ანაცდენი სარგებლობა). ამისდა მიხედვით გ-ს განზრახვაც მიმართული იყო მოტყუებით

<sup>1</sup> კლენუმმა ჩატომლაც არ აღნიშნა ისიც, რომ ვაგონის გამოკლებული არ შეიძლება იყოს თანამდებობრივი დანაშაულის სუბიექტი.

<sup>2</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1952, № 8, გვ. 2.

მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლებისაყენ, რასაც თან ახლდა სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენება. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების გატაცება გამორიცხულია. ნ-ს ქმედობის ნიშნებს ამჟამად პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 98-ე მუხლი (გატაცების ნიშნების გარეშე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების საზიანოდ ქონებრივი სარგებლობის მიღება მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენებით).

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლი განზრახვის შინაარსს აკუთვნებს მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის გათვალისწინებას. ამასთან დაკავშირებით იბადება ასეთი საკითხი: შექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დადგენის დროს საჭირო არის თუ არა დავამტკიცოთ, რომ ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს შეგნებული ჰქონდათ თავიანთი საქციელის საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თუ ქრთამის მიმცემი ან ქრთამის ამღები ვარაუდობს, თუნდაც შეცდომით, რომ კანონი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ კრძალავს გასამრჯელოს მიცემას, მაშინ შესაბამისად არ არსებობს ქრთამის მიცემის ან ქრთამის აღების განზრახვა. მაგრამ ამჯერად ლაპარაკია არა ამ გარემოებაზე, არამედ იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო დავადგინოთ ყოველ ცალკე შემთხვევაში, პირს შეგნებული ჰქონდა საერთოდ ქრთამის მიცემა-აღების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი. ს ა ე რ თ ო წ ე ს ი ს ა მ ე ბ რ ე ს საკითხი არც წარმოიშობა. საეჭვოა, რომელიმე თანამდებობის პირმა დაიწყოს მტკიცება, რომ მას შეგნებული არ ჰქონდა ქრთამის აღების საძრახისობა, რომ სამსახურებრივ მოქმედებასთან დაკავშირებით ქრთამის აღება კანონით არის ნებადართული და რომ ასეთი არ იმსახურებს გაკიცხვას. სასამართლოში ბრალდებულის ასეთ განცხადებას არავინ არ დაუჯერებს და არც მსჯელობის საგნად გახდის. იგივე ითქმის ქრთამის მიმცემის

შესახებაც. მხოლოდ ზოგჯერ მეტად იშვიათ შემთხვევაში ცალკეული პირის მიმართ ან განსაკუთრებულ გარემოებათა გამო შეიძლება წარმოიშვას. საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა შეგნებული ბრალდებულს ქრთამის მიცემის ან ქრთამის აღების საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო ხასიათი.

სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიტანოთ მაგალითი, როდესაც ერთგვარი მნიშვნელობა მიეცა ქრთამის აღების მართლწინააღმდეგობის შეგნებას.

იშლეისკის რაიონულ პროკურატურაში შევიდა მასალები კოლმეურნეობის მოანგარიშე გ-ს ბოროტმოქმედებაზე. გ. გამოცხადდა პროკურორთან და, როცა მას თავის საქმეზე ესაუბრებოდა, ქილა თაფლი შესთავაზა. პროკურორმა გ-ს აუხსნა, რომ ასეთი რამ ქრთამს ნიშნავს და ქრთამისათვის იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა. გ. წავიდა და, მანამ პროკურორი სამუშაოდ იყო, თაფლი სახლში მიუტანა და იქ დატოვა.

გ-ს ბრალის დასაბუთებისას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1949 წლის 16 თებერვლის განჩინებაში ხაზგავლებულია: „მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ მისი საქციელი თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემად ითვლება, რისთვისაც იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, მან მაინც გადაწყვიტა ქრთამი მიეცა და თაფლი პროკურორის ბინაზე მიიტანა“<sup>1</sup>.

კოლეგიის ასეთი მოსაზრება საფუძველს გვაძლევს დავასკენათ, თუ გ. არ იქნებოდა გაფრთხილებული, რომ ასეთი „საჩუქარი“ უკანონო ხასიათისაა და ისჯება სისხლის სამართლის წესით, მაშინ შეიძლებოდა დაყენებული ყოფილიყო საკითხი გ-ს მოქმედებაზე ბრალის არარსებობის შესახებ. მართლაც, მოციმულ კონკრეტულ პირობებში ქრთამის საგანს წარმოადგინდა მხოლოდ და მხოლოდ ქილა თაფლი, რომელიც გ-ს შეიძლება უწყინარ „ჯილდოდ“ ჰქონდა წარმოდგენი-

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5, გვ 34

ლი, მით უმეტეს, თუ ესეთი ძღვენი გადაცემული იყო პროკურატურაში შემოსული მასალების ობიექტური გამოძიებისათვის.

### § 8. შიკრთავერის მადელოვა

1. ქრთამის მიცემა-აღება ერთი მთლიანი, ორმხრივი დანაშაულია. თითოეული ამ ქმედობის მეორისაგან დამოუკიდებელივ განხორციელება შეუძლებელია. ამის გამო დაუშვებელია ცალ-ცალკე გადაწყვეითთ საკითხი იმის თაობაზე, თუ როდისაა დამთავრებული ქრთამის მიცემა და როდის ქრთამის აღება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა შეხედულება, რომ „ლოგიკურად ქრთამის მიცემა წინ უსწრებს მის აღებას“<sup>1</sup>. ასეთი შეხედულება დაუსაბუთებელია. სწორედ ლოგიკურად ქრთამის მიცემისა და მისი აღების მომენტები ერთმანეთს ემთხვევა. ქრთამი შეიძლება აღებულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიცემულია და, პირიქით, ქრთამი შეიძლება მიცემულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი აღებულია.

მაგრამ თუ ქრთამის მიცემა-აღების აქტები, რომლებიც ერთიან პროცესს ქმნიან, განუყრელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მის დასრულებაში ერთნაირი როლი ეკუთვნის ამ დანაშაულში მონაწილე პირებს. ქრთამის მიმცემი ჩვეულებრივად უფრო აქტიურია. ქრთამის მიცემისაკენ მიმართული მოქმედებები წინ უსწრებს ქრთამის აღებისათვის გაპიზნულ მოქმედებებს. ქრთამის მიმცემი წინასწარ ასრულებს რიგ მოქმედებებს, რომლებიც ნიადაგს ამზადებენ ქრთამის გადაცემის პროცედურისათვის. ზოგ შემთხვევაში ქრთამის ამღები სავსებით პასიურია. მაგალითად, პირი, რომელიც დაინტერესებულია თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოქმედებით, დებს ამ უკანასკნელის თანდასწრებით ფულს საწერი მაგიდის უჯრაში. უკეთუ თანამდებობის პირი უარს არ ამბობს ამაზე, იგი ამით გამო-

<sup>1</sup> Н. П. Кучерявин, დასახელებული ნაშრომი, გვ. 101.

ხატავს თანხმობას ქრთამზე და ამ მომენტიდან დანაშაული ორივე მხარისათვის დამთავრებულად უნდა ჩავთვალოთ.

ამრიგად, ქრთამის მიცემა-აღების აქტის დამთავრება უკვე შირდება ერთი პირისაგან მეორე პირზე ქონების ან ქონებრივი სარგებლის გადაცემას.

ამიტომ თვით შეთანხმება ქრთამის აღების შესახებ არ ჩაითვლება დამთავრებულ მექრთამეობად. მეორე მხრივ, ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, შესრულდა თუ არა ის სამსახურებრივი მოქმედება, რომლის გამოც ქრთამი იქნა აღებული. ეს ნათლად ჩანს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლიდან, რომელიც ითვალისწინებს „თანამდებობის პირის მიერ ქრთამის... აღებას“. ეს იმას ნიშნავს, რომ ქრთამის მიცემა (მექრთამეობა) დამთავრებულად ითვლება თანამდებობის პირის მიერ ქრთამის სახით ქონების ან ქონებრივი სარგებლის მიღებისთანავე. „ქრთამის აღებაში“ იგულისხმება ისიც, რომ თანამდებობის პირმა არამართო დაიტოვოს ქრთამი, არამედ აშასთან თანახმა უნდა იყოს მის აღებაზე.

— დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვის ჩაბარდა უშუალოდ ქრთამი: თვითონ თანამდებობის პირმა მიიღო იგი თუ მისი დავალებით — შუამავალმა, მისი თანხმობით — ოჯახის წევრმა ანდა მისივე მითითებით — რომელიმე სხვა პირმა. პირაქით, ქრთამს ჩაბარება შუამავალისათვის, რომელიც თანამდებობის პირის დავალების გარეშე მოქმედებდა, დამთავრებული დანაშაული არ არის.

საკითხი, დასრულებულია თუ არა მექრთამეობის დანაშაული, დამოკიდებულია ქრთამის საგანსა და მისი გადაცემის ზერხზე. ასე, თუ ქრთამის საგანი ქონებრივი გამორჩენაა, რომელიც ქრთამის ამღებს სესხის ვალდებულებისაგან გათავისუფლების სახით ეძლევა, მაშინ სესხის ბარათის მოსპობის ფაქტს დანაშაულის დამთავრების მნიშვნელობა ექნება. როდესაც ქრთამი შენობებზეა, მაგალითად იმით, რომ ძვირფასი (ანტიკვარული) ნივთი ჩალის ფასად არის შეძენილი, მაშინ დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება არა მხოლოდ



ნიეთის ჩაბარებისთანავე, არამედ იმ მომენტიდანაც, როდესაც ნიეთი ჩაბარდა სატრანსპორტო ორგანიზაციას ან ფოსტას შემძენისათვის გასაგზავნად, უკეთუ ნიეთი გასხვისებული იქნა მიტანის ვალდებულების დაუღებლად (იხ. 1958 წ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამ. აქტაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 30-ე მუხლი).

ქრთამის მიცემა-აღებაზე მიმართული მოქმედება წარმოადგენს წინასწარ დანაშაულებრივ საქმიანობას, რომლისთვისაც ჩამდენი აგრეთვე აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. საბჭოთა სისხლის სამართლის ძირითადი საფუძვლების შესაბამისად დანაშაულის მომზადება და მცდელობა პრინციპულად შეიძლება ისევე დაისაჯოს, როგორც დამთავრებული დანაშაული (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლი).

მოსამზადებელ მოქმედებას საბჭოთა სისხლის სამართალი მიაკუთვნებს დანაშაულის ჩასადენად საშუალების ან იარაღის გამოძენას თუ მომარჯვებას ან სხვაგვარი პირობების შექმნას. მექრთამეობის მომზადებად უნდა ჩაითვალოს მაგალითად: შუამავლის ძებნა; რჩევის კითხვა, ვისა და რა სახით უნდა მიეცეს ქრთამი სამსახურებრივი მოქმედებისათვის, რომლითაც ქრთამის მიცემის განზრახველია დაინტერესებული; გეგმის შედგენა ქრთამზე მოსალაპარაკებლად; ქრთამად განზრახული ნიეთის შექმნა და ა. შ.

საბჭოთა საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები იშვიათად აძლევდნენ პასუხისმგებაში მოსამზადებელი მოქმედებისათვის, რომელიც ბევრჯერ არ აღწევს საზოგადოებრივი საშიშროების იმ ხარისხს, რომ მოითხოვდეს ჩამდინს სისხლის სამართლის სასჯელი დაედოს. მექრთამეობის მოსამზადებელი მოქმედება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში იწვევს. როდესაც სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოები ათავისუფლებენ პასუხისმგებლობისაგან მოსამზადებელი მოქმედებისათვის. ისინი ხელმძღვანელობენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით, რომ-

ლის თანახმად „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლით დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად. თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მოტანილი განსაზღვრების შესაბამისად, ქრთამის მიცემა-აღებისაყენ მიმართული რიგი მოქმედებები ქმნის ქრთამის მიცემის მცდელობას ან ქრთამის - აღების მცდელობას, რომელიც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მექრთამეობისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მეშვეობით.

ქრთამის მიცემის მცდელობა სხვადასხვა მოქმედებით გამოიხატება. მაგალითად: ქრთამის შეძღვევით უშუალოდ, წერილობით თუ სხვათა მეშვეობით, ნივთის ფოსტით გაგზავნით, თანამდებობის პირისათვის ქრთამის გადაცემის უშედეგო ცდით უშუალოდ თუ შუამავლის მეოხებით; ქრთამის დატოვებით მაგიდაზე თუ ბინაში, როდესაც თანამდებობის პირი შინ არ არის და ამისი არა-იყის რა და ა. შ.

მაგალითად, ქრთამის აღების მცდელობა იქნება: თანამდებობის პირის წინადადება ან მოთხოვნა, პირადად თუ სხვისი მეშვეობით, რომ მას ქრთამი მისცენ; თანხმობა აიღოს ქრთამი და ა. შ. ამასთანავე, ასეთი წინადადება, თანხმობა და სხვა ამგვარი შეიძლება პირდაპირი იყოს, ხოლო შეიძლება შენიღბულიც, გადაკრულად გამოთქმული, სიმბოლური მოქმედებით გამოხატული და სხვ.

თუ დამთავრებული მექრთამეობის შემთხვევაში პასუხს, ჩვეულებრივ, ორივე აგებს — ქრთამის მიმცემიცა და ქრთამის აძლებიც, — დაუმთავრებელი მექრთამეობის დროს შე-საძლებელია პასუხი აგოს მარტო ერთმა, სახელდობრ, იმან,

ვინც დანაშაულებრივ გზას დაადგა; მეორე კი, რომელმაც დანაშაულის ჩადენაზე უარი განაცხადა, არ ისჯება. მაგალითად, თუ თანამდებობის პირი მოსთხოვს ვინმეს ქრთამს ან ქრთამის გამოძალვას შეეცდება, ეს უკანასკნელი კი ქრთამის მიცემაზე უარს განაცხადებს, თანამდებობის პირი პასუხს აგებს (საქმის გარემოებათა მიხედვით) ქრთამის აღებისა თუ ქრთამის გამოძალვის მცდელობისათვის, ხოლო ის, ვინც მის წინადადებას ან მოთხოვნას არ დაპყვა, სრულად თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან. პირიქით, როდესაც ქრთამის მიცემის მსურველი თანამდებობის პირს ვერ დაითანხმებს, თუნდაც ფაქტიურად მოახერხოს მისთვის რაიმე ფასეულობის მიჩეჩება, მაინც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მხოლოდ ქრთამის მიცემის მცდელს ეკისრება. სასამართლო ქრონიკაში აღწერილია ქრთამის მიცემის მცდელობის ამგვარი შემთხვევა.

მოქალაქე კ. ამხილეს უბილეთო მგზავრების ტარებაში და მისი საქმე სასამართლოს გადაეცა. კ-ს ქმარმა, მოქალაქე მ-მა, მოინდომა თავისი მეუღლე როგორმე დაეხანა და საქმის განხილვის წინაღობით შესთავაზა მოსამართლეს ვახშმად რესტორანში წაპყლოდა. მოსამართლემ გადაჭრით იუარა. მაშინ მ-მა ამოიღო დასტა ფული, სწრაფად ფარაჯის ჯიბეში ჩაუღო და გაიქცა. მოსამართლე დაუყოვნებლივ შევიდა კვანძის პარტიულ კომიტეტში და მომხდარი ამბავი აცნობა. ამიერკავკასიის რეინიგზის სახაზო სასამართლომ სრულიად მართებულად მსჯავრი დასდო მ-ს ქრთამის მიცემის მცდელობაში საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 124-ე მუხლებით<sup>1</sup>.

მოვიტანოთ სხვა შემთხვევა, როდესაც თუმცა არ არსებობს წინასწარი შეთანხმება ქრთამის მიცემა-აღების შესახებ, მაგრამ პირი მაინც ცდილობს მისცეს ქრთამი თანამდებობის პირს იმ ვარაუდით, რომ ეს უკანასკნელი დათანხმდება დაიტოვოს იგი. ქ. მოსკოვის № 20 უნივერსიტეტის სექციის შემოწმებისას უფროსმა სახელმწიფო სავაჭრო ინსპექტორმა

<sup>1</sup> Газета «Заря Востока» от 4 июня 1952 г.

შ-მ და სახელმწიფო სავაჭრო ინსპექციის მეორე თანამშრომელმა ვ-მ გამოავლინეს ვაჭრობის წესების დარღვევა. როდესაც ვ. ოთახიდან გავიდა, უნივერსიტეტის სექციის გამგემ პ-მ ხვეწნა დაუწყო შ-ს მუდგინა აქტი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა შესახებ. რადგან შ-მ ამაზე უარი უთხრა, პ-მ მას პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში ჩაუდო ფული. ფულის გადაცემის შესახებ შ-მ დაუყოვნებლივ ვ-ს შეატყობინა. მათ შეადგინეს აქტი, რასაც დაურთეს გადაცემული 100 მანეთი და ზომიერი ამბავის შესახებ მთავარ ინსპექტორსა და საგამომძიებლო ორგანოებს აცნობეს<sup>1</sup>. საჭიროა აღინიშნოს, რომ სასამართლომ ამჯერად არასწორად დააკვალიფიცირა პ-ს მოქმედება, როგორც ქრთამის მიცემა. სინამდვილეში აქ ადგილი ჰქონდა ქრთამის მიცემის მცდელობას, რამდენადაც თანამდებობის პირმა უარი განაცხადა მის მიღებაზე.

მექრთამეობის მცდელობისათვის შეიძლება პასუხისმგებლობა მიეცეს ერთდროულად ორივე მხარე. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ორივე მხარე შეთანხმდა ქრთამის მიცემა-აღების შესახებ და ამ მიმართულებით განსაზღვრული მოქმედება შეასრულა, მაგრამ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო განზრახვა ვერ განახორციელეს. მაგალითად, თუ ხელისუფლების წარმომადგენელმა დანაშაულის ჩადენა იმ დროს აღკვეთა, როდესაც ქრთამის ჩაბარების ცდა ხორციელდებოდა და თანამდებობის პირს იგი ჯერ მიღებული არ ჰქონდა, პასუხისმგებლობაში აძლევენ მცდელობისათვის იმასაც, ვინც ქრთამის მიცემას ცდილობდა, და თანამდებობის პირსაც, რომელსაც განზრახული ჰქონდა აეღო იგი.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის სახელმძღვანელო დადგენილების თანახმად, ქრთამის მიცემის მცდელობად უნდა ჩაითვალოს იმის მოქმედება ვინც გადასცემს ფულსა თუ სხვა ფასეულობას მეორეს, რომელიც თავს ქრთამის გადაცემ შემამავლად მოაჩვენებს და მერე კი მიღებულს მიითვისებს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. «Советская юстиция», 1958, № 12, გვ. 84.

<sup>2</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 12.

ასეთი შემთხვევის ანალოგიურად, ქრთამის მიცემის მცდელობა იქნება აგრეთვე ფულის გადაცემა ისეთი პირისათვის, რომელიც მიმცემს შეცდომით თანამდებობის პირი ეგონა, იმისდა მიუხედავად, თუ რამ გამოიწვია შეცდომა: ვითომდა თანამდებობის პირის თვალთმაქცურმა ყოფაქცევამ, თუ თვითონ ქრთამის მიმცემის მოუსაზრებლობამ.

არსებითად ასეთ შემთხვევებში გვაქვს ე. წ. „მცდელობა უფარგის ობიექტზე“. არც „ქრთამის“ გადაცემა მოჩვენებითი შუამავლისათვის, არც „ქრთამის“ გადაცემა მოჩვენებითი თანამდებობის პირისათვის არ ქმნის საშიშროებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ნორმალური საქმიანობისა ან მისი ავტორიტეტისა და პრესტიჟისათვის. თვალსაზრისი, რომელიც მოითხოვს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში პირი მიეცეს პასუხისმგებაში ქრთამის მიცემის მცდელობისათვის, როგორც ჩანს, იმ ვარაუდზეა აგებული, რომ უკეთეს მოჩვენებითი შუამავლის ან მოჩვენებითი თანამდებობის პირის მაგიერ ნამდვილი შუამავალი ან შესაფერისი თანამდებობის პირი მოგვევლინებოდა, მაშინ ქრთამის მიმცემი თავის განზრახვას განახორციელებდა და ამით სამართლით დაცულ ობიექტს რეალურ ზიანს მიაყენებდა.

3. შეიძლება მოხდეს, რომ ქრთამის მიცემა-აღებაზე შემდგარი შეთანხმების შემდეგაც ერთ-ერთმა მხარემ უარი თქვას თავის დანაშაულებრივ განზრახვაზე. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად. ის ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან შესრულებული მცდელობისათვის.

„გამორიცხული“ არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ქრთამის მიცემა-აღების სუბიექტები თავიანთი განზრახვის შესრულებისაგან მძიმართული წინასწარი მოქმედების ჩადენის შემდეგ შეთანხმდებიან ან ერთმანეთს ატყობინებინ, რომ ნებაყოფლობით ხელს იღებენ ამ დანაშაულის ჩადენაზე. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის თანახ-

მადაც ის პირი, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ამ მუხლის შეფარდებისათვის უნდა გამოირკვეს მხოლოდ ის, რომ ერთ-ერთმა ან ორივე მხარემ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით და არა იძულებით აიღო ხელი.

აღნიშნული დებულება ვრცელდება აგრეთვე ქრთამის მიცემა-აღების თანამონაწილეზეც, კერძოდ, შუამაგალზე, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ მათ ნებაყოფლობით უნდა მიიღონ ზომები დანაშაულის ასაცდენად, თუ ამასთანავე დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწ.).

4. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მცდელობისათვის აუცილებლად შემსუბუქდეს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ ანგარიში არ უნდა გაუწიოს იმას, ბოლომდეა მიყვანილი დანაშაული თუ არა. სხვა თანაბარ გარემოებაში მცდელობად მიჩნეული მოქმედება, ჩვეულებრივ, ნაკლებ სასჯელს იწვევს, ვიდრე დამთავრებულ დანაშაული. ამიტომ, როდესაც სასამართლო მექრთამეობის საქმეს იხილავს, განაჩენში გამოხატულება უნდა ჰპოვოს, დამთავრებული მექრთამეობაა ეს თუ ქრთამის მიცემისა და აღების მცდელობა. უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს მექრთამეობის სათანადო მუხლი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მეშვიშებით.

სასამართლო ამ წესს ყოველთვის არ მისდევს. მაგალითად, თუმცა კ-ი ცნობილი იყო დამნაშავედ, რომ ქრთამი შეაძღა სახალხო მოსამართლეს, რათა მის ქმარს სასჯელი შეესუბუქებოდა, კრანოვარის მხარის ლაბინსკაიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ კ-ის მოქმედებას კვალიფიკაცია მისცა რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კო-

დექსის 118-ე მუხლით უშუალოდ და არა მე-19 მუხლის მეშვეობით<sup>1</sup>.

ასევე, ჩუვაშეთის ასსრ ქ. ჩუბოქსარის მე-5 უბნის სახალხო სასამართლომ კვალიფიკაცია მისცა გ-ეს მოქმედებას რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის მარტო 118-ე მუხლით, თუმცა საქმის მასალიდან ჩანდა, რომ გ-ემ დაუტოვა პროკურორს ბინაზე ქილა თაფლი, როცა იგი შინ არ იყო, და მოუხედავებ მისი აშკარა უარისა, ქრთამი აელო<sup>2</sup>.

ასეთ შეცდომას ზოგჯერ ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოებიც უშვებენ. მაგალითად, ქ. გორის სახალხო სასამართლომ 1961 წ. 14 ივნისის განაჩენით ლ., რომელმაც სამუშაოზე მოწყობის მიზნით შუამავლის საშუალებით შეეცადა ქრთამის სახით კონვერტში ჩადებული ფული გადაეცა კომბინატის დირექტორისათვის, დამნაშავედ ცნო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილით, ისე რომ არ მიუთითებია მცდელობის მუხლზე.

## § 7. თანამონაწილეობა და, კერძოდ, უპაგავლობა მეჩრთამეობაში

ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების გარდა მექრთამეობის დანაშაულის ჩადენაში შეიძლება სხვებიც მონაწილეობდნენ.

1. პირველად ყოვლისა შესაძლებელია, რომ ქრთამის მიმცემა და ქრთამის ამღები თითო პირი კი არ იყოს, არამედ ერთდროულად ორ-ორი ან მეტიც. ეს, ჩვეულებრივ, მაშინ ხდება, როდესაც თანამდებობის პირის მოქმედება-უმოქმედობა ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ქრთამის მიმცემს აინტერესებს ანდა ქრთამის მიმცემის სურვილის დასაკმაყო-

<sup>1</sup> იხ. Судебная практика Верховного Суда СССР, 1949, № 8, გვ. 34.

<sup>2</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5, გვ. 34.

ფილებლად საჭიროა რამდენიმე თანამდებობის პირის შეთანხმებული მოქმედება.

მაგალითად, ა-მ და ბ-მ—ვაგონ-საწყობების გამგეებმა — ნება დართეს ტალინის რაიმიწვანს დაეტვირთვა ვაგონ-საწყობში 28 ტომარა მზესუმზირა, რისთვისაც მიიღეს 1500 მანეთი, რომელიც ერთმანეთში გაიყვეს<sup>1</sup>.

ზოგჯერ, მექრთამეები მოქმედებენ ორგანიზებულ, მტკიცედ შეკრულ ჯგუფად, რომლისთვისაც დანაშაულებრივი საქმიანობა „შემოსავლის“ სისტემატურ წყაროს წარმოადგენს.

წინასწარმა და სასამართლო გამოძიებამ დაადგინა, რომ შ-ს, ვ-სა და ს-ს, რომელნიც ბელორუსიის რკინიგზის სადგურ ლიდაში ერთი საბარგო მოლარედ, მეორე მწონავად და მესამე მტვირთავად მუშაობდნენ, პირი შეეკრათ, და სისტემატურად იღებდნენ გასაგზავნად ბარგს, რომელიც თავისი ხასიათით მისაღები არ იყო და ამისათვის ართმევდნენ კლიენტურას უკანონო ფულად გასამრჯელოს<sup>2</sup>.

აღნიშნული პირები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული როგორც ქრთამის აღების ამსრულებელნი, იმისდა მიუხედავად, ვის გადაეცა ქრთამი უშუალოდ, როგორი იყო თითოეული მათგანის მონაწილეობის ხარისხი სამსახურებრივ მოქმედებაში, რომლითაც ქრთამის მიმცემი იყო დაინტერესებული და ქრთამის რა ნაწილი მიიღო მან.

ჩვეულებრივ მექრთამეობაში დამნაშავენი შეთანხმებული არიან დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ან, ყოველ შემთხვევაში, იმთავითვე იციან, რომ ერთად მოქმედებენ.

2. მექრთამეობაში მონაწილე ისიც შეიძლება იყოს, ვისაც ამ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს სსრ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსში თანამონაწილეთა სახეებს შორის ამსრულებლის

<sup>1</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определений коллегии Верховного Суда Союза ССР 1944 г.», 1948, გვ. 100—101.

<sup>2</sup> იხ. «Социалистическая законность», 1941, № 1, გვ. 62—63.



შემდეგ პირველად დასახელებულია ორგანიზატორი. ორგანიზატორის ცნების განსაზღვრება მოცემულია ამ კოდექსის მე-19 მუხლის მე-4 ნაწილში. ამ განსაზღვრების არსის მიხედვით ორგანიზატორად უნდა ჩაითვალოს ის პირი, ვინც შექმნა დანაშაულებრივი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა ცალკეულ დანაშაულთა მომზადებას თუ განხორციელებას. ამგვარად, ორგანიზატორი მთავარი ფიგურაა თანამონაწილეთა შორის, მას წარმმართველი და დამგეგმავი როლი ეკუთვნის. ხშირად იგი მთელი დანაშაულებრივი წამოწყების ინიციატორი და სულის ჩამდგმელია. <sup>1</sup>კერძოდ, მექრთამეობის დროს ორგანიზატორი შეიძლება ხელმძღვანელობას უწევდეს ქრთამის მიცემის მომზადებას, თვით მის გადაცემას, იგი შეიძლება უკარნახებდეს სხვა თანამონაწილეებს, თუ რა მოქმედებისათვის, რა სახით, რა სახსრებიდან უნდა მისცენ ქრთამი და ა. შ.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებაში მიუთითა, რომ დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელი ქრთამის მიცემის ორგანიზატორად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი დაწესებულების ან საწარმოს ყალბად გაგებულ ინტერესებისათვის, ზოგჯერ კი თავისი პირადი მიზნებისათვის თავის ხელქვეით პირებს ავალებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრებიდან მისცენ ქრთამი თანამდებობის პირებს, რათა ამით შეარულეზინონ ამ უკანასკნელთ მისთვის სასურველი მოქმედება ან უმოქმედობა <sup>1</sup>.

ორგანიზატორთა მოქმედება შეიძლება მიმართული იყოს ქრთამის მიღებაზეც. არის შემთხვევები, როდესაც დაწესებულება-საწარმოში იქმნება დანაშაულებრივი ჯგუფი ქრთამის მისაღებად. ის პირები, რომლებიც ასეთი ჯგუფის საქმიანობას ხელმძღვანელობენ და „პეგეგმვენ“, ანაწილებენ როლებს დანარჩენ მონაწილეთა შორის და ჰყოფენ ამ დანაშაულით მოპოვებულ ნადავლს, აწესებენ „განაკვეთებს“ გაწიუ-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 11.

ლი „მომსახურებისათვის“, ეძებენ იმ პირებს, ვინც დაინტერესებული უნდა იყოს ქრთამის ~~და~~ და ა. შ., უნდა ჩაითვალოს ქრთამის ~~ორგანიზატორებად~~ ორგანიზატორებად.

ქრთამის მიცემისა და ქრთამის მიღების ორგანიზატორები დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენენ და ისინი არ უნდა გავაიგივეოთ დანაშაულის სხვა მონაწილეებთან. ამ გარემოებაზე მიუთითებს უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილება<sup>1</sup>.

მექრთამეობაში მონაწილეობა შეიძლება გამოიხატებოდეს აგრეთვე სხვისი დაყოლიებით ქრთამის მიცემასა თუ აღებაზე. აღნიშნულ შემთხვევაში ერთი პირი აღუძრავს სხვას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, ე. ი. წამქეზებლად გამოდის. წამქეზებელი უნდა დაისაჯოს მექრთამეობისათვის მიძღვნილი შესაბამისი მუხლით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მეოხებით, რომელიც წამქეზებლებისა და დანაშაულის სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, თანამონაწილე თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენაში შეიძლება იყოს არა მარტო თანამდებობის პირი, არამედ კერძო პირიც. ამიტომ შესაძლებელია მექრთამეობის, წამქეზებელი თანამდებობის პირიც იყოს და არათანამდებობის პირიც. მაგრამ, უკეთეს თანამდებობის პირი სხვა პირს დაიყოლიებს ქრთამის აღებაზე, მაშინ იგი ყველა შემთხვევაში როდი აგებს პასუხს წამქეზებლობისათვის. წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ პირს მაღალი საპასუხისმგებლო მდგომარეობა უკავია და სხვა თანამდებობის პირი რომ დაითანხმოს ქრთამის მიღებაზე, იყენებს თავის ავტორიტეტსა და გავლენას და ამჯათან ქრთამის მიცემისაგან თვითონაც ლებულობს შესაფერის „გასამრჯელოს“. ასეთ გარემოებებში მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიციკრდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მიუთითებლად პირდაპირ 189-ე მუხლით, როგორც ქრთამის აღება.

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 9.

მექრთამეობის წამქეზებელი მოქმედებს პირდაპირი განზ-  
რახვით, ე. ი. ითვალისწინებს, რომ იყოლიებს სხვას სამსა-  
ხურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით უკანონო გასამრ-  
ჯელოს მიცემასა თუ აღებაზე, და მისი სურვილი სწორედ  
ამაში მდგომარეობს. ამასთანავე, წამქეზებელი შეიძლება  
ხელმძღვანელობდეს სხვადასხვა მოტივით, მოქმედებდეს  
როგორც ანგარებით, ისე უანგაროდაც.

წამქეზებელი მიმართავს ზეგავლენის მრავალნაირ საშუა-  
ლებას (თხოვნას, დაჯერებას, მუქარასა და ა. შ.). მექრთამე-  
ობაზე დაყოლიება შენიღბულადაც ხდება, სიტყვის გადა-  
კვრით, რაიმე ნიშანდობლივი მოქმედებით და ა. შ.

ესა თუ ის პირი მექრთამეობაში შეიძლება დამხმარის  
სახით მონაწილეობდეს. საქართველოს სსრ სისხლის სამართ-  
ლის კოდექსის მე-19 მუხლით „დამხმარედ ჩაითვლება ის,  
ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევა-დარიგე-  
ბით, მითითებით, საშუალებათა მიცემით ან დაბრკოლებათა  
თავიდან აცილებით, აგრეთვე ის, ვინც წინასწარ დაპირდა,  
რომ დამალავს დამნაშავეს, დანაშაულის ჩადენის იარაღებსა  
და საშუალებებს, დანაშაულის კვალს ან დანაშაულებრივი  
გზით ნაშოვნ საგნებს“. დამხმარე მექრთამეობაში შეიძლება  
იყოს როგორც თანამდებობის პირი, ისე კერძო პირიც. თანამ-  
დებობის პირმა შეიძლება ხელი შეუწყოს ქრთამის აღებას ან  
ქრთამის მიცემას. დამხმარის პასუხისმგებლობის დასასაბუ-  
თებლად მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ თანამდებობის  
პირი სად უწყობს ხელს ქრთამის აღებას: იმავე დაწესებუ-  
ლებაში, სადაც იგი მუშაობს, თუ სხვაგან. ასევე არა აქვს  
მნიშვნელობა იმასაც, დაკავშირებულია თუ არა იგი ქრთამის  
ამღებთან საერთო სამსახურით და ა. შ.

დამხმარე მექრთამეობაში თანამდებობის პირის მხრივ  
შეიძლება სულ სხვადასხვა მოქმედებაში გამოიხატოს. ეს  
შეიძლება გამოიხატოს უბრალო რჩევაში ან რაიმე მითითე-  
ბაში ქრთამის ჩაბარების თაობაზე. უფრო მეტიც, მექრთა-  
მეობაში დამხმარე თანამდებობის პირმა შეიძლება უშუალო-  
დაც მიიღოს მონაწილეობა იმ სამსახურებრივი მოქმედების

შესრულებაში, რომლითაც ქრთამის მიმცემია დაინტერესებული და რომლისთვისაც მეორე თანამდებობის პირმა ქრთამი აიღო. თუ ამასობაში დამხმარე რაიმე სხვა დანაშაულს ჩაიდენს, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს არა მარტო მექრთამეობაში თანამონაწილეობისათვის, არამედ ამ მეორე დანაშაულისთვისაც.

3. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამოუკიდებელ დანაშაულადაა გამოყოფილი მექრთამეობაში დახმარების ყველაზე უფრო ტიპური სახეობა — შუამავლობა მექრთამეობაში (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189<sup>1</sup> მუხლი).

პასუხისმგებლობა შუამავლობისათვის ცალკე მუხლითაა გათვალისწინებული და მისთვის დამოუკიდებელი სასჯელია დაწესებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მექრთამეობაში შუამავლობა ქრთამის მიცემა-აღებისაგან ცალკე დანაშაულს წარმოადგენდეს. შუამავლობა თავისი ბუნებით ქრთამის მიცემა-აღებაში დახმარების ხასიათს ინარჩუნებს. ამის გამო შუამავლობას არ გააჩნია ხელყოფის დამოუკიდებელი ობიექტი.

მეორე მხრით, ვინაიდან შუამავლობა ცალკე, დამოუკიდებელ მუხლშია გათვალისწინებული, ამიტომ იგი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს თანამონაწილეობის შესახებ მუხლზე მითითებით. სასამართლოები ზოგჯერ უშეებენ ასეთ შეცდომებს. ასე მაგალითად, ო-ს საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1944 წ. 9 ნოემბრის დადგენილებაში ცნო, რომ „ო-სთვის ინკრიმინირებული მოქმედება უსაფუძვლოდ არის კვალიფიცირებული რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17—117 მუხლებით (ე. ი. თანამონაწილეობის შესახებ მუხლზე მითითებით — ვ. შ., გ. ტ.); რადგანაც მგზავრებისაგან აღებული ფული ქრთამის სახით მან ჩ-ს საშუალებით გადასცა ვ-ს. ამის გამო ო-სთვის ინკრიმინირებული მოქმედება განხილული უნდა იქნას როგორც

შუამავლობა მექრთამეობაში და დაკვალიფიცირდეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით”<sup>1</sup>.

შუამავალი საზოგადოებრივად საშიში ელემენტია. იგი დამაკავშირებელი რგოლია ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს შორის. მისი საზოგადოებრივი საშიშროება კიდევ უფრო იზრდება მაშინ, როდესაც იგი სისტემატური შუამავლობით მუდმივ შემოსაველს ღებულობს თანამდებობის პირისათვის გადასაცემი „გასაპრჯელოს“ გარკვეული ნაწილის მითვისებით. მუქთახორა შუამავალი გამბრწუნელ ზეგავლენას ახდენს მერყევსა და ჩამორჩენილ ელემენტებზე, სხვადასხვა ფორმით ხელს უწყობს მექრთამეობას და განამტკიცებს როგორც ქრთამის მიმცემის, ისე ქრთამის ამღების გადაწყვეტილებას — ჩაიდინონ ეს დანაშაული.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ დაუშვებელია რაიმე შეწყობა გამოვიჩინოთ მექრთამეობაში შუამავლის მიმართ. მაგალითად, ჯერ კიდევ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლომ სამხედრო-სარკინიგზო კოლეგიამ 1944 წ. 25 ივლისის განჩინებაში ფ-ს საქმეზე აღნიშნა, რომ მექრთამეობაში შუამავლობისათვის პირი აუცილებლად უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ამასთან დაუშვებელია ასეთი პასუხისმგებლობა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებით შეიცვალოს. „გორკის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალმა განაჩინა, აღიძრას დისციპლინური წარმოება ფ-ს მიმართ მექრთამეობაში შუამავლობისათვის. ტრიბუნალის ეს განჩინება გასაუქმებელია, რადგან, თუკი დადგინდა, რომ ფ-ს მექრთამეობაში შუამავლობა გაუწევია, იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მისაცემი“<sup>2</sup>.

მაგრამ მექრთამეობის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-

<sup>1</sup> «Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1944 г.», М., Юриздат, 1948, გვ. 21.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 102.

დიუმის 1962 წ. 20 თებერვლის ბრძანებულებით, რომელმაც კიდევ უფრო მკაცრი სასჯელები დააწესა ამ დანაშაულისათვის და კერძოდ, შუამავლობისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ „საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული საშიში ხასიათი არა მარტო ქრთამის ამლების, არამედ აგრეთვე ქრთამის მიმცემის და შუამავლის მოქმედებისა“<sup>1</sup>.

პლენუმის ამ დადგენილებაში გარკვეულია, თუ ვინ ჩაითვლება მექრთამეობაში შუამავლად. „...შუამავალია ის, — ნათქვამია დადგენილებაში, — ვინც, მოქმედებს რა ქრთამის მიმცემის ან ქრთამის ამლების თხოვნით ან დავალებით, სელს უწყობს ქრთამის მიცემა-აღების შესახებ შეთანხმების მიღწევას ან განხორციელებას“<sup>2</sup>. ამ განსაზღვრებიდან ნათელია, რომ შუამავალი მოქმედებს ქრთამის მიმცემის ან ქრთამის ამლების სახელით და მისი ინტერესებისათვის. კერძოდ, იგი პირდაპირ არ არის დაინტერესებული იმ სამსახურებრივი მოქმედებით, რომლის გამოც ქრთამია მიცემული. სახელდობრ ამ მომენტით უნდა განვასხვაოთ შუამავალი ქრთამის მიმცემისაგან. სასამართლოები ყოველთვის არ უწყევნან ანგარიშს ამ გარემოებას. ხშირად ისინი პირს ქრთამის მიმცემად თელიან მხოლოდ იმის გამო, რომ მან ფაქტიურად ქრთამი გადასცა და მხედველობაში არ იღებენ იმ გარემოებას, თუ ვისი ინიციატივითა და ვისი ინტერესებისათვის ხდება ქრთამის გადაცემა.

ჩელიაბინსკის ოლქის პოლტავის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ე. ცნობილი იქნა დამნაშავედ მასში, რომ მან 1000 მან. (ძველი ფულით) გადასცა სახალხო მოსამართლეს, რათა ამ უკანასკნელს ავტოსატრანსპორტო წესების დარღვევისათვის სამართალში მიცემულ ს-თვის დაენიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც დაკავშირებული არ იქნებოდა თავისუფლების აღკვეთასთან. ე-ს მოქმედება დაკვალიფიცირ-

<sup>1</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 11.

და როგორც ქრთამის მიცემა. საქმიდან ჩანდა, რომ ყ-ს ქრთამის გადაცემა თხოვა ს-ს მამამ, რომელმაც ამ მიზნისათვის მისცა მას აღნიშნული თანხა. ამრიგად, ყ-ს მოქმედების ასეთმა კვალიფიკაციამ ორგვარი შეცდომა წარმოშვა: ჯერ ერთი, ყ-ს ქრთამის მიმცემად იქნა ცნობილი მაშინ, როდესაც იგი შუამავალი იყო და, მეორე, პასუხისგებაში არ იქნა მიცემული ს-ს მამა, რომელიც სწორედ ქრთამის მიმცემად უნდა ჩათვლილიყო. იმის გაშვო, რომ შუამავლობა ყოველთვის გულისხმობს კონტაქტის დამყარებას ქრთამის მიმცემსა და ქრთამის ამღებს შორის, ქრთამის მიცემა-აღებისათვის გაწეული დახმარება, რომელიც ამ ნიშნით არ ხასიათდება, არ ჩაითვლება შუამავლობად. როგორც მართებულად აღნიშნავს ნ. კუჩერიავი „მეორე მხარესთან კავშირის გარეშე მხოლოდ ერთი მხარისათვის გაწეული დახმარება არ შეიძლება შუამავლობად იქნას განხილული“<sup>1</sup>. ამიტომ, დახმარება ქრთამის მიცემაში ან დახმარება ქრთამის აღებაში არ წარმოადგენენ შუამავლობის სახეებს, რადგანაც შუამავლობა ერთდროულად დაკავშირებულია ორივე აქტთან — ქრთამის მიცემასა და ქრთამის აღებასთან.

— შუამავლის, როგორც დამაკავშირებელი რგოლის, მოქმედება სხვადასხვანაირია. ზოგჯერ იგი ნიადაგს ამზადებს ქრთამის ჩასაბარებლად, აწყობს მხარეთა შეხვედრას, მოლაპარაკებას აწარმოებს და არკვევს, რა პირობით შეიძლება შეთანხმდნენ ქრთამის მიმცემი და ქრთამის ამღები, აზუსტებს ქრთამის საგანსა და მის ოდენობას, აგრეთვე იმ სამსახურებრივ მოქმედებას, რომელიც შეპირობებულია ქრთამით ან მას წინ უსწრებს და. ა. შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, შუამავალი, როგორც მითითებულია პლენუმის დადგენილებაში, ხელს უწყობს შეთანხმების მიღწევას ქრთამის მიცემა-აღების თაობაზე. სხვა შემთხვევებში შუამავალი ხელს უწყობს თვით შეთანხმების განხორციელებას, კერძოდ, იგი გვევლინება ქრთამის გადამცემად, ე. ი. ფაქტიურად აბარებს ფულსა თუ სხვა ფასეულობას მექრთამეს ან მის მიერ მითითებულ სხვა

<sup>1</sup> Н. П. Кучерявый, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 145.

პირს. ხდება აგრეთვე, რომ შუამავალი თანამდებობის პირს სხვადასხვა ქონებრივი ხასიათის სამაჩხურს უწევს, რათა ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ხელსაყრელ შედეგს მიაღწიოს. შუამავლის მოქმედება განსაკუთრებით საშიში ხდება, როდესაც იგი თანამდებობის პირს დავალებით მოქმედებს და ამასთან მის იღუმალ აგენტად იქცევა (ეძებს იმათ, ვინც თანახმაა ქრთამი გაიღოს, იძლევა ქრთამის წინადადებას, თანამდებობის პირის სახელით მოითხოვს ქრთამს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება კანონიერი ინტერესების შელახვით და ა. შ.).

სასამართლოებს ყოველთვის ნათლად როდი აქვთ წარმოდგენილი, თუ რა წრის მოქმედება უნდა მიეკუთვნოს შუამავლობას მექრთამეობაში. არის შემთხვევები, როდესაც პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებენ ისეთ პირებს, რომელთა შესახებაც ცნობილია, რომ მათ შექმნეს ხელსაყრელი პირობები, რათა გაეადვილებინათ სასყიდლის გადაცემა ქრთამის მიმცემის მიერ ქრთამის მიმღებისათვის.

მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო-სარკინიგზო კოლეგიამ 1943 წლის 10 სექტემბრის განჩინებით რ-სა და მ-ს საქმეზე გააუქმა ლენინის სახელობის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალის გამამართლებელი განაჩენი, რომელიც მან შუამავალ მ-ს გამოუტანა. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მ-მ კავშირი გააბა ქრთამის ნიშნულზე პ-სა და ქრთამის ამღებ სადგურ კოჩეტოვკას უფროს მწონავ კ-ს შორის. მ-ს დანაშაულებრივი საქმიანობა იმით გამოიხატა, რომ მან გააცნო ერთმანეთს პ. და კ., რამდენჯერმე შეახვედრა ისინი ქვიფში და დაესწრო, როდესაც პ-მ მისცა კ-ს ქრთამად 5000 მანეთი ვაგონების უკანონო მიწოდებისათვის.

ასეთ ვითარებაში, კოლეგიის აზრით, ყველა საფუძველი იყო იმისათვის, რომ მ. მიცემული ყოფილიყო სისხლის სამართლის პასუხისმგებაში შუამავლობისათვის, რომელიც მან მექრთამეობაში გასწია.

ამ განჩინებას ასეთი ზოგადი ხასიათის თეზისი აქვს:



„წინასწარი შეცნობით ისეთი ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს უწყობენ ქრთამის გადაცემას ქრთამის მიმცემისაგან ქრთამის ამღებისათვის, უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც შუამავლობა მექრთამეობაში“<sup>1</sup>.

შუამავალს შეუძლია წინასწარ მიიღოს ქრთამის ამღების თანხმობა გადასაცემი ქრთამის თაობაზე, მაგრამ ეს აუცილებელი არ არის. შუამავალმა პასუხი უნდა აგოს მაშინაც, თუ ჩააბარა თანამღებობის პირს ქრთამი ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკების გარეშე.

მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის სახაზო სასამართლომ ამას ანგარიში არ გაუწია და ამიტომ ვ-სა და სხვათა საქმეში მას შეცდომა მოუვიდა.

ამ სასამართლომ გაამართლა შუამავლები ლ. და ზ., რომელთაც გადასცეს რევიზორ ვ-ს ქრთამი 10 უბილეთო მგზავრის უკანონო წაყვანისათვის. თავისი განაჩენი მან იმ მოსახზრებაზე დააყარა, რომ ბრალდებულები არ იყენენ მოლაპარაკებული ვ-სთან მგზავრების უფასო წაყვანაზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას; მან გააუქმა განაჩენი და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა<sup>2</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ქრთამის მიმცემსა და ამღებს შორის ერთი დამაკავშირებელი რგოლი კი არ იყო, არამედ რამდენიმე, და დაინტერესებული პირისაგან მიღებული ქრთამი, ვიდრე ქრთამის ამღებს მიაღწევდა, ხელიდან ხელში, ერთი შუამავლისაგან მეორესთან გადადიოდა.

მაგალითად, ო-ს საქმეზე დადგენილი იყო, რომ ვინმე მგზავრმა, რათა უკანონოდ ოთხი სამგზავრო ბილეთი მიეღო, მოლარის მოსაქრთამად ო-ს მისცა ამ ბილეთების ფასის გარდა კიდევ 200 მანეთი. ო-მ მთელი ეს ფული გადასცა ჩ-ს,

<sup>1</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР 1943 г.», 1949. გვ. 89—90.

<sup>2</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 8, გვ. 36.

რომელმაც მისცა ქრთამი მოლარე ვ-ს და ამით მოაცემინა მას უკანონოდ ოთხი სამგზავრო ბილეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1944 წლის 9 ნოემბრის დადგენილებით დამნაშავედ ცნო შუამავლობაში არა მარტო ჩ., რომელმაც უშუალოდ გადასცა მოლარეს ქრთამი, არამედ ო-ც.<sup>1</sup>

შუამავალი აქტიური ფიგურაა. როდესაც იგი მთავარ როლს ასრულებს ქრთამის მიცემა-აღების პროცესის მომზადებასა და განხორციელებაში, მან შეიძლება უფრო დიდი დანაშაულებრივი ენერგია გამოიჩინოს, ვიდრე სხვა დამნაშავე პირებმა. მაგრამ შუამავალი შეიძლება იმდენად აქტიური იყოს, რომ საკუთარი ინიციატივით მოქმედებდეს, დაბეჯითებით უნერგავდეს აზრს შესაფერის პირებს ქრთამის მიცემა-აღების შესახებ და ამასთან რიგ ისეთ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ლებულობდეს, რომლებიც მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისაკენ. ასეთ შემთხვევაში მისი საქმიანობა სცილდება შუამავლობის ფარგლებს და მან საქმის კონკრეტული გარემოების მიხედვით პასუხი უნდა აგოს როგორც ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის წამქეზებელმა ან ორგანიზატორმა. ზოგჯერ სასამართლოები ჯეროვნად არ აფასებენ ამ მომენტს და დამნაშავის მოქმედებას ზუსტად არ აკვალიფიცირებენ. ამ გარემოების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში მითითებულია: „ზოგიერთი სასამართლო შეცდომით ფიქრობს, რომ რამდენადაც კანონით შუამავლობა მექრთამეობაში ცალკე დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობით არის გათვალისწინებული, ამდენად შუამავალმა შეუძლებელია პასუხი აგოს ქრთამის აღების ან მიცემის თანამონაწილეობისათვის. მაგრამ შუამავალი არაიშვიათად წარმოადგენს ამ დანაშაულთა ორგანიზატორს ან მის წამქეზებელს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда СССР 1944 г.», М., 1948, გვ. 21.

<sup>2</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 9.

ამ მცდარი პრაქტიკის საილუსტრაციოდ პლენუმის დადგენილებაში მოტანილია ასეთი მაგალითი: კ., რომელიც წინათ სასამართლები იყო სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის, პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ არსად არ მუშაობდა და პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდა. იგი გაეცნო სოხუმის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს უფროსს ზ-ს და ამ უკანასკნელს შესთავაზა აელო ქრთანი იმ პირთაგან, რომელთაც საბინაო პირობების გაუმჯობესება ესაქიროებოდათ. ამ მიზნით კ-მ და ზ-მ დააწესეს ქრთამის „განაკვეთები“, როგორც რიგის შეცვლისათვის, ისე ბინების მიღებისათვის. აღნიშნული დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა წყალობით 33 ქრთამის მიმცემისაგან კ-მ პირადად და სხვა შუამავალთა საშუალებით მიიღო 30.000 მანეთზე მეტი თანხა. აქედან კ-მ ზ-ს გადასცა 12.000 მანეთი, ხოლო დანარჩენი სხვა შუამავლებთან ერთად თვითონ მიითვისა.

პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ კ-ს მოქმედება არასწორად დააკვალიფიცირეს როგორც შუამავლობა მექრთამეობაში. სინამდვილეში კ. ქრთამის აღების ორგანიზატორი იყო და მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო როგორც თანამონაწილეობა ქრთამის აღებაში.

4. პრაქტიკაში დიდი ხანია წამოიჭრა საკითხი. რა კვალიფიკაცია ეკუთვნის იმ პირის მოქმედებას, რომელმაც გამოიყენა სხვა პირის დაინტერესება რაიმე სამსახურებრივი მოქმედებით, მას თავისი თავი შუამავლად შესთავაზა, ხოლო ნამდვილად კი მიითვისა ის ფული თუ სხვა ფასეულობა, რაც ვითომდა თანამდებობის პირისათვის ჩასაბარებლად მიიღო? სასამართლოები დიდხანს იხილავდნენ ასეთ შემთხვევებს როგორც ქონების დაუფლებას მოტყუებით. ე. ი. თაღლითობას და ამიტომ ათავისუფლებდნენ პასუხისმგებლობისაგან იმათ, ვინც ფული თუ სხვა ფასეულობა გადასცა.

მაგალითად, ტ. ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ შეხვედრია ვ-ს, რომელსაც თავისი მსჯავრდებული ქმრისათვის გადაცემა ჩამოეტახა და შეუთავაზებია, მიეცა მისთვის 285 მანეთი, ვითომდა თავისი ნაცნობი თანამდებობის პირისათვის გადასაცემად, რის შემდეგაც ვ-ს ქმრის ნახვის ნებართვა მიეცემოდა. ვ-მ დაუჯერა და მისცა ხსენებული თანხა, ხოლო ტ-მ ეს ფული მიითვისა. ასეთივე „ოპერაცია“ ტ-მ მ-სთანაც მოუწყვია: როდესაც მ-სთან შესვედრისას ლაპარაკში გამორკვეულა, რომ მისი ვაჟი მსჯავრდებული იყო, ტ-ს დაურწმუნებია მ., თანამდებობის პირებთან კარგი ნაცნობობა მაქვსო და დაპირებია — შემოძლია ვაჟი ქრთამით გაგითავისუფლო; მ-ს მიუცია მისთვის ამ მიზნით 255 მანეთი, 2 კგ ქონი და 2 მ ტილო, რომლებიც ტ-მ მიითვისა<sup>1</sup>.

აღნიშნული შემთხვევების ასეთი შეფასებით, პირი, რომელიც ქრთამის მიცემის განზრახვით ფულს ან სხვა მატერიალურ ღირებულებას გადასცემდა, თაღლითობის მსხვერპლად ითვლებოდა. ამის გამო მას სისხლის სამართლის პასუხისგებაში აღარ აძლევდნენ. სინამდვილეში იგი დანაშაულებრივ ხელყოფას ასრულებდა, რადგანაც ცდილობდა სხვა პირის საშუალებით ქრთამი გადაეცა ისეთი თანამდებობის პირისათვის, რომლის მოქმედებითაც იგი დაინტერესებული იყო. იმავდროულად მოჩვენებითი შუამავლის მოქმედება ძირითადად მიმართული იყო ქრთამის მიცემაზე სხვა პირის დაყოლიებისაკენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ამჟამად ძალადაკარგულ 1949 წ. 29 ივნისის დადგენილებაში მცდარად მიიჩნია სასამართლო პრაქტიკა, რომელიც ასეთ შემთხვევებს ქონებრივ დანაშაულად, კერძოდ, თაღლითობად თვლიდა. პლენუმმა მოითხოვა, რომ მოჩვენებითი შუამავალი განხილულიყო ქრთამის მიცემის წამქეზებლად, ხოლო ის პირი, რომელიც ყაბულს იყო გადაეცა ფული ან სხვა მატე-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 9, გვ. 22—23.

რიალური ღირებულება, პასუხისგებაში მიცემულიყო ქრთამის მიცემის მცდელობისათვის<sup>1</sup>.

მიუხედავად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ამ პრინციპული მითითებისა, სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ მაინც არასწორად აკვალიფიცირებდა ასეთ ქმედობას. მაგალითად, ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს 1961 წ. 15 ნოემბრის განაჩენით ც. დამნაშავედ იქნა ცნობილი თაღლითობაში. ც-ს დანაშაული გამოიხატა შემდეგში: იგი დაპირდა ქ. ფოთის ავტოსკოლის მსმენელებს დახმარებას გამოცდების ჩაბარებასა და მძღოლის უფლების მიღებაში. ამისათვის ც-მ მათ მოსთხოვა თითოეულს 120 მანეთი, ვითომც იმ თანამდებობის პირებისათვის გადასაცემად, რომლებიც გამოცდებს ღებულობდნენ და მძღოლის უფლებას ანიჭებდნენ. ც-მ მთლიანად მიითვისა ავტოსკოლის მსმენელთაგან აღებული ფული.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ამ საკითხში სასამართლო პრაქტიკის ასეთი მერყეობის გამო თავის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში კიდევ კატეგორიულად განუმარტა სასამართლოებს, რომ „ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი აქეზებს ქრთამის მიმცემს და მისგან ღებულობს ფულს ან სხვა ფასეულობას ვითომდა ქრთამის სახით თანამდებობის პირისათვის გადასაცემად, მაგრამ მას ფაქტიურად ითვისებს, ეს დანაშაული იმ პირთა მიმართ, რომლებიც იყოლიებდნენ ქრთამის მიცემაზე, საჭიროა დაკვალიფიცირდეს როგორც ქრთამის აღების წამქეზებლობა, ხოლო ქრთამის მიმცემის მიმართ — როგორც ქრთამის მიცემის მცდელობა“<sup>2</sup>.

მაგრამ ასეთი კვალიფიკაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ზუსტად დადგინდება, რომ ფული ან სხვა ქონება, როგორც ქრთამი, მოჩვენებით შუამავალს მიეცა თანამდებობის პირისათვის გადასაცემად და არა სხვა საბაბით. ამ

<sup>1</sup> იხ. «Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1957 гг.», М., Госюриздат. 1958. გვ. 25.

<sup>2</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 12.

თვალსაზრისით საინტერესოა ქ. ბაქოს ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წ. 1 აგვისტოს განაჩენი ტ-ს საქმეზე.

ტ-მ თავი წარუდგინა მ-ს ადვოკატად, შეპირდა ამ უკანასკნელს მისი ქმრის განთავისუფლებას, რისთვისაც ტ-მ იკისრა მისი ინტერესების დაცვა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში. ამისათვის ტ-მ მიიღო მ-სგან 3600 მან. სინამდვილეში ტ. ადვოკატი არ იყო და მან მოტყუების გზით მიღებული ფული მიითვისა.

ქ. ბაქოს ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ტ-ეს მოქმედება დაკვალიფიცირდა როგორც ქრთამის მიცემის წამქეზებლობა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წ. 26 მარტის დადგენილებით ასეთი კვალიფიკაცია დაუსაბუთებლად ჩაითვალა. ტ. არ მოქმედებდა, როგორც მოჩვენებითი შუამავალი, არ მოითხოვდა ფულს ვითომც თანამდებობის პარისათვის გადასაცემად. ფული მან მიიღო სხვა საბაბით. მ. თავის მხრივ ვარაუდობდა, რომ ტ-ს ფულს აძლევდა დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის და არა თანამდებობის პარისათვის ქრთამის გადასაცემად. ასეთ გარემოებებში ტ-მ, რომელმაც ისარგებლა მ-ს ნდობით და მოტყუებით მიღებული ფული მიითვისა, ჩაიდინა თაღლითობა<sup>1</sup>.

5. ქრთამის მიცემა-აღებასთან შემხებელთა პასუხისმგებლობის საკითხი საერთო წესით უნდა გადაწყდეს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა წინასწარ შეუპირებული დაფარვისათვის. წინასწარ შეპირებული დაფარვა კი განხილული უნდა იქნას როგორც თანამონაწილეობა, კერძოდ, როგორც ფსიქიკური დახმარება, რომელიც განამტკიცებს მთავარ დამნაშავეთა გადაწყვეტილებას ჩაიდინონ დანაშაული. ასევე უნდა შეფასდეს მექრთამეობის წინასწარ შეპირებული დაფარვა. აღნიშნულ შემთხ-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1960, № 5, გვ. 10—11.

ვევაში საქმის გარემოებების მიხედვით პირმა პასუხი უნდა აგოს ან ქრთამის მიცემაში ან ქრთამის აღებაში დახმარებისათვის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის.

205-ე მუხლის თანახმად, დაძნელების, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების წინასწარ შეპირების გარეშე დაფარვა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, როდესაც დაფარული დანაშაულისათვის კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით. აქედან გამომდინარეობს, რომ ვინაიდან მექრთამეობის ყველა სახისათვის დაწესებულია მკაცრი სასჯელები, ამიტომ მექრთამეობის დაფარვის ყველა შემთხვევა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. 205-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას გამოიწვევს დამამძიმებელ გარემოებებში შესრულებული ქრთამის აღების, ქრთამის მიცემის და მექრთამეობაში შუამავლობის დაფარვა.

მექრთამეობის დაფარვა განსაკუთრებით საშიშია, როდესაც დამფარავად თანამდებობის პირი გამოდის. ასეთი დამფარავი — ქრთამის დასაფარავად აქტიური სამსახურებრივი ნოქმედების ჩამდენი — ხელს უწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის საქმიანობის დეზორგანიზაციას და ძირის გამოთხრას. ამიტომ იგი პასუხისგებაში უნდა მიეცეს არა 205-ე, არამედ 186-ე მუხლით ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის.

უკვე ჩადენილი დანაშაულის ან ისეთი დანაშაულის განუცხადებლობა, რომელიც ნამდვილად ცნობილია, რომ მზადდება ან ჩადენილია, არ წარმოადგენს დანაშაულში თანამონაწილეობას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის ძალით განუცხადებლობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს მექრთამეობის

მეობის განუცხადებლობას, როგორც დანაშაულებრივ ქმედობას. ამიტომ იგი, საერთო წესით, არც იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. მაგრამ, თუ თანამდებობის პირის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენს, განაცხადოს მექრთამეობის შესახებ, რომელიც ჩადენილია ან მზადდება, მაშინ ზომების მიუღებლობა დანაშაულის აღკვეთასა თუ მხილებისათვის უნდა ჩაითვალოს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი)<sup>1</sup>, ხოლო, თუკი განუცხადებლობა ან მიმნებებლობა მექრთამეს წინასწარ ჰქონდა დაპირებული, ამ შემთხვევაში თანამდებობის პირი, რომელმაც წინასწარ შეცნობილად თავისი ასეთი მოქმედებით განუმტკიცა სხეას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, ჩაითვლება დამხმარედ და პასუხს აგებს აგრეთვე როგორც მექრთამეობის თანამონაწილე.

---

<sup>1</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის თავისებური კონსტრუქციის თანახმად დაწესებულია პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, რაც შეიძლება არა მარტო მოქმედებით. არამედ უმოქმედობითაც იქნას ჩადენილი.



**მექრთამეობის კვალიფიციური სახეობანი**

მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსების მიღებამდე საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებდა მხოლოდ ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებებს. ახალი კოდექსები ითვალისწინებენ კვალიფიციურ გარემოებებს აგრეთვე მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემის დროსაც. კანონმდებლის ამგვარი პოზიცია უსათუოდ გამართლებულია, რადგან წინათ მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შემთხვევებში აწესებდა სასჯელის ერთი და იმავე ჩარჩოებს.

ამჟამად კანონი ანგარიშს უწევს როგორც ქრთამის აღების ისე მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემის ზოგი სახეობის მონეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას და მათ უფრო მკაცრ სასჯელს უკავშირებს. ამიტომ მექრთამეობასთან ბრძოლაში დასჯის პოლიტიკის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა ყოველ ცალკე შემთხვევაში სწორად დაადგინონ ამ დანაშაულებრივ ქმედობათა დამამძიმებელი გარემოებები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებაში მითითებულია, რომ სასამართლო პრაქტიკაში ერთნაირად არ ესმით მექრთამეობის დამამძიმებელი გარემოებანი<sup>1</sup>. ამ მიმართულებით პლენუმის იძლევა სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც განხილუ-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 8.

ლი იქნება ცალკეულ დამამძიმებელ გარემოებათა ანალიზის დროს.

1. ზოგიერთი დამამძიმებელი გარემოება საერთოა ქრთამის აღებისა, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის. ეს შესაძლებლობას გვაძლევს აღნიშნული დამამძიმებელი გარემოებანი ერთად დავახასიათოთ. ასეთებია:

ა) ნასამართლობა მექრთამეობისათვის, ბ) არაერთჯერ ქრთამის აღება, მექრთამეობაში შუამავლობა ან ქრთამის მიცემა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის მეორე ნაწილი, 189<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი და 190-ე მუხლის მეორე ნაწილი).

✓ ქრთამის აღება იმ პირის მიერ, ვინც უკვე ნასამართლებია მექრთამეობისათვის ან ქრთამის არაერთჯერ აღება მოწმობს იმას, რომ ასეთ პირს დასჩემდა მიღრეკილება თავისი თანამდებობა გამორჩენის წყაროდ გადააქციოს. ასეთი მოქმედება, ცხადია, მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს აგრეთვე ამავე პირობებში ქრთამის მიცემას და, განსაკუთრებით, მექრთამეობაში შუამავლობას, რომელიც ამავე დროს ჩვეულებრივად ანგარებით ხასიათდება. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება მექრთამეობის დამამძიმებელ გარემოებათა შორის სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს. |

მექრთამეობისათვის ნასამართლობაში იგულისხმება ნასამართლობა არა მარტო ქრთამის აღებისათვის, არამედ აგრეთვე შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის. ამის მიზეზის დადგენა ადვილია: როგორც ქრთამის მიცემა, ისე შუამავლობა იმდენად ორგანულადაა დაკავშირებული ქრთამის აღებასთან, რომ ამ უკანასკნელთან ერთად მექრთამეობის ერთიან რთულ დანაშაულს ქმნიან. მაგალითად, თანამდებობის პირი, რომელიც ერთხელ მსჯავრდებული იყო ქრთამის მიცემისა ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის და ამის შემდეგ ქრთამს აიღებს, ბევრად არ განსხვავდება იმ თანამდებობის პირისაგან, რომელმაც ქრთამის აღებისათვის მსჯავრდების შემდეგ ისევ ქრთამი აიღო.

ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოიხადა თუ არა პირმა წინათ დანიშნული სასჯელი მექრთამეობისათვის. არსებითია, რომ იგი მსჯავრდებული იყოს წინა დანაშაულისათვის და ამის გამო ნასამართლობის მქონედ ითვლებოდეს. იგივე ითქმის ნასამართლობაზე შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის.

წინანდელ ნასამართლობად იგულისხმება ნასამართლობა როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მექრთამეობისათვის და აგრეთვე ნასამართლობა მექრთამეობაში თანამონაწილეობისათვის.

თუ პირი მექრთამეობისათვის პირველი მსჯავრდებიდან გარკვეული ვადის გასვლამდე ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს, ეს ნიშნავს, რომ იგი გამოსწორების გზას დაადგა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩადენილი ახალი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას წინათ ჩადენილი დანაშაული აღარ უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. ნასამართლობის მოხსნის ან გაქარწყლების შემდეგ აშკარად მიზანშეუწონელი იქნებოდა წინათ ჩადენილი მექრთამეობა დამამძიმებელ გარემოებად ჩაგვეთვალა.

ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ამტკიცებს, რომ წინა ნასამართლობა მექრთამეობისათვის, იმისდა მიუხედავად, მოხსნილია იგი თუ არა, მაინც მოგვეცემს მექრთამეობის კვალიფიციურ შემადგენლობას, თუ ეს დანაშაული განმეორებითაა ჩადენილი. მაგალითად, პროფ. ა. ყიყილენკოს აზრით, ვინაიდან კანონში მექრთამეობის შესახებ ლაპარაკია ნასამართლობაზე და არა სასჯელის მოხდაზე, ამიტომ დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული უნდა იქნას მექრთამეობისათვის მსჯავრდების ფაქტი, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის იქნა პირი მსჯავრდებული ან ამნისტირებული<sup>1</sup>.

ანალოგიური შეხედულებისაა პროფ. ა. გერცენზონიც, რომელიც საკითხს უფრო ფართოდ განიხილავს. იგი თვლის,

<sup>1</sup> об. А. А. Жижиленко, Должностные (служебные) преступления. Практический комментарий, М., 1927, гл. 79.

რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენა საერთო წესისამებრ შეიძლება განხილულ იქნას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მაშინაც, როდესაც პირს მოხსნილი აქვს ნასამართლობა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ან როდესაც გასულია ხანდაზმულობის ვადები. ა. გერცენზონის ასეთი მოსაზრების საბუთს წარმოადგენს შემდეგი: 1924 წ. ძირითადი საწყისებისაგან განსხვავებით, 1958 წ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები აღარ შეიცავენ დათქმას, რომ წარსულში დანაშაულის ჩადენა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას იმ შემთხვევაში, როდესაც ეს პირი ცნობილია სამართალში არყოფილად ან როდესაც გასულია ხანდაზმულობის ვადები<sup>1</sup>.

ნასამართლობის გაქარწყლების ვადების მნიშვნელობის ასეთი შეფასება არ უნდა იყოს სწორი.

ჯერ ერთი, იმ ვადების გასვლამდე, რომლებიც აქარწყლებენ ნასამართლობას, ახალი დანაშაულის ჩადენა მოწმობს იმას, რომ ბრალდებული მიეჩნევა ან ეჩვევა საარსებო საშუალებათა შექმნას პარაზიტული საშუალებებით. მაგრამ ცხადია, რომ თუ პირველი დანაშაულისათვის სასჯელის მოზღდის შემდეგ ნასამართლობის გამაქარწყლებელი ვადა გავიდა და პირი ისევ ჩაიდენს ახალ დანაშაულს, ამ უკანასკნელისათვის სასჯელის დანიშვნას დროს პირველი დანაშაული არ უნდა ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად. გარდა ამისა, ყურადსაღებია შემდეგი მომენტიც. როგორც ცნობილია, 1924 წ. ძირითადი საწყისების 10<sup>1</sup> მუხლის თანახმად, იმ პირის მიმართ, რომელსაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, ნასამართლობის მოხსნა არ დაიშვებოდა.

1958 წ. საფუძვლების 47-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლით

<sup>1</sup> იხ. А. А. Герцензон, *Об Основах уголовного законодательства Союза ССР и союзных республик*. М., Госюриздат, 1959, гл. 59, п. 1. აგრეთვე С. Бородин, *Применение нового уголовного кодекса РСФСР по делам об убийствах («Социалистическая законность», 1961, № 9, гл. 23)*.

ეს შეზღუდვა გაუქმდა და ამჟამად სასჯელის მოხდისაგან განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ ნასამართლობის გაქარწყლება ხორციელდება, ზოგიერთი გამოჩაყლისის გარდა, ავტომატურად. უფრო მეტიც, 57-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მოხდის შემდეგ სამაგალითო ყოფაქცევითა და შრომისაღმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ამ მუხლში აღნიშნული ვადების გასვლამდე“.

რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც იგი 1924 წ. ძირითად საწყისებთან შედარებით ნასამართლობის მოხსნის უფრო შეღავათიან პირობებს აწესებდა? ნათელია, უპირველეს ყოვლისა ჰუმანური მოსაზრებებით. ამით კანონმდებელს სურდა გამოსწორების გზაზე დამდგარი პირისათვის შესაძლებლობა მიეცა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მოეხსნა ნასამართლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები. სავსებით მართებულად აღნიშნავეს პროფ. ბ. ნიკიფოროვი, რომ ნასამართლობის გაქარწყლების ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს ის, რომ სწორედ კანონით განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ არ შეიძლება იქნას ცნობილი წინათ ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად<sup>1</sup>. ნასამართლობის მოხსნის ახალი, შეღავათიანი წესის შემოღებით კანონმდებელმა აშკარად გამოხატა თავისი ნება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ წინანდელი მსჯავრდება ახალი დანაშაულსათვის სასჯელის განსაზღვრის დროს დამამძიმებელ გარემოებად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, თუ გასული არ არის ნასამართლობის დადგენილი ვადები.

შემდეგ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, „განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად არ ჩაითვლება... პირი, რომელიც ითვლება სა-

<sup>1</sup> იხ. Б. С. Никифоров, О рецидиве и судимости, «Советское государство и право», 1957, № 5, გვ. 100.

მართალში არყოფილად ამ კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად ან ამნისტიის ან პატიების აქტის ძალით“. თუ ა. გერცენზონის შეხედულებას მივიღებდით, მაშინ არალოგოური დასკვნა უნდა გაგვეკეთებინა: რეციდივის ყველაზე საშიშ შემთხვევაში ნასამართლობის მოხსნა შეუძლებელს ხდის პირი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ვცნოთ, ხოლო ვთქვათ, გამოძალვის რეციდივის შემთხვევაში წინანდელი დანაშაული, ნასამართლობის მოხსნის მიუხედავად, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაგვეთვალა. სინამდვილეში, თუ კანონმდებელი საჭიროდ ცნობს ნასამართლობის მოხსნის მნიშვნელობას განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს, მით უმეტეს არ შეიძლება უგულვებელყოთ ამ პრინციპის მნიშვნელობა რეციდივის სხვა, უფრო ნაკლებად საშიშ შემთხვევებში.

დასასრულ, შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რომ თუ მექრთამეობისათვის მსჯავრდებულ პირს ნასამართლობა ამნისტიის ან პატიების აქტით მოეხსნა, მაშინ მის მიერ მოკლე ხნის განმავლობაში ახალი დანაშაულის ჩადენამ თითქოსდა უნდა მოახდინოს გავლენა სასჯელის ზომაზე<sup>1</sup>. მაგრამ არც ეს მოსაზრებაა მისაღები. ნასამართლობის მოხსნით ამნისტიის ან პატიების დროს სახელმწიფო, ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მოცემულ პირს იურიდიულად სამართალში არყოფილად თვლის, ამიტომ სასამართლოს უფლება არა აქვს რევიზია გაუკეთოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საყოველთაო-სავალდებულო ნებას.

ამ მოსაზრებების გამო სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილება, რომლის საფუძველზეც ნასამართლობად არ ჩაითვლება, თუ: 1) წინათ ჩადენილი მექრთამეობისათვის გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენს, რომელიც სისრულეში მოყვანილი არ იყო, ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კო-

<sup>1</sup> ამ საკითხს სწორად ასე წყვეტს ვ. სოლოვიოვი (იხ. მისი წერილი «О некоторых вопросах применения общей части нового УК РСФСР», «Советская юстиция», 1961, № 8, გვ. 10).

დექსის 50-ე მუხლი); 2) სასჯელის მოხდის შემდეგ განვლო ნასამართლობის გამაქარწყლებელმა ვადამ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლი); 3) ამნისტიის ან პატიების აქტი, რომლითაც სჯავრდებული სასჯელისაგან განთავისუფლდა, სპეციალურად მიუთითებს ნასამართლობის მოხსნაზე<sup>1</sup>.

2. როგორც უკვე აღინიშნა, ნასამართლობასთან ერთად მექრთამეობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება: ა) ქრთამის აღებისათვის — ქრთამის არაერთჯერ აღება; ბ) მექრთამეობაში შუამავლობისათვის — მექრთამეობაში არაერთჯერ შუამავლობა და გ) ქრთამის მიცემისათვის — ქრთამის არაერთჯერ მიცემა. ამრიგად, მექრთამეობისათვის ნასამართლობისაგან განსხვავებდათ, აქ საჭიროა, რომ პირს არაერთჯერ ჩადენილი ჰქონდეს სწორედ ის ქმედობა, რომლისთვისაც იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია ამჟამად მიცემული. შეს იმას ნიშნავს, რომ, თუ ვთქვათ, თანამდებობის პირი თავდაპირველად ქრთამს მისცემს ან შუამავლობას განახორციელებს, ხოლო მეორეჯერ ქრთამს აიღებს და თან არცერთისათვის მსჯავრდებული არ იქნება, მაშინ მისი ნამოქმედარი უნდა დაკვალიფიციროდეს არა როგორც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი ქრთამის აღება, არამედ როგორც ქრთამის მიცემის ან მექრთამეობაში შუამავლობის და ქრთამის აღების რეალური ერთობლიობა.

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 11. ასეთსავე მითითებას შეიცავს ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის დადგენილება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. ამ დადგენილებით გატაცება არ შეიძლება დაკვალიფიციროდეს განმეორებით ჩადენილად, უკეთუ ნასამართლობა ბრალდებულს მოხსნილი აქვს ამნისტიის ან შეწყალების წესით ან გაქარწყლებული აქვს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებას 47-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე უკეთუ გატაცების მომენტისათვის გავიდა სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის (იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 3, გვ. 33).

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ მნიშვნელობას არ აძლევენ ამ დამამძიმებელ გარემოებას და ამის გამო ჩადენილ დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია ეძლევა.

ასეთი შეცდომა მოუვიდა იაროსლავის რკინიგზის სახაზო სასამართლოს, რომელმაც თუმცა ცნო, რომ სადგურის უფროსი ო. სისტემატურად ართმევდა კლიენტებს ქრთამს, მაგრამ მაინც მისი მოქმედება დააკვალიფიცირა რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგია არ დაეთანხმა ო-ს საქციელის ასეთ კვალიფიკაციას, გააუქმა სახაზო სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელახალი განხილვისათვის დააბრუნა<sup>1</sup>.

„არაერთჯერ ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა ან მექრთამეობაში შუამავლობა, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში, — გულისხმობს ერთ-ერთ ამ დანაშაულის სულ მცირე ორჯერ ჩადენას, უკეთუ ამასთან არ გასულა სისხლის სამართლის დევნის ხანდაზმულობა. ერთდროულად რამდენიმე პირისაგან ქრთამის აღება, რამდენიმე პირისათვის ქრთამის მიცემა ან აღნიშნულ პირობებში შუამავლობა განხილული უნდა იქნას როგორც არაერთჯერ ჩადენილი დანაშაული“.

ქრთამის არაერთჯერ აღების, შუამავლობისა და ქრთამის მიცემის დადგენისათვის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელობა აქვს მექრთამე თანამდებობის პირის მიერ შესრულებულ სამსახურებრივ მოქმედებათა რაოდენობას. უდავოა, ქრთამის არაერთჯერ აღებად ჩაითვლება ერთი და იმავე პირისაგან ქრთამის ორჯერ ან მეტჯერ აღება ორი ან მეტი სამსახურებრივი მოქმედებისათვის. ასევე შეფასდება რამდენიმე პირისაგან ქრთამის ერთდროულად აღება ორი ან მეტი სამსახურებრივი მოქმედებისათვის.

მ. კოვალიოვი და გ. შელკოვიჩინი ამ საკითხის დადგენისას

---

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 6, გვ. 37.



მნიშვნელობას აძლევენ მხოლოდ და მხოლოდ ქრთამის გადაცემისავენ მიმართული აქტების რაოდენობას, ხოლო სხვა მომენტებს უგულვებლყოფენ. ასე მაგალითად, მათი აზრით, რამდენიმე პირისაგან ქრთამის აღება ერთი სამსახურებრივი მოქმედებისათვის ყველა შემთხვევაში განხილული უნდა იქნას ქრთამის არაერთჯერ აღება<sup>1</sup>. ჩვენი აზრით, კანონის ასეთი ახსნა-განმარტება არაზუსტია და ამასთან მექრთამეობის იურიდიულ ბუნებას არ შეესაბამება. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც მექრთამეობის ცნებაა განსაზღვრული, ლაპარაკია თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიღებაზე, „ამათ უ ი მ ქ მ ე დ ო ბ ი ს შე ს რ უ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ა ნ შე უ ს რ უ ლ ე ბ ლ ო ბ ი ა თ ე ი ს“. მაშასადამე, თუ თანამდებობის პირი რამდენიმე პირისაგან ერთი სამსახურებრივი მოქმედებისათვის ღებულობს ქრთამს, მაშინ ასეთი უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენილი ქრთამის აღება. მოვიტანოთ მაგალითი: უპაღლეს სასწავლებელში შვილის მოწყობის მიზნით სათანადო თანამდებობის პირს ჯერ მამა გადასცემს წინასწარ განსაზღვრული ქრთამის ერთ ნაწილს, ხოლო შენდებ ქრთამის მეორე ნაწილს დედა. ვინაიდან თანამდებობის პირი ქრთამს თუმცა ნაწილ-ნაწილ, მაგრამ ერთი სამსახურებრივი მოქმედებისათვის ღებულობს, ამიტომ მის მოქმედებაში არ გვექნება ქრთამის არაერთჯერ აღება. მან პასუხი უნდა აგოს 189-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

მოვიტანოთ შესაფერისი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. ერთ-ერთი დაწესებულების ხელმძღვანელმა მუშაკებმა კ-მ, ი-მ და სხვებმა, რომ დაეჩქარებინათ ელექტრომექანიკური ქარხნისათვის მიცემული შეკვეთის შესრულება, გადაწყვიტეს ქრთამი მიეცათ ამ ქარხნის მუშაკისათვის. ამ მიზნით მათ ქარხანაში მიავლინეს უშიშროების ტექნიკის ინ-

<sup>1</sup> იბ. М. Ковалев, Г. Шелковкин, Взятничество — тяжчайшее преступление («Советская юстиция», 1961, № 24, გვ. 12).

ეინერი ს., რომელიც შეუთანხმდა ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს ვ-ს დაწესებულებისაგან მიღებული შეკვეთის ვადამდე შესრულების თაობაზე. ამისათვის ს. ქრთამად შეპირდა 660 მანეთს (ახალი ფულით). შეპლევში ეს 660 მანეთი სხვადასხვა დროს ნაწილ-ნაწილ იქნა გადაცემული, კერძოდ, ჯერ 260 მანეთი, შემდეგ ისევ 260 მანეთი, ბოლოს 140 მანეთი. აქაც ქრთამის ამლების მოქმედება არ დაკვალიფიცირდება როგორც არაერთჯერ ჩაღენილი მექრთამეობა, რადგან ქრთამი მიცემული იყო მხოლოდ ერთი სამსახურებრივი მოქმედებისათვის.

როდესაც პირი ერთი სამსახურებრივი მოქმედებისათვის ქრთამს სხვადასხვა თანამდებობის პირს აძლევს, მაშინაც მისი მოქმედება ყოველთვის არ დაკვალიფიცირდება ქრთამის არაერთჯერ მიცემად. პირიქით, მ. კოვალიოვისა და გ. შელკოვიჩის აზრით, ყველა ასეთი შემთხვევა ქრთამის არაერთჯერ მიცემად უნდა ჩავთვალოთ. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მათ სასამართლო პრაქტიკიდან ასეთი მაგალითი აქვთ მოტანილი: „ინდივიდუალურ ბინათმშენებელს კ-ს უფლება მისცეს მოეპრა და წაეღო რვა კუბომეტრი ხე-ტყე. მაგრამ ეს მისთვის საკმარისი არ იყო და ამიტომ გაურიგდა მეტყეველ-ს დამატებით ხე-ტყის მიცემის შესახებ. ამისათვის მან ლ-ს ქრთამად მისცა 500 მანეთი. ცუდი გზის გამო კ-მ ვერ შეძლო ხე-ტყის მასალის ერთბაშად წაღება. რამდენიმე თვის შემდეგ კ. ისევ მივიდა დარჩენილი ხე-ტყის მასალის წამოზალებად, მაგრამ ამ უბანზე მეტყევედ მუშაობდა უკვე არა ლ., არამედ გ. გ-მ დააკავა კ. ქრთამად 450 მანეთის მიცემის შემდეგ, გ-მ ნება დართო კ-ს წაეღო დარჩენილი მასალა. სასამართლომ და საკასაციო ინსტანციამ კ-ს მოქმედება დაკვალიფიცირა როგორც ქრთამის არაერთჯერ მიცემა, ხოლო ლ-ს და გ-ს მოქმედება როგორც დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ქრთამის აღება<sup>1</sup>. ჩვენც ვფიქრობთ, რომ კ-ს მოქმედების ასეთი კვალიფიკაცია უღავოდ სწორია, მაგრამ ეს სრულებითაც არ მოწმობს კოვალიოვისა და შელკოვიჩის მოსაზ-

<sup>1</sup> იხ. М. Ковалев, Г. Шелковкин, 'დასახ. სტატია, გვ. 12.

ჩების სისწორეს. კ-მ თავდაპირველად ქრთამი მისცა ლ-ს ხე-  
ტყის მასალის გატანის ნებართვისათვის, ე. ი. ერთი განსაზღ-  
ვრული სამსახურებრივი მოქმედებისათვის. მაგრამ ეს კ-საგან  
დამოუკიდებელი მიზეზების გამო საკმარისი არ აღმოჩნდა მის  
მიერ დასახული მიზნის შესრულებისათვის. კერძოდ, აუცი-  
ლებელი შეიქნა მეორეჯერ ანალოგიური ხასიათის ნებარ-  
თვის აღება, ე. ი. ახალი სამსახურებრივი ქმედობის განხორ-  
ცილება. მაშასადამე, ლ-ს ერთი და იმავე მიზნისათვის დას-  
კირდა ორჯერ სხვადასხვა პიროსაგან ერთმანეთისაგან დამო-  
უკიდებელი ნებართვის აღება. აქედან ცხადია, რომ კ-ს ნა-  
მოქმედარი შეიცავს ქრთამის არაერთჯერ მიცემის ნიშნებს.

არაერთჯერ ჩაღენილ მექრთამეობად უნდა შეფასდეს  
ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების მოქმედება, თუ „გა-  
სამრჯელოს“ მიცემა-აღება სისტემატურად ხდება, თუნდაც,  
რამდენიმე ერთგვაროვანი სამსახურებრივი მოქმედებისათვის  
ან იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას თანამდებობის  
პირის შესაფერისი საერთო სამსახურებრივი საქმიანობა. ასეთ  
შემთხვევაში ჩვეულებრივად არ ხდება მხარეთა შორის გადა-  
საცემი ფულის ან სხვა ფასეულობის წინასწარ განსაზღვრა.  
მაგალითად, არაერთჯერ ჩაღენილ მექრთამეობად განხილული  
უნდა იქნას ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი და იმავე პირი-  
საგან ერთი და იგივე თანამდებობის პირი სისტემატურად  
იღებს ქრთამს, რათა ამ უკანასკნელმა იგი ცუდ სამუშაოზე  
არ გააგზავნოს, გამოუწეროს მაღალი ხელფასი და ა. შ.

3. გარდა ზემოაღნიშნულისა, ქრთამის აღებისა და მექრთა-  
მეობაში შუამავლობისათვის კანონმდებელი ითვალისწინებს  
სხვა, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ დამამძიმებელ გარე-  
მოებებსაც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე  
მუხლის მეორე ნაწილში ქრთამის აღებისათვის დამამძიმებელ  
გარემოებად ჩათვლილია ქრთამის აღება, ჩაღენილი თანამდე-  
ბობის პირის მიერ, რომელსაც პასუხსაგები მდგომარეობა აქვს.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიის  
გადმოცემისას აღინიშნა, რომ რსფსრ 1922 წ. სისხლის სამართ-

ლის კოდექსის მიღებამდე დამამძიმებელ გარემოებად ცნობილი იყო ქრთამის აღება იმ პირის მიერ, რომელსაც განსაკუთრებული უფლებამოსილება ჰქონდა. 1922 წლიდან მოყოლებული კანონმდებელმა აღნიშნული ქმედობის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალა თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობა. ამით უფრო ფართოდ იქნა მოხაზული იმ თანამდებობის პირთა წრე, რომელთა მიერ ქრთამის აღებას გაძლიერებული პასუხისმგებლობა უნდა მოყვეს. მართლაც, შეიძლება თანამდებობის პირს არ ჰქონდეს განსაკუთრებული უფლებამოსილება, მაგრამ იგი იმდენად მნიშვნელოვან სამსახურებრივ ფუნქციას ასრულებდეს, რომ მისი გათანაბრება რიგითი თანამდებობის პირთან პასუხისმგებლობის თვალსაზრისით აშკარად მიზანშეუწონელი და გაუმართლებელი იქნებოდა.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ შეიცავს პასუხსაგები მდგომარეობის განსაზღვრას, ხოლო საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში ამ საკითხზე არ არსებობს ერთიანი შეხედულება. კრიმინალისტების ერთი ნაწილი ცდილობს გამოიხატოს ისეთი ფორმალური ნიშანი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს სწორად გადაჭრას ეს საკითხი. ამ ჯგუფის წარმომადგენლები პასუხსაგები მდგომარეობის განსაზღვრისათვის სხვადასხვა ფორმალურ ნიშანს აყენებენ. მაგალითად, პროფ. ა. ჟიჟილენკო პასუხისმგებელ თანამდებობის პირად თვლიდა იმას, ვისაც მმართველობის საერთო სისტემაში განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია<sup>1</sup>. პროფ. ა. ტრაინინი ასეთ თანამდებობის პირად თვლიდა მოსამსახურეს, რომელიც ფართო უფლებამოსილებითა და მრავალმხრივი ფუნქციებით არის აღჭურვილი<sup>2</sup>. „ფართო უფლებამოსილება და მრავალმხრივი ფუნქციები“ თავის მხრივ იმდენად ზოგადი ცნებებია, რომ თვითონვე მოითხოვენ შემდგომ დაზუსტებასა და განმარტებას. გარდა ამისა, თანამდებობის პირი შეიძლება მხოლოდ ერთს, მტკიცედ განსაზღვრულ, მაგრამ ამასთან და-

<sup>1</sup> იხ. А. А. Жижиленко, Должностные (служебные) преступления. Практический комментарий, М., 1927, гл. 79.

<sup>2</sup> იხ. А. Н. Трайнин, Должностные и хозяйственные преступления, М., Юриздат, 1938, гл. 49.

ლიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდეს და ამიტომ პასუხისმგებელ მუშაკად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ნოჰამართლე მხოლოდ ერთ, სასამართლო ფუნქციას ასრულებს, მაგრამ იგი უსათუოდ პასუხისმგებელი თანამდებობის პირია.

არსებითად იგივე ითქმის პროფ. ვ. შენშაგინის შეხედულებაზეც. მისი აზრით, თანამდებობის პირის პასუხისმგებელი მდგომარეობა გულისხმობს ფართო განმკარგულებელი ხასიათის უფლებამოსილებას<sup>1</sup>. გარდა ზემოაღნიშნულისა, ეს მონაზრება ამჟამად იმიტომაც არ არის მისაღები, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე, მუხლი, რომელიც თანამდებობის პირის ცნებას განსაზღვრავს, მიუთითებს არა მარტო განმკარგულებელ, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების აქტების განხორციელების, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სხვა ფუნქციებზე. მაშასადამე, თანამდებობის პირად ჩაითვლება ის პირიც, რომელიც ასრულებს არა განმკარგულებელ ფუნქციას, არამედ სხვა ხასიათის ფუნქციას. ერთ-ერთი ასეთი ფუნქციის შენსრულებელი სათანადო პირობებში ჩაითვლება პასუხისმგებელ თანამდებობის პირად.

ზოგიერთი კრიმინალისტი ცდილობს ჩამოთვალოს პასუხისმგებელ პირთა თანამდებობები. ასე მაგალითად, რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში (1946 წ.) ასეთად ცნობილია ბუხპალტერი, მოლარე, განყოფილების უფროსი. სავსებით სწორად შენიშნავს ნ. კუჩერიავი, რომ ასეთი კატეგორიული მტკიცება უმართებულოა. მსხვილი ბანკის ან ღიღი მაღაზიის მოლარე შეუძლებელია პასუხისმგებლობის თვალსაზრისით გავუთანაბროთ, ვთქვათ, იმ საპარიკმახეროს მოლარეს, სადაც ორი ხელოსანი მუშაობს. ამ უკანასკნელის საპასუხისმგებლო მდგომარეობის საკითხი არც შეიძლება წარმოიშვას<sup>2</sup>.

დასასრულ, მართებულია იმ კრიმინალისტთა შეხედულება

<sup>1</sup> იხ. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин. В. М. Чхиквадзе, Курс советского уголовного права. Особенная часть, т. 2, М., Госюриздат, 1959, гл. 152—153.

<sup>2</sup> იხ. Н. П. Кучерявый, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 155.

(ნ. კუჩერიავი, ს. ზაკუსტკი, ვ. კირიჩენკო და სხვ.), რომლის თანახმადაც თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობის წინასწარ განსაზღვრება შეუძლებელია და ეს ფაქტის საკითხად უნდა იქნას ცნობილი. ეს მოსაზრება აღიარებულია აგრეთვე სასამართლო პრაქტიკაშიც.

როდესაც კანონმდებელი თანამდებობის პირის საპასუხისმგებლო მდგომარეობას ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებად აღიარებს, იგი იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობს, რომ რაც უფრო მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ფუნქციას აპრულებს თანამდებობის პირი, მით უფრო დიდი უნდა იყოს მისი პასუხისმგებლობა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე.

საკითხი, თუ რომელი თანამდებობის პირი უნდა ჩაითვალოს პასუხსაგებ მდგომარეობის მქონედ, არ შეიძლება გადაიჭრას წინასწარ განსაზღვრული ფორმალური ნიშნების მიხედვით.

მეტწილად ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ სხვადასხვა ორგანიზაციაში, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი საქმიანობის მასშტაბითა და ხასიათით, ერთი და იმავე თანამდებობაზე მომუშავე ერთ შემთხვევაში შეიძლება პასუხისაგები მდგომარეობის პირად ჩავთვალოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში — არა! — სასამართლომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს ყოველი ცალკეული საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინების საფუძველზე. ამასთან როგორც საბრალდებო დასკვნაში, ისე განაჩენში მითითებული უნდა იყოს, თუ რატომ იქნა ცნობილი მოცემული თანამდებობის პირი პასუხისმგებელ მუშაკად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აწ გუქმებული 1949 წლის 24 ივნისის დადგენილება ამ საკითხზე უფრო ზოგად მითითებას შეიცავდა და არ აყალიბებდა იმ საორიენტაციო კრიტერიუმებსაც კი, რომელთაც გარკვეული დახმარების გაწევა შეეძლოთ ამ საკითხის გადაწყვეტისათვის.

1 იხ. С. Г. Закутский, Ответственность за взяточничество по советскому уголовному праву, Автореферат кандидатской диссертации, Ташкент, 1953, გვ. 11.

აქ მხოლოდ მითითებულნი იყვნენ, რომ „რაკი არ არსებობს იმ თანამდებობის პირთა ზუსტი ჩამოთვლა, რომელთაც რსტსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების ნიშნები უდგება, სასამართლოებმა განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა გამოარკვიონ სამართალში მიცემულის თანამდებობრივი მდგომარეობა“<sup>1</sup>.

აღნიშნული საკითხი შედარებით უფრო დაზუსტებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებაში. „საკითხი იმ თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობის შესახებ, — აღნიშნავს პლენუმი, — რომელსაც ბრალად ედება ქრთამის აღება, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, დაკავებული თანამდებობის ხასიათისა და განხორციელებული ფუნქციების მნიშვნელობის გათვალისწინებით (ხელისუფლების წარმომადგენელი, საწარმოს, დაწესებულებისა და უწყების ხელმძღვანელი, საკონტროლო და სარევიზიო ორგანოს ოპერატიული თანამშრომელი და ა. შ.)“<sup>2</sup>.

ამრიგად, პლენუმი იძლევა თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობის ზოგად ფორმულას, რასაც თან ახლავს ასეთ პირთა სანიმუშო ჩამოთვლა. ეს ფორმულა ორ ძირითად მომენტს შეიცავს: ჯერ ერთი, დაკავებული თანამდებობის ხასიათი, და მეორე, სამსახურებრივი ფუნქციების მნიშვნელობა. ამ საკითხის გამოსარკვევად სასამართლოებმა საჭიროა ანგარიში გაუწიონ ოიგ სხვადასხვა გარემოებას, მაგალითად: უფლებამოსილია თუ არა თანამდებობის პირი წარმომადგენლის თვისი დაწესებულება; უფლებამოსილია იგი თუ არა განკარგოს დაწესებულებისა თუ საწარმოს მატერიალური სახსრები; მინიჭებული აქვს თუ არა მას უფლებები შეასრულოს მნიშვნელოვანი სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ფუნქციები ან მონაწილეობდეს სახელმწიფო ღონისძიებათა განხორციე-

<sup>1</sup> «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1951 гг.», 1952, გვ. 27.

<sup>2</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 11.

ლებაში; აგებს თუ არა იგი პასუხს დაწესებულების, საწარმოს, განყოფილების, საამქროს, ლაბორატორიისა თუ მოსამსახურეთა ცალკე ჯგუფის საქმიანობისათვის და ა. შ.

სასამართლოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ არა მარტო თანამდებობის ხასიათი, არამედ აგრეთვე ის დავალება, რომლის შესრულებაც თანამდებობის პირს ამა თუ იმ შემთხვევაში დაეკისრა. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ შეიძლება მოცემულ თანამდებობის პირს საერთოდ პასუხსაგები მდგომარეობა არ ეკავოს, მაგრამ ცალკეული დავალების ძალით იგი საპასუხისმგებლო ფუნქციას ასრულებდეს. ასე მაგალითად, საავადმყოფოს ექიმი თანამდებობის პირია, მაგრამ იგი პასუხისმგებელ მუშაკად არ ჩაითვლება. უკეთუ ასეთი ექიმი, თუნდაც დროებით, დანიშნულია ნამდვილ სამხედრო სამსახურში წვევამდელთა გამწვევი კომისიის წევრად, მაშინ იგი პასუხისმგებელ თანამდებობის მუშაკად მიიჩნევა. რადგან ასეთ კომისიას უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება აქვს დაკისრებული.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, უმართებულოა წალკის რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 6 იანვრის განაჩენი ექიმ დ-ს მიმართ. დ., როგორც ექიმი, მონაწილეობასღებულობდა წალკის რაიონის სამხედრო კომისარიატის მიერ შექმნილ კომისიაში. დ-ემ წვევამდელი კ. უსაფუძვლოდ იცნო უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, რისთვისაც ამ უკანასკნელისაგან ქრთამის სახით 3000 მანეთი (ძველი ფულით) მიიღო. წალკის რაიონის სახალხო სასამართლომ დ. არ ჩათვალა პასუხისმგებელ პირად და ამის შედეგად მისი ქმედობა დააკვალიფიცირა საქართველოს სსრ 1928 წ. სისბლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილით.

ზოგი სასამართლო ჯეროვან მნიშვნელობას არ აძლევს ხსენებულ დამამძიმებელ გარემოებას და სასტიკ პასუხს არ თხოვს იმას, ვინც სახელმწიფოსა და საზოგადოების განსაკუთრებული ნდობა არ გაამართლა.

მილიციის მუშაკი, უფროსი ოპერარწმუნებული შ. მიმაგრებული იყო საკონტროლო პუნქტზე, რომელსაც ევალებოდა



არ გაეტარებინა მანდარინითა და სხვა ხილით დატვირთული მანქანები საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ.

შ-მ სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა და ამავე საქმეზე მსჯავრდებულ მ-ს ქრთამის სახით გამოართვა 2500 მანეთი. ამის შემდეგ შ-მ საკონტროლო პუნქტში გაატარა ავტომანქანა, რომელიც მ-ს მანდარინით იყო დატვირთული. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1961 წლის 7 მარტის განაჩენით შ. არ სცნო პასუხისმგებელ პირად; ამის გამო მისი მოქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილით და შ-ს სასჯელის ზომად შეუფარდა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1961 წლის 30 მარტის განჩინებით შ-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა.

შ., როგორც მილიციის მუშაკი, ხელისუფლების წარმომადგენელი იყო. გარდა ამისა, მას დავალებული ჰქონდა მეტად საპასუხისმგებლო ფუნქცია, რაც დაკავშირებული იყო რესპუბლიკის მიერ ციტრუსების კრეფის გეგმის მოკლე ვადებში შესრულების ამოცანებთან.

შ-ს ქმედობის არასწორმა კვალიფიკაციამ შეაპირობა ლმობიერი სასჯელის დანიშვნა. მისი ქმედობა შეიცავდა დამამძიმებელ გარემოებაში ქრთამის აღების ნიშნებს. ამ მოსაზრების გამო, საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 25 ივნისის დადგენილებით შ-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი და განჩინება გაუქმდა და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაიგზავნა.

4. კანონს ქრთამის აღების დამამძიმებელ გარემოებად შიაჩნია აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ ქრთამის გამოძალვა.

ქრთამის გამოძალვის შინაარსის მართებულ დადგენას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამ ცნების არაზუსტ განმარტებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ არასწორად

დაკვალიფიცირდება ქრთამის ამღების მოქმედება და, ამასთან დაკავშირებით, არასწორად გადაწყდება საკითხი პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიმცემის განთავისუფლების შესახებ.

1 ქრთამის გამოძალვის დროს მექრთამეობის თაოსანი მულამ თანამდებობის პირია. ქრთამის მიმცემა მის მოთხოვნას ემორჩილება, მაგრამ აქედან როდი უნდა დავასკვნათ, თითქოს ყოველთვის, როდესაც დაწვევებად თანამდებობის პირი გვევლინება, ქრთამის გამოძალვასთან გვექონდეს საქმე. ეს მეტისმეტად და უსაფუძვლოდ გააფართოებდა გამოძალვის ცნებას. მაშინ ქრთამის გამოძალვად უნდა ჩაგვეთვალა, მაგალითად, თანამდებობის პირის უბრალო თხოვნაც, ქრთამი მომეცით, თუნდაც მას არც შექარა მოპყოლია და არც რაიმე არახელსაყრელი შედეგის მოლოდინი, ვინიციობაა, არ შესრულდებოდა.

არც ის არის ქრთამის გამოძალვა, როდესაც თანამდებობის პირი მოითხოვს გასამრჯელოს უკვე გაწეული სამსახურისათვის, ოღონდ იგი არ უნდა ემუქრებოდეს იმას, ვისაც სასუილელს თხოვს, ახალი სამსახურებრივი მოქმედებით, რომელიც მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს შეზღუდავს.

~~ამრიგად, ქრთამის გამოძალვის აუცილებელი ნიშანია იძულებითი ზეგავლენა ქრთამის მიმცემის ნებისყოფაზე. იძულებითი ზეგავლენის მომენტი ახასიათებს არა მარტო ქრთამის გამოძალვას, არამედ აგრეთვე ქონების გამოძალვასაც. უფრო მეტიც, ამ ორი დანაშაულის საერთო ნიშანს წარმოადგენს არა მარტო ფსიქიკური იძულება (მუქარა), არამედ ისიც, რომ ორივე ქმედობა დაკავშირებულია ქონების ან ქონებაზე უფლების ან ქონებრივი გამორჩენის მიცემის მოთხოვნასთან. აღნიშნული ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ქრთამის გამოძალვა და ქონების გამოძალვა არსებითად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?~~

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულება იყო ქონების გამოძალვისა და ქრთამის გამოძალვის მი-

მართების შესახებ. ასე მაგალითად, პროფ. ს. პოზნიშევისა<sup>1</sup> და პროფ. ა. ეიელინგკოს შეხედულებით, ქრთამის გამოძალვა ქონების გამოძალვის ნაირსახეობას წარმოადგენს. გარდა ამისა, ა. ეიელინგკოს თვალსაზრისით ქრთამის გამოძალვის საშუალებებს წარმოადგენს ის საშუალებები, რომლებიც ქონების გამოძალვას ახასიათებს (დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების, ან მისი ქონების განადგურების, ან მისი სახელის გამტეხი ცნობების განმაჟღერების მუქარა)<sup>2</sup>. მაგრამ საბჭოთა კრიმინალისტიკის დიდი უმრავლესობა არ ემხრობა ამ შეხედულებას და ქრთამის გამოძალვას განასხვავებს ქონების გამოძალვისაგან.

ქრთამის გამოძალვა ხასიათდება სპეციფიკური ნიშნებით, რომლებითაც იგი არსებითად განირჩევა ქონების გამოძალვისაგან. ეს განსხვავება გამომდინარეობს დაზარალებულის პიროვნებაზე/ზემოქმედების საშუალებათა განსხვავებიდან, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით მოქალაქეთა ქონების გამოძალვის დროს ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი გამორჩენის მიცემის მოთხოვნას თან ახლავს დაზარალებულის ან მისი ახლობლების მიმართ ძალადობის გამოყენების, ან მათი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების, ან მათი სახელის გამტეხი ცნობების განმაჟღერების-მუქარა. ზემოქმედების ასეთი ხერხები არ ახასიათებს ქრთამის გამოძალვას. როგორც აღინიშნა, ქრთამი ყოველთვის დაკავშირებულია თანამდებობის პირის სამსახურებრივ ქმედობასთან. ამის გამო ქრთამის გამოძალვის ხერხს წარმოადგენს თანამდებობის პირის მუქარა, რომ ჩაიდენს უკანონო სამსახურებრივ მოქმედებას ან თავს შეიკავებს კანონიერი სამსახურებრივი მოქმედებისაგან და ამით შელანჯეს იმ პირის სამართლით დაცულ

<sup>1</sup> იხ. С. В. Познышев, Очерк основных начал науки уголовного права. Особенная часть, М., 1923, гл. 190.

<sup>2</sup> იხ. А. А. Жижиленко, Должностные (служебные) преступления. Практический комментарий, М., 1927, гл. 79—80. იხ. აგრეთვე А. А. Пионтковский, Советское уголовное право, Особенная часть, М., 1928, гл. 31.

ინტერესებს, რომლისგანაც ხდება ქრთამის გამოძალვა. თუ თანამდებობის პირი ისეთი მოქმედებით იმუქრება, რომელიც დაკავშირებული არ არის მის საშსახურებრივ სფეროსთან, მაშინ იგი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს ქონების გამოძალვისა და არა ქრთამის გამოძალვისათვის.

სასამართლო პრაქტიკაში იყო ცდები, რომ ქრთამის გამოძალვის ცნება დაეახლოვებინათ ქონების გამოძალვის ცნებასთან.

მაგალითად, ველიკიე ლუკის ოლქის ხოლმის რაიონის სახალხო სასამართლომ არ სცნო ნიშნები ქრთამის გამოძალვისა ტყის მრეწველობის მეურნეობის ტყის მცველს დ-ის მოქმედებაში, რომელიც ფულსა და სურსათს სთხოვდა იმათ, ვისაც შეძენილი ჰქონდა უკვე ხე-ტყის მოჭრის ბილეთები, და უამისოდ არ ანებებდა თავისი უფლება განეხორციელებინათ.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ გააპროტესტა სახალხო სასამართლოს ეს განაჩენი რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში. პროტესტში აღნიშნული იყო, კერძოდ, რომ დ-ის მოქმედება შეიცავს ქრთამის გამოძალვის ნიშნებს, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

კოლეგიამ უარყო პროტესტი, რადგან ჩათვალა, რომ დ-ის ქმედობას კვალიფიკაცია უნდა მიეცეს რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის არა მე-2, არამედ 1-ლი ნაწილით. თავისი თვალსაზრისის საბუთად კოლეგია ასახელებდა იმას, ვითომ დ-ის არ მიუძმარათავს გამოძალვისათვის ამის „სიტყვასიტყვითი გაგებით“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ დაეთანხმა ამ განჩინებას და ჩათვალა, რომ შასში ქრთამის გამოძალვა მეტად ვიწროდ არის გაგებული. კოლეგიის აზრით, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული გამოძალვა არ გულისხმობს... გამოძალვას იმ განსაკუთრებული მნიშვნელობით, როგორითაც ამას ითვალისწინებს მუხლი ქონებრივი გამოძალვის შესახებ. გარდა ამისა, სრუ-

ლიად გაუგებარია, რას თვლის კოლეგია გამოძალვად ამ ცნების „სიტყვასიტყვითი გაგებით“. „არსებითად, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში, — შექრთამეობის დროს გამოძალვა განიხილება ქრთამის აქტიური და ეინებული მოთხოვნით და თან დამუქრებით, რომ მიყენებული იქნება ვნება სამსახურის ფარგლებში. ამიტომ დ-ეს მოქმედებაში გამოძალვის უარსაყოფად საფუძველი არ იყო“<sup>1</sup>.

იმ გარემოებას, რომ ქრთამის გამოძალვის დროს მუქარა თანამდებობის პირისა დაკავშირებულია მის სამსახურებრივ მდგონარეობასთან, ნათლად აღატურებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილება.

ამ დადგენილებით ქრთამის გამოძალვა ხასიათდება თანამდებობის პირის მოთხოვნით სხვა პირისადმი — მისცეს მას ქრთამი, არადა ემუქრება, რომ შელახავს თავისი სამსახურებრივი მოქმედებით მის კანონიერ ინტერესებს. გარდა ამისა, პლენუმის დადგენილებაში ქრთამის გამოძალვად არის ჩათვლილი თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიმცემის განზრახვით პირობებში ჩაყენება, რომლის დროსაც იგი იძულებულია მისცეს ქრთამი, ოღონდ დაიცვას მავნე შედეგებისაგან სამართლით დაცული თავისი ინტერესები<sup>2</sup>.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ პლენუმი განასხვავებს ქრთამის გამოძალვის ორ სახეს: ა) როდესაც თანამდებობის პირი პირდაპირ მოითხოვს ქრთამის მიცემას და ბ) როდესაც ქრთამის გამოძალვას აშკარა ხასიათი არა აქვს და თანამდებობის პირი უფრო შენიღბულად და შემოვლითი გზით მოქმედებს, ე. ი. იგი ქრთამს აშკარად დაეინებით კი არ თხოულობს, არამედ ისეთ ვითარებას ქმნის, რომელსაც ხელს უშლის სხვა პირს მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებაში და ამით აიძულებს ამ უკანასკნელს მისცეს მას ქრთამი. ქრთამის გამოძალვის ამ ორივე სახისათვის დამახასიათე-

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1948, вып. 1, стр. 25.

<sup>2</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, стр. 12.

ბელი ისაა, რომ თანამდებობის პირს ქრთამს ნებაყოფლობით კი არ აძლევენ, არამედ ძალაუწებურად.

თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აშკარა გამოძალვის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ლ-ის საქმე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო-სარკინიგზო კოლეგიამ 1944 წლის 19 სექტემბრის განჩინებით აღიარა ქრთამის გამოძალვის ნიშნები ლ-ის მოქმედებაში, რომელმაც სადგურ ულიანოვსკის მორიგედ ყოფნისას იაკუშინსკის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს კ-ს ქრთამი მოთხოვა ვაგონ-დუქნის გაგზავნაში და უამისოდ უარზე იყო დაეკმაყოფილებინა გადაზიდვის ხელშეკრულების ურთიერთობათაგან გამომდინარე კანონიერი მოთხოვნა სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ<sup>1</sup>.

შენიღბულად ქრთამის გამოძალვას ადგილი ჰქონდა დ-ს მოქმედებაში.

ვინმე ვ., თუმცა საამისო უფლება ჰქონდა, ვერა და ვერ ჩაეწერა საბინაო დავთარში, რადგან სახლის მმართველი დ. ამაზე ნიდაგ უარს ეუბნებოდა. მარტო მას შემდეგ, რაც ვ-მ მისცა დ-ს 1000 მანეთი (ძველი ფულით), მან ჩაწერა იგი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წლის 16 თებერვლის განჩინებით დამნაშავედ სცნო ლ. ქრთამის გამოძალვაში<sup>2</sup>.

სასამართლო პრაქტიკა უფრო შორსაც მიდის და ქრთამის გამოძალვად აღიარებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ქრთამის მიაძულებელი ვითარება ქრთამის ამღების დამოუკიდებლად იქმნება, ხოლო იგი სარგებლობს ამით თავისი უკანონო მოთხოვნის განსახორციელებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1951 წლის 6 აპრილის დადგენილებით სცნო, რომ მსჯავრდებული ს-ს მოქმედება ქრთამის გამოძალვის ნიშნებს შეიცავდა. ს-ს

<sup>1</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определенной коллегий Верховного Суда СССР 1944 г.», 1948, გვ. 101.

<sup>2</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5, გვ. 33.

ბრალი შემდეგში მდგომარეობდა: მან, როდესაც საქონლით დატვირთულ ვაგონს მიჰყვებოდა, ისარგებლა გზაში იმით, რომ პილეთების შოვნა ჭირდა და რამდენიმე მგზავრს მოსთხოვა ქრთამი, რათა ვაგონში ჩაჯდომის საშუალება მიეცა <sup>1</sup>.

ქრთამის გამოძალვა განსაკუთრებით საზოგადოებრივად საშიში ხდება, როდესაც გამომძალველი ისეთი თანამდებობის პირია, რომლის ფუნქციასაც მოსამსახურეთა კადრის შერჩევა წარმოადგენს და იგი სარგებლობს მოქალაქეთა გაჭირვებით, რომ სამუშაოდ მიღებაში სასყიდელი მოთხოვოს.

3. მუშაობდა „მოსმინვოდის“ წყლის ბაზის დირექტორად, ი. — დირექტორის მოადგილედ, ხოლო ბ. — ინსპექტორად; მათ გაზიანი წყლის გასაყიდი სადგომი ადგილების განაწილება და ველომეურნიკეთა შერჩევა დანაშაულებრივი გამდიდრების წყაროდ გაიხადეს. მუღდმივი ადგილი ან ურიკის მისაღებად გადასახდელი იყო 100 მანეთი და მეტიც, იმის კვალბაზე, თუ რამდენად შემოსავლიანი იყო ადგილი. ვინც ადგილს ან ურიკას მიიღებდა და ქრთამის მიცემას ირიდებდა, მას სდევნიდნენ, გაზს არ აძლევდნენ, რამეს მოუმიზნებდნენ და სამუშაოდან ხსნიდნენ.

„ასეთ გარემოებაში, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში, — როდესაც წყლის ბაზაზე უქრთამოდ გამყიდველი ვერც ადგილს მიიღებდა, ვერც ურიკასა და ვერც გაზს, როდესაც ყველა გამყიდველს არჩევანი ეძლეოდა: ან ქრთამი, ან სამუშაოს დაკარგვა, სასამართლომ მართებულად მისცა პ-ს, ი-სა და ბ-ს მოქმედებას კვალიფიკაცია 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტით, რომელიც ქრთამის მიმღების მხრივ გამოძალვის გამოყენებას ითვალისწინებს“ <sup>2</sup>.

ზოგი თანამდებობის პირი ბოროტად იყენებს თავის სამეურნეო — განმკარგულებელ ფუნქციებს და ზემოქმედების თავისებურ საშუალებას მიმართავს, რათა თავის ხელქვეითს

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1951 г., № 6, გვ. 2—3.

<sup>2</sup> იხ. «Советская юстиция», 1938, № 20—21, გვ. 88.

ქრთამი მიაცემინოს; გამომძალველი აუარესებს ხელქვეითის მუშაობის პირობებს და ამ ყოფაში იქამდე ტოვებს, ვიდრე იგი თავს არ გამოისყიდის, ამის შემდეგ კი უწინდელ მდგომარეობაში აბრუნებს. ასეთ შემთხვევებში ხელქვეითი მომეტებულად იმით ზარალდება, რომ აკლდება ხელფასი, რომელსაც ქრთამის მიცემის შემდეგ აღუდგენენ ხოლმე.

აბანოების გამგე ვ., რათა თანამშრომლებისაგან ფული აეღო, ხელოვნურად აუარესებდა მათი მუშაობის პირობებს, რისთვისაც საკმარისი საფუძვლის გარეშე გადააყავდა ისინი ერთი აბანოდან მეორეში, სადაც ბევრად ნაკლები ხელფასი ექნებოდათ; სასყიდლის მიღების შემდეგ, ვ. მათ კვლავ უწინდელ ადგილზე აბრუნებდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1950 წლის 15 მარტის განჩინებით დაადასტურა, რომ ვ.-ს სწორად დაედო მსჯავრი ქრთამის გამოძალვისათვის<sup>1</sup>.

ქრთამის გამოძალვისას თანამდებობის პირი შეიძლება იმუქრებოდეს როგორც უკანონო მოქმედების შესრულებით, ისე კანონიერი მოქმედების შეუსრულებლობით. სასამართლო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევა, როდესაც ქრთამის მომთხოვნი იმუქრებოდა სამსახურებრივი მოქმედების შეუსრულებლობით, რასაც, მისი სიტყვით, შეიძლებოდა ქრთამის მიმცემის დაპატიმრება მოჰყოლოდა.

ავადმყოფობის გამო დ-ემ მიიღო შევებულება და თავის სამშობლო ჩინჩინს წავიდა. 1943 წ. 6 ივნისს, როდესაც შევებულება გაუთავდა, მან მიმართა საავადმყოფოს, სადაც ექიმად გ. მსახურობდა და განაცხადა, ავად ვარო; გ-მ მისცა მას ცნობა, რომ იგი განთავისუფლებულია მუშაობისაგან 10 დღით, და მეჩუ, ავადმყოფობის მიზეზით მუშაობისაგან განთავისუფლება 45 დღით გაუგრძელა. ამის შემდეგ გ-მ მოსთხოვა დ-ს მიეტანა გაცემული ცნობები და როცა მიიტანა, ჩამოართვა, დახია და განუცხადა, თუ ბიულეტენი არ გექნება, დაგაპატიმ-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950 г., № 5, зб. 15—16.



რებენო. ბიულეტენის გაფორმებისათვის კი სთხოვა 6000 მანეთი (ძველი ფულით). დ-მ გადაუხადა გ-ს 6000 მანეთი და მიიღო მისგან ბიულეტენი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გ-ს მოქმედებაში ქრთამის გამოძალვის ნიშნები სცნო <sup>1</sup>.

1 იბაღება კითხვა, როგორ უნდა დაკვალიფიციკრდეს თანამდებობის პირის ქრთამის ზოთხოვნა, როდესაც ის იმუქრება სამსახურებრივი მოქმედებით, რომელიც ქრთამის მიმცემისათვის ხელსაყრელი არ არის, მაგრამ სრულიად კანონიერიია?

პროფ. ნ. დურმანოვი თვლის, რომ ასეთ შემთხვევაშიც ქრთამის გამოძალვის ნიშნები იქნება <sup>2</sup>. ამ მოსაზრებას ემხრობა ვ. კირიჩენკოც, რომლის აზრითაც: „სამსახურებრივი მდგომარეობით შეპირობებული კანონიერი, მაგრამ ამა თუ იმ პირისათვის არასასურველი მოქმედების შესრულების მუქარა შეიძლება წარმოადგენდეს გამოძალვის არსებით საშუალებას“ <sup>3</sup>.

ასეთი მოსაზრება სადავოა. თუ აღნიშნულ შემთხვევას ქრთამის გამოძალვად განვიხილავთ, მაშინ პასუხისმგებლობისაგან უნდა გავათავისუფლოთ ქრთამის მიმცემი. ეს კი ეწინააღმდეგება არა მარტო სამართლიანობის სულ უბრალო შეგნებას, არამედ დასჯის პოლიტიკასაც, რომელიც მექრთამეობასთან საბრძოლველად ხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში ქრთამის მიმცემს შეგნებულმა აქვს, რომ თანამდებობის პირი იმუქრება კანონიერ მოქმედების შესრულებით. მისთვის არახელსაყრელი, მაგრამ კანონიერი მოქმედების თავიდან ასაცილებლად იგი ქრთამს იძლევა და ამით თავის უკანონო ინტერესებს იცავს. სწორედ ამის გამო პლენუმმა 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში ქრთამის გამოძალვად ჩათვალა თანა-

<sup>1</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определенных коллегий Верховного Суда СССР 1944», 1948, გვ. 101.

<sup>2</sup> იხ. Н. Д. Дурманов, Уголовная ответственность за взяточничество по действующему советскому законодательству, («Проблемы социалистического права», сб. II, 1937, გვ. 37).

<sup>3</sup> В. Ф. Кириченко, Виды должностных преступлений по советскому уголовному праву, М., Изд-во АН СССР, 1959, გვ. 82.

მღებობის პირის ისეთი მუქარა, რომელიც ქრთამის მიმცემის კანონიერი ინტერესებს შეზღუდვისკენ არის მიმართული. რაც შეეხება ქრთამის ამღებ თანამღებობის პირს, იგი პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისბლს სამართლის კოდექსის 189-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და, ერთობლიობის წესით, იმ უკანონო სამსახურებრივი მოქმედებისათვის, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა თანამღებობრივი დანაშაულის — ხელისუფლების ბოროტად გამოყენების თუ ხელისუფლების გადამეტების ნიშნებს.

სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც უფროსმა მილიციელმა კ-მ, რომელმაც ვ-ს მიერ ჩადენილი დიდი გაფლანგვის მამხილებელი მასალა შეაგროვა, მოსთხოვა მას, ხ-ს შუამავლობით, ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ საქმეს მსვლელობას მისცემდა და დააპატიმრებდა. ე-მ მისცა კ-ს 600 მანეთი და მანაც მის მიერ მოხდენილი მოკვლევა მიჩქმალა<sup>1</sup>.

თანამღებობის პირი აქ კანონიერი ზომების მიღებით იმუქრება და ამიტომ მის საქციელში არ არის ქრთამის გამოძალვის მთავარი ნიშანთაგანი, რაზეც მითითებულია პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში, სახელდობრ ის, რომ მოქალაქეს მისი კანონიერი ინტერესების შეზღუდვა მოცლის ამიტომ კ-ს მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ერთობლიობის წესით როგორც მარტივი ქრთამის აღება და ხელისუფლებით ბოროტად გამოყენება.

~~თანამღებობის პირი, რომელიც ქრთამის გამოძალვას მარტავს, დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას წარმოადგენს. მასში ხორცს ისხამს და კვლავ გვევლინება მეფის მოხელის შემადრწუნებელი სახე, მოხელისა, რომელიც უკანონოდ ყველფდა, ავიწროებდა და თავისი ძალმომრეობით უწყალოდ სჩაგრავდა მშრომელ ადამიანებს. ქრთამის გამომძალველი სამართლიან აღმფრთვებას იწვევს საბჭოთა მოქალაქეებში, რომლებისთვისაც იგი მარტო უღირსი, ანგარებით შეპყრობილი და სამსახურის გამდიდრების წყაროდ გადამქცევი ადამიანია~~

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика» 1927, № 21, საქმე 2107—09.

კი არ არის, არამედ ამავე დროს ადამიანი, რომელიც აშკარად და ცინიკურად სახელს უტეხს საბჭოთა ხელისუფლებას მოსახლეობის თვალში.

სოციალისტური მართლწესრიგი ქრთამის გამოძალველთა მკაცრ დასჯას მოითხოვს. მაგრამ ის, ვინც ქრთამს გამოძალვის გავლენით მისცემს, თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. პირი, რომელიც იძულებული გახდა მოცემული თანამდებობის პირისათვის ქონება გადაეცა ან ქონებრივი გამორჩენა მიეცა, არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის. თვალსაზრისით გავუთანაბროთ იმ პირს, რომელიც ქრთამს იძლევა თანამდებობის პირისაგან ყოველგვარი ფსიქიკური ზეგავლენის გარეშე<sup>1</sup>.

5. როგორც აღინიშნა, მექრთამეობაში შუამავლობისათვის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვლილია შუამავლობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189<sup>1</sup> მუხ. მე-2 ნაწ.).

ზოგიერთი თანამდებობის პირის შეგნება იმდენად შეპყრობილია ანგარებით და სხვა საძრახისი გრძნობებით, რომ ცდილობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს როგორც დამაკავშირებელი რგოლი ქრთამის მიმცემსა და სხვა თანამდებობის პირს შორის. უმეტესწილად იგი თავის სამსახურს ქრთამის ამღებ თანამდებობის პირთა „მკეპბავ წყაროდ“ ხდის, ცდილობს შესაფერისი „კლიენტურა“ გამოუნახოს თავის „უფროსს“. ამით იგი არა მარტო ქონებრივად მდიდრდება, არამედ კარიერასაც იხვექს და, საერთოდ, იქნის ხელსაყრელ სამსახურებრივ მდგომარეობას. ნათელია, შუამავალი თანამდებობის პირის ასეთ დანაშაულებრივ საქმიანობას კანონმდებელი უბრალო შუამავლობად ვერ მიიჩნევდა. ახალმა კანონმა სამართლიანად დაუქვეშირა ასეთი პირების საქმიანობას გაძლიერებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მექრთამეობაში შუამავლობა, რაც სამსახურებრივი მდგო-

<sup>1</sup> ამ საკითხის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. წინამდებარე ნაშრომის მეხუთე თავის მეორე პარაგრაფში.

მარეობის გამოყენებასთანაა დაკავშირებული, შეიძლება სხვადასხვა ხასიათის მოქმედებაში გამოიხატოს.

აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებასთან საქმე გვექნება მაშინ, როდესაც ხელქვეითი თანამდებობის პირი შუამავლობს ქრთამის მიმცემსა და მასზე მალა მდგომ თანამდებობის პირს შორის. ასეთ შემთხვევაში ხელქვეითი თანამდებობის პირი მოქმედებს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რომ ეს მდგომარეობა არა, იგი შუამავლობას მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ შესძლებდა. მაგალითად, საშუალო სასწავლებლის საქმეთა მმართველი ქრთამის მიმცემის თხოვნით შუამავლობს და ქრთამს გადასცემს ამ დაწესებულების დირექტორს. ასეთი პირის მოქმედება შეიცავს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებასთან დაკავშირებული შუამავლობის ნიშნებს.

შეიძლება შუამავალი თანამდებობის პირი მასზე მალა მდგომი თანამდებობის პირის დანაშაულებრივი განზრახვის ამსრულებელი იყოს. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილება. ამ დადგენილების მიხედვით, თუ საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მითითებით მისთვის ხელსაყრელი მოქმედების ან უმოქმედობის განსახორციელებლად ხელქვეითი თანამდებობის პირი გადასცემს ქრთამს, მაშინ ამ უკანასკნელის მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც მექრთამეობაში შუამავლობა<sup>1</sup>. ნათელია, აქ ასეთი ხელქვეითი თანამდებობის პირები კვალიფიციური შუამავლობისათვის აგებენ პასუხს, რადგან შესაფერისი დავალების მიცემას მათი სამსახურებრივი მდგომარეობა განაპირობებს.

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 11.

სასჯელი მექრთამეობისათვის

მას შემდეგ, რაც დადგინდება, რომ ბრალდებულის მოქმედება შეიცავს ქრთამის მიცემა-აღების თუ მექრთამეობაში შუამავლობის შემადგენლობის ან ამ დანაშაულში სხვა რაიმე ფორმით თანამონაწილეობის ნიშნებს, დგება დრო, რომ განხორციელდეს სასამართლო საქმიანობის მნიშვნელოვანი, დამამთავრებელი მომენტი: სასჯელის დანიშვნა იმ პირისათვის. რომელიც აღიარებულია დამნაშავედ მექრთამეობაში.

1. სასჯელის დანიშვნის ერთ-ერთ ზოგად პრინციპს წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების პრინციპი, რომელიც საკანონმდებლო წესით ასახულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლში. „სასამართლო, — ნათქვამია ამ მუხლში, — სასჯელს ნიშნავს ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჩადენილი დანაშაულისათვის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების და აგრეთვე ამ კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა ზუსტი შესაბამისობით“. მაშასადამე, სოციალისტური კანონიერების პრინციპი სასჯელის დანიშვნისას, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ სასჯელის დანიშვნა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ სისხლისსამართლებრივი ნორმის სანქციის ფარგლებში, რომელიც ჩადენილ დანაშაულს ითვალისწინებს. სახელდობრ, ამ სანქციის ფარგლებში უნდა მოხდეს კონკრეტული სასჯელის შერჩევა და დანიშვნა.

დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ქრთამის აღებისათვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით (189-ე მუხლის პირველი ნაწილი), შუამავლობისათვის — თავისუფლების აღკვეთას ორიდან რვა წლამდე (189-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო ქრთამის მიცემისათვის — თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე (190-ე მუხლის პირველი ნაწილი).

როგორც ვხედავთ, ძირითადი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის ფარგლები სხვადასხვანაირია ქრთამის აღების, შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის. სასჯელის უდაბლესი და უმაღლესი ფარგალი გამოხატავს ამ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ქრთამის აღებისა და ქრთამის მიცემის მარტივი სახეობებისათვის დაწესებული სასჯელის უდაბლესი ფარგალი უფრო მაღალია (თავისუფლების აღკვეთა სამი წლიდან), ვიდრე შუამავლობის ასეთივე სახეობისათვის დაწესებული სასჯელის უდაბლესი ფარგალი (თავისუფლების აღკვეთა ორი წლიდან). ძირითადი სასჯელის — თავისუფლების აღკვეთის უმაღლესი ფარგალი ყველაზე დიდია ქრთამის აღებისათვის (თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდე), ხოლო შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის გათვალისწინებულია სასჯელის ერთი და იგივე უმაღლესი ფარგალი (თავისუფლების აღკვეთა რვა წლამდე).

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისათვის აწესებს თავისუფლების აღკვეთას რვადან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებას ორიდან ხუთ წლამდე ან გადაუსახლებლად, ხოლო, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით დასჯას ქონების კონფისკაციით (189-ე მუხლის მეორე ნაწილი), შუამავლობისათვის — თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებას ორიდან ხუთ წლამდე ან გადაუსახლებლად (189-ე მუხლის მეორე ნაწილი). დასასრულ, დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის მიცემა გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თხუთ-

მეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ და თავისუფლების აღკვეთის მოხდის შემდეგ გადასახლებას ორიდან ხუთ წლამდე ან გადაუსახლებლად.

ამრიგად, განსხვავებულია ძირითადი სასჯელის უდაბლესი ფარგლები დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღების, შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის. ასეთ გარემოებებში ქრთამის აღების უდაბლესი ფარგალი (თავისუფლების აღკვეთა რვა წლიდან) უფრო დიდია, ვიდრე შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის (თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლიდან). მაქსიმალური სასჯელი ყველა ამ ქმედობისათვის თანაბარია, მაგრამ ამასთან, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში, ქრთამის აღებისათვის გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.

გარდა ძირითადი სასჯელისა (თავისუფლების აღკვეთა), მექრთამეობის ზოგიერთი შემთხვევისათვის დაწესებულია დამატებითი სასჯელებიც. ესენია: ქონების კონფისკაცია და გადასახლება.

ქონების კონფისკაციის დანიშვნა საეალდებულოდ არის ცნობილი როგორც დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ისე ასეთ გარემოებებში ჩადენილი ქრთამის აღებისათვის. ასევე საეალდებულოა ამ დამატებითი სასჯელის დანიშვნა დამამძიმებელ გარემოებებში შესრულებული შუამავლობისათვის. დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის მიცემისათვის ქონების კონფისკაციას ფაქულტატური ხასიათი აქვს, ე. ი. სასამართლოს, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, უფლება აქვს დანიშნოს ან არ დანიშნოს მითითებული სასჯელი. ქონების კონფისკაცია არ შეიძლება დაინიშნოს ქრთამის მიცემისა და მექრთამეობაში შუამავლობის მარტივი სახეობებისათვის.

ქონების კონფისკაციისაგან განსხვავებით, გადასახლების დანიშვნა მექრთამეობის არც ერთ შემთხვევაში კანონით საეალდებულო არ არის, ე. ი. მას ფაქულტატური ხასიათი აქვს. გადასახლების დანიშვნა შეიძლება მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღების, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის.

დამატებითი სასჯელების დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში განმარტა: „რამდენადაც ქრთამის აღებისა და მექრთამეობაში კვალიფიციური შუამავლობისათვის კანონი სასჯელის დამატებით ღონისძიებად ითვალისწინებს ქონების კონფისკაციას, სასამართლოები მოვალენი არიან განუხრელად დაიცვან კანონის ეს მოთხოვნაც. ქონების კონფისკაციის შეუფარდებლობა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას იმ წესით, რასაც ითვალისწინებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლი. სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისათვის, ქრთამის მიცემისა და შუამავლობისათვის მსჯავრდების დროს უნდა განიხილოს აგრეთვე საკითხი, დაინიშნოს თუ არ დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთის შემდეგ გადასახლება“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით სასჯელის მთელი ვადით ან ნაწილობრივ შეიძლება დაინიშნოს იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებმაც ქრთამი აიღეს, მექრთამეობაში იშუამავლეს და ქრთამი მისცეს.

მაგრამ, როდესაც კანონმდებელი ასეთ შემთხვევებში უფლებას ანიჭებს სასამართლოს დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით, იგი მოითხოვს გათვალისწინებულ იქნას არა მარტო აღნიშნულ მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულთა ტიპების საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ მოცემული დანაშაულის კონკრეტული საზოგადოებრივი საშიშროებაც. ამიტომ კანონი უშვებს თავისუფლების აღკვეთას საპყრობილეში მოთავსებით მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემული ქმედობისათვის დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ ხუთი წლისა. 54-ე მუხლის მესამე ნაწილით ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნას სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის არა ნაკლებ ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ იმ პირთა



მიმართ, რომელნიც მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა ქრთამის აღებისათვის, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის. იმავე მუხლის მე-3 პუნქტი აღგენს, რომ ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისათვის, მექრთამეობაში შუამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის.

ქრთამის მიცემა-აღებას შორის არსებული კავშირისა და აგრეთვე ქრთამის აღებისათვის დაწესებული სასჯელის შედარებით უფრო დიდი ზომის გამო სასამართლომ პასუხისმგებლობა ქრთამის მიცემისათვის უნდა შეუთანხმოს პასუხისმგებლობას ქრთამის აღებისათვის. რომ ეს დებულება ნათელი გახდეს, მოვიტანოთ ასეთი მაგალითი: ცნობილია, რომ ქრთამის აღება დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ხოლო ასეთივე გარემოებების გარეშე ქრთამის მიცემას მოსდევს თავისუფლების აღკვეთა სამიდან რვა წლამდე. ვთქვათ, სასამართლომ სხვა თანაბარი პირობების არსებობისას ქრთამის ამლებს დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით, ხოლო ქრთამის მიცემა შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით. ფორმალურად სასამართლოს მიერ დანიშნული ეს სასჯელები სწორად უნდა ჩაგვეთვალა. მაგრამ არსებითად ასეთი განაჩენი უმართებულო იქნება. კანონმდებელი ამ ქმედობათაგან ყველაზე დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, უპირველეს ყოვლისა, ქრთამის აღებაში ხედავს და სწორედ ამიტომ დაადგინა მან ამ დანაშაულისათვის უფრო მკაცრი სასჯელი. ამიტომ, ჩვეულებრივ, ქრთამის მიცემისათვის დანიშნული სასჯელი უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე სასჯელი ქრთამის ამლებისათვის. მაგრამ გამოჩაყლის შემთხვევაში ქრთამის ამლები, მაგალითად მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი რაიმე შემამსუბუქებელი გარემოებების გამო, შეიძლება უფრო ნაკლებად დაისაჯოს, ვიდრე ქრთამის მიცემაში, თუ ამ უკანასკნელის პიროვნება უფრო დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება.

✓ 2. მექრთამეობისათვის კანონით გათვალისწინებულ სანქციებს აბსოლუტურად განსაზღვრული ხასიათი არა აქვთ და ამიტომ სასამართლოს შესაძლებლობა ეძლევა აირჩიოს სასჯელი დაწესებული სანქციის მინიმუმისა და მაქსიმუმის ფარგლებში იმის კვალობაზე, თუ რამდენად საზოგადოებრივად საშიშია ჩადენილი დანაშაული და რაოდენ დიდია მისი ჩამდენის ბრალი. ამ გზით ხორციელდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართალს ახასიათებს. ამ პრინციპის დედაპირი ასახულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის ნეორე ნაწილში, სადაც ნათქვამია: „სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, ხელმძღვანელობს რა სოციალისტური მართლშეგნებით, მხედველობაში იღებს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დამნაშავეს პიროვნებას და საქმის გარემოებებს, რომლებიც ამსუბუქებენ ან ამძიმებენ პასუხისმგებლობას“.

მექრთამეობისათვის სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სანქციების ფარგლებში არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომლებიც ჩამოთვლილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ~~38-ე და 39-ე მუხლებში~~

✓ 3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უფრო მკაცრი სასჯელი დაინიშნება მაშინ, როდესაც დანაშაული განმეორებით არის ჩადენილი. მექრთამეობის შემთხვევაში დანაშაულის განმეორება, უდავოდ, მაშინ ჩაითვლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, როდესაც პირს ჩადენილი აქვს ისეთი ქმედობანი, როგორცაა, მაგალითად, სოციალისტური ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ან სხვა ანგარებითი დანაშაული. ასეთი ქმედობანი მიუთითებენ მოცემული პირობათვის დამახასიათებელ ისეთ საძრახის დანაშაულებრივ ნიშნებზე, როგორცაა ანგარება.

39-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ნაწილის მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს არ მისცეს პირველ დანაშაულს დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა. მექრთამეობის შემთხვევაში ამ უფლების გამოყენება დასაბუთებული იქნება მაშინ, თუ წინათ ჩადენილი დანაშაული არაერთგვაროვანი და თან საზოგადოებრივად გაცილებით უფრო ნაკლებად საშიშია, ვიდრე მექრთამეობა.

მექრთამეობისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს წინათ ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ცნობილი იქნას მხოლოდ მაშინ, თუ გასული არ არის ხანდაზმულობის ან ნასამართლობის გამაქარწყლებელი ვადები, ან თუ პირს ნასამართლობა მოხსნილი არა აქვს პატივით ან ამნისტიით.

საქართველოს სსრ 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს როგორც ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც პირი მსჯავრდებული არ ყოფილა, ისე ისეთი დანაშაული, რომლის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი (რეციდივი).

სპეციალური რეციდივი მექრთამეობის შემთხვევაში პირდაპირ არის გათვალისწინებული ქრთამის მიცემა-აღების და მექრთამეობაში შუამავლობის კვალიფიციურ შემადგენლობებში, რამდენადაც ნასამართლობა მექრთამეობისათვის პირდაპირ არის კანონში მითითებული.

რეციდივის ყველაზე უფრო მძიმე სახეს წარმოადგენს განსაკუთრებით საშიში რეციდივი, რომლის ნიშნები ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლში. ამ მუხლის პირველ ნაწილში იმ დანაშაულთა შორის, რომლებმაც შეიძლება საფუძველი შექმნას პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობისათვის, მოხსენებულია დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქრთამის აღება, მექრთამეობაში შუამავლობა და ქრთამის მიცემა-აღება 44-ე მუხლის მიხედვით პირი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად შეიძლება მიჩნეული იქნას, უკეთეს მან ერთ-ერთი ამ ქმედობისათვის მსჯავრდების შემდეგ მეორეჯერ ჩაიდინა რო-

ძელიმე აღნიშნული ქმედობა. გარდა ამისა, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად შეიძლება ვცნოთ ის პირიც, რომელმაც მექრთამეობის გარდა სხვა, 44-ე მუხლში მითითებული დანაშაულობანი კანონით გათვალისწინებულ პირობებში ჩაიდინა.

39-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ უფრო მკაცრი სასჯელი უნდა გამოიყენოს მაშინაც, როდესაც მექრთამეობა ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ასეთი დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობა ხშირად გამოიხატება არა მარტო მექრთამეობაში, არამედ მას შეიძლება თან ახლდეს სხვა დანაშაულობანიც (მაგალითად, მექრთამეობა, რასაც უკავშირდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება).

ცალკე უნდა შეეჩერდეთ იმ დამამძიმებელ გარემოებაზე, რომელსაც ითვალისწინებს 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი — „დანაშაულით მძიმე შედეგების გამოწვევა“.

მექრთამეობის შემთხვევაში მძიმე შედეგად ჩათვლილი უნდა იქნას არსებითი ზიანი, რაც დაკავშირებულია ქრთამის მიცემა-აღებასთან. მეტწილად ასეთი ზიანი ხორციელდება მაშინ, როდესაც ქრთამე აპრობებს უკანონო და, მით უმეტეს, დანაშაულებრივ ქმედობას. სწორედ ამიტომ ~~სხვა~~ ~~კავშირის~~ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილება ავალებს სასამართლოებს გამოარკვიონ იმ მოქმედების ხასიათი, რომელიც თანამდებობის პირმა ქრთამისათვის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით შეასრულა.

მექრთამეობამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს სოციალისტურ საკუთრებას, სამეურნეო, საფინანსო და ა. შ. ინტერესებს. არის სახელმწიფო სამსახურის დარგები, რომლებისთვისაც მექრთამეობა მომეტებულ საფრთხეს მოასწავებს. განსაკუთრებით სახიფათოა მექრთამეობა იუსტიციის ორგანოებში, რადგან მას დიდი ზიანი მოაქვს მართლმსაჯულების განხორციელების საქმისათვის.

ქრთამის აღება მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის და სასამართლო მდივნის მიერ საფრთხეში აგდებს საბ-

ქოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინტერესებს და ამიტომ უაღრესად დასაგმობია სოციალისტური მართლშეგნებისა და კომუნისზმის მშეხებლის მორალური კოდექსის თვალსაზრისით. „მართლმსაჯულებით ვაჭრობა მძიმე დანაშაულთაგან ყველაზე უმძიმესი დანაშაულია და ეს დებულება, რომელიც ნათელია ყველა სასამართლო მუშაკისათვის, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ“<sup>1</sup>. ამ მოსაზრების უგულებელყოფა ქვლად დაუშვებელია.

მორდვეთის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ 1960 წლის დეკემბერიში ხუთჯერ ქრთამის აღებისა და ამასთან დაკავშირებით ოთხი უკანონო განაჩენის გამოტანისათვის დამნაშავედ სცნო ბოლშეიგნატოვსკის რაიონის სახალხო მოსამართლე ბ. ამ დანაშაულისათვის ბ-ს მიესაჯა პირობით თავისუფლების აღკვეთა ორი წლით. ასეთი ლიბერალური განაჩენის გაუქმების შედეგ იმავე სასამართლომ 1961 წლის მაისში ბ-ს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ იმავე ვადით (ორი წელი); ქონების კონფისკაციის დანიშვნის გარეშე. რასაკვირველია, მექრთამეობის საშიშროების ასეთი შეფასება და ასეთი განაჩენი არ შეესაბამება კანონს, უფრო მეტიც, ხელს უშლის მექრთამეობასთან ბრძოლას<sup>2</sup>.

მკაცრი სასჯელის ღირსია არა მარტო მართლმსაჯულების ორგანოს მუშაკი, რომელმაც ქრთამი აიღო, არამედ სხვანიც, რომლებიც მოწოდებული არიან მართლმსაჯულებას ხელი შეუწყონ და, მიუხედავად ამისა, მექრთამეობაში შუამავლებად გამოდიან.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს განაჩენით გ-ს რისდსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის საფუძველზე მიესაჯა. თავისუფლების აღკვეთა 2 წლით. გ. დამნაშავედ იცნეს იმაში, რომ მას — ალმა-ატის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს — დანაშაულებრივი კავშირი

<sup>1</sup> В. Куликов, Борьба со взяточничеством должна быть усилена («Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 4, гв. 7).

<sup>2</sup> იქვე.

პქონია უფროს გამოძიებელ ლ-თან და მოქალაქე კ-საგან მიუღია 5000 მანეთი (ძველი ფულით) ლ-თვის გადასაცემად. ლ-ს წარმოებაში იყო კ-ს ქმრის ბრალდების საქმე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წლის 5 იანვრის განჩინებით გააუქმა ეს განაჩენი გ-ს მიმართ და აღნიშნა, რომ „სასამართლომ მას ისეთი სასჯელი დაუნიშნა, რომელიც თავისი სიმსუბუქით დანაშაულის სიმძიმეს არ შეესაბამება, და ანგარიში არ გაუწია იმას, რომ ქრთამ-გადაცემული იყო სისხლის სამართლის საქმის გამო ადვოკატის მიერ, ე. ი. ისეთი პირის მიერ, რომლის მოვალეობაა ხელი შეუწყოს საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებას“<sup>1</sup>.

სასამართლო ღმობიერად არ უნდა მოქედოს აგრეთვე ყველა სხვა პირს, ვინც ცდილობს ქრთამის მეოხებით გავლენა მოახდინოს მართლმსაჯულების ასრულებაზე.

კ. დამნაშავედ იცნეს მასში, რომ მოსამართლეს შესთავაზა ქრთამი, რათა შეემსუბუქებინა სასჯელი თავისი ქმრისათვის. რომელიც მიცემული იყო პასუხისგებაში დანაშაულის ჩადენის გამო.

პირველი განაჩენით კ-ს რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიესაჯა პირობათაღ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა 3 წლის გამოსაცემელი ვადით. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის შედეგად ეს განაჩენი სასჯელის სიმსუბუქის გამო გაუქმდა. როდესაც კ-ს საქმე ხელმეორედ ირჩეოდა, მას მიესაჯა ერთი წლით გამასწორებელი სამუშაოები. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სცნო, რომ სახალხო სასამართლომ ხელმეორე განხილვისას კ-ს ისეთი სასჯელი დაუნიშნა, რომლის სიმსუბუქე არ შესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. ამიტომ კოლეგიამ გააუქმა განაჩენი კ-ს მიმართ და საქმე დააპარუნა

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 3, стр. 35.

ხელახალი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში<sup>1</sup>.

კანონმდებელი დანაშაულის ჩადენას მეორე პირის მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად თვლის (39-ე მუხლის მე-11 პუნქტი). აქედან გამომდინარეობს, რომ ქრთამის ამღებს სასამართლო 189-ე მუხლის მეორე ნაწილის სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში უფრო მკაცრ სასჯელს დაუნიშნავს მაშინ, როდესაც მექრთამეობის მხარეებს შორის სამსახურებრივი დამოკიდებულება არსებობს (მაგალითად ქრთამის ამღები ქრთამის მიმცემის უფროსია). ამ მხრივ დამახასიათებელია ა-ს საქმე.

ა., რომელიც მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის რესტორნების ტრესტის მმართველად მუშაობდა, 1955—1958 წლების განმავლობაში სისტემატურად იღებდა ქრთამს სამსახურებრივად მისადმი დაქვემდებარებული მუშაკებისაგან. მაგალითად, 1956 წლის ივლისიდან 1958 წლის მაისამდე ა. ყოველთვიურად იღებდა ქრთამს 1000—1500 მანეთს რესტორან „სევერნის“ დირექტორისაგან. რესტორან „დინამოს“ დირექტორისაგან ა-ს 1956 წლის მაისიდან 1958 წლის მაისამდე ყოველთვიურად ქრთამად მიღებული ჰქონდა 1500 მანეთი. ა-მ 17000 მანეთს რაოდენობით ქრთამი აიღო აგრეთვე რესტორან „დინამოს“ საკონდიტრო საამქროს უფროსის მსაგან და ა. შ.

მოსკოვის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ა-ს რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლით და ქონების ნრული კონფისკაცია. ამ განაჩენისათვის ა-ს ადვოკატი თავის საკასაციო საჩივარში მოითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სწორად მიიჩნია ა-სთვის დანიშნული მკაცრი სასჯელი, რადგან პირვე-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 8, ვვ. 34.

ლი ინსტანციის სასამართლომ გაითვალისწინა მისი თანამდებობრივი მდგომარეობა და ის, რომ იგი სისტემატურად იღებდა დიდი რაოდენობით ქრთამს მასზე საშინაურებრივად დაქვემდებარებული პირებისაგან<sup>1</sup>.

კოლეგიის აღნიშნული განჩინება საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში მკაფიოდ ჩანს სამსახურებრივი დამოკიდებულების, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა.

როგორც უკვე ითქვა, თვითონ კანონი ითვალისწინებს მექრთამეობის კვალიფიციურ სახეობებს. საკმარისია კანონში აღნიშნული ერთ-ერთი დამამძიმებელი ნიშანი, რომ დამნაშავეს უფრო მკაცრი სასჯელი დაენიშნოს. მაგრამ შესაძლებელია კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდეს შესაფერისი კანონით გათვალისწინებულ არა ერთ-ერთ დამამძიმებელ ნიშანთაგანს, არამედ თავი მოიყაროს ერთდროულად რამდენიმე ასეთმა ნიშანმა და მათ დაერთოს კიდევ სხვა რამ დამამძიმებელი გარემოებაც. სასამართლომ აუცილებლად უნდა გაუწიოს. ანგარიში დამამძიმებელ გარემოებათა ამგვარ დამთხვევას, როდესაც შეუდგება სასჯელის არჩევას კვალიფიციური მექრთამეობისათვის დაწესებული სანქციის ფარგლებში.

სასამართლოები ამ მოთხოვნას ყოველთვის არ იცავენ. მაგალითად, სმოლენსკის საოლქო სასამართლომ ხ-ს, რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით და ქონების კონფისკაცია. ხ. დასავლეთ დნეპრის რაიონული საბინაო სამმართველოს უფროსად მუშაობდა. მას მიუვიდა მოქალაქე ვ-ს განცხადება, რომლითაც იგი საცხოვრებელ ფართობს თხოულობდა; ხ-მ დაავალა ბუხჩალტერ პ-ს შეედგინა ორი ყალბი აქტი: ერთი, ვითომ ვ. მიწურში ცხოვრობდა, რომელიც დღეს არა, ხვალ ჩაინგროდა, და მეორე, თითქოს იგი სამამულო ომის ინვალიდის დედა იყო. ამავე დროს ხ-მ შეატყობინა ვ-ს, რომ, თუ 3000 მანეთს (ძველი ფულით) არ მისცემდა, რამდენიმე წელიწადს უბინაო ივლიდა. როდესაც

<sup>1</sup> იხ. «Советская юстиция», 1959, № 5, გვ. 90.



ბ-მ ზიილო, კ-ს მეშვეობით, ქრთამად 2500 მანეთი (ძველე ფულით), მან თავისივე მითითებით შეთითხნილი ყალბი აქტების საფუძველზე, ვ-ს მისცა ორდერი საცხოვრებელ ფართობზე<sup>1</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ხ-ს მიმართ გააუქმა განაჩენი და აღნიშნა, რომ „სპოლენსკის საოლქო სასამართლომ, როდესაც ხ-სათვის სასჯელი განსაზღვრა, არ გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული სოციალური საშიშროება და დაუნიშნა სასჯელი, რომელიც არ უზრუნველყოფს ჯეროვან ბრძოლას მექრთამეობასთან“<sup>2</sup>.

როგორც მოტანილი საქმის მასალებიდან ჩანს, ქრთამის აღებისათვის კანონით გათვალისწინებული ორი დამამძიმებელი ნიშნის — ქრთამის გამოძალვისა და საპასუხისმგებლო თანამდებობრივი მდგომარეობის გარდა, ჩადენილ დანაშაულს სხვა დამამძიმებელი გარემოებანიც ახლდა, სახელდობრ, ფიქტიური საბუთების შედგენა და მათ საფუძველზე ორდერის უკანონოდ გაცემა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო დამამძიმებელ გარემოებათა მთელი ეს ერთობლიობა, როდესაც ბრალდებულისათვის სათანადო სასჯელს ირჩევდა.

ამჟამად ქრთამის აღების კანონით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების არსებობის დადგენას დიდა მნიშვნელობა აქვს, რაღვან განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში ქრთამის ამღები სიკვდილით ისჯება. საქიტიზი სასჯელოს უმაღლესი ღონისძიების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მაშინ წარმოიშობა, როდესაც ქრთამის ამღები თანამდებობის პირის მოქმედება ხასიათდება ორი ან მეტი ისეთი დამამძიმებელი გარემოებით, რომლებიც გათვალისწინებულია 189-ე მუხლის მეორე ნაწილში. რა თქმა უნდა, აღნიშნულ შემთხვევებში სასჯელის ამ უმჯაცრესი ღონისძიების დანიშვნისათვის აუცილებელია, რომ ასეთი პირის მიერ ქრთამის აღება დაკავშირებული იყოს უმნიშვნელოვანე-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949 г., № 9, გვ. 30—31.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 31.

სი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევასთან.

მაგალითად, სსრ კავშირის პროკურატურამ მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს განყოფილების ყოფილი გამგე დ.; გამოძიებამ დაადგინა, რომ დ-მ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არაერთჯერ გამოსძალა და აიღო ქრთამი იმ პირებისაგან, რომლებიც მას მიმართავდნენ დასაბუთებული განცხადებებით ფულადი ანაზღაურებებისა და კომპენსაციის საკითხებზე. დ-ს საქმე განიხილა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. კოლეგიამ დ. ბრალეულად სცნო ჩადენილ დანაშაულში, გაითვალისწინა მისი პასუხისაგები მდგომარეობა, ჩადენილი დანაშაულის დიდი საზოგადოებრივი საშიშროება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წ. 20 თებერვლის ბრძანებულების — „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ — საფუძველზე დ-ს შეუფარდა სიკვდილით დასჯა-დახვრება!

ეს სასჯელი შეიძლება გამოყენებულ იქნას მაშინაც, როდესაც ქრთამის აღებას უკავშირდება ისეთი მძიმე დანაშაული, როგორცაა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება.

4. ცხადია, სასამართლომ მექრთამეობისათვის, სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაითვალისწინოს არა მარტო პასუხისმგებლობის დამამძიმებელა, არამედ შემამსუბუქებელი გარემოებებიც, უკეთეს ასეთი საქმეზე არსებობს.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობა მოწმობს იმას, რომ ჩადენილი დანაშაული და დამნაშავის პიროვნება არ ხასიათდება დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით. ასეთ პირობებში შესაძლებელია მექრთამეობაში დამნაშავე პირს დაენიშნოს შედარებით ნაკლებად მკაცრი სასჯელი. ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში ნათქვამ-

შია: „უფარდებენ რა სასჯელის მკაცრ ზომებს ბოროტ დამნაშავეებს, სასამართლოები ამასთან ერთად განურჩევლად არ უნდა მიუდგნენ ბრალდებულთ, ვინაიდან ეს საბჭოთა კანონმდებლობას ეწინააღმდეგება“<sup>1</sup>. ამისათვის „საქირაა კონკრეტულ საქმეთა განხილვისას გათვალისწინებულ იქნას ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოება და ბრალდებულის პიროვნება, განსხვავებულ იქნას ბოროტი დამნაშავე მეორეხარისხოვანი დამნაშავისაგან და ისეთი პირისაგან, რომელმაც დანაშაული შემთხვევითი გარემოებების გამო ჩაიდინა“<sup>2</sup>.

როგორც პლენუმის დადგენილებიდან ჩანს, მექრთამეობის საქმეების განხილვისას გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა პიროვნებას, მოტივს, რომელიც მექრთამე პირს ამოძრავებდა და მიზანს, რომლის განხორციელებასაც იგი ცდილობდა. თუმცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლში, რომელშიც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებებია ჩამოთვლილი, არაფერია ნათქვამი მიზნისა და მოტივის შესახებ, მაგრამ ამ მუხლში ჩამოთვლილი გარემოებები სანიმუშოა და არა ამომწურავი. ამის გამო სასამართლოს უფლება აქვს შემამსუბუქებელ გარემოებად ჩათვალოს ანგარების ან სხვა ქვენა გრძნობების გარეშე ჩადენილი მექრთამეობა. მაგალითად, თუ ქრთამის მიმცემი მოქმედებს არა საკუთარი ინტერესებისათვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შეხატფრისი ორგანიზაციის ყალბად გაგებული ინტერესებისათვის, სასამართლომ იმას შეიძლება შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა მოსცეს. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ქრთამის მიმცემი თვითონ არ უნდა ითვისებდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სახსრებს.

მაგრამ აღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სამსახურის ყალბად გაგებული ინტერესებისათვის ქრთამის მიცემის დროს მინიმალური სასჯელი დაინიშნება. მხედველობაშია მოსაღები ის გარემოება, რომ ასეთ შემთხვევაში ზიანს განიცდის სოციალისტური ქონება. ამ გარემოების შეუფასებ-

<sup>1</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 10.

ლობის გამო მოსკოვის საოლქო სასამართლომ აშკარად ლმობიერი სასჯელი დაუნიშნა ქრთამის მიმცემს, რომელიც მოქმედებდა კოლმეურნეობის ყალბად გაგებული ინტერესებისათვის.

საქმის მასალით დადგენილი იყო, რომ რიგ კოლმეურნეობათა წარმომადგენლებისათვის მ-ს, ვ-ს, ი-ს, გ-ს, ბ-ს, ბ-სა, და ჩ-სათვის სოფლის მეურნეობის საპინისტროს მიუცია ნებართვა, მიეღოთ ლუბერეცკის ქარხანაში სასოფლო-სამეურნეო მანქანები; რათა დაჩქარებულიყო ამ მანქანების გაგზავნა კოლმეურნეობებში, ჩამოთვლილ წარმომადგენლებს ლუბერეცკის ქარხნის მასალების განყოფილების ყოფილ განგეხ-თვის ქრთამად მიუციათ 57.350 მანეთი (ძველი ფულით). ს-ს ქრთამის მიღებისთანავე გაუცია განკარგულება მანქანების გადაგზავნის თაობაზე. კოლმეურნეობებში დაბრუნებულ წარმომადგენლებს კი წარუდგენიათ ყალბი საბუთები, ვითომ ფული მანქანების გადაზიდვაში და თავის სარჩენად დაეხარჯოთ.

მოსკოვის საოლქო სასამართლოს განაჩენით ს-ს მიესაჯა რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით უფლებათა აღუკვეთელად, ხოლო მ-ს, ვ-ს, ი-ს, გ-ს, ბ-ს, ბ-სა და ჩ-ს — 118-ე მუხლით და 120-ე მუხლის I ნაწილით ერთობლიობის წესით თითო წლის შრომა-გასწორებითი მუშაობა თავის სამუშაო ადგილზე ხელფასის 25%-ის დაქვითვით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1951 წ. 21 მარტს გააუქმა ხსენებული განაჩენი და დააბრუნა საქმე ხელახალი განხილვისათვის იმ მოსაზრებით, რომ მოსკოვის საოლქო სასამართლომ მოუსაჯა დამნაშავეთ აშკარად იოლი სასჯელი, რომელიც ჩადენილის სიმძიმეს არ შეეფერება და მექრთამეობასთან ბრძოლას ხელს არ უწყობს<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1951, № 8. გვ. 15—16.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის ძალით, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ჩაითვლება დანაშაულის ჩადეიამ მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო.

ლ. წლების განმავლობაში არ მუშაობდა. 1962 წლის აპრილ-მაისის თვეებში მან რამდენჯერმე სთხოვა ბამბეულის ქსოვილების კომბინატის დირექტორს ლაბორატორიაში სამუშაოზე მიღება. მაგრამ კომბინატის დირექციას ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. 1962 წ. 18 მაისს ლ. შეეცადა შუამავალე-ს საშუალებით ქრთამად 50 მანეთი გადაეცა კომბინატის დირექტორისათვის და თან ითხოვა სამუშაოზე მოწყობა. ქ. გორის სახალხო სასამართლოს 1962 წ. 14 ივნისის განაჩენით ლ. მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ლ. პირველად არის მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხასიათდება დადებითად, არის პენსიონერი, ქმარი დაელუბა სამამულო ომის ფრონტზე; კმაყოფაზე ჰყავს მოხუცებული დედა, და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის გამოყენებით საბოლოოდ მოსახდელად დაუნიშნა პატიმრობა საერთო რეჟიმის კოლონიაში რვა თვით.

აღნიშნული საქმიდან ჩანს, რომ სასამართლომ ქრთამის შიცემისათვის დანიშნა ისეთი სასჯელი, რომელიც პირდაპირ არაა გათვალისწინებული 190-ე მუხლში. ამისათვის სწორად იქნა მიითთებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლზე. ამ მუხლში ნათქვამია: „თუ სასამართლო, გაითვალისწინებს რა საქმის განსაკუთრებულ გარემოებებს და დამნაშავის პიროვნებას, საჭიროდ მიიჩნევს დაუნიშნოს მას ამ დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს საზღვარზე ნაკლები სასჯელი ან გადავიდეს სხვა, უფრო მსუბუქი სახეობის სასჯელზე, მას შეუძლია დაუშვას ასეთი შემსუბუქება, ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი მოტივები“.

სასამართლოები ყოველთვის როდი ასრულებენ კანონს

ამ მოთხოვნას. ვინაიდან რკინიგზის სახაზო სასამართლომ დამ-  
ნაშავედ სცნო კ. იმაში, რომ მან, როდესაც საბარგო მწონავს  
ცვლიდა, გამოძალვის მეოხებით მიიღო მგზავრ პ-სგან ქრთამი  
ბარგის გაგზავნისათვის, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ  
ქრთამადვე უკანონოდ უშოვნა ბილეთი მოქალაქე ი-ს.

სახაზო სასამართლომ გამოიყენა კ-ს მიმართ უკრაინის  
1927 წ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის  
მე-2 ნაწილი (ქრთამის აღების კვალიფიციური სახეობა) და  
მიუსაჯა მას თავისუფლების აღკვეთა წლინახევრის ვადით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კო-  
ლეგიამ გააუქმა ეს განაჩენი იმ საბუთით, რომ სახაზო სასა-  
მართლომ, უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის  
105-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის საწინააღმდეგოდ.  
სრულიად უსაფუძვლოდ განსაზღვრა ისეთი საზოგადოებრი-  
ვად საშიში დანაშაულისათვის, როგორცაა ქრთამის გამო-  
ძალვა, ნაკლები სასჯელი, ვიდრე ის უმცირესი სასჯელია,  
რასაც კანონი აწესებს. ამასთანავე, სასამართლომ არ შეას-  
რულა უკრაინის სსრ 1927 წ. სისხლის სამართლის კოდექსის  
46-ე მუხლის (საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის  
კოდექსის 45-ე მუხლი) მოთხოვნა და არ აღუნიშნავს განა-  
ჩენში, რა მოსაზრებით შეამსუბუქა სასჯელი<sup>1</sup>.

მექრთამეობის შემადგენლობისათვის ქრთამის საგნის ღი-  
რებულებას მნიშვნელობა არა აქვს. ყოველი „საჩუქარი“,  
თუნდაც უმნიშვნელო, რაკი იგი თანამდებობრივი მდგომარ-  
ეობის გამოა „მიძღვნილი“, პასუხისმგებლობას უნდა იწვევ-  
დეს. მაგრამ სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ ქრთამის  
საგნის ღირებულებას ანგარიში უნდა გაუწიოს. დიდი ქრთამის  
აღება დამამძიმებელი გარემოებაა. პირიქით, მცირე მნიშვნე-  
ლობის ქრთამის აღებას შეიძლება სასჯელის შემსუბუქება  
მოჰყვეს.

კ-მ გაწეული თანამდებობრივი სამსახურის გამო ნოსცა  
საღვარის უფროსის თანაშემწეს დ-ს ტომარა ნაკმაზი

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 9,  
გვ. 31.

ქათმების საკვებად. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ თავისი ხასიათის მიხედვით ასეთი მოქმედება ისჯება სისხლის სამართლის წესით, მაგრამ, ამავე დროს, იგი დაეთანხმა სარატოვის ოლქის კრასავცის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენს, რომელიც დ-სათვის 1 წლის გამასწორებელი სამუშაოებით დაკმაყოფილდა, ხოლო კ-ს დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა პირობითად ერთი წლის ვადით<sup>1</sup>.

ცალკეულ, განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევაში, თუ უმნიშვნელო ჯილდო მიცემულია „მადლობის ნიშნად“ თანამდებობის პირის. მართლზომიერი მოქმედებისათვის და თუ ქრთამის მიმცემის ქმედობას რაიმე დამამძიმებელი გარემოება არ ახლავს, სასამართლოს შეუძლია იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილით და სრულიად გაანთავისუფლოს ბრალდებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

მაგრამ, უკეთეს მექრთამეობის ჩადენისათვის, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, სასამართლო შეუძლებლად დაინახავს იხელმძღვანელოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილით, მაშინ არც ქრთამის მიცემა-აღების და არც მექრთამეობაში, შუამავლობისათვის პირი არ შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და მისი საქმე ამხანაგურ სასამართლოს გადაეცეს, ანდა დამნაშავე განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან მისი თავდებქვეშ გადაცემით. ასეთი მოსაზრება ემყარება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებში გათვალისწინებულ დებულებებს. 52-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემით ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ ჩადენილია ისეთი მცირემნიშვნელოვანი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს

<sup>1</sup> იხ. «Советская юстиция», 1938, № 11, გვ. 29—31.

ერთი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. 53-ე მუხლი ადგენს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება დანაშაულის თავდებქვეშ გადაცემით დაიშვება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილია დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს სამი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი. მაგრამ ქრთამის აღებისათვის, შეამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის კანონით გათვალისწინებული არის თავისუფლების აღკვეთა გაცილებით უფრო დიდი ვადით.

5. რა ბედი ეწევა ქრთამად გადაცემულ ფულს ან სხვა ფასეულობას?

ამ საკითხის გადაწყვეტისას ზოგიერთი სასამართლო უმართებულოდ თვლის, რომ ქრთამად გადაცემული ფული ან სხვა ფასეულობა უკანვე უნდა დაუბრუნდეს ქრთამის მიმცემს. მაგალითად, ქ. ტაშკენტის ფრუნზეს სახელობის სახალხო სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებაში ქრთამის აღებისათვის მსჯავრი დასდო დ-ს და კ-ს. განაჩენის გამოტანისას სასამართლომ დ-სა და კ-ს გადაახდევინა ქრთამის მიმცემთა სასარგებლოდ ქრთამად გადაცემული 26 ათასი მანეთი (ძველი ფულით).

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ შეიტანა პროტესტი ტაშკენტის საოლქო სასამართლოში. პროტესტში დაყენებული იყო საკითხი ქრთამად გადაცემული თანხის სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდევინების შესახებ. ტაშკენტის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმმა 1962 წ. 30 ივნისს პროტესტი დააკმაყოფილა<sup>1</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში განმარტა, რომ ფული ან სხვა ფასეულობა, რომელიც ქრთამის საგანს წარმოადგენდა და სასამართლომ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად ჩათვალია, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მეოთხე პუნქტის ძალით ჩაირიცხება სახელ-

<sup>1</sup> იხ. «Социалистическая законность», 1962, № 9, გვ. 87.



მწიფოს შემოსავალში. უკეთუ ქრთამად გადაცემული ფული ან სხვა ფასეულობა ვერ იქნება გამოვლინებული, მაშინ უსაფუძვლო გამდიდრება საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 402-ე მუხლის თანახმად სასამართლოს მიერ გადახდევინებული უნდა იქნას სახელმწიფოს სასარგებლოდ<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1962 წლის 20 თებერვალს მიიღო ბრძანებულება „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ამ ბრძანებულებამ წინათ მოქმედ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შედარებით უფრო მკაცრი სასჯელები დააწესა ქრთამის მიცემა-აღებისა და მექრთამეობაში შუამავლობისათვის. გარდა ამისა, მექრთამეობის დამამძიმებელ გარემოებებად ჩაითვალა ისეთი გარემოებებიც, რომლებიც ასეთად არ იყო ცნობილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებისათვის.

მექრთამეობისათვის 1962 წ. 20 თებერვლის ბრძანებულების დროში მოქმედების საკითხი პრაქტიკაში უმეტესწილად ექვს არ ბადებს. ერთგვარი სიძნელე შეიძლება წამოიჭრას მხოლოდ მაშინ, როდესაც დასადგენია, როდის არის დანაშაული ჩადენილი, ბრძანებულების გამოსვლამდე, თუ ამის შემდეგ? ამ საკითხის მართებულ გადაწყვეტას განსაზღვრული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კანონს, რომელიც აწესებს ქმედობის დასჯადობას ან აძლიერებს სასჯელს, უკუქცევითი ძალა არა აქვს. ამისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მექრთამეობის დამთავრების მომენტის დადგენას. საქმის ნათელსაყოფად განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

ა) „გასამრჯელო“ თანამდებობის პირმა ბრძანებულებამდე მიიღო, ხოლო ქრთამით გაპარობებული სამსახურებრივი მოქმედება მისი გამოსვლის შემდეგ შეასრულა.

როგორც ვიცი, მექრთამეობა დამთავრებულია, რაკ თანამდებობის პირმა ქრთამი მიიღო, ქრთამთან დაკავშირე-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР» 1962, № 5, გვ. 12.

ბული სამსახურებრივი მოქმედების შესრულებას ამ დანაშაულის დამთავრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ ამგვარ შემთხვევებზე ბრძანებულება არ ვრცელდება.

ბ) ქრთამის მიცემა-აღების პირობა ბრძანებულებამდეა დადებული, ხოლო თვითონ ქრთამის გადაცემა მერე მომხდარა.

ვინაიდან დანაშაული ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ დამთავრდა, ასეთ შემთხვევებზე ბრძანებულება გავრცელდება, თუნდაც ქრთამით გაპირობებული სამსახურებრივი მოქმედება ბრძანებულების გამოცემამდე იყოს შესრულებული.

გ) ქრთამი, შეთანხმების თანახმად, ნაწილ-ნაწილ უნდა ყოფილიყო მიცემული; ნაწილი თანამდებობის პირს ბრძანებულების გამოცემამდე ჩაბარდა, დანარჩენი — გამრცემის შემდეგ. ვინაიდან შეთანხმების საბოლოო შესრულება ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ მოხდა, ამიტომ ასეთ შემთხვევაშიც დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება ბრძანებულების გამოცემის შემდეგ.

დ) ქრთამი ჩაბარდა შუამავალს ბრძანებულების გამოცემამდე, ხოლო შუამავალმა გადასცა იგი თანამდებობის პირს ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში შუამავლობისაგან მიმართული საბოლოო მოქმედება ბრძანებულების გამოსვლის შემდეგ ხორციელდება და, მაშასადამე, აქაც შეფარდებული უნდა იქნას ახლად დაწესებული სასჯელი.

ე) ბრძანებულება გავრცელდება აგრეთვე ქრთამის გამოძალვაზე, თუ თანამდებობის პირის მუქარა ბრძანებულების ძალაში შესვლას წინ უსწრებდა, ხოლო თვითონ ქრთამის გადაცემა ამის შემდეგ მოხდა.

## თ ა ვ ი მ ი ხ უ თ ა

### მეჩრთამეობის სპეციალური საკითხები

#### § 1. პასუხისმგებლობა მეჩრთამეობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის

1. ქრთამის აღებასა და მიცემას ზოგჯერ თან ახლავს სხვა დანაშაული, რომელიც დადგენილი უნდა იქნას საგამომძიებლო ორგანოსა და სასამართლოს მიერ. ეს, ცხადია, მოქმედებს დასანიშნავი სასჯელის ზომაზე. მეჩრთამეობასთან ხშირად დაკავშირებულია ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. თავისთავად, უკვე ქრთამის აღების ფაქტი შეიცავს თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მომენტს. ეს მომენტი უფრო მკვეთრად ვლინდება მაშინ, როდესაც თანამდებობის პირი ქრთამისათვის ასრულებს ან არ ასრულებს განსაზღვრულ სამსახურებრივ მოქმედებას. მაგრამ უმართებულო იქნებოდა ამ მოსაზრებით თანამდებობის პირის მიერ გასამრჯელოს აღება სამსახურებრივი მოქმედებისათვის დაგვეკვალიფიცირებინა როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ამით ხელი აგველო იმ მუხლის შეფარდებაზე, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს ქრთამის აღების შემადგენლობას. დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ქრთამის მიცემა-აღებას შორის, შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც დამოკიდებულება საერთო და სპეციალურ სისხლისსამართლებრივ ნორმებს შორის. ასეთ შემთხვევაში

უპირატესობა ეძლევა სპეციალურ სისხლისსამართლებრივ ნორმას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი, როგორც საერთო ნორმა, ითვალისწინებს ამ დანაშაულის ჩადენის ყველა ფორმას. ქრთამის აღების (ან ქრთამის მიცემის) აკრძალვა, როგორც სპეციალური სისხლის-სამართლებრივი ნორმები, ითვალისწინებენ საჯანგებოდ პა-სუხისმგებლობას ამ დანაშაულის ჩადენისათვის. ამასთან, ეს უკანასკნელნი აღქურვილი არიან სასჯელის დამოუკიდებელი ბუქარით და ითვალისწინებენ სასჯელის ისეთ ზონას, რომელნიც თავისი სიმკაცრით გასსხვევებიან საერთო ნორმით გათვალისწინებული სასჯელისაგან. ის გარეულება, რომ კანონმდებელი ქრთამის აღებისათვის დამოუკიდებელ სასჯელს აწესებს, ნათლად მიუთითებს მის სურვილზე შესაფერის შევ-თხვევაში შეფარდებულ იქნას სწორედ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი.

1940 წ. 3 მაისის დადგენილებაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა აღნიშნა: „რსფსრ სისხლის სამართ-ლის კოდექსის 109-ე მუხლი არ უნდა იქნას შეფარდებული სისხლის სამართლის კოდექსის თანამდებობრივ დანაშაულთა კარის სხვა მუხლთან ერთად, თუ ინკრიმინირებული დანაშა-ული პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, რომლის მიხედვითაც უნდა იქნას იგი მხოლოდ კვალიფიცირებული“<sup>1</sup>.

სასამართლო პრაქტიკა დაზღვეული არაა ასეთი შეცდო-მებისაგან. მაგალითად, ვ-მ, როდესაც მატარებელს, რევიზო-რად მიჰყვებოდა, უბილეთო მგზავრობის დაფარვისათვის ორი მგზავრისაგან ქრთამი აღო. წინასწარი გამოძიების დროს ვ-ს მოქმედება დაკვალიფიცირდა რსფსრ 1926 წ. სისხ-ლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით. მოსკოვ-რიაზანის სახანო სასამართლომ, რომელმაც მისი საქმე განიხილა, ვ-ს მოქმედება გადააკვალიფიცირა რსფსრ 1926 წ. სისხლის სა-მართლის კოდექსის 109-ე მუხლით (ხელისუფლების ან სამ-სახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). ასეთ

<sup>1</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума и определенний коллегий Верховного Суда Союза ССР, 1940 г.», 1942, გვ. 89.

კვალიფიკაციას სასამართლომ-საფუძველად ის დაუდვა, რომ ბრალდებულმა მგზავრთაგან ფული აიღო „თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საჩინიგზო კოლეგიამ გამოიტანა განჩინება რომ ვ-ს მოქმედების ასეთი კვალიფიკაციისათვის საფუძველი არ არსებობდა, რადგან თანამდებობის პირის მიერ „გასამრჯელოს“ აღება ისეთი მოქმედებისათვის, რომელსაც იგი „გასამრჯელოს“ მიმცემის ინტერესებისათვის ასრულებს, გათვალისწინებულია რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით და არა 109-ე მუხლით<sup>1</sup>.

მაგრამ თუ თავისთავად ქრთამის აღების ფაქტი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი საჭიროა გამოყენებულ იქნას მაშინ, როდესაც თანამდებობის პირის ქრთამით შეპირობებულ სამსახურებრივი მოქმედება კიდევ ამ დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მაშასადამე, თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება და ამის გამო, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება ჩაითვლება ამ დანაშაულთა რეალურ ერთობლიობად. სწორად მოიქცა იაროსლავის რკინიგზის სახაზო სასამართლო, როდესაც ო-ს ქცევა, რაც გამოიხატა სადგურის კლიენტთაგან ქრთამის აღებასა და ამასთან დაკავშირებით მათ სასარგებლოდ უკანონო მოქმედების ჩადენაში, დააკვალიფიცირა როგორც ქრთამის აღებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების რეალური ერთობლიობა<sup>2</sup>.

ზოგჯერ ასევე უნდა დაკვალიფიცირდეს ქრთამის მიმცემის ქცევაც, კერძოდ, მაშინ, როდესაც ქრთამის მიცემას უკავშირდება უკანონო სამსახურებრივი მოქმედება. მოვიტანოთ შესაფერისი მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

ქ. კალინინგრადის ლენინგრადის რაიკომის კომუნა-

---

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 6, გვ. 36.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 37.

ლური საბინაო განყოფილების გაჰგე ტ-მ ახალ საცხოვრებელ სახლში ბინების განაწილებისას იმ პირთა სიაში, რომელთაც ორდერი უნდა მიეღოთ, შეიტანა კალინინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მდივანი ზ. ამის გამო ზ-მ მიიღო ახალი ბინა, თუმცა მას ამისათვის საფუძველი არ ჰქონდა. აღებული ქრთამისათვის ზ-მ მისცა ტ-ს ჩათვლის წიგნაკი ინსტიტუტის პირველი კურსით გათვალისწინებული საგნების ჩაბარებისა და ჩათვლების აღნიშვნით. სინამდვილეში ტ-ს საგნები არ ჩაუბარებია. ამრიგად, ერთი მხრით, ტ-მ სწავლაში მისთვის მიცემული შეღავათებისათვის ზ-ს „ღვაწლი“ „აანაზღაურა“ ახალ საცხოვრებელ სახლში საბინაო ორდერის მიცემით, ხოლო, მეორე მხრით, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით საკუთარი მიზნებისათვის ჩააღინა სამსახურებრივი მოქმედება, რითაც დაარღვია სხვა პირების კანონიერი ინტერესები. ამიტომ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიამ სწორად ჩათვალა ის, რომ ტ-ს ნამოქმედარი დაკვალიფიცირდა როგორც ქრთამის მიცემისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების რეალური ერთობლიობა<sup>1</sup>.

ქრთამის აღებას შეიძლება უკავშირდებოდეს არა მხოლოდ ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, არამედ სხვა თანამდებობრივი დანაშაულიც. მექანიკური კოლონის კადრების ინსპექტორმა კ-მ ქრთამისათვის მოქ. მჩ-ის და მოქ. მ-ის შრომის წიგნაკებში ფიქტიური ჩანაწერები გააკეთა იმის თაობაზე, თითქოსდა ისინი აღნიშნულ კოლონაში მუშაობდნენ. საგამომძიებლო ორგანოებმა, გარდა ქრთამის აღებისა, კ-ს მოქმედება დააკვალიფიცირეს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). სწორად ზოიქცა ქ. სვერდლოვსკის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლო, როდესაც კ-ს მოქმედება რსფსრ სისხლის სამართლის კოდექ-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1962, № 7, გვ. 7—8.

სის 170-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა 175 მუხლზე, რადგან ეს მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს შრომის წიგნაკმა ანგარებით სიყალბის გაკეთებას, როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სპეციალურ სასეს<sup>1</sup>. ხდება, ისეც, რომ მიღებული „გასამარჯელოსათვის“ თანამდებობის პირი ხელს უწყობს ქრთამის მიმცემს რაიმე დანაშაულის ჩადენაში. ასეთ პირობებში თანამდებობის პირი პასუხს აგებს არა მარტო შექრთამეობისათვის, არამედ თანამონაწილეობისათვისაც ქრთამის მიმცემის მიერ ჩადენილ დანაშაულში. ვთქვათ, სავაჭრო დაწესებულების მუშაკი დაუკავშირდა სპეკულანტებს და ამ უკანასკნელთაგან აღებული შესაფერისი „გასამარჯელოსათვის“ ამარაგებს მათ დეფიციტური საქონლით. ასეთ თანამდებობის პირს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ჯერ ერთი, ქრთამის აღებისათვის და მეორე, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლზე მითითებით სპეკულაციაში დახმარებისათვის. ქრთამის მიმცემი კი პასუხს აგებს არა მხოლოდ სპეკულაციისათვის, არამედ ქრთამის მიცემისათვის.

თანამდებობის პირი შეიძლება სოციალისტური ქონების გატაცების ხელისშემწყობადაც მოგვევლინოს. ამ დებულების საილუსტრაციოდ მივმართოთ სასამართლო პრაქტიკას.

ს-ს მინდობილი ჰქონდა საწყობში მოთავსებული საქონლის დაცვა. მან პ-საგან მიიღო ფული, რის გამოც ეს უკანასკნელი დაუბრკოლებლივ შეუშვა საწყობში. პ-მ საწყობიდან გაიტაცა მარილი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ჩათვალა, რომ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით ს. მოვალე იყო არ შეეშვა პ. საწყობში. რაკი ს-მ პ-ს ამის ნებართვა მისცა, ამით თავიდან ააცილა პ-ს დაბრკოლება დანაშაულის ჩადენისათვის. ვინაიდან დაბრკოლებათა თავიდან აცილება დანაშაულში დახმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, ამიტომ ს. ცნობილი უნდა იქნას დამხმარედ პ-ს მიერ ჩადენილ და-

<sup>1</sup> იხ. М. Ковалев, Г. Шелковкин, Взятничество — тяжчайшее преступление («Советская юстиция», № 24, 1961, стр. 11—12).

ნაშაულში. მაგრამ ასეთი კვალიფიკაცია სრულად ვერ ასახავს ს-სათვის რეკრიმინირებულ დანაშაულებრივ მოქმედებებს. გატაცებაში თანამონაწილეობისაგან დამოუკიდებლავ. ს.-მ ჩაიღინა სხვა დანაშაულა, კერძოდ, აიღო „გასამრჯელო“ ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მის სანსახურებრივ მდგომარეობასთანაა დაკავშირებული. ამის გამო პლენუმმა ს-ს ქცევაში დაინახა ქრთამის აღება და დახმარება გატაცებაში<sup>1</sup>. შეიძლება პრიციპითაც მოხდეს. სახელდობრ, პირმა შეიძლება პასუხი აგოს როგორც ქრთამის მიცემისათვის, ისე თანამდებობის პირის მიერ ქრთამთან დაკავშირებით ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის. აქ ისეთი შემთხვევა იგულისხმება, როდესაც მოსყიდვის გზით ქრთამის მიცემა ცდილობს თანამდებობის პირს დანაშაული ჩაადენინოს. ასეთმა ქრთამის მიცემმა პასუხი უნდა აგოს შექრთამეობისათვის და აგრეთვე იმ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომელიც თანამდებობის პირმა ჩაიღინა. მაგალითად, პირმა დაიყოლია თანამდებობის პირი იმის დაპირებით, რომ შესაფერისი „გასამრჯელოსათვის“ მისცემს მას ყალბ საბუთს. რასაკვირველია, აქ იგი დანაშაუვ იქნება არა მარტო ქრთამის მიცემისათვის, არამედ, აგრეთვე, ყალბი საბუთის დამზადების წაქეზებისათვის.

როდესაც თანამდებობის პირი ქრთამისათვის ქრთამის მიმცემს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების ხარჯზე უკანონოდ უნიშნავს დახმარებას, პენსიას და ა. შ., მაშინ იგი პასუხისმგებელია როგორც ქრთამის აღებისათვის, ისე გატაცებისათვის. მეორე მხრით, ქრთამის მიმცემი, რომელიც არამართლზომიერად მდიდრდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების ხარჯზე, დამნაშავეა ქრთამის მიცემასა და თაღლითური გზით სოციალისტური ქონების გატაცებისათვის.

საჯამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ყოველთვის სრულად არ აკვალიფიცირობენ იმ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობებს, რომლებიც შექრთამეობას უკავშირდება. ერთი

<sup>1</sup> იხ. «Социалистическая законность», 1915, № 4, გვ. 52—53.



დანაშაულის წინა პლანზე დაყენებით ისინი ყურადღებას აღარ აქცევენ სხვა, მძიმე დანაშაულობებს, რომლებიც იმავე ბრალდებულს ან სხვა პირებს აქვთ ჩადენილი. „სასამართლოები, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში, — ამოწმებენ მხოლოდ მასალებს ქრთამის მიცემა-აღების შესახებ, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მექრთამეობასთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოვლინებას და ხშირად გვერდს უვლიან ისეთ არანაკლებ საშიშ დანაშაულობებს, როგორიცაა სახალხო ქონების გატაცება, კერძო მწარმოებლური საქმიანობა, სპეკულაცია, მიწერა და სახელმწიფოს მოტყუება. ამის შედეგად არ იხსნება ყველა დანაშაული და არ ვლინდება ყველა მასში მონაწილე პირი, რის გამოც საშიში დამნაშავეები ხშირად დაუსჯელი რჩებიან“<sup>1</sup>. ასეთი უპართებულო პრაქტიკის მაგალითად პლენუმის დადგენილებაში მოხსენიებულია იაროსლავის ოლქის უგლიჩის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ლ-ს საქმეზე. ამ სასამართლომ ლ., რომელიც სელის ქარხნის უფროს მიმღებად მუშაობდა, დამნაშავედ ცნო მასში, რომ ქრთამისათვის კალინინის სახელობის კოლმეურნეობისაგან ჩაიბარა არაკონდიციონებული სელი, როგორც პირველი ხარისხისა. საგამომძიებლო ორგანო და სასამართლო დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ქრთამის მიცემის ფაქტის დადგენით და უყურადღებოდ დატოვეს ლ-ს მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულობანი, როგორიცაა სახელმწიფო სათვის თვალის ახვევა და მოტყუება<sup>2</sup>.

2. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ქრთამის მიცემა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში როგორც ქრთამის მიმცემი, ისე ქრთამის ამღები თანამდებობის პირებია, რომლებიც წინასწარი შეთანხმებით ზიანს აყენებენ სოციალისტურ ქონებას და თან თავიანთ უკანონო მფლობელობაში გადააქვთ ფულის თანხა ან სხვა მატერიალური ფასეულობა. ამასთან, აქ როგორც ქრთამის მიმ-

<sup>1</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 8.

<sup>2</sup> იქვე.

ცემისათვის, ისე ჩვეულებრივად ქრთამის ამღებისათვის ცნობილია ის წყარო, საიდანაც ქრთამის „დაფინანსება“ ხდება. მაგრამ ასეთი შემთხვევის კვალიფიციაციისათვის გარკვეულ სირთულეს ქმნის ის, რომ ქრთამის მიმცემი, თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების ყალბად გაგებული ინტერესებით მოქმედებს.

სასამართლო პრაქტიკაში ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღებისთვის პასუხისმგებლობის საკითხი აღნიშნულ შემთხვევებში ექვს არ იწვევს<sup>1</sup>. პირიქით, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს სოციალისტური ქონების ხელყოფა. ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, გასარკვევია საკითხი, თუ ვინ, რა პირობებში და რა წესით უნდა აგოს პასუხი, გარდა მექრთამეობისა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის?

ასეთ მოქმედებას სასამართლოები დიდხანს აკვალიფიცირებდნენ როგორც ქრთამის მიცემა-აღებას, ხოლო ამ დანაშაულთან დაკავშირებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის პირი დაუსჯელი რჩებოდა. შეეფერებოდა სასამართლოებმა თანდათან დაიწყეს გატაცებისათვის იმ თანამდებობის პირის პასუხისგებაში მიცემა, რომელიც წინასწარი შეცნობით ქრთამის სახით მიღებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას თავის საკუთრებად აქცევდა. შემდეგ დადგა საკითხი იმ თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის შესახებაც, რომელიც ქრთამის მიცემისათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ სახსრებს იყენებდა. არც ამ გარემოების შეფასებაში არსებობდა ერთიანი ხაზი. სასამართლოები ასეთი პირის მოქმედებას ზოგჯერ განიხილავდნენ როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ხოლო ზოგჯერ აღიარებდნენ, რომ აღნიშნული თანამდებობის პირის მოქმედება შეიცავს ქონების გატაცებაში დახმარების ნიშნებს; და ბოლოს, ზოგჯერ ასეთ შემთხვევას პირდაპირ გატაცებად აკვალიფიცირებდნენ.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხილეთ წინამდებარე ნაშრომის მეორე თავის შესაბამის პარაგრაფი.

აზრთა სხვადასხვაობას, რომელსაც ამ საკითხში სასამართლო პრაქტიკა იჩენდა, მოწმობს ქვემოთ მოტანილი მაგალითიც.

სასამართლო გამოძიებისას გამოიჩვენა, რომ ხმელნიცის ოლქის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელმა ც-მ, რომელიც კოლმეურნეობისათვის ხე-ტყის დამზადებას ეწეოდა, 1959 წლის აპრილიდან 1960 წლის მაისის განმავლობაში არაერთხელ მისცა ქრთამი კოლმეურნეობის სახსრებიდან ხე-ტყის კომბინატის დირექტორს ლ-ს იმ მიზნით, რათა ამ უკანასკნელს დაეჩქარებინა მერქნის გაგზავნა. ც-მ ლ-ს სულ მისცა 17 000 მანეთი (ძველი ფულით). ქრთამად გადაკრებული ფულის ანგარიში რომ გაესწორებინა, ც-მ შეაღგინა ფიქტიური საგადასახადო დოკუმენტები, რომლებიც მან კოლმეურნეობის ბუხალტერიას წარუდგინა.

კომის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით ც. ჩაითვალა დამნაშავედ ქრთამის მიცემისათვის, ხოლო ბრალდების ნაწილში, რომელიც საკოლმეურნეო ქონების გატაცებას შეეხებოდა, იგი გაამართლეს.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სწორად არ ცნო აღნიშნული განჩინი, რომელშიც უარყოფილ იქნა საკოლმეურნეო ქონების უკანონო გამოყენების ფაქტი. „როდესაც ქრთამის მიცემისათვის, — ნათქვამია კოლეგიის განჩინებაში, — ც-მ გამოიყენა კოლმეურნეობის სახსრები და ანგარიშის გასწორების მიზნით ფიქტიური დოკუმენტები, ამით მან ჩაიდინა კოლმეურნეობის სახსრების გაფლანგვა, მისი მოქმედება შეიცავს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით (ქრთამის მიცემა — ვ. მ., გ. ტ.) და 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლით (საზოგადოებრივი ქონების გატაცება — ვ. მ., გ. ტ.) გათვალისწინებულ დანაშაულთა ერთობლიობას. ამის გამო მან პასუხი უნდა აგოს ორივე ამ დანაშაულისათვის“<sup>1</sup>.

სასამართლო პრაქტიკაში ამ საკითხის ერთგვაროვანი გა-

<sup>1</sup> «Советская юстиция», 1961, № 3, გვ. 28.

დაკრის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში რიგი სახელმძღვანელო დებულებები ჩამოაყალიბა.

უპირველეს ყოვლისა, პლენუმმა მოითხოვა დაკვალიფიცირდეს როგორც ქრთამის აღებისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების დანაშაულთა ერთობლიობად იმ თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც ქრთამად მიღებულ აღნიშნულ ქონებას თავის საკუთრებად აქცევს. ამასთან, დადგენილების მიხედვით, ასეთი კვალიფიკაცია გულისხმობს, რომ თანამდებობის პირმა იცის, თუ ვის ეკუთვნის ის სახსრები, საიდანაც ქრთამის მიცემა ხდება. ამიტომ, უკეთეს თანამდებობის პირს ჰგონია, რომ „გასამრჯელო“ მიცემულია ქრთამის მიმცემის პირადი სახსრებიდან, ხოლო სინამდვილეში ეს ასე არაა, მაშინ მან არ შეიძლება პასუხი აგოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის<sup>1</sup>.

იმავედროულად პლენუმმა საჭიროდ ჩათვალა დაკვალიფიცირდეს როგორც მექრთამეობისა და გატაცების ერთობლიობა იმ ქრთამის მიმცემისა და შუამავლის მოქმედება, რომლებიც ქრთამის გადაცემისას ითვისებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების ნაწილს. ასევე დაკვალიფიცირდება „იმ თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც გადასცემს ქრთამის სახით ამ სახსრებს პირადი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის“<sup>2</sup>.

იმ პირის მოქმედებაში, რომელიც ქრთამად გადაცემული სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების ნაწილს თავის საკუთრებად აქცევს, აშკარად არის გატაცების ნიშნები, თუნდაც აღნიშნული პირი პირადი გამდიდრების მიზანთან ერთად სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულების, საწარმოსა ან ორგანიზაციის ყალბად გაგებული ინტერესებისათვის მოქმედებდეს. ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც თანამდებობის პირი ქრთამის სახით გადასცემს სოციალისტურ ქონებას, პლენუმის დადგენილების სიტყვებით

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 10.

<sup>2</sup> იქვე.

რომ ვთქვათ, „პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით“, მაგრამ ამ ქონების პირდაპირ მიუთვისებლად. პლენუმის დადგენილების ეს ფორმულა დაზუსტებას მოითხოვს. რა იგულისხმება აღნიშნულ მიზანში? ჩვენი ფიქრით, ასეთად ისეთი შემთხვევები უნდა ჩავთვალოთ, როდესაც ქრთამის საშუალებით თანამდებობის პირი მიისწრაფვის დაიცვას არა მარტო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ყალბად გაგებულ ინტერესები, არამედ, ამავე დროს, მას სურს პირადი გამოჩენაც მიიღოს. მაგალითად, თანამდებობის პირი აძლევს მეორე თანამდებობის პირს ქრთამს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრებიდან რაიმე მნიშვნელოვანი მასალის, ან საქონლის ტრანსპორტირების დაჩქარებისათვის, თანაც მიზნად ისახავს სამეურნეო ოპერაციის დროულად შესრულებისათვის მიიღოს პრემია ან ხელფასის წანამატი. ასეთ შემთხვევაში ქონებრივი მომენტი შეიძლება გადახლართული იყოს სხვა პირად ინტერესებთან. ამიტომ ასევე უნდა შეფასდეს ქრთამის მიცემის ის შემთხვევები, როდესაც პირი ქრთამის საშუალებით მიისწრაფვის თავიდან აიცილოს სამსახურიდან მოხსნა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. პირიქით, თუ ქრთამის მიცემისას თანამდებობის პირი მხოლოდ და მხოლოდ დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ვიწროუწყებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა და არავითარ ანგარებით მიზანს არ ისახავდა, მაშინ მან პასუხი არ უნდა აგოს გატაცებისათვის<sup>1</sup>. მაგრამ აქაც, ჩვენი შეზღუდულებით, მან პასუხი უნდა აგოს არა მხოლოდ ქრთამის მიცემისათვის, არამედ, აგრეთვე, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, რადგან იგი უკანონოდ გადასცემს სხვა პირს მის გამგებლობაში მყოფ სახსრებს და ამით მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესებს. მაშასადამე, იგი

---

<sup>1</sup> გატაცების არსებობისათვის რომ ანგარების მიზანი აუცილებელია, არაერთგზის არის ხაზგასმული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 მარტის დადგენილებაში „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ (იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 3, გვ. 30, 31).

პასუხს აგებს როგორც 190-ე მუხლით (ქრთამის მიცემა), ისე 186-ე მუხლით (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). თუ თანამდებობის პირის ასეთ მოქმედებას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, მაშინ შეფარდებული უნდა იქნას 186-ე მუხლის მეორე ნაწილი.

სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლით მიეცემა პასუხისგებაში ის თანამდებობის პირი, რომელიც ქრთამადღებულობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას, აგრეთვე ის თანამდებობის პირი, რომელიც ამ ქონების გადაცემისას ითვისებს მის ნაწილს, ან ღებულობს სხვა მატერიალურ გამორჩენას?

ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სახელმწიფო ქონების გატაცებას ხელისუფლების ბოროტად გამოყენებით და ორი ან რამდენიმე პირის წინასწარი შეთანხმებით, ამიტომ შეფარდებული უნდა იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის მეორე ნაწილი (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით). უკეთეს ასეთ პირობებში ქრთამად გადაცემულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება დიდი ოდენობით, მაშინ ისინი პასუხს აგებენ 94-ე მუხლის მესამე ნაწილით, ხოლო თუ ქრთამთან დაკავშირებით გატაცება მოხდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით, დადგება საკითხი 96<sup>1</sup> მუხლის გამოყენების შესახებ. ეს მუხლი, როგორც ცნობილია, მკაცრ სასჯელს (მათ შორის სიკვდილით დასჯასაც) ითვალისწინებს.

3. წინაშეაგარე პარაგრაფში განხილულია შემთხვევები, როდესაც მექრთამეობას თან ახლავს სხვა დანაშაულობანი. რამდენადაც ასეთ შემთხვევებში პირის ქმედობა ორი დანაშაულის ერთობლიობას შეაქავეს, ამიტომ, თუ რაიმე საფუძვლით მოიხსნა პასუხისმგებლობა ერთი მათგანისათვის, ამან მექანიკურად არ უნდა გამოიწვიოს პასუხისმგებლობის მოხსნა მეორესათვისაც. მაგალითად, მექრთამეობისათვის აღძრული სისხლის სამართლის საქმის მოსპობა ქრთამის გადაცემის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო არ ნიშნავს იმას, რომ თანამ-

დებობის პირი არ უნდა მიეცეს პასუხისმგებაში, თუ იგი უკანონოდ მოქმედებდა სხვა პირთა ინტერესების სასარგებლოდ.

მეორე მხრივ, თანამდებობის პირის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ სამსახურებრივი მოქმედებისათვის არ მოასწავებს, რომ იგი მეჭანკურად თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ქრთამის აღებისათვის. ამასთანავე, არ უნდა დაევიწყოთ, რომ ქრთამის მიცემა-აღების შემადგენლობა მაშინაც არსებობს, როდესაც თანამდებობის პირის მიერ „სასყიდელი“ მიღებულია ქრთამის მიმცემის ინტერესების სასარგებლოდ კანონიერი მოქმედებისათვის.

როდესაც სასამართლო განსაზღვრავს სასჯელს ერთობლიობის წესით ქრთამის მიცემა-აღებისათვის და ქრთამთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის, მან უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით. ამ მუხლის თანახმად, „სასამართლო, დანიშნავს რა სასჯელს თითოეული დანაშაულისათვის ცალკე, საბოლოოდ განსაზღვრავს სასჯელს მათი ერთობლიობით, ამასთან უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს ან დანიშნული სასჯელი შეიკრიბება მთლიანად ან ნაწილობრივ კანონის იმ მუხლით ან მუხლის ნაწილით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს“.

ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლებას წარმოადგენს მექრთამე პირის მიმართ გამოიყენოს სასჯელთა ან შთანთქმის, ან შეჯამების პრინციპები. სასჯელთა შთანთქმის პრინციპის შესაბამისად, თუ მექრთამეობისათვის უფრო მკაცრი სასჯელია დანიშნული, ვიდრე სხვა დანაშაულისათვის, მაშინ საბოლოოდ დანიშნული უნდა იქნას პირველი დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი. ასევე ნოიქცევა სასამართლო მაშინაც, როდესაც მექრთამეობისათვის კანონით გათვალისწინებულია ნაკლებად მკაცრი სასჯელი. პირიქით, თუ სასამართლო მოცემული ქმედობის კონკრეტული საშიშროების გათვალისწინების საფუძველზე მეორე დანაშაულისათვის უფრო მკაცრ სასჯელს დანიშნავს, ვიდრე მექრთამეობისათვის, მაშინ საბოლოოდ და-

ნიშნული უნდა იქნას მეორე დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელი.

სასჯელთა შეჯამების დროს მექრთამეობისა და სხვა დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა შეჯამდეს იმ კანონის სანქციის ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. სასჯელთა შეჯამების წესები გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლში.

მიუხედავად დანაშაულთა ერთობლიობის არსებობისა, ზოგჯერ სასამართლოები, როდესაც მექრთამეობისა და სხვა რომელიმე დანაშაულისათვის ერთობლივად განსაზღვრავენ სასჯელს. უმართებულოდ ნიშნავენ მსუბუქ სასჯელს, რაც აშკარად არ შეესაბამება ბრალდებულის პიროვნების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას.

მაგალითად, ე., რომელიც ვილნიუსის ენერგორაიონის საერთო საცხოვრებლის კომენდანტად მუშაობდა, ცნობილი იყო დამნაშავედ მასში, რომ ორი წლის მანძილზე გამოძალვით ართმევდა ქრთამს მუშებს საბინაო დავთარში ჩაწერისა და საცხოვრებელი ფართობის შიჩენისათვის. ქ. ვილნიუსის ძერჟინსკის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს განაჩენით ე-ს, რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 109-ე მუხლით, მიესაჯა ჩადენილ დანაშაულთათვის ერთობლივად თავისუფლების აღკვეთა ორ წლით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ე-ს მიმართ გააუქმა განაჩენი და აღნიშნა, რომ, თუმცა სასამართლომ მართებულად გამოუტანა ე-ს გამამტყუნებელი განაჩენი რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 109 მუხლით, მაგრამ, რაც შეეხება დასჯას, დაუნიშნა იოლი სასჯელი, რომელიც ჩადენილ დანაშაულთა საშიშროებას არ შეესაბამება<sup>1</sup>.

უფრო მეტიც, ზოგიერთი სასამართლო მიუხედავად იმისა,

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 5, გვ. 23.



რომ პიქსი, გარდა მექრთამეობისა, სხვა დანაშაულობანიც აქვს ჩადენილი, იყენებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას.

გ. მუშაობდა ბინათმშენის კადრების ინსპექტორად. მან ქრთამისათვის გასცა ყალბი ცნობები, თითქოს ქრთამის მიმცემები მუშაობდნენ ბინათმშენებლობის სამმართველოს სიატემაში. თვითელი ყალბი ცნობისათვის გ-მ ქრთამად მიიღო 300 მანეთი (ძველი ფულით). გარდა ამისა, გ-მ შე(ცდომაში შეიყვანა ბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსი, ხელი მოაწერინა მას ბრძანებაზე ისეთი პირების სამუშაოზე მიღების შესახებ, რომლებიც ქალაქში ჩაწერილი არ იყვნენ.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ 1961 წ. 24 იანვრის განაჩენით გ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლითა და 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით და საბოლოოთ შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. ამის შემდეგ სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლი და მას მოსახდელად დაუნიშნა სამუშაო ადგილზე ერთი წლით გამასწორებელი სამუშაოები ხელფასიდან 20%-ის დაკავებით.

მოტანილ შემთხვევაში, თუმცა დამნაშავემ ჩაიდინა სამი დანაშაული (მესამე დანაშაული — სამსახურებრივი სიყალბე განაჩენში არ ასახულა), სასამართლომ შესაძლებლად ჩათვალა შეეფარდებინა მისთვის საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 48-ე მუხლი<sup>1</sup>, რომელიც უშვებდა სასჯელის შემსუბუქებას განსაკუთრებული გარემოებების არსებობის დროს. გ. კი წარსულში ნასამართლეები იყო დამამძიმებელ გარემოებებში სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის. საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ სასამართლოს ეს განაჩენი, როგორც უკანონო და აშკარად არამართებული, გააპროტესტა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში.

<sup>1</sup> ანალოგიური ნორმა გათვალისწინებულია საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლში.

**§ 2. გარემოებანი, რომლებიც ათავისუფლებენ  
პასუხისმგებლობისაგან კრთამის მიმცემს**

ქვეყრთამეობასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით საგამომ-  
ძიებლო და სასამართლო ორგანოები განუხრელად უნდა ამ-  
ლევდნენ პასუხისგებაში არა მარტო ქრთამის ამღებ თანამდე-  
ბობრს პირებს, არამედ ქრთამის მიმცემთაც.

საბჭოთა სისხლის სამართალი არ აწესებს ქრთამის მიმცე-  
მის პასუხისმგებლობის არავითარ შეზღუდვას. ქრთამის მიმ-  
ცემა პასუხი უნდა აგოს ყველა შემთხვევაში, გინდ კანონიერი  
მოქმედებისათვის ეძლეოდეს თანამდებობის პირს ქრთამი,  
გინდ უკანონოსათვის. გინდ სამსახურებრივი მოქმედების შეს-  
რულებაზე მომზდარიყოს ეს, გინდა მერე და ა. შ.

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის დევნის შეწყვე-  
ტისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთა-  
ვისუფლების წესი და პირობები გათვალისწინებულია საქარ-  
თველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და სა-  
ქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილ-  
ში. მაგრამ ამთგან განსხვავებით, კანონმდებელმა დაუშვა  
გამონაკლისი საერთო წესისაგან და საქართველოს სსრ სისხ-  
ლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში (190-ე  
მუხ. მე-3 ნაწილი) პირდაპირ გაითვალისწინა ის გარემოებანი,  
რომლებიც პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებენ მხოლოდ  
ქრთამის მიმცემს.

რა გარემოებებია ეს, რომელთაც კანონი ასეთ მნიშვნელო-  
ვან შედეგს უკავშირებს? საქართველოს სსრ სისხლის სამართ-  
ლის კოდექსის 190-ე მუხლის შესამე ნაწილის ძალით, ქრთა-  
მის მიმცემი განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან:  
ა) უკეთუ მას ქრთამი გამოსძალეს ან ბ) თუ ქრთამის მიმცემმა  
ქრთამის გადაცემის შემდეგ ნებაყოფლობით განაცხადა ამის  
შესახებ.

სასამართლოს არათუ უფლება აქვს, იგი მოვალეა გაანთა-  
ვისუფლოს პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიმცემი, თუ  
ქრთამი მიცემულია გამომძალვის შედეგად ანდა იგი მექრთა-

მეობის შესახებ თავისი ნებით განაცხადებს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის საკმარისია ერთ-ერთი აღნიშნული გარემოების არსებობა. ანეთი განთავისუფლება, რომ უმეტეს, დასაბუთებული იქნება მაშინ, როდესაც ერთდროულად არსებობს ორივე ეს გარემოება, ე. ი. გამოძალვა და ნებაყოფლობითი განცხადება. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ, მიუხედავად ამ ორი გარემოების არსებობისა, ქრთამის მიმცემი მაინც არ გაანთავისუფლა პასუხისმგებლობისაგან. ულიანოვსკის სადგურის მორიგე მ-მ ქრთამი გამოსძალა იაკუშინსკის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარეს კ-ს დამუქრებით, რომ არ გაგზავნიდა სადგურიდან ვაგონ-დუქანს. ამასთან ერთად დადგენილი იყო, რომ კ-მ დაუყოვნებლივ, ნებაყოფლობით განუცხადა სათანადო ორგანოს ჩადენილი დანაშაულის შესახებ. მიუხედავად ამისა, კუიბიშევის სახელობის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალმა მსჯავრც დავლო კ-ს ქრთამის მიცემისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ კ-ს მიმართ გააუქმა განაჩენი და სცნო, რომ იგი პასუხს არ აგებს სისხლის სამართლის წესით<sup>1</sup>.

1. დებულება, რომ პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება აღამიანი, რომელმაც გამოძალვის შედეგად ქრთამი ძისცა თანამდებობის პირს, სრულიად გასაგებია. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირი მიმართავს არამართლზომიერ მუქარას, რომელაც ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენს მეორე პირზე, აყენებს მას მძიმე არჩევნის წინაშე: ან მისცეს ქრთამი და ამით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესი, ანდა შეურიგდეს ამ ინტერესის უკანონოდ შელახვას. პირი, ვისაც ქრთამი გამოსძალეს<sup>2</sup>,

<sup>1</sup> იხ: «Сборник постановлений Пленума и определенный коллегий Верховного Суда Союза ССР. 1944 г.», 1948. გვ. 101.

<sup>2</sup> გამოძალვა ერთდროულად წარმოადგენს ერთი მხარისათვის (ქრთამის მიმცემისათვის) ისეთ გარემოებას, რომელიც აპრობებს მის განთავისუფლებას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. ხოლო მეორე მხარისათვის (ქრთამის აღებისათვის) მისი ქმედობის დაპატიმრებელ გარემოებას. ამიტომ წინამდებარე ნაშრომის შესამე თავში დადგენილი ქრთამის გამოძალვის ცნების შინაარსი თავის მნიშვნელობას აქაც ინარჩუნებს.

პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდება იმისდა მიუხედავად, თვითონ განაცხადებს გამოძალვეს ფაქტის შესახებ, თუ ეს ფაქტი მისგან დამოუკიდებლად გამოიკვევა. მაგრამ სასამართლოები ზოგჯერ ცდებიან და ქრთამის გამოძალველთან ერთად მსჯავრს დებენ იმ პირსაც, რომლისგანაც ქრთამი გამოძალული იქნა. მაგალითად, რუსურ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიამ მართებულად აღიარა ქრთამის გამოძალვის ნიშნები პ-ეს, ი-სა და ბ-ს მოქმედებაში, რომელნიც სამუშაოდ მისაღებ პირებს სთხოვდნენ გარკვეულ თანხას, რათა გაზიანი წყლის გასაყიდად ადგილი და ურეკა მიეჩინათ. ამავე დროს კოლეგიამ ქრთამის მიმცემთა მიმართ არ გამოიყენა რუსურ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის შენიშვნის „ა“ პუნქტი იმ საფუძველით, რომ ისინი თანამდებობის პირებს მატერიალური გამორჩენის მოპოვების მიზნით აჯილდოებდნენ.

ღარ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია არ დაეთანხმა რუსურ უმაღლესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის განჩინებას. მისი აზრით არ შეიძლებოდა ნებისმიერად შეზღუდულიყო რუსურ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის შენიშვნის მოქმედება ისეთი პირობით, რომელსაც კანონი არ ითვალისწინებს. ამასთანავე მსჯავრდებულნი კანონიერი გამოჩინებისაკენ ძწწრათვლდნენ; ისინი სამუშაოს ეძებდნენ და უნდოდათ უზრუნველყოთ თავისთვის სრულიად მართლზომიერი ხელფასი, თანამდებობის პირები კი ამას უქრთამოდ არ ანებებდნენ. ამგვარ გარემოებაში რუსურ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის შენიშვნის „ა“ პუნქტის თანახმად ქრთამის მიმცემნი უნდა განთავისუფლებულიყვნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან<sup>1</sup>.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლო, მიუხედავად იმისა, რომ გამოძალვის ფაქტი დადგენილია, მაინც ნებისმიერად აკვალიფიცირებს ქრთამის ამღების მოქმედებას როგორც უბრალო ქრთამის აღებას, რის შედეგადაც პასუხისმგებებაში აძლევს იმასაც, ვისგანაც ქრთამი გამოძალულ იქნა.

<sup>1</sup> იხ. «Советская юстиция», 1938, № 20—21, გვ. 87—88.

ქალაქ ვლადიმირის ცენტრალური რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ, თუმცა სასამართლოს სხდომაზე სრულიად დადასტურდა, რომ ლ-ი ნამდვილად დამნაშავე იყო მოქალაქე უ-სგან ქრთამის გამოძალვაში, მაინც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე შეეცალა ლ-ს მოქმედების კვალიფიკაცია რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ლ-ს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით, ხოლო უ-ს — სამი წლით.

„ამრიგად, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში, — საქმის პერსპექტივის გაყალბების გამო უმსჯავრდებული აღმოჩნდა და თანაც მას ორჯერ უფრო მკაცრი სასჯელი დაედო, ვიდრე ლ-ს, რომელსაც ბრალი ქრთამის გამოძალვაში ედებოდა“<sup>1</sup>.

2. როდესაც კანონი ნებაყოფლობითი განცხადებისათვის ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას აწესებს, მისი მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო ორგანოებს მექრთამეობასთან ბრძოლაში.

მათანადო სახელმწიფო ორგანოების ამოცანაა, მიიღონ კანონიერი ზომები, რათა აღიკვეთოს იმ პირთა საზოგადოებრივად საშიში საქმიანობა, რომელნიც მექრთამეობის გზაზე შემდგარან და გაიწმინდოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატი ასეთი პირებისაგან. მაგრამ ამ ამოცანის შესრულება ყოველთვის უბრალო საქმე როდია. სხვა დანაშაულთაგან განსხვავებით, მექრთამეობა გარემოში არ ტოვებს ისეთ ხილულ კვალს, რაც გააადვილებდა ამ დანაშაულობასთან ბრძოლას. უფრო მეტიც, მექრთამეობის მონაწილენი — ქრთამის მიმცემი, ქრთამის ამღები და შუამავალი, — ყველანი ერთიანი განზრახვით არიან შეკავშირებულნი და ამიტომ ერთნაირად დაინტერესებული არიან, რომ დანაშაულს კვალი დაფარონ, მართლმსაჯულების წინაშე არ წარღვნენ. ამიტომ, რათა ამ

<sup>1</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 8, გვ. 33.

მნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანის განხორციელება გაადვილდეს, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატი განთავისუფლდეს იმათგან, ვისაც სწადია სამსახური. „გამორჩენის წყაროდ“ გაიხადოს, კანონი. ცდილობს მექრთამეობის მონაწილეთა დანაშაულებრივი ერთობა შეარყიოს და ქრთამის მიმცემს პირდება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუ იგი თავისი ნებით განაცხადებს მომხდარ ამბავს და ამით ჩადენილი მექრთამეობის სააშკარაოზე გამოტანას დაეხმარება (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის შესამე ნაწილი). ამრიგად, ქრთამის მიმცემს შესაძლებლობა ეძლევა გულწრფელი მონანიებით გამოისყიდოს თავისი ბრალი და თავი იხსნას პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას ჩადენილი დანაშაულისათვის მოელის.

ამ შედეგათს კანონი მხოლოდ ქრთამის მიმცემს აძლევს. ამიტომ ქრთამის აქლები თანაშეღებობის პირი და აგრეთვე შეუძვეალი არ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუნდაც მათ ქრთამის აღებისთანავე და საკუთარი ნებით განაცხადონ თავისი დანაშაული. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1949 წლის 18 აპრილის დადგენილებაში ლ-ს საქმის გამო არ დაეთანხმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელმაც ლ. გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან იმ საბუთით, რომ მან შეატყობინა ქარხნის დირექტორსა და პარტორგს, თანაშეღებობრივი სამსახურის გაწევისათვის ბ-სგან „საჩუქრად“ ძვირფასი ხალიჩის მიღების შესახებ<sup>1</sup>.

სასამართლოს შეუძლია ანგარიში გაუწიოს ქრთამის ამლების ამგვარ განცხადებას და სასჯელის განსაზღვრის დროს გამოიყენოს იგი შემამსუბუქებელ გარემოებად.

რსფსრ 1926 წ., უზბეკეთის სსრ 1926 წ., ტაჯიკეთის სსრ 1935 წ., სომხეთის სსრ 1927 წ. და თურქმენეთის სსრ 1927 წ. სისხლის სამართლის კოდექსები ქრთამის მიმცემზე ხსენებულ შედეგათს მხოლოდ მაშინ აქრცელებდნენ. უკეთუ იგი ქრთამის მიცემის შემდეგ დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით განაცხა-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 5, 33-33.

დებდა ამის შესახებ. ამრიგად, ამ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ქრთამის მიმცემ-ს აისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის საჭიროდ თვლიდნენ, რომ პირს განცხადება ქრთამია მიცემის შესახებ დაუყოვნებლივ გაეკეთებინა. სიტყვა „დაუყოვნებლივ“ იმდენად განუსაზღვრელი და ბუნდოვანი იყო, რომ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს შეტად უძნელდებოდათ ამ მოპენტის სწორად დასახვა. თუ მაგალითად, ქრთამის მიმცემი ყოყმანობდა და, ამის გამო, ჩაღვნილი დაწაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმის აღქერამდე დაგვიანებით განაცხადებდა, მაშინ იგი არ უნდა განთავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან. ცხადია, ჩამოთვლილი კოდექსების ასეთი პოზიცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლის ნამდვილ მიზანდასახულობას.

გაცილებით უფრო მკაცრ მოთხოვნას აყენებდნენ უკრაინის სსრ 1927 წ. და საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსები. კერძოდ, საქართველოს სსრ 1928 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლის მეორე ნაწილს ძალით ქრთამის მიმცემი რომ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებინათ, საჭირო იყო მას თავისი ნებაყოფლობითი და დროული განცხადებით ხელი შეეწყო მექრთამეობის შესახებ საქმის გახსნისათვის.

ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხის ასეთი გადაწყვეტა მართებულად არ იყო ცნობილი. მაგალითად, პროფ. ვ. მენშაგინის შეხედულებით, ამ კოდექსების მიხედვით პასუხისმგებლობისაგან არ განთავისუფლდებოდა ის პირი, რომელიც ქრთამის მიცემის შესახებ დროულად და ნებაყოფლობით განაცხადებდა, მაგრამ ფაქტიურად ხელს ვერ შეუწყობდა მექრთამეობის საქმის გამოაშკარავებას. რამდენადაც ეს დანაშაული უკვე ცნობილი იყო საგამომძიებლო ორგანოებისათვის<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. А. А. Пионтковский, В. Д. Меньшагин, В. М. Чхиквадзе. Курс советского уголовного права. Особенная часть, т. 2, М., Госюриздат, გვ. 173—174.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1962 წ. 20 თებერვლის ბრძანებულების „მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემამდე საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის მესამე ნაწილი ქრთამის მიმცემის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის საჭიროდ ცნობდა ნებაყოფლობით განცხადებას მექრთამეობისათვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე<sup>1</sup>. კანონის ასეთი მოთხოვნის შედეგად პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ შეიძლებოდა იმ, მართალია, მეტად იშვიათ შემთხვევაში, როდესაც მექრთამეობისათვის საქმე აღიძრა, მაგრამ ეს ქრთამის მიმცემისათვის ცნობილი არ იყო და ამ გარემოებისაგან დამოუკიდებლად იგი საკუთარი ნებით აცხადებდა ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ამჟამად აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის მესამე ნაწილი ასეთ პირობას აღარ შეიცავს. არ შეიცავს იმასაც, რომ განცხადება დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაუყოვნებლივ იქნას გაკეთებული, არც იმას, რომ ამ განცხადებამ ხელი შეუწყოს მექრთამეობის გამოვლენებას და ა. შ. აუცილებელია მხოლოდ, რომ პირმა საკუთარი ნებით განაცხადოს ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

ქრთამის მიმცემის ნებაყოფლობითი განცხადება ჩვეულებრივად წინ უნდა უსწრებდეს საქმის აღძვრას მექრთამეობის თაობაზე, რამდენადაც მეტწილად ეს წარმოადგენს იმის დამაჯერებელ საბუთს, რომ განცხადება ნებაყოფლობითი იყო. პირიქით, თუ იგი სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გამო ან საგამომძიებლო თუ სხვა საბჭოთა ორგანოში გამოძახების, ან დაკითხვის შედეგად აღიარებს ქრთამის მიცემას, ეს იმის მარეზუმული იქნება, რომ განცხადება არ იყო ნებაყოფლობითი გაკეთებული.

<sup>1</sup> უზბეკეთის სსრ 1959 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის ასეთ პირობად დასახელებული იყო დაუყოვნებლივ ნებაყოფლობითი განცხადების გაკეთება.



1961 წ. იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტროს სად. ვიტებსკის სახაზო განყოფილების მუშაკებმა მ-მ და გ-მ შეიტყვეს, რომ სამშენებლო-სამონტაჟო განყოფილებებს საქოაემ-მცოდნემ შ-მ რომელიღაც უფროს მწონავს მისცა ქრთამი ბუნკერის მოცდენის დაფარვისათვის. შემოწმებით გამოიკვია. რომ ნ-ს ქრთამი აულია. შ. გამოიძახეს პილიციაში, სადაც მან 1961 წ. 9 თებერვალს დაწერა განცხადება ქრთამის მიცემის თაობაზე და იგი იქვე დაკითხეს. ქ. ვიტებსკის პროკურატურის გამომძიებლის 1961 წ. 27 მარტის დადგენილებით შ-ს მიმართ აღძრული საქმე მოისპო იმ მოტივით, რომ მან ქრთამის მიცემის შესახებ საქმის აღძვრამდე განაცხადა.

ცხადია, პროკურატურამ უსაფუძვლოდ მოსპო საქმე შ-ს მიმართ, რადგან მან შეტყობინება გააკეთა არა საკუთარი ინციტივით, არა საკუთარი ნებით, არამედ იმიტომ, რომ იგი მილიციის განყოფილებაში გამოიძახეს სწორედ იმ დანაშაულის თაობაზე, რომელიც მას ჰქონდა ჩადენილი.

განცხადება ნებაყოფლობითი იქნება, თუ ქრთამის მიმცემზე გავლენას მოახდენს მისი მახლობლის, ნათესავის, მეგობრის ან საერთოდ სხვა პირის რჩევა — განაცხადოს მექრთამეობის შესახებ. მაგრამ თუ ახლობელი ან სხვა პირი ქრთამის მიმცემს წინადადებას აძლევს განაცხადოს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონვე დაუყოვნებლივ შეატყობინებს ხელისუფლებას, და ასეთი მუქარის გამო იგი აკეთებს განცხადებას, მაშინ აღნიშნული შელავათი მასზე არ უნდა გაერყელდეს. მოცემულ შემთხვევაში ნებლობაზე მიმართული ზეგავლენა იმდენად ძლიერია, რომ პირს უსპობს არჩევანის თავისუფლებას. ამიტომ მის მიერ გაკეთებული განცხადება იქნება არა ნებაყოფლობითი, არამედ ნაძალადევი<sup>1</sup>. რა მოტივით განაცხადებს ქრთამის მიმცემი ჩადენილი

---

<sup>1</sup> პროფ. ვ. შენწაგინის და ნ. კუჩერიავის შეხედულებით ქრთამის მიმცემი ასეთ შემთხვევაში უნდა განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან (იხ. Курс советского уголовного права Особенная часть, т. 2, გვ. 176; Н. П. Кучерявын, დასახ. ნაშრომი, გვ. 178).

მექრთამეობის შესახებ, სულ ერთია. მაგალითად, განცხადებას მნიშვნელობა ექნება როგორც მაშინ, როდესაც იგი დანაშაულის გილწრფელი მონანიებითაა გამოწვეული და მიზნად აქვს მექრთაძეობასთან ბრძოლას ხელი შეუწყოს, ისე მაშინაც, როდესაც განმცხადებელს ამოქმედებს პასუხისმგებლობის შიში თუ სურვილი სამაგიერო მიუზღოს ქრთამის ამლებს, რომელმაც აღთქმული სამსახურებრივი მოქმედება არ შეასრულა და ა. შ.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ არ ანთავისუფლებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ისეთ პირს, რომელიც ქრთამის მიცემის შესახებ მხოლოდ იმ მოტივით განაცხადებს, რომ ქრთამის ამლებმა შეპირებული სამსახურებრივი მოქმედება არ შეასრულა.

მაღაზიის გამგემ ვ-მ ქრთამის სახით 1 500 მანეთი (ახალი ფულით) მისცა რაიონული სამომხმარებლო კავშირის სოფლის სამომხმარებლო საზოგადოების უფროს ბუხჩალტერს ე-ს. რათა ამ უკანასკნელს მისთვის საქონლის მიმოქცევა გაედოღებინა და თან საქონლის ტრანსპორტირებისათვის გაწეული ხარჯებიდან ფულის დიდი თანხა ჩამოეწერა.

1951 წ. 28 მარტის დადგენილებით ჯამბულის ოლქის მერკენსკის რაიონის პროკურორის თანაშემწემ ვ-ს მიმართ საქმე არ აღძრა. ამის მოტივად დადგენილებაში მითითებული იყო, რომ ვ-მ ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობით განაცხადა მილიციის ორგანოებში და ამასთან დათვარა ამ მიზნით სოფლის მაღაზიის სალაროდან აღებული ფული.

ჯამბულის ოლქის მერკენსკის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელიც ქრთამის აღებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის ე-ს საქმეს იხილადა. 1952 წ. 20 აპრილს გამოიტანა კერძო დადგენილება ვ-ს მიმართ ყაზახეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის (ქრთამის მიცემა) მიხედვით სისხლის სამართლის დევნის აღძვრის შესახებ. ასეთ დადგენილებას სასამართლომ ის დაუდო საფუძვლად, რომ ქრთამის ამლების მიერ ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის სამსახურებრივი მოქმედების შეუსრულებლობის გამო ქრთამის მიცემის შესახებ გაკეთებუ-

ლი განცხადება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც ნება-ყოფლობითი განცხადება და ამიტომ არ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას.

სასამართლომ აღნიშნულ დადგენილებაში შეზღუდულად განმარტა კანონით ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობისათვის დაწესებული შეღავათი. კანონი არაფერს ამბობს, თუ რა მოტივი უნდა ამოძრავებდეს ქრთამის მიმცემს, რომ იგი ნებაყოფლობითი განცხადებისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლდეს. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელს მხოლოდ ის აინტერესებს, რომ ნებაყოფლობით გაკეთებულმა განცხადებამ გამოავლინოს მექრთამეობის ფაქტი, რაც მოტანილ მაგალითში კიდევ განხორციელდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლინომ-ს 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში მითითებულია, რომ მოტივებისაგან დამოუკიდებელი ნებაყოფლობით გაკეთებული განთავისუფლებს ქრთამის მიმცემს პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ თუ ასეთ განცხადებას ქრთამის მიმცემი იმის გამო აკეთებს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა შეიტყვეს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, მაშინ მასზე ეს შეღავათი არ გავრცელდება<sup>1</sup>.

დამნაშავეთა გულწრფელი ჩვენება, რომელსაც ისინი წინასწარი გამოძიების ორგანოებში თუ სასამართლო სხდომაზე მისცემენ და რომელიც ხელს შეუწყობს მექრთამეობის საქმის გამოაშკარებას, თუმცა არ წარმოადგენს საფუძველს პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებისათვის, მაგრამ სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში სასჯელის განსაზღვრის დროს.

კანონში აღნიშნული არ არის, თუ ვის უნდა განეცხადოს ჩადენილი მექრთამეობის შესახებ. პლენუმის აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ქრთამის მიმცემმა სათანადო ზეპირი ან წერილობითი განცხადებით შეიძლება მიმართოს მილიციას, პროკურატურას, აგრეთვე სხვა საბჭოთა ორგანოებს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 12.

ამრიგად, ქრთამის მიმცემმა განცხადებით შეიძლება მიმართოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანოს. ამის გამო ქრთამის მიცემის ფაქტის გამჟღავნება თანამოსამსახურის, ამხანაგის ან სხვა მახლობელთათვის არ ჩაითვლება გარემოებად, რომელიც პირს პასუხისმგებლობისაგან გაანთავისუფლებს.

ქრთამის გამოძალვისა და ნებაყოფლობითი გააცხადების შემთხვევებში ქრთამის მიმცემის გათავისუფლება სისხლის სანართლის პასუხისმგებლობისაგან ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ასეთ შემთხვევაში მას უფლება ეძლევა უკანვე მოითხოვოს ქრთამად გადაცემული ფული ან სხვა ფასეულობა?

3. აღნიშნული საკითხი მოუწესრიგებელი დატოვა ამჟამად ძალადაქარგულმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წ. 24 ივნისის დადგენილებამ „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“. აქ ჩამოყალიბებული დებულება ქრთამად გადაცემული ფულისა და სხვა ფასეულობის სპეციალური კონფისკაციის შესახებ ვრცელდებოდა მხოლოდ მსჯავრდებულ ქრთამის მიმცემზე<sup>1</sup>. არსებითად ამით იყო შეპირობებული ის გარემოება, რომ პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოების პრაქტიკა ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

საპროკურორო-საგამომძიებლო ორგანოს ზოგიერთი მუშაკი, როდესაც ქრთამის გამოძალვისა ან ნებაყოფლობითი განცხადების გამო სპობს საქმეს, ან უარს ამბობს საქმის აღძვრაზე ქრთამის მიმცემის მიმართ, — განიხილავს ქრთამის მიმცემს როგორც დაზარალებულ მხარეს და სანოქალაქო მოსარჩლეს, თანაც განუმარტავს მას იმ უფლებებს, რომელიც ასეთ მხარეს აქვს მინიჭებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლებით. სასამართლო პრაქტიკაც ზოგჯერ მართებულად თვლის ქრთამის მიმცემის ასეთი პროცესუალური მდგომარეობის აღიარებას, რის გამოც საქმის გარჩევისას აკმაყოფილებს ქრთამის მიმცემის სარჩელს ქრთამად გადაცემული ფულის ან სხვა ფასეულობის დაბრუნების თაო-

<sup>1</sup> იხ. «Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1951 гг.», Госюриздат, 1952. გვ. 28.

ბაზე. მაგალითად, ქ. აშხაბადის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების მუშებმა: მეღუმელე ბ-მ, ღურგალმა ფ-მ და კალატოზმა ა-მ მათთვის უფრო მეტად ასანაზღაურებელი სამუშაოს მიცემისა და ცალკეულ შემთხვევებში მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობის გაზრდისათვის მისცეს ქრთამი ამ საზოგადოების ინჟინერს გ-ს. ქ. აშხაბადის პროკურატურის გამომძიებელმა 1961 წ. 15 მაისის დადგენილებით საქმე ქრთამის მიმცემთა მიმართ წარმოებით მოსპო იმ მოტივით, რომ ა.-მ. საგამომძიებლო ორგანოებს შეატყობინა ქრთამის მიცემის შესახებ, ხოლო ბ-მ და ფ-მ ხელი შეუწყო ან საქმის თაობაზე ქვემარტების დადგენას. შემდეგ გამომძიებელმა 1961 წ. 20 მაისის დადგენილებით ყველა ქრთამის მიმცემი დაზარალებულად ჩათვალა, თანაც განუმარტა მათ ის უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 24-ე მუხლში. გამომძიებელმა ქრთამის მიმცემთაგან მიიღო სასარჩელო განცხადება გ-საგან ფულის გადახდევინების შესახებ.

1962 წ. 16 ივნისს ქ. აშხაბადის ერთ-ერთი რაიონის სახალხო სასამართლომ ქრთამის ამლების გ-ს საქმის განხილვისას ქრთამის მიმცემები ბ., ფ. და ა. დაკითხა, როგორც დაზარალებულები და განიხილა მათივე სარჩელი გ-ს მიმართ. სასამართლომ გ-ს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, ქონების კონფისკაცია და, ამასთან, დაადგინა, რომ მსჯავრდებულს გადაეხადა ბ-ს სასარგებლოდ 25 მანეთი, ფ-ს სასარგებლოდ — 75 მანეთი, ხოლო ა-ს სასარგებლოდ — 10 მანეთი.

სხვა სასამართლოები ასეთ შემთხვევაში ქრთამის მიმცემს არ უბრუნებენ ქრთამად გაცემულ ფულს ან სხვა ფასეულობას, არამედ მას სახელმწიფოს შემოსავალში რიცხავენ.

სასამართლო პრაქტიკის ანეთი მერყეობის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში საჭიროდ ჩათვალა განემარტა: „ქრთამის გამოძალვის ან ნებაყოფლობითი განცხადების გამო ქრთამის მიმცემის განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან არ ნიშნავს ამ პირის მოქმედებაში დანაშაუ-

ლის ნიშნების (ხაზი ჩვენია — ვ. შ., გ. ტ.) არარსებობას. ამიტომ ქრთამის მიმცემი არ ჩაითვლება დაზარალებულად და მას უფლება არა აქვს ქრთამად გადაცემული ფასეულობა უკან მოითხოვოს<sup>1</sup>. მაშასადამე, მექრთამეობის სხვა შემთხვევების მსგავსად, აქაც ფული და სხვა ფასეულობა, რომელიც ქრთამის საგანს წარმოადგენდა და ნევთიერ დამამტყიცებელ საბუთად იქნა ცნობილი, ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში. გარდა ამისა, თუ ქრთამად გადაცემული ფული ან სხვა ფასეულობა გამოვლინებული არ იქნება, მაშინ ასეთი, როგორც უსაფუძვლო გამდარება, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 402-ე მუხლის ძალით გადახდევინებული უნდა იქნას სახელმწიფოს სასარგებლოდ.

რა წარმოადგენს პლენუმის ასეთი მოსაზრების საფუძველს?

გამოძალვის შედეგად ქრთამის გადაცემა თანამდებობის პირისათვის არ არის სავსებით მოკლებული საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს.

მართალია, ასეთ პირობებში ქრთამის მიმცემი თანამდებობის პირის ძლიერ ზეგავლენას განიცდის, მაგრამ მისი ნებისყოფა არ არის მთლიანად პარალიზებული. მას აქვს ერთგვარი არჩევანის შესაძლებლობა. მას მაინც რჩება შესაძლებლობა თავისი კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად მიმართოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს, იმავე ან სხვა ორგანოს სათანადო თანამდებობის პირს, მოკლედ რომ ვთქვათ, მას თავისი კანონიერი ინტერესები შეუძლია დაიცვას ისე, რომ ქრთამის გამომძალველი თანამდებობის პირის ზეგავლენის ქვეშ არ მოექცეს. სწორედ იმის გამო, რომ მან ქრთამის ამღების ფსიქიკური ზეგავლენა განიცადა, იგი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ვინაიდან ასეთი ზეგავლენა არ იყო იმდენად ინტენსიური, რომ უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა შეექმნა, ამიტომ მოქმედება დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს.

ამავე თვალსაზრისით უნდა შეფასდეს იმ ქრთამის მიმცე-

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 12.

მის მოქმედება, რომელმაც ნებაყოფლობით განაცხადა მექრათამეობის ფაქტის შესახებ. კანონმდებელი გარკვეული მოსაზრებების გამო, რომლებზედაც ზემოთ იყო მითითებული, ასეთ პირს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. მაგრამ ამასთან ქრთამის მიცემის შესახებ სათანადო სახელმწიფო ორგანოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ნებაყოფლობითი განცხადების ფაქტი არ გამოორიციხავს უკვე განხორციელებული ქრთამის მიცემის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს. იგი ამ პირობებშიც ისევე ინარჩუნებს აღნიშნულ თავისებავს და შეუძლებელია თავისი მნიშვნელობით გავუთანაბროთ ქმედობას, რომელიც აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის და ა. შ. მდგომარეობაში იქნება ჩადენილი. თუ უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში, არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშს და არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ქრთამის მიმცემის მოქმედება, თუ მან ნებაყოფლობით განაცხადა მექრთამეობის შესახებ, საზოგადოებრივად საშიშ და დანაშაულებრივ ქმედობად რჩება და პირი, ზუსტად რომ ვთქვათ, მხოლოდ სასჯელისაგან თავისუფლდება.

აღნიშნული მოსაზრებების გამო არალოგიკური და მიზანშეწონილი იქნებოდა სხვადასხვანაირად გადაგვეწყვიტა ქრთამად გადაცემული ფასეულობის საკითხი მაშინ, როდესაც ქრთამის მიმცემი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით და მაშინ, როდესაც იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. )

## § 8. ქრთამის პროვოკაცია

სისხლის სამართალში ცალკე კატეგორიად არის გამოყოფილი ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი პირი მეორე პირს დაიყოლიებს დანაშაულის ჩადენისათვის იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს უკანასკნელი მხილებულ იქნას როგორც დამნაშავე.

ასეთი პროვოკაციული საქმიანობა შეიძლება გამიზნული იყოს ყოველი დანაშაულის ჩადენისთვის და, კერძოდ, ქრთამის მიცემის ან ქრთამის აღების დაყოფისათვის. საბჭოთა სისხლის სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საკითხი ქრთამის პროვოკაციის კვალიფიკაციის შესახებ წესრიგდებოდა სხვადასხვანაირად. რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსიდან მოყოლებული მოკავშირე რესპუბლიკების ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსების მიღებამდე ქრთამის პროვოკაცია გათვალისწინებული იყო თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ცალკე დანაშაულის შემადგენლობის სახით. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ამ დანაშაულის შემადგენლობას არსებითად ერთნაირად განსაზღვრავდნენ. ქრთამის პროვოკაციად ითვლებოდა თანამდებობის პირის მიერ განზრახ, მექრთამეობის მხილების მიზნით ისეთი მდგომარეობისა და პირობების შექმნა, რაც ქრთამის შეძლევას ან მიღებას გამოიწვევს.

ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობის ასეთი განსაზღვრების თავისებურება ის იყო, რომ ამ დანაშაულის სუბიექტად მხოლოდ თანამდებობის პირი ითვლებოდა. ამრიგად, კერძო პირი ქრთამის პროვოკაციისათვის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულიყო. ამ შემადგენლობის სხვა თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ ქრთამის პროვოკაციის დამთავრებულად ცნობისათვის საჭირო არ იყო, რათა იმ პირს, ვისაც პროვოკაცია მოუწყვეს, ნამდვილად აედო ან მიეცა ქრთამი. დანაშაული დამთავრებულად ითვლებოდა ისეთი ვითარების თუ პირობების შექმნის მომენტიდან, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა პროვოკატორს განეხორციელებინა ქრთამის მიმცემის ან ქრთამის მიღების მხილების მიზანი.

მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სისხლის სამართლის კოდექსები იღარ ითვალისწინებენ ქრთამის პროვოკაციას დამოუკიდებელ დანაშაულად. მხოლოდ უკრაინის სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობამ კვლავ შეინარჩუნა ცალკე შემადგენლობის სახით ქრთამის პროვოკაცია (იხ. უკ-



რაინის სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლი). სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსების მსგავსად, საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსიც არ ითვალისწინებს პირდაპირ ქრთამის პროვოკაციის შეზღვევლობას. მაგრამ ეს იმას ხოუ არ ნიშნავს, რომ ქრთამის პროვოკაცია აღარ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი წესით დასასჯელ მოქმედებას? რასაკვირველია, არა!

საბჭოთა სამართალი და სოციალისტური ზნეობა ქრთამის პროვოკაციას საზოგადოებრივად საშიშ ქმედებად თვლის. ბრალეული პირი, ნაცვლად იმისა, რომ კანონიერი და, ამასთან, მორალურად გამართლებული საშუალებით ებრძოლოს ნამდვილად მომხდარ მექრთამეობას, ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის პროვოკაციით თვითონ ხელოვნურად ქმნის ნიადაგს მექრთამეობის ახალი დანაშაულის ჩადენისათვის, რათა ამით დანაშაულებრივ გზაზე დამდგარი პირი ამხილოს. საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის „გაწმენდის“ ასეთი მეთოდი გაუმართლებელია. იგი ამ აპარატის განმტკიცებას კი არ უწყობს ხელს, არამედ მისი საფუძვლების შერყევას საშიშროებას ქმნის და თან არაჯანსაღ ეტმოსფეროს წარმოშობს.

ამიტომ უდავოა, რომ, პირი, რომელიც ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის პროვოკაციას აწყობს, სისხლისსამართლებრივი წესით უნდა დაისაჯოს. ვინაიდან საქართველოს სსრ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ქრთამის პროვოკაციისათვის სპეციალურად გათვალისწინებული არ არის შესაფერისი ნორმა, ამიტომ ასეთი პროვოკაცია გამოიწვევს პასუხისმგებლობას საერთო საფუძვლების მიხედვით. აღნიშნულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას ის წესები, რომლებითაც საერთოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ პირის საქმიანობის შეფასებისას, რომელიც რაიმე დანაშაულში ჩააბამს სხვა პირს, რათა ეს უკანასკნელი ამხილოს როგორც დამნაშავე.

საბჭოთა სისხლის სამართალი მუდამ უარყოფითად ეკიდებოდა ასეთ პროვოკაციულ საქმიანობას. პროვოკაცია ყოველთვის განიხილებოდა როგორც წამქეზებლობის განაყოფიერე-

ბული სახე, რამდენადაც დამნაშავე მოქმედებს იმ პირის დანაშაულში მხილებისათვის, რომელსაც პროვოკაცია მოუწყევს. ცხადია, ასეთი მიზანი ერთგვარ სპეციფიკურ ელფერს აძლევს მთელ ქმედობას, მაგრამ პრინციპში არ ცვლის მის ბუნებას. წამქეზებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს მიზანს, რომელსაც პირი ისახავს ანდა მოტივს, რომლითაც იგი მოქმედებს. ყოველგვარი დაყოლიება დანაშაულის ჩადენისათვის განხილული უნდა იქნას წამქეზებლობად დამოუკიდებლად იმისა, ბრალეული პირად მიზნებს ისახავდა, თუ ყალბად გაგებულა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესით ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, ყოველგვარი დაყოლიება დანაშაულის ჩადენისათვის შემდგომში იმ პირის მხილების მიზნით, რომელსაც პროვოკაცია მოუწყევს, განხილება წამქეზებლობად და გამოიწვევს პასუხისმგებლობას თანამონაწილეობის წესების მიხედვით. ამ თვალსაზრისისაა როგორც საბჭოთა მეცნიერ-კრიმინალისტთა უმრავლესობა<sup>1</sup>, ისე სასამართლო პრაქტიკა.

გ. მუშაობდა დარაჯად კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის ყანიდან ხშირი იყო შემთხვევები სიმინდის მოპარვისა. გ-ს ექვი ჰქონდა განსაზღვრულ პირებზე. მაგრამ ვერ წაასწრო მათ დანაშაულის ჩადენის ადგილას. მაშინ, დამნაშავეთა მხილების მიზნით, მან წინადადება მისცა ექვემდებარებულ პირებს მოეპარათ სიმინდი, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელებმა გ-ს თანდასწრებით მართლაც მოიპარეს სიმინდი კოლმეურნეობის ყანიდან, გ-ემ ქურდები დააკავა და საგამომძიებლო ორგანოებს გადასცა. სასამართლომ გ-ეს მოქმედება დააკვალიფიციერა, როგორც ყალბი დასმენა ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნით. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუთითა ამ კვალიფიკაციის არასისწორეზე. „როდესაც სასამართლომ

<sup>1</sup> იხ. მაგალითად А. Н. Трайнин, Учение о соучастии, М., Юридиздат НКЮ, 1941, გვ. 103; П. И. Гришасьев, Т. А. Кригер, Соучастие по уголовному праву, М., Госюриздат, 1959, გვ. 148—149; «Советское уголовное право. Часть общая», Л., Изд-во ЛГУ, 1960, გვ. 416—417.

გ-ეს მოქმედება დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 92 მუხლის მეორე ნაწილით, — ნათქვამია კოლეგიის განჩინებაში, — მან მხედველობიდან გაუშვა, რომ დანაშაულის პროვოკაციასა და ბრალდების მტკიცებულებათა ხელოვნურად შექმნით ყალბ დასმენას შორის... არსებითი განახევებაა. მათ შორის მხოლოდ ის არის საერთო, რომ ორივე შემთხვევაში პირის მიზანია ამხილოს მეორე პირი დანაშაულის ჩადენაში. მაგრამ ყალბი დასმენის დროს პირი მიზნად ისახავს ამხილოს სხვა პირი დანაშაულში, რომელიც მას სინამდვილეში არ ჩაუდენია, რასაც აღწევს იმით, რომ ხელისუფლების სათანადო ორგანოებს ატყობინებს, თითქოს ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედობანი, რომლებიც სინამდვილეში ჩადენილი არ ყოფილა. ხოლო დანაშაულის პროვოკაციის დროს მიზანია პირის მხილება დანაშაულში, რომელიც ნამდვილად იყო ჩადენილი და ეს მიზანი მიიღწევა პირის წაქეზებით ამ დანაშაულის ჩადენისაკენ<sup>1</sup> !.

თვით სასამართლო კოლეგია საცსებით მართებულად მიუთითებს, რომ პროვოკატორის მოქმედება კვალიფიციარებულ უნდა იქნეს როგორც იმ დანაშაულის წაქეზება, რომლისკენაც მოუწოდებდა პროვოკატორი, აღნიშნავს რა პროვოკატორის საქმიანობის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მისი დასჯადობის აუცილებლობას, სასამართლო კოლეგია იძლევა ამ დასჯადობის შეტად საფუძვლიან დასაბუთებას: „უნდა აღინიშნოს, რომ როგორც არ უნდა იყოს მოტივი, რითაც ხელმძღვანელობდა პირი, როდესაც მან დანაშაულის პროვოკაციას მიმართა, მისი ქმედობა დასასჯელია სისხლის სამართლის წესით, ვინაიდან მხილების ის საშუალება, რომელიც გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებაში, საზოგადოებრივად საშიშია და ამიტომ უნდა იწვევდეს იმ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინც მას მიმართა. ამის შესაბამისად პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისათ-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1946, вып. VI, 83. 13.

ვის უნდა განისაზღვროს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის წესების მიხედვით" <sup>1</sup>.

ამგვარად. უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის განჩინებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ პროვოკაცია განსხვავდება წაქეზების სხვა სახეებისაგან მხოლოდ მოტივის განსაკუთრებული ხასიათით, მაგრამ მოტივის თავისებურება ვერ გაათავისუფლებს სუბიექტს პასუხისმგებლობისაგან, თუ მან თავისი მიზნის განსახორციელებლად საზოგადოებრივად საშიშ საშუალებას მიმართა.

თუ სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში აღიარებულ ზოგად დებულებებს ქრთამის პროვოკაციაზეც გავავრცელებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ პირი, რომელიც მეორე პირს მექრთამეობისათვის დაიყოლიებს იმ მიზნით, რათა ეს უკანასკნელი დამნაშავედ ამხილოს, პასუხს აგებს იმისდა მიხედვით, თუ რისთვის იყოლიებდა მას — ქრთამის აღებისათვის თუ ქრთამის მიცემისათვის. წამქეზებელი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის პირი, ისე კერძო პირი. ქრთამის პროვოკატორი თანამდებობის პირი იყოლიებს ვინმეს, ქრთამი მისცეს თვითონ მას თუ სხვა თანამდებობის პირს ან ითანხმებს სხვა თანამდებობის პირს, აიღოს ქრთამი. ისედაც ხდება, რომ პროვოკაციის მომწყობი აგულიანებს ერთსა და იმავე დროს: მოქალაქეს, რომ მან მისცეს ქრთამი, ხოლო თანამდებობის პირს, გამოართვას იგი.

ქრთამის პროვოკაცია გულისხმობს, რომ ამ დანაშაულის თაოსანი ყოველთვის ის არის, ვინც ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის პროვოკაციას აწყობს. ამიტომ, თუ თანამდებობის პირი, რომელსაც ქრთამი შეუთავაზეს, დათანხმდა აეღო იგი, რათა დამნაშავე ემხილებინა, და მომხდარი ამბავი საგამომძიებლო ორგანოებს განუცხადა, მის მოქმედებაში არ იქნება ქრთამის პროვოკაციის ნიშნები, რადგან დანაშაულის ჩადენის ინიციატორი სხვა პირი იყო. მსგავსად ამისა, ქრთამის აღების პროვოკაციად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამდებობის პირი თვითონვე მოითხოვს მისცენ მას ქრთამი და

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1946, вып. VI, стр. 13.

კერძო პირი მექრთამის გამოვლინების მიზნით თანხმდება ამ წინადადებაზე.

ქრთამის პროვოკაციის დროს დანაშაულებრივი ქმედობა, ისე როგორც წამქეზებლობის ყველა სხვა შემთხვევა, შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიხატოს. კერძოდ, პირდაპირი დაყოლიებით ქრთამის აღებასა ან ქრთამის მიცემაში, ჩაგონებით, რჩევით, მუქარით, და ა. შ. გარდა ამისა, ასეთი დანაშაული შეიძლება უფრო შენიღბული ფორმითაც გამოიხატოს. მაგალითად, გადაკრული სიტყვით, ეესტით, ისეთი ვითარების შექმნით, რომელიც მეორე პირს უბიძგებს ქრთამის მიცემას ან ქრთამის აღებას.

სუბიექტური მხრით პირი უნდა ითვალისწინებდეს, რომ მეორე პირს ქრთამის მიცემაზე თუ აღებაზე იყოლიებს და სურს კიდევ დაიყოლიოს, რათა მერე ამხილოს ის პირი, რომელიც დანაშაულის პროვოკაციას დაჰყვება.

ქრთამის პროვოკაციის მომწყობს შეიძლება სულ სხვადასხვა მოტივი ამოქმედებდეს: შურისგება, თავისთვის ავტორიტეტის შექმნის სურვილი, ფხიზელი მუშაყის სახელის მოპოვება, უფროსისათვის თავის მოწონებას განზრახვა და ა. შ. მას შეიძლება ამოძრავებდეს სამსახურის ყალბად გაგებულის ინტერესები, მაგალითად, სურვილი განდევნოს სახელმწიფო აპარატიდან თანამდებობის პირები, ვისზედაც ეჭვია, რომ ქრთამს იღებენ. ეს გარემოება პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს, მაგრამ სასამართლოს შეუძლია იგი მხედველობაში მიიღოს სასჯელის დანიშვნისას.

თუ ქრთამის პროვოკატორმა ვერ შეძლო მეორე პირის დაყოლიება ვერც ქრთამის აღებასა და ვერც ქრთამის მიცემაზე, მან პასუხი უნდა აგოს „უვარგისი წამქეზებლობისათვის“, ე. ი. დანაშაულის მომზადებისათვის.

დასასრულს, თუ პროვოკატორი თანამდებობის პირი დანაშაულს ჩადის თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მაშინ მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიციკირდეს არა მხოლოდ როგორც ქრთამის მიცემის ან ქრთამის აღების წამქეზებლობა, არამედ, აგრეთვე, როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

თავისთავად ცხადია, რომ არალოგიკური იქნებოდა დაუსჯელი დარჩენილიყო ის პირი, რომელიც პროვოკატორის წაქეზებას აკყვება და ამის შედეგად მექრთამეობას ჩაიდენს. მან პასუხი უნდა აგოს ქრთამის აღების ან ქრთამის მიცემის მცდელობისათვის.

ქრთამის პროვოკაციის დროს არ არსებობს ქრთამის მიცემა-აღებაზე მიმართული ერთიანი განზრახვა. ამიტომ მაშინაც კი, როცა ვინმე, პროვოკაციის შედეგად, სხვას გადასცემს მატერიალურ ფასეულობას იმ აზრით, რომ ეს ქრთამია, მისი მოქმედება დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს კი არ შეიცავს, არამედ — ქრთამის მიცემის მცდელობის ნიშნებს. ამავე გარემოების გამო, თუ თანადებობის პირობა, რომელიც ქრთამის აღების პროვოკაციას აკყვება, მიიღო მატერიალური ფასეულობა, მან პასუხი უნდა აგოს ქრთამის აღების მცდელობისათვის.

ის, ვისაც ქრთამის პროვოკაცია შეაცდენს, თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საქართველოს სსრ სსსხლის სამართლის კოდექსის 190-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, თუ განგებ და ხელოვნურად საპროვოკაციო ვითარება ქრთამის გამოძალვის ელემენტებს შეიცავს ან, თუ ქრთამის მიმცემი დაასწრებს ქრთამის პროვოკაციის მოწყობას და მომხდარ ამბავს საგამომძიებლო ორგანოებს აღრე შეატყობინებს.

**ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის დადგენა.  
საზოგადოებრივობის მონაწილეობა მემკრთამეობასთან  
ბრძოლაში**

1. ყოველი დანაშაულის შემადგენლობა რიგ ფაქტობრივ ნიშნებს შეიცავს, რომელთა არსებობასაც კანონი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უკავშირებს. სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კანონის მართებული გამოყენება გულსხმობს, რომ სასამართლოში დამამტკიცებელი მასალის განხილვის გზით დადგენილი იქნება გარკვეული გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არსებობა-არარსებობის საკითხის გადასაჭრელად და დანაშაულის ჩამდენისათვის ამა თუ იმ სასჯელის დასადებად.

მემკრთამეობის საქმის გამოძიება და, კერძოდ, იმ დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება, რომლებიც ქრთამის მიცემა-აღებას ადგენენ, ერთგვარ სიძნელეებს აწყდება. ეს დაპირობებულია იმ სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც ამ კატეგორიის საქმეებს ახასიათებთ. მოქმედება, რომლითაც ქრთამის მიცემა-აღება ხორციელდება, ჩვეულებრივად გარემოში არ ტოვებს დანაშაულის ჩადენის მკვეთრად გამოხატულ კვალს. მაშინაც კი, როდესაც ასეთი კვალი გარემოში რჩება, ამ დანაშაულთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები ქრთამის ამღები თანამდებობის პირის გამგებლობაში იმყოფება და მას შესაძლებლობა რჩება კრიტიკულ მომენტში მოსპოს ისინი. საჭიროა გავითვალისწინოთ ის მომენტიც, რომ ქრთამის მიმცემიდან ქრთამის ამღების ხელში ფული ან სხვა მატერიალური ფასეულობა

გადადის სწრაფად და, რაც მთავარია, შეუმჩნეველად, ზოგჯერ შენიღბული ფორმითაც. აღნიშნული დანაშაულის ჩადენა მესამე პირთა თანდასწრებით იშვიათად ხდება. დანაშაულის ყველა მონაწილე — ქრთამის მიმცემი, ქრთამის ახლები, შუამავალი — ამჯობინებს სხვების დაუსწრებლად განახორციელოს თავისი განზრახვა. ქრთამის მიცემა-აღებისაკენ მიმართული მოქმედება გარეგნულად არ შეიცავს ისეთ მომენტებს, რომლებიც შეაძლებლობას მოგვცემდა დაგვესვენა, რომ მზადდებოდა დანაშაული. გარდა ამისა, დანაშაულში მონაწილე პირები დაკავშირებულნი არიან ერთიანი განზრახვით და ერთობლივად ისეთ ზომებს იღებენ, რომლებიც მიმართულია ჩადენილი დანაშაულის კვალის მოსპობისაკენ. მექრთამეობის ყველა მონაწილეს მკაცრი სასჯელი ელის და, ამის გამო, ისინი ძალაუვნებურად გამოძიების წინააღმდეგ დაცვის შეთანხმებულ ხაზს იმუშავენ.

დასასრულ, ქრთამის მიცემა-აღებისას მხარეები ხშირად წინასწარ უთანხმდებიან ერთმანეთს იმ საკითხზეც, თუ როგორი უნდა იყოს მათი ტაქტიკური მოქმედება დანაშაულის გახსნისა და გამოძიების დაწყების შემთხვევაში.

საჭიროა ეს თავისებურებები მხედველობაში იქონიოს როგორც სასამართლომ, ისე საგამომძიებლო ორგანომ, რომელსაც მოეთხოვება მექრთამეობის საქმის გამოძიებისას გამოიჩინოს ღიდი ოპერატიულობა და მოსაზრებულობა. „მექრთამეობის შესახებ საქმის თავისებურებათა გამო, — ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 31 ივლისის დადგენილებაში, — სასამართლომ ღიდი მოთხოვნები უნდა წაუყენოს წინასწარი გამოძიების ხარისხს, მიაღწიოს ჩადენილი დანაშაულის სრულ გახსნას, რათა სასამართლოს თითოეული განაჩენი დამყარებული იყოს დასაბუთებულსა და უტყუარ ფაქტებზე, რომლებიც ამომწურავად იქნენ გამოკვლეულნი სასამართლო განხილვის დროს“.

მექრთამეობის საქმეთა განხილვისას დამამტკიცებელი მასალა ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: დამამტკიცებელ საბუთებად, რომლებიც თვით ქრთამის მიცემა-აღების ფაქტს შეეხება, და დამამტკიცებელ საბუთებად, რომელთაც უნდა გამო-



არკვიონ იმ სამსახურებრივი მოქმედების ხასიათი, რომლის შესრულება-შეუსრულებლობასაც ქრთამის გადაცემა უკავშირდება.

ამ ორი კატეგორიის გარემოებათა გამოკვლევა განცალკევებულად კი არ წარმოებს, არამედ ერთდროულად, რადგან ისინი ერთიმეორეს ავსებენ და ამაგრებენ, რითაც შესაძლებლობას იძლევიან წარმოისახოს მომხდარი ამბის ნამდვილი სურათი.

მაგრამ, რალა თქმა უნდა, ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის გარემოებათა გამოკვლევა მთავარია და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკუთვნის. ვინ, როდის, სად, რა გარემოებაში, რა სახით, ვისი შემწეობითა და ა. შ. მისცა თუ მიიღო ქრთამი — აი ის ფაქტები, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის დადგენას. რაც შეეხება შესრულებულ თუ შეუსრულებელ სამსახურებრივ მოქმედებასა და მასთან დაკავშირებულ გარემოებებს, მათ გამოკვლევას მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს მთავარი ფაქტის — ქრთამის მიცემა-აღების ნათელსაყოფად.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის შეაბამისად, განაჩენის აღწერილობითი ნაწილი უნდა შეიცავდეს პაუხს შემდეგ კითხვებზე: ა) მომხდარია თუ არა ქმედობა, რომლის ჩადენაშიც ბრალი ედება სამართალში მიცემულს; ბ) ჩადენილია თუ არა ის სამართალში მიცემულის მიერ; გ) დანაშაულის ჩადენის მოტივები; დ) სად, როდის და რა ხერხითაა ჩადენილი დანაშაული; ე) მიუძღვის სამართალში მიცემულს ბრალი ჩადენილ დანაშაულში თუ არა და ა. შ.

ამიტომ მექრთამეობის საქმის განხილვისას საჭიროა შეიკრიბოს კონკრეტული დამამტკიცებელი მასალა, რომელიც დაადგენს ქრთამის ჩაბარების დროსა და ადგილს, მის ოდენობასა და სხვა გარემოებას, რაც მნიშვნელოვანია ამ კატეგორიის საქმეთათვის.

ქრთამის მიცემის დროისა და ადგილის სიზუსტით დადგენა ზოგჯერ ნათელსა ფენს მექრთამეობის მთელ საქმეს. არ შეიძლება სარწმუნოდ მივიღოთ თვითონ ქრთამის მიმცემთა ჩვენება ქრთამის გადაცემის ადგილისა და დროის თაობაზე. ამ

მასალის გულმოდგინე შემოწმება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როცა ირკვევა, რომ ბრალდება ემყარება ისეთ პირთა ჩვენებას, რომელნიც ქრთამის ამლებთან მტრულ დამოკიდებულებაში არიან.

სასამართლო პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა: ნ-ს ბრალი ედებოდა, რომ იგი, როდესაც კომუნალური ბანკის ანდიჟ-ნის საოლქო კანტორაში მუშაობდა, განზრახ უბრკოლებდა დაფინანსებას ბანკის კლიენტ ორგანიზაციებს და ცდილობდა მათი წარმომადგენლებისათვის ქრთამი გამოეძალა. ბრალდება ეყრდნობოდა № 1 სკოლის მწე ს-ს, საოლქო სამშენებლო-შემკეთებელი კანტორის უფროსი კ-სა და ამავე კანტორის სამუშაოთა მწარმოებელ პ-ეს ჩვენებებს.

ქრთამის მიღების დროისა და ადგილის გარემოებათა გამოკვლევის შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩამოთვლილ პირთა ჩვენება სარწმუნო არ იყო. კ-სა და პ-ეს სიტყვით, პ-ემ ნ-ს ქრთამი მისცა 1948 წლის 8 აგვისტოს. საქმეში არსებული ცნობიდან კი ჩანს, რომ პ-ემ მხოლოდ 12 აგვისტოს დაიწყო მუშაობა სამშენებლო-შემკეთებელ კანტორაში, ე. ი. 4 დღის მერე მას შემდეგ, რაც, მისი თქმით, ქრთამი მისცა. როცა სასამართლომ ეს შეუსაბამობა გამოამჟღავნა, კ-ემ და პ-ემ განაცხადეს, ვითომ შესცდნენ და ქრთამი 1948 წლის 8 სექტემბერს იყო მიცემული. მაგრამ არც ეს გამოდგა მართალი, რადგან კ-ემ და პ-ემ 10 აგვისტოს განუცხადეს საგამომძიებლო ორგანოებს ქრთამის თაობაზე.

მეორე, „ქრთამის მიმცემ“ ს-ეს ჩვენებით, მან ნ-ს ქრთამი მისცა 1948 წლის 25 ივლისს ბანკის შენობაში. ნაზღვილოდ კი აღმოჩნდა, რომ 25 ივლისი კვირა ღლე იყო და ამ დღეს ბანკი არ მუშაობდა. მაშინ ს-ემ მტკიცება დაიწყო, თითქოს ნ-ს ფული გადასცა მაღაზიასთან, ოღონდ არ იცის, 23 ივლისს მოხდა ეს თუ — 24-ს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1951 წლის 28 აპრილის განჩინებით ნ-ეს მიმართ გააუქმა განაჩენი და მოსპო მისი საქმე ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო. კოლეგიამ მხედვე-

ლობაში მიიღო, რომ „ქრთამის მიმცემთა“ ჩვენებები ქრთამის მიცემის დროისა და ადგილის შესახებ წინააღმდეგობებს შეიცავდა და სარწმუნო არ იყო; მან გაითვალისწინა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ნ-ს, რომელიც, თურმე, გამეტებით ებრძოდა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის ყალბ გადიდებასა და სახელმწიფო სახსრების მოტყუებით მიღების სხვა ხრიკებს, ავი დამოკიდებულება ჩამოუვარდა რიგ პირებთან, რამაც წააქეზა ისინი ცილი ეწამებინათ ნ-თვის, რათა მკაცრი ინსპექტორი თავიდან მოეშორებინათ <sup>1</sup>.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, როდის არის განცხადებული ქრთამის მიცემა და როდის მოხდა, განმცხადებლის სიტყვით, თვით ქრთამის გადაცემა. იმის მიზეზის გარკვევას, თუ რატომაა ეს ორი ფაქტი ერთმანეთისაგან დროის მხრივ დამორებული, შეუძლია საგამომძიებლო ორგანოს და სასამართლოს ქეშმარიტების დადგენის გზა მიუკვლიოს.

მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1951 წლის 6 ივნისის განჩინებაში, სხვა საბუთებს შორის, რომლებითაც მან გააუქმა განჩინი მ-ს საქმის გამო და ეს საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნა, აღნიშნა ისიც, რომ სასამართლომ უგულებელყო შემდეგი შეუსაბამობა: ბ-ს განცხადება 1949 წლის 12 მაისით იყო დათარიღებული, ხოლო ქრთამის გადაცემა, ბ-სავე სიტყვით, 1947 წლის ივლისში მოხდა. „ამრიგად, — ნათქვამია განჩინებაში, — იმ გარემოებების შემდეგ, რომლებზედაც განცხადება იტყობინებოდა, თვით განცხადების შეტანამდე თითქმის ორმა წელიწადმა განვლო. ასეთ დაგვიანებას, არაფრით გამართლებული რომ არ არის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოთა ყურადღება უნდა მიექცრო. მაგრამ არც საგამომძიებლო ორგანოებმა და არც სასამართლომ ამ ფაქტს უგროვანი მნიშვნელობა არ მიანიჭეს და იგი საჭირო გულმოდგინებით არ გამოიკვლიეს“ <sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1951, № 7, 83. 14—16.

<sup>2</sup> «Судебная практика Верховного Суда СССР», 1951, № 9, 83. 16.

ქრთამის აღების თარიღისა და, ამის თაობაზე, საგამომძიებლო ორგანოებისათვის შეტყობინების თარიღის ერთმანეთისაგან მოწყვეტის მიზეზთა დაკვირვებული და გულდასმით გამოკვლევის ნიმუშად მოვიტანოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 6 იანვრის დადგენილება ხ-ს საქმის გამო.

მოსკოვ-კურსკის რეინიგზის სახაზო სასამართლომ მსჯავრი დასდო რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით მოსკოვ-კისლოვოდსკის მატარებლის უფროს ხ-ს. რომელმაც ვითომდა 1947 წლის 11 ივლისს ქრთამად მიიღო 200 მანეთი გამყოლების დ-ს, ს-ს, შ-სა და მ-საგან.

პლენუმმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ განცხადება ქრთამის შესახებ გამყოლებმა მხოლოდ 1947 წლის სექტემბერში, ე. ი. 2 თვის დაგვიანებით შეიტანეს. პლენუმმა ანგარიში გაუწია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ რევიზორის მიერ შედგენილი აქტისა და მატარებლის უფროსი ხ-ს პატაკის საფუძველზე, ხსენებული გამყოლები 1948 წლის 20 ივლისს ბრძანებით დაისაჯნენ გზაში 10 ტომარა კარტოფილის უკანონო შესყიდვისათვის: დ. და ს. სამუშაოდან დათხოვნით, ზოლო შ., მ. და სხვანი — 1-დან 2 თვემდე მუშებად ჩამოქვეითებით; დასასრულ, ხ-ს მოეთავსებინა, თურმე, კედლის გაზეთ „ექსპრესის“ 13 ივლისის ნომერში წერილი, რომლითაც ხსენებული გამყოლები მბილებული იყვნენ შრომის დისციპლინის ბოროტად დარღვევაში.

ყველა ამის გამო პლენუმმა იმ დასკვნას დაადგა, რომ გამყოლებმა განცხადება შეიტანეს ხ-ს მიერ ქრთამის აღების თაობაზე არა მაშინათვე, ივლისში, როდესაც ვითომდა დანაშაული იყო ჩადენილი, არამედ 2 თვის შემდეგ, რადგან მოინდომეს თავიანთ მამხილებელ ხ-ზე შური ეძიათ, და, მაშასადამე, ისინი ხ-ს ჯგუფური ცილისწამების გზას დაადგნენ<sup>1</sup>.

ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის დასადგენად მნიშვნელოვანია გამოირკვეს: რა ხასიათის ურთიერთობა აკავშირებს და-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 3, გვ. 11—12.

ნაშაულის სავარაუდო მონაწილეებს. მათი ხანგრძლივი და მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება მამხილებელ საბუთად ჩანს, სამაგიეროდ, მტრული — გვაეკვებს ქრთამის მიცემა-აღების სინამდვილეში.

მაგრამ საგანომძიებლო ორგანო და სასამართლო ფიზიკადაც უნდა იყვნენ, რადგან ბრალდებულებმა შეიძლება იცრუონ დანაშაულის მისაჩქმალად და ამტკიცონ, თითქოს ერთმანეთისადმი ურიგოდ ან მტრულადაც კი იყვნენ განწყობილი. ამიტომ აუცილებლად საჭიროა კრიტიკული მიდგომა ამგვარი ჩვენებისადმი და მისი გულდასმითი შემოწმება.

მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიამ მცდარად აღიარა მოსკოვ-დონბასის რკინიგზის სახაზო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც სადგურის უფროსი ა-ს ბრალდებიდან უსაფუძვლოდ ამოღებული იყო ის, რომ მან რაიმრეწეკომბინატის რწმუნებული მ-ს მიერ გამასპინძლების შედეგად ვაგონს მისამართი შეუცვალა. საამისო საბუთად სახაზო სასამართლო ა-სა და მ-ის მტრულ ურთიერთდამოკიდებულებას ასახელებდა. საქმიდან კი ჩანს, ნათქვამია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიის განჩინებაში, რომ ა-ს მიერ წინააწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებით, მას მ-თან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა; ამასთანავე, სასამართლომ არ შეამოწმა და არ გამოიკვლია, როდის და რის გამო წაუხდათ ურთიერთდამოკიდებულება ა-სა და მ-ს<sup>1</sup>.

მეორე მხრივ, არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ მექრთამეობის სავარაუდო მონაწილეთა ურთიერთმტრობას შეუძლია შექმნას ნიადაგი ვითომდა ქრთამის ამღების ცილის საწამებლად ვითომდა ქრთამის მიმცემის მიერ.

ერთ-ერთი მოსაზრებათაგანი, რომლითაც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1951 წლის 6 ივნისის განჩინებით მ-ს მიმართ გააუქმა განაჩენი და საქმე ხელახალი წინასწარი გამო-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 6, 83-36.

ძიებისათვის დააბრუნა, იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველ-  
მხრივ შესაოწმებელი იყო ის, თუ როგორი ურთიერთდამოკი-  
დებულება ჰქონდათ ბ-ს, რომელიც ამტკიცებდა მ-ს ქრთამი მი-  
ვეციო და მ-ს, რომელიც უარყოფდა, არა, არ ამიღიო; ასეთი  
შემოწმება აუცილებელი ჩანდა, „რადგან მოწმე გ-ს ჩვენებით,  
მათ შორის მტრული ურთიერთობა არსებობს და ამიტომ შე-  
უძლებელი როდია, რომ ბ. მ-ს ცილს სწამებდეს“<sup>1</sup>.

როგორც უკვე აღინიშნა, ქრთამის მიმცემსა და ამღებს გარ-  
და. მექრთამეობის ჩადენაში შეიძლება სხვებიც მონაწილეობ-  
დნენ. კერძოდ შუამავლები, და ასეთი შუამავალი რგოლი შე-  
საძლებელია ჩამდენიმეც იყოს.

მექრთამეობის ნამდვილ ჩამდენთა სამხილებლად სასამართ-  
ლო შუამავლობის კვალს რგოლიდან რგოლამდე უნდა მიჰყ-  
ვეს; მისი ვალია, აგრეთვე, სიზუსტით დაადგინოს ის თანაქ-  
დებობის პირი, ვისი სამსახურებრივი მოქმედებთაც დაინტე-  
რესებულია ქრთამის მიმცემი და ვის ხელშიც საბოლოოდ  
ქრთამი აღმოჩნდა. ყველა ამის გამოურკვეველად სასამართლო  
ვერ შეძლებს წარმოსახოს დანაშაულის სურათი და ცხადად  
წარმოიდგინოს, თუ როგორი იყო თითოეული თანამონაწილის  
ნამდვილი როლი მექრთამეობის ჩადენაში.

მაგალითად, ვინიცის რკინიგზის სამხედრო ტრიბუნალი  
შეცდა, როდესაც ქრთამის ამღებად სენო ცეცხლფარეში ტ,  
რომელმაც სასყიდელი მიიღო ტენდერზე უკანონოდ დამსხ-  
დარი მგზავრებისაგან. ნამდვილად კი ტ-მ მარტო შუამავლობა  
გასწია და მიღებულის ნაწილი მემანქანეს გადასცა. დაშვებუ-  
ლი შეცდომის შედეგად მთავარი დამნაშავე — მემანქანე თ.  
სასამართლოს მხედველობის არის გარეშე აღმოჩნდა, ხოლო  
ცეცხლფარეში ტ-ი კი ქრთამის ამღებად დაისახა, მიუხედავად  
იმისა, რომ თანამდებობის პირი არ იყო და ამიტომ არც შეიძ-  
ლებოდა ქრთამის აღებისათვის პასუხი ეგო<sup>2</sup>.

მექრთამეობის საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია გამო-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1953, № 9,  
83. 17.

<sup>2</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1947, № 1,  
83. 4—5.

ირკვეს გარემოებანი, დაკავშირებული თანამდებობის პირის მიერ იმ სამსახურებრივი მოქმედების შესრულება-შეუსრულებლობასთან, რომლითაც ქრთამის მიმცემია დაინტერესებული. ასეთი მოქმედების ხასიათის ნათელყოფას მნიშვნელობა აქვს არა მარტო სასჯელის განსაზღვრის თვალაზრისით, არამედ თვითონ ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის დასადგენადაც. თანამდებობის პირის უკანონო მოქმედება სხვისი ინტერესის სასარგებლოდ შეიძლება მნიშვნელოვანი მამხილებელი საბუთი გამოდგეს მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის დასადგენად. ამიტომ ყველაფერი, რაც მას შეეხება, ზედმიწევნით უნდა იქნას გამოძიებული და შემოწმებული; არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას ასეთი გამოკვლევის საჭიროება და მისი შედეგი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საკრინიგზო კოლეგიის 1949 წლის 28 მარტის განჩინებაში ა-ს საქმის გამო ხაზგასმულია აღნიშნული მომენტის მნიშვნელობა, როგორც მამხილებელი საბუთისა. სახელდობრ, ამ განჩინებაში დაუსაბუთებლად არის აღიარებული სადგურის უფროსი ა-ს ბრალდებიდან იმის ამოღება, რომ მან მტვირთავებისაგან ფული მიიღო, რამდენადაც ეს ფაქტი დასტურდება კ-ს, ფ-ს, ა-სა და ს-ს ჩვენებებით და აგრეთვე გარემოებებით, რომლებიც თან სდევდა მტვირთავებისათვის 7457 მანეთის (ძველი ფულით) მიცემას სამუშაოსათვის, რომელიც მათ არ გაუკეთებიათ<sup>1</sup>.

ქრთამის აღების ფაქტის დასადგენად მნიშვნელობა აქვს გამოირკვეს, შეეძლო თუ არა ბრალდებულს, იმის მიხედვით, რა სამსახურებრივი მდგომარეობაც მას ჰქონდა, შესრულებინა სამსახურებრივი მოქმედება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ან რაიმე გავლენა მოეხდინა სხვებზე ასეთი მოქმედების შესრულების მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1951 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით გააუქმა ქალაქ მოსკოვის სვერდლოვის სახე-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1949, № 6.

ლობის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს განაჩენი რ-ს საქმის გამო და სხვა საამისო საბუთებს შორის აღნიშნა, რომ რ. ბრიგადირი იყო, არაერთი ადმინისტრაციული უფლებით აღჭურვილი არ ყოფილა და, მასთანავე, არ შეეძლო გავლენა მოეხდინა, რომ მუშები უფრო სახეირო სამუშაო უბანზე მოხვედრილიყვნენ. ასეთ ვითარებაში გაუგებარია, რილასთვის ქრთამავდნენ მუშები რ-ს. კოლეგიის აზრით, ამ გარემოებათა გამოუძიებლად და რ-ს მუშაობის ყველა პირობის შეუმოწმებლად, სასამართლოს არ შეეძლო საქმე არსებითად სწორად გადაეწყვიტა<sup>1</sup>.

აი სხვა მაგალითიც, რომელიც გვიჩვენებს, რომ სასამართლო უნდა აკვირდებოდეს იმ მოქმედების ხასიათს, რომელიც თანამდებობის პირს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით შეეძლო შეესრულებინა ქრთამის მიცემაში ბრალდებული პირის სასარგებლოდ.

აზერბაიჯანის სსრ მასალის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ტ. ცნობილი იყო დამნაშავედ მასში, რომ 40 მანეთი ქრთამი მასტა ბაზრის საწყობის გამგე მ-ს, რომელსაც ბაზრის კომენდანტმა და მილიციელმა შესანახად ჩააბარეს ორი ფუთი ბრინჯი: ეს ბრინჯი მათ ტ-ს ჩამოართვეს, რადგან ეკვი მიიტანეს, რომ იგი ბრინჯს სასპეკულაციოდ ყიდულობდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ტ-ს მიმართ გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და მოსპო ეს საქმე, რადგან საქმეში ვერ პოვა დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც დაადასტურებდა მ-ს განცხადებას, ვითომ ტ-მ მას ქრთამი შეაძლია. კოლეგიის განჩინებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია: საწყობის გამგეობა ისეთი თანამდებობა როდია, რომ მ-ს შეძლებოდა გავლენა მოეხდინა ტ-ს ხელში ორი ფუთი ბრინჯის აღმოჩენის გამო წარმომდგარი საქმის გამოკვლევაზე; სახალხო სასამართლომ ტ. გაამართლა სპეკულაციის ბრალდებაში, და

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1952, № 1. გვ. 23—24.



დაუბრუნა ჩამორთმეული ბრინჯი; მაშასადამე, ტ-ე არსებითად კანონიერად სთხოვდა მ-ს დაებრუნებინა მისი ბრინჯი<sup>1</sup>.

ამრიგად, ქრთამის აღებაში ბრალდებულად მიჩნეული პირის სამსახურებრივი საქმიანობის დადგენისას უნდა გამოვარკვიოთ მოცემული თანამდებობის პირის კომპეტენცია, მისი უფლება-მოვალეობათა წრე, მაგალითად, მისი სამსახურებრივი საქმიანობა და, ამის შემდეგ, დავადგინოთ, თუ რამდენად შეესაბამება ქრთამის მიცემის სასარგებლოდ შესრულებული მოქმედება მის ასეთ საქმიანობას. მნიშვნელოვან მამხილებელ გარემოებას წარმოადგენს არა მარტო ისეთი ფაქტი, როდესაც თანამდებობის პირის მოქმედება აშკარად და არსებითად უკანონო ხასიათისაა, არამედ ისეთიც, როდესაც იგი უჩვეულო პირობებში მიმდინარეობს. მაგალითად, სამსახურებრივი მოქმედება განსაკუთრებით სწრაფად შესრულდა ან შესრულდა რიგის დარღვევით, ანდა იმ ფორმალობათა დაუცველად, რაც ასეთი მოქმედების შესრულებისათვის არის საჭირო და ა. შ.

იმის დადგენა, რომ თანამდებობის პირის მოქმედება, რომელსაც ქრთამის მიცემა-აღების ბრალდება უკავშირდება, მართლზომიერი ხასიათისა ყოფილა, ყოველთვის არ აქარწყლებს პასუხისმგებლობას მექრთამეობისათვის, რადგან ამ დანაშაულის შემადგენლობას მართლზომიერი მოქმედებისთვის „საჩუქრის“ მიღებაც იძლევა. ამიტომ ცხადია, რომ მექრთამეობის საქმეების განხილვისას საამართლო არ უნდა დასჯერდეს იმ სამსახურებრივი მოქმედების ხასიათის გამოძიებას, რომელიც თანამდებობის პირმა შესრულა ან შეუძლია შესრულოს ქრთამის მიცემაში ბრალდებული პირის სასიკეთოდ. კემმარიტების დახადგენად საჭიროა ეს გარემოება დაუპირისპირდეს სხვა დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც უმტკიცებენ ბრალდებულებას ქრთამის მიცემა-აღებას ან ამართლებენ მათ.

ახლა განვიხილოთ, ის დამამტკიცებელი საბუთები, რომ-

<sup>1</sup> იხ. «Вопросы уголовного процесса в практике Верховного Суда СССР», 1948, გვ. 112.

ლებიც ჩვეულებრივად გვხვდება მექრთამეობის საქმეების განხილვისას.

მთავარია მოწმეთა და ბრალდებულთა ჩვენებები.

უნდა ითქვას, რომ მოწმის ჩვენება ათასში ერთხელ თუ დაადასტურებს უშუალოდ თვითონ იმ ფაქტს, რომ ქრთამი გადაკეპული ან გამორთმეულია, მომეტებულ შემთხვევაში ამის მოწმე არავინ არის, რადგან ქრთამის მიმცემ-ამლებნი ვრიდებიან უცხო არავინ შეესწროთ.

ამიტომ მოწმეთა ჩვენება, ჩვეულებრივ, ეხება, სხვადასხვ: თანამდევ გარემოებას, რომელიც ბრალდებულთ ან ამბელს, ან ამართლებს. მაგალითად, მოწმეს შეუძლია უამბოს სასამართლოს: მექრთამეობის სხვისგან გაგონილ ფაქტებზე; ქრთამის მიმცემისა და ამლების შეხვედრაზე, რომელსაც მან შემთხვევით თვალი შეასწრო; იმ სამსახურებრივი საქმის უჩვეულო მიმდინარეობაზე, რომლითაც ქრთამის მიმცემია დაინტერესებული; მექრთამეობის საეარაუდო მონაწილეთა ურთიერთობაზე და ა. შ.

განსაკუთრებით მოსახსენებელია იმ პირის ჩვენება, რომლისაგანაც ქრთამი იყო გამოძალული. ასეთი ჩვენება, თუკი ის გულწრფელია, მოწმობს უშუალოდ იმას, რომ თანამდებობის პირს ქრთამი მიუღია. ამიტომ ამგვარ მოწმეთა გულმოდგინე და მოხერხებულ დაკითხვას აოსებითი მნიშვნელობა აქვს მომხდარი ამბის სურათის წარმოსახვისათვის. მისი სრული და ზუსტი ჩვენება ქრთამის გადაცემის დროის, ადგილისა და ვითარების თაობაზე, ქრთამის ოდენობასა და სხვა გარემოებაზე, რაც ქრთამის გადაცემას თან სდევდა — ყველა ეს ხშირად აიძულებს ბრალდებულს გამოტყდეს ქრთამის გამოძალვაში.

ასეთივე მნიშვნელობა შეიძლება იქონიოს იმ ქრთამის მიმცემის ჩვენებამ, რომელმაც მომხდარი მექრთამეობა დროულად და თავის ნებით გააცხადა. ჩადენილი დანაშაულის ყველა წვრილმანის აღწერამ სასამართლოს წინაშე შეიძლება აიძულოს თანამდებობის პირი გამოტყდეს, რომ ქრთამი მართლა აიღო.

მაგრამ სასამართლომ ბრალის აღიარებას გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიაწეროს. გამამტყუნებელი განაჩენის დასასაბუთებლად საჭიროა, რომ ბრალის აღიარება სხვა გარემოებებითაც დასტურდებოდეს.

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეყიდოთ თვითონ ბრალდებულთა ჩვენებას, მეტადრე მაშინ, როდესაც ისინი ამხელენ სხვების თანამონაწილეობას მექრთამეობაში, თუადაც ასეთ ხელის დადებას საკუთარი ბრალის აღიარებაც თან სდევდეს.

ამგვარი ჩვენება საჭიროებს უალრესად ფაქიზ შემოწმებას და მას შეიძლება მნიშვნელობა მიეცეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი საქმის სხვა მასალითაც დასტურდება.

სადგურ ბესარაბსკაიას მოსამსახურეებს პ-სა და ბ-ს კიშენეის რკინიგზის სახაზო სასამართლომ მსჯავრი დასდო ქრთამის გამოძალვისათვის. განაჩენს საფუძვლად დაედო მათი თანაბრალდებული, იმავე სადგურის უფროსი ტ-ეს ჩვენება. ტ. ამბობდა, რომ პ-მ და ბ-მ, მასთან ერთად, გამოძალვის შედეგად კოლმეურნეობა „ლუჩის“ წარმომადგენელთაგან ქრთამად მიიღეს 2,5 ტონა თივა ვაგონების მიჩენისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გააუქმა ეს განაჩენი პ-სა და ბ-ს მიმართ და სცნო, რომ ტ-ეს განცხადება საქმის მასალით არ დასტურდება. კოლმეურნეობის წარმომადგენლის ა-სა და სადგურ ბესარაბსკაიას მეცნობე კ-ს ჩვენებით მოლაპარაკება მარტო ტ-სთან წარმოებდა. არც პ-სა და არც ბ-ს არაფერი უდონიათ, რომ ვაგონების მიჩენა ნებადართული ყოფილიყო. ტ-ს ჩვენების გარდა, საქმეში არავითარი სხვა მასალა არ არის იმის თაობაზე, ვითომ პ-მ და ბ-მ ტ-ს მიერ კოლმეურნეობისაგან თივის მიღების ამბავი იცოდნენ. ამგვარ ვითარებაში, პლენუმის აზრით, პ-ესა და ბ-ეს ბრალდება ქრთამის აღებაში არ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს<sup>1</sup>.

მექრთამეობის საქმის განხილვის დროს გამოკვლევის საგანი შეიძლება ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი იყოს, მო-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1950, № 4.

მეტეზულად წერილობითი დოკუმენტი. საქმესთან დართული დოკუმენტები შეიძლება ახასიათებდეს ქრთამად შესრულებულ სამსახურებრივ მოქმედებას, არკვევდეს, კანონიერია იგი თუ უკანონო; მოწმობდეს რაიმე ოფიციალური საბუთის უწესო მკვლელობასა თუ გაფორმებას, ქრთამის ოდენობას (ჩანაწერი, ჩანანიშნი, ანგარიში და სხვ.) ანდა ქრთამისათვის ჩადენილ სიყალბესა და ა. შ.

ყოველმხრივ უნდა იქნას გამოძიებული ასეთი საბუთები და მოეწყოს ექსპერტიზა, თუ დოკუმენტის შინაარსის ან სინამდვილის დადგენა მკოდნე პირის დასკვნას მოითხოვს.

მართალია, ჩვეულებრივად მექრთამე არ ტოვებს ნივთიერ და, კერძოდ, წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა თვით ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის უშუალოდ დადგენა. უფრო ხშირად შეიძლება არსებობდეს შორეული სამხილი, რომელიც შესაძლებელს გახდოდა დასკვნა გაკეთებულიყო საძიებელი ფაქტების შესახებ. მაგალითად, ამა თუ იმ სამუშაოსათვის მაცემული მეტად დიდი სასყიდლის ანდა ამ სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის წერილობითი ფიქსირება, ან კიდევ შეკვეთის გაფორმებასთან დაკავშირებული დოკუმენტების აღმოჩენა ზოგჯერ წარმოადგენს დასაწყის მომენტს, რომელიც განსაზღვრავს მექრთამეობის საქმის გამოძიების შემდგომ მსვლელობას. მაგრამ, როგორც პრაქტიკის მასალებიდან ჩანს, არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც წერილობითი და სხვა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების არსებობა იძლევა უშუალო შესაძლებლობას მექრთამეობაში დამნაშავე პირების მხილებისათვის. ასე მაგალითად, ამგვარი დამამტკიცებელი საბუთების საფუძველზე ლენინგრადის ქიმიურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის საგამოცდო კომისიის წევრი შ. აბიტურიენტების მშობლებისაგან იღებდა ქრთამს. რისთვისაც ეხმარებოდა მათს შვილებს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელი გამოცდების ჩაბარებაში. შ-ს აღმოაჩნდა უბის წიგნაკი, სადაც ჩაწერილი იყო ქრთამის მიმცემთა შვილების გვარები, ჩასაბარებელი გამოცდების თარიღები და, აგრეთვე, ცნობები იმის შესახებ, თუ ვისგან რამდენი ფული მიიღო. დაბოლოს, შ-ს აღმოაჩნდა

ოთხი საწარმდგენელო შემნახველი სალაროს წიგნაკი, რომელთა ანგარიშზედაც დიდი თანხა ირიცხებოდა. ეს უშუალოდ ადასტურებდა, თუ რა სახით იღებდა შ. ქრთამს<sup>1</sup>.

ამრიგად, ჩამოთვლილმა ობიექტურმა დამამტკიცებელმა საბუთებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს შ-ს მიერ ქრთამის აღების დადგენაში.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევია პირი, ხელმძღვანელობენ რა კანონით და სოციალისტური მართებულებით, დამამტკიცებელ საბუთებს შეათასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში. არავითარ დამამტკიცებელ საბუთს სასამართლოსათვის, პროკურორისათვის, გამომძიებლისა და მომკვლევია პირისათვის წინააღმდეგ დადგენილი ძალა არა აქვს.

ამრიგად, კანონი არ შეიცავს არავითარ ფორმალურ მომენტს დამამტკიცებელი საბუთების თავისუფალი შეფასების შესაზღუდად. იგი მოითხოვს მხოლოდ, რომ აღნიშნული პირების შინაგანი რწმენა ემყარებოდეს საქმის მასალის ერთობლივ განხილვას. არ შეიძლება ანგარიში გაეწიოს მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომელნიც ლაპარაკობენ, რომ ესა თუ ის ფაქტი სინამდვილეს შეეფერება, და უგულებელყოფილ იქნას სხვანი, რომელნიც საწინააღმდეგოს ამტკიცებენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო თავის საზედამხედველო პრაქტიკაში განუზრგელად ახორციელებს კანონის ამ მოთხოვნას.

მოვტანოთ ამის რამდენიმე მაგალითი მექრთამეობის საქმეებიდან.

იმ საბუთებს შორის, რომელთაც გამოიწვიეს განაჩენის გაუქმება რ-ს საქმის ვამო, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1961, № 2, გვ. 11—12.

1951 წლის 17 ოქტომბრის განჩინებაში აღნიშნა, რომ ქრთამის გამოძალვის გარშემო, რომელიც რ-ს ბრალდებოდა, საქმე ერთმანეთს საწინააღმდეგო მასალას შეიცავს: ფ., ზ., ბ., და ა. ხელს ადებენ ბრიგადირ რ-ს, რომ იგი სისტემატურად ეწეოდა ქრთამის გამოძალვას თავიანი ბრიგადის მუშებისაგან, ხოლო მუშები ნ., პ., და სხვები კი აცხადებდნენ, რომ ბრიგადაში მუშაობისას რ-სთვის ქრთამი არ მიუციათ და არცა სმენიათ, რომ მას რომელიმე მუშისათვის ქრთამი გამოეძალოს<sup>1</sup>.

სახალხო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც მან რ-ს გამოუტანა, დასაბუთებული იქნებოდა, თუკი მოწმეთა პირველი ჯგუფის ჩვენება საქმის სხვა გარემოებებითაც დადასტურდებოდა, ანდა მოწინააღმდეგე მოწმეთა ჩვენება რითიმე შეიბღალეებოდა და გამოირკვეოდა, რომ იგი სარწმუნო არ არის. ნამდვილად კი პირიქით მოხდა: სახალხო სასამართლომ ამხილა ბრალდების მთავარი მოწმე ბ-ი, რომლის განცხადებითაც ბრიგადირი რ-ი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული, ცრუმოწმობისათვის და გამოიტანა განჩინება მისი რსფსრ 1926 წ. სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლით (ცრუ ჩვენება) პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

განაჩენი არც მაშინ იქნება დასაბუთებული, როდესაც მოწმენი ერთსა და იმავე ფაქტების გამო წინასწარი გამოძიებისას ერთ ჩვენებას იძლევიან, ხოლო სასამართლოში სხვას და სასამართლომ კი არ გამოიკვლია ამ წინააღმდეგობის მიზეზი.

სამხრეთ ურალის რკინიგზის სახალხო სასამართლომ მსჯავრი დასდო მაგნიტოგორსკის ვაგონების დეპოს თვლებზე ოსტატ კ-ს მუშების იტლუებისათვის, რომ მისთვის საჩუქრად ეძლიათ ფული. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიამ დაადგინა, რომ მოწმეთა ჩვენება კ-ს მიერ ქრთამის გამოძალვის თაობაზე, მიცემული წინასწარი გამოძიების პროცესში და სასამართლოს სხდომაზე, შეიცავდა წინააღმდეგობას, რომლის ახსნაც საქმის მასალით არ ხერხდებოდა. მაგალითად, წინასწარი გამოძიებისას მოწმე კ-ე ამტკი-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1952, № 1, გვ. 23.

ცებდა, რომ 1950 წლის იანვრიდან მოყოლებული ვიდრე ოქტომბრამდე ოსტატ კ-ს თვიურად აძლევდა 50 მანეთს, სულ კი გადაუხადა მას 450 მანეთი, რლონდ რით იყო ეს გამოწვეული, ეს არ აუხსნია. იმავე კ-ემ სასამართლოს მისცა ჩვენება, რომ ოსტატი კ. მუდამ თხოულობდა ფულს არყის გადასაკრავად და იმ მუშებს, რომლებიც ფულს არ მისცემდნენ, ნაკეთობას უწუნებდა; ვისი ნაპუშევიარი დაიწუნა მან უსაფუძვლოდ, ამაზე მოწმემ არა თქვა რა და ეს გარემოება არც სასამართლომ გამოიძია.

ასეთივე წინააღმდეგობები იყო აგრეთვე ჩვენებებში, რომელშიც მოწმეებმა ლ-მ, უ-მ, ტ-მ და სხვებმა მისცეს კ-ს ბრალდების გამო ჯერ წინასწარ გამოძიებას, ხოლო მერე სასამართლოს. ამიტომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიამ გააუქმა განაჩენი კ-ს ბრალდების გამო და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნა<sup>1</sup>.

სასამართლომ არ უნდა მიაწეროს მნიშვნელობა მოწმის ჩვენებას, თუ საქმეში არის სხვა მასალა, რომელიც მას უარყოფს და არასარწმუნოდ ხდის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიის განჩინებაში იმავე კ-ს საქმის გამო აღნიშნულია: „წინასწარი გამოძიებასას ლ-მ მისცა ჩვენება, რომ, როგორც კი შეუწყვიტა კ-ს ქრთამის მიცემა, მისი თვიური ხელფასი 130 მანეთამდე ჩამოვიდა და ლ. იძულებული გახდა 1950 წლის ოქტომბერში სამუშაოდან დათხოვნილიყო. ნამდევლად კი საქმეში მყოფი ცნობიდან ჩანს, რომ ლ-ს ხელფასი 1950 წლის მანძილზე საშუალოდ 1000 მანეთამდე შეადგენდა, ხოლო 1950 წლის ოქტომბერში, როდესაც, მისი მტკიცებით, იგი მცირე ხელფასის გამო იძულებული გახდა დათხოვნილიყო, მას 1044 მანეთი გამოუმუშაებია. წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს არ გამოუჩვენებია, თუ რა მიზეზია ესოდენ არსებითი წინააღმდეგობისა მოწმე ლ-ს ჩვენებასა და საქმესთან დართულ ცნობას შორის“<sup>2</sup>. ამ შემთხვევაშიც დარღვეულია კა-

<sup>1</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1952, № 3 83-10—12.

<sup>2</sup> იქვე, 83-11.

ნონის მოთხოვნა, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენა საქმის ყველა გარემოების ერთობლივად განხილვას უნდა ემყარებოდეს.

2. სასამართლოს მიერ ქრთამის მიცემა-აღების კონკრეტული ფაქტის დადგენით, ბრალდებულთა მოქმედების ზუსტი კვალიფიკაციით იმ როლის შესაბამისად, რომელსაც ისინი ასრულებენ დანაშაულის ჩადენისას და მათთვის სათანადო სასჯელის დანიშვნით სასამართლოს მუშაობა არ წყდება. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321 მუხლის თანახმად, განაჩენის დადგენასთან ერთად სასამართლოს შეუძლია კერძო განჩინებით მიაქციოს დაწესებულების ან საწარმოს ხელმძღვანელის, ან თანამდებობის პირის ყურადღება იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დანაშაულის ჩადენას და სათანადო ზომების მიღებას საჭიროებენ. კერძო განჩინების ასლი ეგზავნება შესაბამის დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას, თანამდებობის პირს, რომლებიც ვალდებული არიან ერთი თვის ვადაში აცნობონ სასამართლოს მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების გამორკვევა და მათ ასაცილებლად სათანადო ღონიძიებების მიღება ევალება ზოგადი ფორმით მოკვლევის პირს, გამომძიებელს, პროკურორს და სასამართლოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხლითაც.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოხსენებული დადგენილებანი საკანონმდებლო ფორმით აყალიბებენ იმ მოთხოვნას, რომ დანაშაულთან ბრძოლა საჭიროა არა მარტო საპართალდაპრღვევითა მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენებით, არამედ, აგრეთვე, იმ მიზეზებისა და პირობების მოსპობით, რომლებიც დანაშაულს წარმოშობენ. ასეთი პროფილაქტიკური მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულთა თავიდან არიდებას, უნდა ჩატარდეს ყველა საზოგადოებრივად საშიში ქმედობის და, კერძოდ, მექრთამეობის მიმართაც.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილება სასამართლოთა მუშაობის სე-



რიოზულ ნაკლოვანებად თელის იმას, რომ სასამართლოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმ მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას და აღმოფხვრა<sup>1</sup>, რომლებიც ხელს უწყობენ მექრთამეობას. ამიტომ პლენუმის დადგენილები<sup>1</sup> მე-12 პუნქტში სასამართლოებს წინადადება ეძლევათ სერიოზული ყურადღება მიაქციონ აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორებას<sup>1</sup>.

მექრთამეობისათვის ხელისშემწყობი მიზეზები და პირობები სხვადასხვა ხასიათის არიან. მექრთამეობის მასაზრდოებელი წყარო შეიძლება იყოს ცალკეული დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის მუშაობაში შემორჩენილი ბიუროკრატიზმი, უსულგულო დამოკიდებულება მშრომელთა საჭიროებებისა და განცხადებებისადმი, შინასაუწყებო ან სხვა სახის კონტროლის დასუსტება, გულგრილი დამოკიდებულება საზოგადოებრიობის სიგნალებისადმი, რომლებიც მიუთითებენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი აპარატის ცალკეული რგოლების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე, კადრების არასწორი შერჩევა და განლაგება. ცნობილია შემთხვევები, როდესაც საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მოხვედრას ახერხებენ ისეთი პირები, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან ან როდესაც ასეთ თანამდებობაზე დანიშნვა ხდება არა თანამშრომლის საქმიანი და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ ამ დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა ნათესაური, ან მეგობრული დამოკიდებულების გამო და ა. შ.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის მუშაობაში ამ უარყოფითი მოვლენების აღკვეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველმხრივ და ეფექტურ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლს. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, რომლის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები. „თუ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები, — აღნიშნავდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი პარტიის ნოემბრის პლენუმზე, — დაეხმარებიან

<sup>1</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 5, გვ. 12.

პარტიას მოაწყოს მტკიცე ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, დარაზმოს საზოგადოებრიობა ბიუროკრატების, საქმის გამჭვიანურებლებას, იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც ბოროტად იყენებენ სამსახურებრივ მდგომარეობას, ამით ისინი შეასრულებენ თავიანთ ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას<sup>1</sup>.

ცხადია, იმ მოვლენებს, რომლებიც მექრთამეობას ასაზრდოებენ, უნდა ებრძოლონ არა მარტო პარტიული და სახელმწიფო ორგანოები, არამედ, აგრეთვე, ფართო საზოგადოებრიობაც. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321 მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს, სამსჯავრო განხილვის მასალების საფუძველზე, კერძო განჩინებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მშრომელთა კოლექტივების ყურადღება მიამჩიოს ცალკეულ მოქალაქეთა არასწორ ქცევაზე წარმოებაში და ყოფაცხოვრებაში, ან მათ მიერ დაშვებული საზოგადოებრივი მოვალეობის სხვა დარღვევაზე.

სხვა საშუალებებითაც შეიძლება მიღწეულ იქნეს საზოგადოებრიობის როლის აქტივიზაცია მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში. ერთ-ერთ ასეთ საშუალებაა წარმოადგენს ღია საჩვენებელი სასამართლო პროცესების მოწყობა. ასეთი საჩვენებელი პროცესების გამაფრთხილებელი მნიშვნელობა მეტად დიდია. ჯერ ერთა, ასეთი პროცესი გამასწორებელ ზეგავლენას ახდენს თვით დამნაშავეზე, რომლის მხილება მძიმე დანაშაულის ჩადენაში ხდება მისი ახლო ამხანაგების, თანამშრომლების თვალწინ. მეორე, ასეთი პროცესები ხელს უწყობენ საზოგადოებრიობის ძალების მობალიზაციას ამ მეტად საშიში დანაშაულის წინააღმდეგ, უნერგავენ მოსახლეობის ფართო მასებს ზიზღს მის წინააღმდეგ, განუმარტავენ მათ მომავალში ასეთი დანაშაულის კონკრეტული ფაქტების მხილებაში საზოგადოებრივი ელემენტების აქტიურად ჩაბმის საჭიროებას. სსრ

<sup>1</sup> ნ. ს. ბ რ უ შ რ ი ვ ი, სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობა. მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1962, გვ. 150.

კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის დადგენილებაში „მექრთამეობასთან და სახალხო დოვლათის განთავსებასთან ბრძოლის შესახებ“ სხვა ღონისძიებათა შორის, რომლებიც მიმართულია მექრთამეობის აღმოფხვრისაკენ, მითითებულია აგრეთვე ღია სასამართლო პროცესების ორგანიზაცია. დადგენილებაში ნათქვამია: „რათა გაძლიერდეს მექრთამეობის საქმეთა სასამართლო განხილვის აღმზრდელობითი მნიშვნელობა, მიზნულ იქნეს ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება ამ საშიშ დანაშაულთან ბრძოლის საკითხებისადმი და თანაც შეიქმნას შეურიგებლობის დამოკიდებულება მექრთამეთა მიმართ, რეკომენდაცია მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს უახლოეს დროში ჩაატარონ ღია გამსვლელი სასამართლო პროცესები მექრთამეობის საკითხებზე იმ საწარმოებში, მშენებლობებსა და დაწესებულებებში, სადაც ეს დანაშაული იყო ჩადენილი“<sup>1</sup>.

მექრთამეობასთან საბრძოლველად საზოგადოებრიობის აქტივიზაციას ხელს უწყობს აგრეთვე მოსამართლეთა, პროკურორთა, გამომძიებელთა და მილიციის მუშაკთა მკიდრო კავშირი მოსახლეობის ფართო მასებთან. ამ მხრივ დიდად სასარგებლოა მოსამართლის ყოველდღიური კავშირი სახალხო მსაჯულებთან და მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლებთან, საუბრებისა და საჯარო ლექციების პერიოდულად ჩატარება დაწესებულებებში, საწარმოებში, ფაბრიკა-ქარხნებში. ზოგჯერ მიზანშეწონილია ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება სასამართლოს სხდომაზე დამსწრე პირთა შორის ან იმ ორგანიზაციის კოლექტივში, სადაც ჩადენილი იყო დანაშაული და ა. შ. ასეთ შეხვედრებს და საქმიან კონტაქტებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. ისინი მოსახლეობას უნერგავენ სრულ წარმოდგენას მექრთამეობის საზოგადოებრივი საშიშროების შესახებ, განუმარტავენ მათ საბჭოთა კანონებს, რომლებიც აწესრიგებენ პასუხისმგებლობას ასეთი მძიმე დანაშაულისათვის. მაგალითად, საჭიროა, რომ მოქალაქემ იცოდეს მექრთამეობის ცნების მოცულობა, რომ,

<sup>1</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 3, გვ. 25.

მექრთამეობა მარტო მაშინ კი არ არის, როდესაც ქრთამი უკანონო მოქმედებისთვის არის მიღებული, არამედ მაშინაც, როდესაც თანამდებობის პირი „ჯილდოს“ კანონიერი მოქმედებისთვის იღებს, აგრეთვე იცოდეს, თუ რა მძიმე სასჯელებია გათვალისწინებული მექრთამეობისათვის და ა. შ.. ყოველივე ამის განმარტებას მოსახლეობისათვის დიდი ზოგადგამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, საჭიროა მოქალაქემ ისიც იცოდეს, რომ ქრთამის მიმცემი გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მან ნებაყოფლობით განუცხადა სათანადო სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანოებს მექრთამეობის ფაქტის შეახებ, ან თუ იგი თვით თანამდებობის პირმა აიძულა მისთვის ქრთამი მიეცა, ე. ი. თუ ადგილი ჰქონდა ქრთამის გამოძალვას. ამ დებულებების განმარტება მოსახლეობისათვის უეჭველად ხელს შეუწყობს მექრთამეობის ფაქტების გამოვლინებას.

იურიდიულ ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევა საბჭოთა საგამომძიებლო პრაქტიკიდან, როდესაც საგამომძიებლო ორგანოებმა შეძლეს მეტად საშიში მექრთამეების ბოლომდე მხილება სწორედ იმის გამო, რომ ასეთი უშუალო კონტაქტი დაამყარეს და ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარეს მშრომელთა კოლექტივთან.

ქ. ლენინგრადის ერთ-ერთი მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელს ბრალად ედებოდა მუშებისაგან ქრთამის გამოძალვა. ამ საქმეზე ძნელი აღმოჩნდა ყველა იმ პირის დადგენა, რომელთაგანაც ბრალდებულს ქრთამი ჰქონდა გამოძალვით. ერთნი დუმდნენ არჩევდნენ მხოლოდ იმეტომ, რომ ეშინოდათ პასუხს გვაგებინებნენ ქრთამის მიცემისათვის, ხოლო სხვები ცდილობდნენ საერთოდ გვერდზე გამდგარიყვნენ. გამომძიებელმა მოუხმო სამშენებლო სამმართველოს მუშებს, აუხსნა მათ ამ საქმის მნიშვნელობა, აგრეთვე ისიც, რომ, თუ ქრთამის მიმცემის მიმართ გამოძალვა იყო გამოყენებული, მაშინ იგი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცემოდა. ამის შემდეგ მალე გამომძიებელთან ოცდახუთი მუშა გამოცხადდა

და ჩვენება მისცა. ამით ბრალდებულის დანაშაულებრივი საქმიანობა მთლიანად დადასტურდა<sup>1</sup>.

უქანასკნელ ხანებში საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტ რეაგირებას ახდენს ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ცალკეულ რგოლებში, მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ მშრომელთა დროულად ჩარევამ ხელი შეუწყო ეფექტურ ბრძოლას ბიუროკრატიზმისა და სხვა სახის დარღვევათა გამოვლინებებთან, რომლებიც განსაკუთრებით ხელაყრელ ნიადაგს ქმნიან მექრთამეობისათვის.

ამგვარად, საზოგადოებრიობის მეცადინეობა მამართული უნდა იყოს არა მარტო მექრთამეობის უკვე არსებული ფაქტების გამოვლინებაზე, არამედ, აგრეთვე იმ მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრაზე, რომელნიც ასაზრდოებენ ამ დანაშაულს. ეს ორი მომენტი ერთმანეთისაგან განუყოფელია. ამგვარადვე, სახელმწიფო ორგანოებისთვისაც, რომლებიც მოწოდებული არიან ებრძოლონ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობებს, ერთნაირად მნიშვნელოვანია მექრთამეობასთან ბრძოლის ეს ორი ასპექტი: სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით ზემოქმედების მოხდენა იმ პირებზე, ვინც უკვე დაადგა დანაშაულის გზას, და მიაი წარმომშობი ფაქტორების მოსპობა. საკითხის მხოლოდ ასეთი ფართო დაყენება მოგვცემს შესაძლებლობას წარმატებით გადავჭრათ მექრთამეობის — წარსულის ამ საწარცხვინო ნემკვიდრეობის — სბოლოოდ აღმოფხვრის რთული ამოცანა.

---

<sup>1</sup> იხ. А. Васильев, Участие общественности в расследовании преступлений («Социалистическая законность», 1959, № 10, гл. 20—21).

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	5
თავი პირველი. ისტორია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა მექრთამეობის შესახებ	19
თავი მეორე. მექრთამეობის ცნება.	
§ 1. ქრთამის მიცემა-აღება როგორც ერთიანი, ორმხრივი დანაშაული	32
§ 2. მექრთამეობის ობიექტი და ქრთამის საგანი	41
§ 3. მექრთამეობის ობიექტური მხარე	57
§ 4. მექრთამეობის სუბიექტები	79
§ 5. მექრთამეობის სუბიექტური მხარე	94
§ 6. მექრთამეობის მცდელობა	104
§ 7. თანამონაწილეობა და, კერძოდ, შუამავლობა მექრთამეობაში	<del>102</del>
თავი მესამე. მექრთამეობის კვალიფიციური სახეობანი	130
თავი მეოთხე. სასჯელი მექრთამეობისათვის	158
თავი მეხუთე. მექრთამეობის სპეციალური საკითხები	180
§ 1. პასუხისმგებლობა მექრთამეობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის	180
§ 2. გარემოებანი, რომლებიც ათავისუფლებენ პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიმცემს	197
§ 3. ქრთამის პროვოკაცია	209
თავი მეექვსე. ქრთამის მიცემა-აღების ფაქტის დადგენა. საზოგადოებრიობის მონაწილეობა მექრთამეობასთან ბრძოლაში	216

Владимир Георгиевич Макашвили  
Георгий Терентьевич Ткешелидзе

Ответственность за взяточничество.

(на грузинском языке)

Издательство  
«Сабчота Сакарთველო»  
Тбилиси  
1964

საზოგადოებრივი რედაქტორი პ. ბერძენიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი ე. ვაშაკიძე  
ტექნიკური რედაქტორი მ. ძოწენიძე  
კორექტორი ნ. შიქელაძე

გადაეცა წარმოებას 4/VII-63 წ. ხელმოწერილია და-  
აბეჭდად 10/II-64 წ. ქალაქის ზომა 84 X 108<sub>1/2</sub>.  
ნაბეჭდი თაბახი 12,5. სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,74.  
სააეცრო თაბახი 10,53. უე 00319. ტირაჟი 3.000  
შეკვ. № 817.

ფასი 42 კაპ.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.  
თბილისი, შარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.